



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

სახელმძღვანელო

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის შესახებ

განახლების თარიღი: 2019 წლის 31 აგვისტო



Publishers or organisations wishing to translate and/or reproduce all or part of this report in the form of a printed or electronic publication are invited to contact publishing@echr.coe.int for information on the authorisation procedure.

If you wish to know which translations of the Case-Law Guides are currently under way, please see [Pending translations](#).

This Guide has been prepared by the Directorate of the Jurisconsult and does not bind the Court. It may be subject to editorial revision.

This Guide was originally drafted in English. It is updated regularly and, most recently, on 31 August 2019.

The Case-Law Guides are available for downloading at www.echr.coe.int (Case law – Case-law analysis – Case-law guides). For publication updates please follow the Court’s Twitter account at <https://twitter.com/echrpublication>.

This translation is published by arrangement with the Council of Europe and the European Court of Human Rights and is the sole responsibility of the translator
Archil Metreveli, Ph.D.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2019

© ქართული გამოცემა, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019
საქართველო, თბილისი 0171, კოსტავას ქ. 77, ტელ.: 032 2 55 22 22

სარჩევი

შენიშვნა მკითხველთათვის	5
კონვენციის მე-9 მუხლი - აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება	6
ადამიანის უფლებათა დოკუმენტების ბაზის (HUDOC) საკვანძო სიტყვები	6
შესავალი	6
I. ზოგადი პრინციპები და კონვენციის მე-9 მუხლის გამოყენების შესაძლებლობა	9
A. კონვენციის მე-9 მუხლის მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში და რელიგიური ორგანიზაციების უფლება მიმართონ სასამართლოს (Locus Standi)	9
B. მე-9 მუხლით დაცული მრწამსები	9
C. რწმენის ქონის უფლება და რწმენის გამოხატვის უფლება	13
D. სახელმწიფოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები	20
1. ჩარევა დაცული უფლებებით სარგებლობაში და მისი გამართლება	20
2. ხელშემკვრელი სახელმწიფოების პოზიტიური ვალდებულებები	24
E. მე-9 მუხლითა და კონვენციის სხვა დებულებებით დადგენილი გარანტიების ურთერთგადაფარვა	25
II. მე-9 მუხლით დაცული ქმედებები	29
A. ნეგატიური ასპექტი	29
1. რელიგიური პრაქტიკის არ ქონისა და პირადი მრწამსის გაუცხადებლობის უფლება	29
2. კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა: პირის უფლება არ იმოქმედოს საკუთარი სინდისისა და მრწამსის საწინააღმდეგოდ	30
B. პოზიტიური ასპექტი	37
1. ზოგადი პრინციპები	37
2. რელიგიის თავისუფლება და ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები	38
3. კვების წესების დაცვა	39
4. რელიგიური სამოსისა და სიმბოლოების ტარება	40
5. რელიგიის თავისუფლება, ოჯახი და ბავშვების განათლება	49
6. ქადაგება და პროზელეტიზმი	55
7. რელიგიური ღვთისმსახურების თავისუფლება	56
8. ღვთისმსახურების ადგილები და შენობები	59
C. რელიგიის თავისუფლება და იმიგრაცია	64
1. უცხოელთა ბინადრობა და დასაქმება ეროვნულ ტერიტორიაზე და რელიგიის თავისუფლება	64
2. იმ ქვეყანაში გაძევება, რომელიც არღვევს რელიგიის თავისუფლებას	66
III. სახელმწიფოს, როგორც რელიგიის თავისუფლების გარანტის, ვალდებულებები	68
A. ნეგატიური ვალდებულებები: რელიგიური ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელშეშლულობის ვალდებულება	68

1. რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი ხელშემკვრელ სახელმწიფოებში	68
2. რელიგიური ორგანიზაციების აღიარება, რეგისტრაცია და გაუქმება	70
3. სახელმწიფოს მიერ რელიგიური თემების მიმართ დამაკნინებელი ტერმინების გამოყენება	79
4. ფინანსური და საგადასახადო რეგულაციები.....	81
5. რელიგიური მოტივების მქონე პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ მიღებული ზომები	90
B. ნეგატიური ვალდებულებები: რელიგიური ორგანიზაციების ავტონომიურობის დაცვა.....	92
1. რელიგიური ორგანიზაციების ავტონომიურობის პრინციპი.....	92
2. სახელმწიფოს ჩარევა შიდადენომინაციურ და დენომინაციათაშორის კონფლიქტებში	93
3. დავები რელიგიურ ორგანიზაციებსა და მათ წევრებს (მიმდევრებსა და ღვთისმსახურებს) შორის	100
4. დავები რელიგიურ ორგანიზაციებსა და მათ დასაქმებულებს შორის	101
C. პოზიტიური ვალდებულებები.....	107
1. მესამე პირების მხრიდან ფიზიკური, ვერბალური და სიმბოლური თავდახმებისგან დაცვა.....	107
2. რელიგია სამუშაო ადგილზე, ჭარი და სასამართლო.....	110
3. პატიმართა რელიგიის თავისუფლება.....	114
ციტირებული საქმეები	118

შენიშვნა მკითხველთათვის

ეს სახელმძღვანელო წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში, „სასამართლო“, „ევროპული სასამართლო“ ან „სტრასბურგის სასამართლო“) მიერ სასამართლო პრაქტიკის შესახებ გამოცემულ სახელმძღვანელოთა სერიის ნაწილს, რომლის მიზანიც სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებული ფუნდამენტური განჩინებებისა და გადაწყვეტილებების შესახებ პრაქტიკოსი იურისტების ინფორმირებაა. უშუალოდ ეს სახელმძღვანელო ანალიზებს და აჯამებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“ ან „ევროპული კონვენცია“) მე-9 მუხლთან დაკავშირებით 2019 წლის 31 აგვისტომდე არსებულ სასამართლო პრაქტიკას. მკითხველი ამ სახელმძღვანელოში გაეცნობა მოცემული სფეროს ძირითად პრინციპებსა და მათ შესაბამის პრეცედენტებს.

ციტირებები სასამართლო პრაქტიკიდან შერჩეულ იქნა მთავარი, მნიშვნელოვანი და/ან ახალი განჩინებებიდან და გადაწყვეტილებებიდან.¹ სასამართლოს განჩინებები და გადაწყვეტილებები ემსახურება არა მხოლოდ მისი განსახილველი საქმეების გადაწყვეტას, არამედ, უფრო ზოგადად, კონვენციით ჩამოყალიბებული ნორმების განმარტებას, დაცვასა და განვითარებას, რაც, სახელმწიფოებს ხელშემკვრელი მხარის სტატუსით ნაკისრი ვალდებულებების დაცვაში ეხმარება (*Ireland v. the United Kingdom*, § 154, 18 January 1978, Series A no. 25 და უფრო ახალი *Jerónovičs v. Latvia* [GC], no. 44898/10, § 109, ECHR 2016).

კონვენციით დადგენილი სისტემის მისიაა ზოგადი ინტერესის საჯარო პოლიტიკის განსაზღვრა და ამ გზით, ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების ამაღლება და ადამიანის უფლებათა იურისპრუდენციის გავრცელება კონვენციის წევრი სახელმწიფოთა შორის (*Konstantin Markin v. Russia* [GC], § 89, no. 30078/06, ECHR 2012). მართლაც, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა კონვენციის, როგორც „ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციური ინსტრუმენტის“ როლი ადამიანის უფლებათა სფეროში (*Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland* [GC], no. 45036/98, § 156, ECHR 2005-VI).

სახელმძღვანელო მოიცავს მითითებებს კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების თითოეული ციტირებული მუხლის საკვანძო სიტყვებზე. თითოეულ საქმეში მოცემული სამართლებრივი საკითხები შეჯამებულია *საკვანძო სიტყვების ნუსხაში*, რომელიც (უმეტეს შემთხვევაში) შერჩეულია უშუალოდ კონვენციისა და მისი ოქმების ტექსტებიდან შედგენილი ტერმინთა ლექსიკონიდან.

სასამართლო პრაქტიკის *ადამიანის უფლებათა დოკუმენტების ბაზა (HUDOC)* იძლევა საკვანძო სიტყვებით ძიების შესაძლებლობას. ამ საკვანძო სიტყვებით ძიება შესაძლებელს ხდის ერთმანეთის მსგავსი სამართლებრივი შინაარსის მქონე დოკუმენტთა ჯგუფის პოვნას (სასამართლოს მსჯელობები და დასკვნები თითოეულ საქმეზე შეჯამებულია საკვანძო სიტყვებით). ინდივიდუალური საქმეების საკვანძო სიტყვები შესაძლებელია მოძიებულ იქნას ადამიანის უფლებათა დოკუმენტების ბაზაში (HUDOC) *საქმის დეტალების (Case Details)* ბმულზე მითითებით. ადამიანის უფლებათა დოკუმენტების ბაზისა (HUDOC) და საკვანძო სიტყვების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ *HUDOC user manual*.

1 სასამართლო პრაქტიკიდან მოტანილი ციტირებები შესაძლოა იყოს სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის ერთ-ერთ ან ორივე ოფიციალურ ენაზე (ინგლისური და ფრანგული). თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ყველა ბმული უკავშირდება სასამართლოს პალატის (Chamber of the Court) მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებებს. აბრევიატურა “(dec.)” აღნიშნავს, რომ ციტატა მოტანილია სასამართლოს (Court) გადაწყვეტილებიდან, ხოლო “[GC]” აღნიშნავს, რომ საქმე განხილულია დიდი პალატის (Grand Chamber) მიერ. პალატის ის განჩინებები, რომლებიც ამ განახლების გამოქვეყნების დროს ჯერ საბოლოო არ იყო, აღნიშნულია სიმბოლოთი (*).

კონვენციის მე-9 მუხლი – აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

„1. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და პირის თავისუფლებას, როგორც მარტომ, ასევე, სხვებთან ერთად, საჯაროდ ან განკერძოებით, გამოხატოს საკუთარი რელიგია ან რწმენა ღვთისმსახურებით, სწავლებით, პრაქტიკითა და რიტუალების აღსრულებით.

2. რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის ან მორალის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად.“

აღამიანის უფლებათა დოკუმენტების ბაზის (HUDOC) საკვანძო სიტყვები

პოზიტიური ვალდებულებები (9)

აზრის თავისუფლება (9-1) – სინდისის თავისუფლება (9-1) – რელიგიის თავისუფლება (9-1) – რელიგიის ან რწმენის შეცვლა (9-1) – რელიგიის ან რწმენის გამოხატვა (9-1); ღვთისმსახურება (9-1); სწავლება (9-1); პრაქტიკა (9-1); რიტუალების აღსრულება (9-1)

ჩარევა (9-2) – კანონით განსაზღვრული (9-2); ხელმისაწვდომობა (9-2); განჭვრეტადობა (9-2); ბოროტად გამოყენებისგან დაცვა (9-2) – აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში (9-2); საზოგადოებრივი უსაფრთხოება (9-2); საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა (9-2); ჯანმრთელობის დაცვა (9-2); მორალის დაცვა (9-2); სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა (9-2)

შესავალი

1. აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებას, რომელიც არა მხოლოდ *აღამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით*, არამედ, ასევე, მრავალი ეროვნული, საერთაშორისო და ევროპული აქტით არის დაცული.

2. კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად,

„1. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და პირის თავისუფლებას, როგორც მარტომ, ასევე, სხვებთან ერთად, საჯაროდ ან განკერძოებით, გამოხატოს საკუთარი რელიგია ან რწმენა ღვთისმსახურებით, სწავლებით, პრაქტიკითა და რიტუალების აღსრულებით.

2. რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის ან მორალის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად.“

3. კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი ეხება რელიგიის თავისუფლების ერთ სპეციფიკურ ასპექტს, კერძოდ, მშობლების უფლებას საკუთარი რელიგიური მრწამსის შესაბამისად უზრუნველყონ თავისი შვილების განათლება:

„არავის უნდა ეთქვას უარი განათლების უფლებაზე. განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებით ნაკისრი ნებისმიერი ფუნქციის განხორციელებისას, სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს მშობელთა უფლებას, რათა ეს განათლება და სწავლება უზრუნველყოფილ იქნას მათი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისად.“

4. მე-9 მუხლს ხშირად ეყრდნობიან კონვენციის მე-14 მუხლთან კავშირში, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას სხვადასხვა, მათ შორის, რელიგიის ან შეხედულებების საფუძველზე (აღნიშნულთან დაკავშირებით იხ: *Izzettin Doğan and Others v. Turkey* [GC], §§ 160 და 165):

„ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.“

5. კონვენციის გარდა, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, ასევე, გაეროს მიერ მკაფიოდ აღიარებული ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა. მაგალითად, *სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის* მე-18 მუხლის თანახმად, ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას პირს საკუთარი შეხედულებისამებრ ჰქონდეს ან მიიღოს რელიგია ან მრწამსი და პირის თავისუფლებას გამოხატოს საკუთარი რელიგია და მრწამსი, როგორც მარტომ, ისე სხვებთან ერთად, საჭაროდ თუ კერძოდ, ღვთისმსახურებით, რიტუალების აღსრულებით, პრაქტიკითა და სწავლებით. არავინ უნდა დაექვემდებაროს იძულებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას ჰქონდეს ან მიიღოს რელიგია ან მრწამსი საკუთარი არჩევანით. რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ იმ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია საზოგადოების უსაფრთხოების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ისევე, როგორც სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისთვის. გარდა ამისა, მე-18 მუხლი, მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ წინამდებარე პაქტის წევრი სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ მშობელთა და, შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეთა თავისუფლებას, საკუთარი მრწამსის შესაბამისად უზრუნველყონ თავისი ბავშვების რელიგიური და მორალური აღზრდა. პაქტის 26-ე მუხლი ითვალისწინებს დისკრიმინაციის აკრძალვის ზოგად პრინციპს, მათ შორის, რელიგიის ნიშნით.

6. რელიგიის თავისუფლების პრინციპი მოცემულია, აგრეთვე, რიგ სხვა ტექსტებში, კერძოდ, *საერთაშორისო კონვენციაში ბავშვის უფლებების შესახებ*, რომელიც მკაფიოდ ადგენს ამ პრინციპს მე-14 მუხლში. გარდა ამისა, *ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის* მე-12 მუხლი აცხადებს, რომ ყველა ადამიანს აქვს სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს საკუთარი რელიგიის ან რწმენის დაცვის, ან საკუთარი რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას, აგრეთვე, საკუთარი რელიგიის ან რწმენის აღიარების და გავრცელების თავისუფლებას, ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, საჭარო ან კერძო

წესით. არავინ უნდა დაექვემდებაროს იძულებას, რომელმაც შეიძლება შეზღუდოს მისი თავისუფლება, დაიცვას საკუთარი რელიგია და რწმენა, ან შეცვალოს საკუთარი რელიგია ან რწმენა. რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ იმ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ისევე როგორც სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის. და ბოლოს, *ამერიკული კონვენციის* მე-12 მუხლი აცხადებს, რომ მშობლებს და შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს უფლება აქვთ, უზრუნველყონ საკუთარი შვილების რელიგიური და მორალური განათლება, თავისი მრწამსის შესაბამისად.

7. *ევროპის კავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტია* აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას იმავე პირობებით იცავს, რითაც კონვენცია (*ქარტიის* მე-10 მუხლი). ის, ასევე, ადგენს, რომ „დაცული უნდა იქნას მშობლების უფლება უზრუნველყონ საკუთარი შვილების განათლება და სწავლება თავისი რელიგიური, ფილოსოფიური და პედაგოგიური მრწამსის მიხედვით, ამ უფლების განმახორციელებელი ეროვნული კანონმდებლობების შესაბამისად.“ (მუხლი 14.3.).

8. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების მნიშვნელობა. ფართო გაგებით, ეს თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ საფუძვლად ითვლება. უფრო კონკრეტულად კი, რელიგიის თავისუფლებას ევროპელი მოსამართლეები განიხილავენ, როგორც მორწმუნეთა იდენტობისა და ცხოვრების კონცეფციის ჩამოყალიბებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფაქტორს. ფაქტობრივად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რელიგიის თავისუფლება კონვენციის ძირითადი უფლებების რანგში აიყვანა, თავიდან ირიბად, შემდგომ კი - უშუალოდ.

9. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში სასამართლოს მიერ მე-9 მუხლთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობა მუდმივად იზრდება. ეს ტენდენცია განპირობებულია სოციო-პოლიტიკურ დისკურსებში რელიგიისა და მასთან დაკავშირებული საკითხების მნიშვნელობის ზრდით.

I. ზოგადი პრინციპები და კონვენციის მე-9 მუხლის გამოყენების შესაძლებლობა

A. კონვენციის მე-9 მუხლის მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში და რელიგიური ორგანიზაციების უფლება მიმართონ სასამართლოს (*Locus Standi*)

10. კონვენციის დებულებათა თანახმად, მე-9 მუხლით განმტკიცებული აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება „დემოკრატიული საზოგადოების“ ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. რელიგიური შინაარსით, ის მორწმუნეთა იდენტობისა და ცხოვრების კონცეფციის ჩამოყალიბების ერთ-ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტია. ამასთან, ის ღირებული სიკეთეა ათვისებისთვის, აგნოსტიკოსებისთვის, სკეპტიკოსებისთვისა და რელიგიისადმი გულგრილი პირებისთვის. დემოკრატიული საზოგადოებისგან განუყოფელი პლურალიზმი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ძვირად იქნა მოპოვებული, სწორედ ამაზეა დამოკიდებული (*Kokkinakis v. Greece*, § 31; *Buscarini and Others v. San Marino* [GC], § 34).

11. საეკლესიო ან რელიგიური ორგანიზაცია, როგორც ასეთი, შესაძლოა, საკუთარი მიმდევრების სახელით, სარგებლობდეს კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული უფლებებით (*Cha'are Shalom Ve Tsedek v. France* [GC], § 72; *Leela Förderkreis e.V. and Others v Germany*, § 79). ეს ნიშნავს, რომ ეკლესიის ან რელიგიური ორგანიზაციის მიერ წარდგენილი სარჩელი, რომელიც მისი მიმდევრების რელიგიის თავისუფლების კოლექტიური ასპექტის დარღვევას ამტკიცებს, შეესაბამება სასამართლოსთვის მიმართვაზე უფლებამოსილი პირის (*Ratione Personae*) კონვენციით დადგენილ უფლებას და ეკლესიის ან რელიგიურ ორგანიზაციას შეუძლია ამტკიცოს, რომ ის არის უფლების დარღვევის „მსხვერპლი“ კონვენციის 34-ე მუხლის მნიშვნელობით.

12. მეორე მხრივ, აღიარებული რელიგიური თემის ხელახალ რეგისტრაციაზე უარის შემთხვევაში, რამაც გავლენა იქონია მხოლოდ მოსარჩელე თემზე, როგორც ასეთზე, მანამ, სანამ თემი ინარჩუნებს სამართლებრივ უფლებამოსილებას სარჩელით მიმართოს სტრასბურგის სასამართლოს, ინდივიდუალურ მოსარჩელებს უფლება არ აქვთ ამტკიცონ, რომ ისინი უფლების დარღვევის მსხვერპლნი არიან, შიდასახელმწიფო ორგანოების მიერ ხელახალ რეგისტრაციაზე უარის გამო. მათ მიერ მე-9 მუხლთან მიმართებით წარდგენილი სარჩელი სასამართლოსთვის მიმართვაზე უფლებამოსილი პირის (*Ratione Personae*) კონვენციით დადგენილ უფლებასთან შეუსაბამო იქნება (*Jehovah's Witnesses of Moscow and Others v. Russia*, § 168).

13. ამასთან იურიდიულ პირს შეუძლია ამტკიცოს, რომ ის არის აზრისა და რელიგიის თავისუფლების დარღვევის მსხვერპლი, მას, როგორც ასეთი, არ შეუძლია სარგებლობდეს სინდისის თავისუფლებით (*Kontakt-Information-Therapie and Hagen v. Austria*, Commission decision).

B. მე-9 მუხლით დაცული მრწამსები

14. სიტყვა „რელიგია“ არ არის განმარტებული არც მე-9 მუხლით და არც სასამართლო პრაქტიკით. ამგვარი განმარტების არ არსებობა სრულიად ლოგიკურია, რადგან ის უნდა ყოფილიყო, როგორც საკმარისად მოქნილი, რათა მოეცვა მსოფლიოს მასშტაბით არსებული რელიგიების სრული სპექტრი (ძირითადი და უმცირესობა, ძველი და ახალი, თეისტური და არათეისტური), ასევე, საკმარისად კონკრეტული, რათა გამოყენებადი ყოფილიყო ინდივიდუალურ შემთხვევებში, რაც განსაკუთრებით რთული და რეალურად შეუძლებელია. ერთი

მხრივ, მე-9 მუხლის კომპეტენცია ძალიან ფართოა, რამდენადაც ის იცავს ორივე – რელიგიურ და არარელიგიურ შეხედულებებსა და რწმენებს. მეორე მხრივ, ნებისმიერი შეხედულება და რწმენა თავისთავად არ ექცევა ამ ნორმის ფარგლებში და ტერმინი „პრაქტიკა“, როგორც ის მე-9 მუხლშია გამოყენებული, არ მოიცავს ნებისმიერ აქტს, რომელიც მოტივირებული ან განხორციელებული რელიგიისა თუ რწმენის გავლენით (*Pretty v. the United Kingdom*, § 82).

15. ამ მხრივ, სასამართლო განმარტავს, რომ კონვენცია მიზნად ისახავს არა თეორიული და ილუზორული, არამედ, პრაქტიკული და ეფექტური უფლებების გარანტირებას. მე-9 მუხლით განმტკიცებული უფლება იქნება უაღრესად თეორიული და ილუზორული თუკი სახელმწიფოებისთვის გარანტირებული დისკრეციის დონე მათ უფლებას მისცემს რელიგიური დენომინაციის ცნება განმარტონ იმდენად შეზღუდულად, რომ არატრადიციულ და უმცირესობათა რელიგიებს სამართლებრივი დაცვის უფლება ჩამოერთვათ. ამგვარი შემზღუდავი განმარტებები პირდაპირ გავლენას ახდენენ რელიგიის თავისუფლების უფლებით სარგებლობაზე და მრწამსის რელიგიური ხასიათის უარყოფის გზით, ამ უფლებით სარგებლობის შეზღუდვისკენ არის მიდრეკილი. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს განმარტებები არ შეიძლება იმგვარად იქნას ინტერპრეტირებული, რომ ზიანი მიადგეთ რელიგიის არატრადიციულ ფორმებს. (*Izzettin Doğan and Others v. Turkey* [GC], § 114).

16. იმისთვის, რომ პერსონალური ან კოლექტიური მრწამსი „აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების“ უფლების ფარგლებში მოექცეს, ის *დამაჯერებლობის, სერიოზულობის, ერთიანობისა და მნიშვნელობის გარკვეულ დონეს* უნდა აღწევდეს. იმ პირობებში, როდესაც ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სახელმწიფოს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულება შეუთავსებელია სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერ უფლებამოსილებასთან – შეაფასოს რელიგიურ მრწამსთან ან მათი გამოხატვის გზების ლეგიტიმურობა (*Eweida and Others v. the United Kingdom*, § 81). შესაბამისად, სასამართლოს ფუნქციას არ წარმოადგენს ამ სფეროში რაიმე სახის დავაში შესვლა ან იმის განსაზღვრა თუ რა პრინციპები და რწმენები უნდა განიხილებოდეს ცენტრალურად ნებისმიერი მოცემული რელიგიისთვის ან რელიგიური საკითხების რაიმე სხვა სახის ინტერპრეტაცია (*Izzettin Doğan and Others v. Turkey* [GC], § 69; *Kovaļkova v. Latvia* (dec.), § 60). აქედან გამომდინარე, საკუთარი გადაწყვეტილებების დასაბუთების მიზნით კონკრეტული რელიგიური ტერმინებისა და ცნებების განხილვისას, სასამართლო მათ რაიმე განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს, გარდა იმისა, რომ დაადგინოს მე-9 მუხლის მათთან შესაბამისობა (*იქვე*, [GC], § 69). ზოგადი წესის თანახმად, ფაქტი, რომ რელიგიური თემის შიგნით მიმდინარეობს დავა მისი რწმენის ძირითადი მოძღვრებებისა და სახელმწიფოსთან მისი დამოკიდებულებების შესახებ, მე-9 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით არაფერს ცვლის (*იქვე*, [GC], § 134).

17. კონვენციის ორგანოებმა პირდაპირ თუ ირიბად აღიარეს, რომ კონვენციის მე-9 მუხლის 1-ლი პარაგრაფით განსაზღვრული დაცვის გარანტიები გამოიყენება:

(a) ათასწლეულებისა და საუკუნეების მანძილზე არსებული „ძირითადი“ და „უძველესი“ მსოფლიო რელიგიების მიმართ, როგორიცაა:

- ალევინიზმი (*Cumhuriyetçi Eğitim ve Kültür Merkezi Vakfı v. Turkey; İzzettin Doğan and Others v. Turkey*)
- ბუდიზმი (*Jakóbski v. Poland*)
- სხვადასხვა ქრისტიანული დენომინაცია (სხვა მრავალ საქმეს შორის – *Svyato-Mykhaylivska Parafiya v. Ukraine; Savez crkava "Riječ života" and Others v. Croatia*)
- ინდუიზმის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, ჰარე კრიშნას მოძრაობა (*Kovaļkova v. Latvia* (dec.); *Genov v. Bulgaria*)

- ისლამის სხვადასხვა ფორმა (*Hassan and Tchaouch v. Bulgaria* [GC]; *Leyla Şahin v. Turkey* [GC]), მათ შორის, აჰმადიზმი (*Metodiev and Others v. Bulgaria*)
- იუდაიზმი (*Cha'are Shalom Ve Tsedek v. France* [GC]; *Francesco Sessa v. Italy*)
- სიქჰიზმი (*Phull v. France* (dec.); *Jasvir Singh v. France* (dec.))
- ტაოიზმი (*X. v. the United Kingdom*, Commission decision of 18 May 1976)

(b) ახალი და შედარებით ახალი რელიგიების მიმართ, როგორცაა:

- მანდარომის აუმიზმი (*Association des Chevaliers du Lotus d'Or v. France*)
- ბზავატ შრი რაჯნიშის მოძრაობა, ცნობილი როგორც ოშოს მოძრაობა (*Leela Förderkreis e.V. and Others v. Germany; Mockutė v. Lithuania*, § 121)
- ღირსი სონ მიუონგ მუნის გაერთიანების ეკლესია (*Nolan and K. v. Russia; Boychev and Others v. Bulgaria*)
- მორმონიზმი ან უკანასკნელი დღის წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესია (*The Church of Jesus Christ of Latter-Day Saints v. the United Kingdom*)
- რაელისტური მოძრაობა (*F.L. v. France* (dec.))
- ნეო-პაგანიზმი (*Ásatrúarfélagið v. Iceland* (dec.))
- „სანტო დაიმე“, რომლის რიტუალები მოიცავს ჰალუცინოგენის - “ayahuasca” გამოყენებას (*Fränklin-Beentjes and CEFLU-Luz da Floresta v. the Netherlands* (dec.))
- იეჰოვას მოწმეები (*Religionsgemeinschaft der Zeugen Jehovas and Others v. Austria; Jehovah's Witnesses of Moscow and Others v. Russia*)

(c) სხვადასხვა თანმიმდევრული და გულწრფელი ფილოსოფიური მრწამსის მიმართ, როგორცაა:

- პაციფიზმი (*Arrowsmith v. the United Kingdom*, Commission report, § 69)
- კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა სამხედრო სამსახურის მიმართ (*Bayatyan v. Armenia* [GC])
- ვეგანიზმი და წინააღმდეგობა ცხოველური და ცხოველებზე ჩატარებული ცდების შედეგად წარმოშობილი პროდუქტების მოხმარების მიმართ (*W. v. the United Kingdom*, Commission decision)
- წინააღმდეგობა აბორტის მიმართ (*Knudsen v. Norway*, Commission decision; *Van Schijndel and Others v. the Netherlands*, Commission decision)
- ექიმის მოსაზრება ალტერნატიული მკურნალობის შესახებ, რომელიც ეფუძნება სამედიცინო ფილოსოფიის გამოხატვას (*Nyysönen v. Finland*, Commission decision)
- რწმენა, რომ ქორწინება არის კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის მთელი სიცოცხლის მანძილზე და ჰომოსექსუალური კავშირების უარყოფა (*Eweida and Others v. the United Kingdom*)
- სეკულარიზმს მიკუთვნებულობა (*Lautsi and Others v. Italy* [GC], § 58; *Hamidović v. Bosnia and Herzegovina*, § 35).

18. მე-9 მუხლი გამოიყენება ზემოთ აღნიშნული მრწამსებისა და დოქტრინების მიმართ, მიუ-

ხედავად იმისა, მოპასუხე სახელმწიფო ოფიციალურად აღიარებს თუ არა მათ „რელიგიად“; საპირისპირო აზრის დაშვების შემთხვევაში, უნდა მივიჩნიოთ, რომ სახელმწიფო, აღიარებაზე უარის თქმით, შეძლებდა მათ გამოორიციხვას მე-9 მუხლით გარანტირებული დაცვიდან (*Mockuté v. Lithuania*, § 119).

19. შეიძლება ითქვას, რომ პასუხი კითხვაზე - ექცევა თუ არა მე-9 მუხლის დაცვის ქვეშ საქმიანობა, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ ეფუძნება რწმენას ან ფილოსოფიას და ამავდროულად არის *ცალსახად კომერციული*, ჯერჯერობით სრულიად ნათელი არ არის. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომერციული კომპანია, როგორც მოგებაზე ორიენტირებული კორპორაცია, მიუხედავად იმისა, რომ იმართება ფილოსოფიური ასოციაციის მიერ, ვერ დაეყრდნობა და ვერ ისარგებლებს მე-9 მუხლით დაცული უფლებებით (*Company X. v. Switzerland*, Commission decision; *Kustannus OY Vapaa Ajattelijä AB and Others v. Finland*, Commission decision). მსგავსად, კომისიამ, ასევე, მიიღო გადაწყვეტილება, რომ მე-9 მუხლი არ იცავს რელიგიური შინაარსის განცხადებებს, რომელიც ფიგურირებს რელიგიური ჯგუფის მიერ წარმოებულ წმინდათა კომერციული ხასიათის რეკლამებში, როგორც გაყიდვის „არგუმენტი“. ამასთან დაკავშირებით, კომისიამ ერთმანეთისგან განასხვავა რეკლამები, რომლებიც თავისი ხასიათით იყო უბრალოდ „საინფორმაციო“ ან „აღწერითი“ და კომერციული რეკლამები, რომლებიც მომხმარებელს გასაყიდ ნივთებს სთავაზობდა. როცა რეკლამა ამ უკანასკნელ კატეგორიაში ხვდება, ის კონკრეტული საქმიანობისთვის ცენტრალური მნიშვნელობის მქონე რელიგიურ ნივთებსაც რომ უკავშირდებოდეს, რელიგიური შინაარსის განცხადება უფრო მეტად საქონლის გაყიდვით სარგებლის მიღების სურვილის გამოხატვას წარმოადგენს, ვიდრე რწმენის პრაქტიკაში გამოხატვას. განხილულ საქმეში კომისიამ უარი თქვა მე-9 მუხლით გათვალისწინებული დაცვა გავრცელებულიყო “E-meter“-ის ან “Hubbard Electrometer“-ის რეკლამირებაზე, რომელიც მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანოების მიერ იყო სანქცირებული (*X. and Church of Scientology v. Sweden*, Commission decision).

20. უფრო ახალ საქმეებში კომისია და სასამართლო, როგორც ჩანს, ღიად ტოვებენ საკითხს იმის შესახებ ვრცელდება თუ არა მე-9 მუხლი რელიგიური ორგანიზაციის კომერციული სახის საქმიანობაზე (ეს საკითხი წამოჭრილია საქმეში *Cumhuriyetçi Eğitim ve Kültür Merkezi Vakfı v. Turkey*; ასევე, იოგას ფასიანი კურსების შესახებ, საქმეში *Association Vedanta v. France, Sivananda de Yoga*, Commission decision).

21. ამ კონტექსტში *საიენტოლოგიის* „რელიგიად“ კლასიფიცირება ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შორის კამათის საგანს წარმოადგენს. კომისია ამ საკითხს მკაფიოდ არ განიხილავს, რადგან წარდგენილი სარჩელები სხვა მიზეზების გამო ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებლად იქნა ცნობილი (*X. and Church of Scientology v. Sweden*, Commission decision; *Church of Scientology and Others v. Sweden*, Commission decision; *Scientology Kirche Deutschland e.V. v. Germany*, Commission decision). მიუხედავად ამისა, ზემოთ ციტირებულ პირველ და მესამე საქმეში კომისიას, როგორც ჩანს, მოუწევდა საიენტოლოგიური ეკლესია ირიბად ეღიარებინა „რელიგიურ ჯგუფად“.

22. როდესაც უშუალოდ საიენტოლოგიის საკითხს განიხილავს, სასამართლოს, თავის მხრივ, მოპასუხე სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებების წინაშე დათმობაზე წასვლა უწევს. საქმეში, რომელიც ეხებოდა რუსეთის ხელისუფლების უარს საიენტოლოგიური ეკლესიის იურიდიულ პირად რეგისტრაციაზე, სასამართლომ განაცხადა, რომ მის მიზანს არ წარმოადგენდა საკუთრივ იმის გადაწყვეტა, *თეორიულად*, რწმენის ორგანიზაცია და მასთან დაკავშირებული საქმიანობა უნდა ჩათვლილიყო „რელიგიად“ მე-9 მუხლის მნიშვნელობით, თუ არა. მოცემულ საქმეში საიენტოლოგიის ადგილობრივი ცენტრი, რომელიც საწყის ეტაპზე რეგისტრირებული იყო, როგორც არარელიგიური ორგანიზაცია, საბოლოოდ გაუქმდა იმ

საფუძვლით, რომ მისი საქმიანობა ატარებდა „რელიგიურ ხასიათს“. ეროვნულმა სახელმწიფო ორგანოებმა, მათ შორის, სასამართლომ, ამ გზით წარმოადგინეს ხედვა, რომ საინტოლოგიური ჯგუფები თავისი ხასიათით რელიგიური იყო. ამ გარემოებათა გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე შესაძლებელი იყო კონვენციის მე-9 მუხლის გამოყენება (*Kimlya and Others v. Russia*, § 79-81; see also *Church of Scientology of Moscow v. Russia*, § 64). კიდევ ერთ საქმეში, მსგავსი ტიპის ჩარევები ნაწილობრივ ემყარებოდა რელიგიურ სწავლებას, რომელიც ასკვნოდა, რომ განსახილველი ჯგუფის აქტივობები არ იყო რელიგიური ხასიათის. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლომ, იმ საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე, რომელიც ექსკლუზიურად რელიგიური ორგანიზაციების მიმართ გამოიყენება, აღნიშნა, რომ ჩარევას ადგილი ქონდა და შესაბამისად, მე-9 მუხლის გამოყენება სავსებით და სამართლიანად შეიძლებოდა (*Church of Scientology of St Petersburg and Others v. Russia*, § 32).

23. რაც შეეხება *ათეიზმს*, კომისიამ განიხილა საჩივრები, რომლებიც წარდგენილი იყო ათეისტების მიერ მე-9 მუხლთან მიმართებით (*Angeleni v. Sweden*, Commission decision). ოდნავ განსხვავებულ კონტექსტში მან განაცხადა, რომ მოცემული აზროვნების ფორმა გამოხატავდა მხოლოდ გარკვეულ მეტაფიზიკურ კონცეფციას, რომელმაც განაპირობა ადამიანის მიერ სამყაროს აღქმა და მასთან საკუთარი მოქმედების შესაბამისობა, ამდენად, სამართლიანი არ იქნებოდა მისი გამოყოფა რელიგიური დენომინაციების ტრადიციული გაგებიდან. შესაბამისად, სახელმწიფოს ქმედება, რომელიც მას რელიგიური დენომინაციებისგან რადიკალურად განსხვავებულ სამართლებრივ სტატუსს მიაკუთვნებდა, სამართლიანი არ იყო (*Union des Athées v. France, Commission's report*, § 79). მეტიც, სასამართლომ ცხადად განმარტა, რომ აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება „ღირებული ფასეულობაა ათეისტების, აგნოსტიკოსების, სკეპტიკოსებისა და რელიგიისადმი გულგრილი პირებისთვის“ (*Kokkinakis v. Greece*, § 31).

24. სასამართლოს ჯერ არ მიუღია დადგენილება *თავისუფალი მასონობის* მიმართ მე-9 მუხლის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ; ეს საკითხი ავტომატურად ღიად იქნა დატოვებული (*N.F. v. Italy*, § 35-40).

C. რწმენის ქონის უფლება და რწმენის გამოხატვის უფლება

25. კონვენციის მე-9 მუხლის 1-ლი პარაგრაფი ორ განზომილებას მოიცავს, პირველი - რწმენის ქონის უფლებას და მეორე - ამ რწმენის გამოხატვის უფლებას.

- ადამიანის უფლება მტკიცედ *ჰქონდეს* ნებისმიერი რწმენა (რელიგიური თუ არარელიგიური) და შეიცვალოს რელიგია ან რწმენა - *არის აბსოლუტური და უდავო*; სახელმწიფოს არ აქვს უფლება ჩაერიოს მასში იმ ფორმით, რომ ადამიანს უკარნახოს რა უნდა სწამდეს ან გადაადგას ნაბიჯები მისი რწმენის იძულებით შესაცვლელად (*Ivanova v. Bulgaria*, § 79; *Mockuté v. Lithuania*, § 119));
- ადამიანის უფლება *გამოხატოს* საკუთარი რწმენა მარტომ და განკერძობებით, ასევე, ასრულებდეს რელიგიურ პრაქტიკას სხვებთან ერთად და საჭაროდ - *არ არის აბსოლუტური*; რამდენადაც, ადამიანის მიერ საკუთარი რელიგიური მრწამსის გამოხატვამ შესაძლოა გავლენა იქონიოს სხვებზე, კონვენციის ავტორებმა რელიგიის თავისუფლების ეს ასპექტი მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფში მოცემული ფორმით განსაზღვრეს. მეორე პარაგრაფი ადგენს, რომ ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც დაწესებულია რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლებაზე უნდა იყოს კანონით

განსაზღვრული და აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში ამავე პარაგრაფში მოცემული ერთი ან მეტი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად (*Eweida and Others v. The United Kingdom*, § 80). სხვა სიტყვებით, მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფით დაგენილი შეზღუდვები უკავშირდება მხოლოდ რელიგიის ან რწმენის გამოხატვის და არა რელიგიის ან რწმენის ქონის უფლებას (*Ivanova v. Bulgaria*, § 79).

26. მე-9 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გარანტირებულია „რელიგიის ან რწმენის საჭაროდ ან განკერძოებით გამოხატვის თავისუფლება“. ამასთან, ალტერნატივა - „საჭაროდ ან განკერძოებით“, არ შეიძლება აღქმულ იქნას ერთმანეთის გამომრიცხავად ან სახელმწიფო ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი მათგანის არჩევის უფლების მინიჭებად; ეს სიტყვათშეთანხმება, უბრალოდ, გამოხატავს იმას, რომ რელიგიური პრაქტიკა შესაძლოა განხორციელდეს ორივე ფორმით (*X. v. the United Kingdom*, Commission decision of 12 March 1981).

27. მაშინაც კი, როდესაც კონკრეტული მრწამსი დამაჯერებლობისა და მნიშვნელობის მოთხოვნით დონეს აკმაყოფილებს, არ შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი აქტი, რომელიც რაიმე გზით შთაგონებული, მოტივირებული ან განხორციელებულია ამ მრწამსის გავლენით, წარმოადგენს მის „გამოხატვას“. შესაბამისად, მაგალითად, ისეთი მოქმედებები ან უმოქმედობები, რომლებიც პირდაპირ არ გამოხატავს იმ მრწამსს, რომელსაც მათი განმახორციელებელი მიეკუთვნება, ან რომლებიც მხოლოდ სუსტ კავშირშია ამ მრწამსის დოქტრინასთან, მე-9 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დაცვის მიღმა რჩება. იმისთვის, რომ კონკრეტული ქმედება მე-9 მუხლით გათვალისწინებულ „გამოხატვად“ ჩაითვალოს ის მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული რელიგიასთან ან რწმენასთან. ამის ერთ-ერთი მაგალითია ღვთისმსახურება ან თაყვანისცემა, რომელიც რელიგიის ან რწმენის პრაქტიკის საყოველთაოდ აღიარებული ფორმაა. მიუხედავად ამისა, რელიგიის ან რწმენის გამოხატვა არ იზღუდება მხოლოდ ამ ქმედებებით; ქმედებასა და მითითებულ მრწამსს შორის სათანადოდ მჭიდრო და პირდაპირი კავშირის არსებობა თითოეული საქმის შემთხვევაში კონკრეტული ფაქტებით უნდა განიმარტოს. კერძოდ, განმცხადებლებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მათი ქმედება რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლებაში თავსდება, არ მოეთხოვებათ იმის მტკიცება, რომ ისინი კონკრეტული რელიგიით მათზე ნაკისრ ვალდებულებებთან სრული შესაბამისობით მოქმედებდნენ (*Eweida and Others v. the United Kingdom*, § 82; *S.A.S. v. France* [GC], § 55).

28. გამომდინარე აქედან, როგორც წესი, სამართლიანი არ იქნება სახელმწიფოს მხრიდან ეჭვის შეტანა კონკრეტული პირის იმ რწმენისადმი ერთგულების გულწრფელობაში, რომელსაც ის საკუთარი მტკიცებით მიეკუთვნება, თუკი მისი პოზიცია საფუძვლიანი და უდავო მტკიცებულებებით არ იქნება გამყარებული. სწორედ ამიტომ, სასამართლომ არ გაითვალისწინა მოპასუხე მთავრობათა მიერ წარმოდგენილი შემდეგი მტკიცებულებები:

- საფრანგეთის მთავრობა ასაბუთებდა, რომ განმცხადებელი, რომელიც ამტკიცებდა, რომ იყო ისლამის მიმდევარი და სურდა სახის სრული საბურველის ტარება, ვერ წარმოაჩინა, რომ ნამდვილად იყო ისლამის მიმდევარი და რომ საბურველის ტარება ნამდვილად რელიგიური მიზნებისთვის სურდა. გარდა ამისა, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ, რადგან ეს პრაქტიკა მხოლოდ მუსლიმ ქალთა უმცირესობაში იყო გავრცელებული, ის ვერ ქმნიდა მის სამართლებრივ ბუნებას (*S.A.S. v. France* [GC], § 56);
- ლატვიის მთავრობა მიუთითებდა, რომ მოსარჩელე პატიმარი არ იყო ვაიშნავიზმის (ინდუიზმის ვიშნუიტური ფორმა) მიმდევარი, იმ საფუძველზე, რომ მან გაიარა ბიბლიის შემსწავლელი დისტანციური სასწავლო კურსი და ფორმალურად არ მიეკუთვნებოდა კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების ადგილობრივ ფილიალს (*Kovalkovs v. Latvia* (dec.), § 57); რუმინეთის მთავრობამ წარმოადგინა თითქმის

იდენტური დასაბუთება იმ ფაქტზე, რომ მოსარჩელე სავარაუდოდ საპატიმროში უკეთესი საკვების მიღების მიზნით ამტკიცებდა, რომ ბუდისტი იყო (*Vartic v. Romania* (no. 2), § 46).

29. მიუხედავად ამისა, კონვენციის ორგანოებმა აღიარეს *შესაძლებლობა განსაკუთრებულ შემთხვევებში შემონებულიყო მითითებული რელიგიისადმი პირის ერთგულების გულწრფელობა*. ცხადია, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, სასამართლოს ამოცანას არ წარმოადგენს შეაფასოს რელიგიური მოთხოვნების ლეგიტიმურობა ან რწმენათა და პრაქტიკათა კონკრეტული ასპექტების ინტერპრეტაციის ნამდვილობისა თუ შესაბამისობის ხარისხი. დაუშვებელია დისკუსიაში შესვლა კერძო პირის რწმენის ბუნებასა და მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ის რაც ერთისთვის წმინდაა, სხვისთვის შესაძლოა აბსურდული და უმნიშვნური იყოს და ვერანაირი კანონიერი ან ლოგიკური არგუმენტი ვერ იქნება გამოყენებული იმაში შესადავებლად, რომ მორწმუნის მტკიცებით კონკრეტული რწმენა ან პრაქტიკა მისი რელიგიური ვალდებულების მნიშვნელოვანი ელემენტია. მიუხედავად ამისა, ეს ხელს არ უშლის სასამართლოს მოიკვლიოს ფაქტიობრივი გარემოებები იმის შესახებ მითითებული რელიგიური მოთხოვნები არის თუ არა ნამდვილად და გულწრფელად დაცული მოსარჩელის მიერ (*Skugar and Others v. Russia* (dec.)).

30. ცაკეულ შემთხვევაში, კონვენციის ორგანოებმა უარი თქვეს ელიარებინათ განმცხადებლების გულწრფელობა მითითებული რელიგიური რწმენებისადმი:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა პატიმრის სურვილს ციხის რეესტრში დარეგისტრირებულიყო, როგორც რელიგია „ვიკას“ (*“Wicca”*) მიმდევარი. კომისიამ მიიჩნია, რომ როდესაც მსგავს რეესტრში დაფიქსირება განსაკუთრებულ პრივილეგიებსა და შესაძლებლობებს წარმოშობს იმ პირებისთვის, ვინც პირად რელიგიურ პრაქტიკას ეწევა, გონივრულია არსებობდეს მითითებული რელიგიის იდენტიფიცირების მოთხოვნა; მიუხედავად ამისა, განმცხადებელმა ვერ შეძლო წარმოედგინა ინფორმაცია ამ რელიგიის არსებობის ობიექტური მტკიცებულების შესახებ (*X. v. The United Kingdom*, Commission decision of 4 October 1977);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა განმცხადებლის, ეროვნული ელექტრო კომპანიის თანამშრომლის, საკუთარი განცხადებით მუსლიმი პირის, მიმართ დისციპლინური სასჯელის დაკისრებას, იმ საფუძვლით, რომ ის ერთი წლის განმავლობაში ორჯერ არ გამოცხადდა სამსახურში მუსლიმური რელიგიური დღესასწაულის აღნიშვნის გამო. ეროვნულმა სასამართლოებმა დაადასტურეს, რომ შესაბამისი კანონმდებლობა უფლებას აძლევდა მუსლიმ მოქალაქეებს მიეღოთ ანაზღაურებადი შვებულება რელიგიური დღესასწაულების თარიღებში; მიუხედავად ამისა, მოსარჩელის შემთხვევაში, ისლამისადმი მისი გულწრფელი მიმდევრობა ეჭვს იწვევდა, რადგან ის უგულებელყოფდა ამ რელიგიის ძირითად დოგმებს და წინა პერიოდში, ყოველთვის აღნიშნავდა ქრისტიანულ დღესასწაულებს. შესაბამისად, ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მოსარჩელე თავს მუსლიმად მხოლოდ იმ მიზნით წარმოაჩენდა, რომ დამატებითი შვებულების დღეები მიეღო. სასამართლომ დაადასტურა, რომ როდესაც კანონი ადგენს პრივილეგიას ან სპეციალურ გამონაკლისს კონკრეტული რელიგიური თემის წევრებისთვის - განსაკუთრებით დასაქმების სფეროში - მე-9 მუხლთან წინააღმდეგობაში არ მოდის იმის მოთხოვნა, რომ სხენებული სპეციალური მოპყრობით სარგებლობის მიზნით, პირმა ამ თემისადმი მისი მიკუთვნებულობის გარკვეული დონის მტკიცებულება წარმოადგინოს (*Kosteski v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, § 39).

31. სასამართლომ მე-9 მუხლის დაცვის ფარგლები გაავრცელა იმ პრაქტიკებზე, რომლებიც

რეალურად არ არის კონკრეტული რელიგიის „არსებითი“ მოძღვრებების ნაწილი, მაგრამ ძლიერ არის შთაგონებული ამ რელიგიით და ღრმა კულტურული ფესვები აქვს. სასამართლომ უყოყმანოდ მიიღო განსახილველად მუსლიმი მშობლების სარჩელი, რომელთაც სურდათ საკუთარი არასრულწლოვანი ქალიშვილები გათავისუფლებულიყვნენ ცურვის სავალდებულო ერთობლივი (გოგოებისა და ბიჭების) გაკვეთილებიდან სახელმწიფო სკოლაში. მიუხედავად იმისა, რომ ყურანის მოძღვრების თანახმად საკუთარი სხეულის დაფარვა ქალებისთვის მხოლოდ სქესობრივი მომნიშვნის შემდეგ არის სავალდებულო, განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ მათ საკუთარი რწმენა ავალდებდათ ქალიშვილები იმ მოძღვრებისთვის მოემზადებინათ, რომელიც მათთვის სავალდებულო სქესობრივი მომნიშვნის შემდეგ გახდებოდა (*Osmanoğlu et Kocabaş v. Switzerland*, § 42). მსგავსად, სასამართლო ცალსახად დაეთანხმა, რომ მე-9 მუხლით დაცული იყო მუსლიმი მამაკაცის სურვილი ეტარებინა სპეციალური ქუდი, რომელიც არ იყო პირდაპირი რელიგიური ვალდებულება, მაგრამ იმდენად ძლიერი ტრადიციული საფუძვლები ჰქონდა, რომ მორწმუნეთა უმეტესობა მას რელიგიურ ვალდებულებად მიიჩნევდა (*Hamidović v. Bosnia and Herzegovina*, § 30).

32. კონვენციის ორგანოებმა უარი თქვეს მე-9 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული დაცვა გაეგრძელებინათ შემდეგზე (რაც არ ნიშნავს, რომ იგივე სარჩელები, შესაძლებლობის შემთხვევაში, არ შეიძლება წარდგენილი იყოს კონვენციის სხვა მუხლებთან მიმართებით):

- ენის თავისუფლებაზე, განათლების მიღებისას და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობისას პირისთვის სასურველი ენის არჩევის უფლების ჩათვლით (*Habitants d’Alemberg et de Beersel v. Belgium*, Commission decision; *Inhabitants of Leeuw-St. Pierre v. Belgium*, Commission decision);
- საყოველთაო ან საპრეზიდენტო არჩევნებში ხმის არ მიცემაზე, ისეთ ქვეყნებში სადაც ეს სავალდებულოა (*X. v. Austria*, Commission decision of 22 April 1965; *X. v. Austria*, Commission decision of 22 March 1972);
- განმცხადებლის მოთხოვნაზე, გაუქმებულიყო მისი ნათლობა და მირონცხება (*X. v. Iceland*, Commission decision);
- მამაკაცის უარზე, საკუთარ პარტნიორთან ქორწინებაში შესულიყო სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით, მაგრამ, ამასთან, ის მოითხოვდა პარტნიორთან მისი კავშირი სახელმწიფოს სამართლებრივად ეღიარებინა ქორწინებად (*X. v. Germany*, Commission decision of 18 December 1974);
- ბუდისტი პატიმრის სურვილზე, გაეგზავნა სტატიები ბუდისტურ ჟურნალში გამოსაქვეყნებლად, სადაც მოსარჩელემ ვერ წარმოაჩინა, როგორ მოითხოვდა მისი რელიგიური პრაქტიკა ამგვარი სტატიების გამოქვეყნებას (*X. v. the United Kingdom*, Commission decision of 20 December 1974);
- პაციფისტური იდეების შემცველი ბროშურების გავრცელებაზე, რომლებიც მოუწოდებდა ჯარისკაცებს უნებართვოდ მიეტოვებინათ სამსახური და დაერღვიათ სამხედრო დისციპლინა (*Arrowsmith v. the United Kingdom*, Commission report, §§ 74-75; *Le Cour Grandmaison and Fritz v. France*, Commission decision);
- მოსარჩელის სურვილზე, მისი ფერფლი მის კერძო საკუთრებაში გაეფანტათ, რათა თავიდან აეცილებინა სასაფლაოზე ქრისტიანულ სიმბოლოებს შორის დასაფლავება (*X. v. Germany*, Commission decision of 10 March 1981);
- პატიმრის სურვილზე, ეღიარებინათ „პოლიტიკურ პატიმრად“ და მის უარზე ემუშა-

ვა საპყრობილეში, ეტარებინა პატიმრის უნიფორმა და დაესუფთავებინა საკუთარი საკანი (*McFeeley and Others v. the United Kingdom*, Commission decision; *X. v. the United Kingdom*, Commission decision of 6 March 1982);

- იუდაიზმის მიმდევარის უარზე, ყოფილი მეუღლისთვის მიეცა განქორწინების ხელწერილი (განტევების წერილი), მას შემდეგ რაც მათ სამოქალაქო წესით მიიღეს განქორწინება, რაც მის მეუღლეს ხელმეორედ რელიგიური წესით ქორწინების უფლებას მისცემდა (*D. v. France*, Commission decision);
- ექიმის უარზე, პროფესიული საპენსიო დაზღვევის სისტემაში გადაერიცხა სავალდებულო შენატანი (*V. v. The Netherlands*, Commission decision);
- ასოციაციის სურვილზე, იდეალისტური მოსაზრებებით უზრუნველყოთ პატიმრები იურიდიული რჩევებითა და დაცვით (*Vereniging Rechtswinkels Utrecht v. the Netherlands*, Commission decision);
- რელიგიური მსახურის მიმართ, რომელიც გათავისუფლებულ იქნა სახელმწიფო ეკლესიიდან საკუთარი ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულებაზე უარის თქმის გამო რადგან ამ ფორმით ის აბოტრის შესახებ საკანონმდებლო რეგულირების შემსუბუქებას აპროტესტებდა (*Knudsen v. Norway*, Commission decision);
- მამაკაცის სურვილზე, დაქორწინებულიყო და სქესობრივი უერთიერთობები ჰქონოდა არასრულწლოვან გოგონასთან, იმ საფუძვლით, რომ ამგვარი ქორწინება დაშვებული იყო ისლამის კანონებით (*Khan v. The United Kingdom*, Commission decision);
- განმცხადებლის სურვილზე, მიეღო განქორწინება (*Johnston and Others v. Ireland*, § 63);
- ელექტრო ენერჯის მომხმარებლების სურვილზე, თავიდან აერიდებინათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, რომლებიც თავისუფალი ნებით იკისრეს და მათ უარზე გადაეხადათ ელექტროენერჯის გადასახადი სრულად, იმ საფუძვლით, რომ გადასახადის სრული მოცულობის გარკვეული პროცენტი ატომური ენერჯის სადგურის დაფინანსებას ხმარდებოდა (*K. and V. v. the Netherlands*, Commission decision);
- მამის სურვილზე ფიზიკურად დაესაჯა საკუთარი შვილი (*Abrahamsson v. Sweden*, Commission decision);
- ორი არქიტექტორის უარზე, არქიტექტორთა ასოციაციაში გადაერიცხა კანონის მოთხოვნებით გათვალისწინებული შენატანი (*Revert and Legallais v. France*, Commission decision);
- რკინიგზის სადგურში პოლიტიკური სლოგანის შემცველი ბანერის განთავსების სურვილზე (*K. v. The Netherlands*, Commission decision);
- კერძო ღონისძიების ფარგლებში მიმდინარე ისტორიულ-პოლიტიკური დისკუსიის შინაარსის მიმართ (*F.P. v. Germany*, Commission decision);
- განმცხადებლის სურვილზე, ჰქონოდა ექიმის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობა და ამავდროულად საკუთარი დამზღვევი კომპანია დაევალებულინა აენახლაურებინა არაკონტრაქტორ ექიმთან განუული ხარჯები (*B.C. v. Switzerland*, Commission decision; *Marty v. Switzerland*, Commission decision);
- განმცხადებლის სურვილზე, გაეგრძელებინა აბორტის საწინააღმდეგო ბროშურები

- იმ კლინიკის მიმდებარედ რომელშიც მსგავსი სამედიცინო პროცედურები ტარდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოტივირებული იყო მისი ქრისტიანული მრწამსით (*Van den Dungen v. the Netherlands*, Commission decision);
- მამაკაცის სარჩელზე, რომლის თანახმადაც ის ფინანსური ტვირთი, რომელსაც ალიმენტის სახით ყოფილ მეუღლესა და შვილებს უხდიდა, ხელს უშლიდა ბუდისტური მონასტრების მონახულებაში, რომელთაგან უახლოესი ასობით მილით იყო მისი სახლიდან დაშორებული (*Logan v. the United Kingdom*, Commission decision);
 - მამის უარზე, გადაეხადა ალიმენტი, საკუთარი არასრულწლოვანი ქალიშვილისთვის, იმ საფუძვლით, რომ ამ უკანასკნელმა რელიგიური მრწამსი შეიცვალა (*Karakuzey v. Germany*, Commission decision);
 - სამხედრო მოსამართლის, თურქეთის საავიაციო ძალების პოლკოვნიკის მიმართ, რომელიც სამსახურიდან გათავისუფლებულ იქნა იმ საფუძვლით, რომ „მისი ქცევა და მოქმედებები წარმოაჩენდა, რომ ის კანონით აკრძალული ფუნდამენტალისტური იდეების მიმდევარი იყო“. მოცემულ საქმეში გასაჩივრებული ღონისძიება ემყარებოდა არა მოსარჩელის რელიგიურ შეხედულებებსა და რწმენებს ან იმას თუ როგორ განმარტავდა ის საკუთარ რელიგიურ ვალდებულებებს, არამედ, მის ქცევასა და მოქმედებებს, რომლებითაც ის არღვევდა სამხედრო დისციპლინასა და სეკულარიზმის პრინციპს (*Kalaç v. Turkey*);
 - მშობლების სურვილზე, საკუთარი შვილებისთვის დაერქმიათ კონკრეტული სახელები რაიმე სახის რელიგიური მოტივის მითითების გარეშე (*Salonen v. Finland*, Commission decision);
 - მშობლების სურვილზე, თავიდან აერიდებინათ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულება ვაქცინაცია გაეკეთებინათ საკუთარი შვილებისთვის (*Boffa and Others v. San Marino*, Commission decision);
 - ადვოკატის დაუსაბუთებელ უარზე, შეესრულებინა პოლიციის დეპარტამენტში დაკავებული პირის წარმომადგენლობის ოფიციალურად ნაკისრი ვალდებულებები (*Mignot v. France*, Commission decision);
 - მძღოლის უარზე, შეეკრა ღვედი საკუთარი ავტომანქანის მართვისას, იმ მოტივით, რომ მას ამგვარად სურდა საკუთარი ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის დაცვის საშუალებების თავისუფლად არჩევის უფლების გამოხატვა (*Viel v. France* (dec.));
 - ისლამური ხსნის ფრონტის ალჟირის მოქალაქე აქტივისტის მიმართ, რომელიც ასაჩივრებდა შვეიცარიის ხელისუფლების გადანყვეტილებას მისი მედია კომუნიკაციის საშუალების დაყადაღების შესახებ, რომელსაც ის პოლიტიკური პროპაგანდის მიზნებისთვის იყენებდა (*Zaoui v. Switzerland* (dec.));
 - აფთიაქის მესაკუთრეების უარზე, გაეყიდათ კონტრაცეპტული აბები (*Pichon and Sajous v. France* (dec.));
 - სხვისი დახმარებით სუიციდის ჩადენის სურვილზე, რომელიც მოტივირებული იყო პერსონალური ავტონომიურობის პრინციპით (*Pretty v. the United Kingdom*, § 82);
 - მოსარჩელეთა სურვილზე, გაეგრძელებინა მათი გარდაცვლილი ქმრის/მამის მიერ მუფტად დანიშნასთან დაკავშირებით წამოწყებული სასამართლო წარმოება (*Sadik Amet and Others v. Greece* (dec.));

- სტუდენტის მიმართ, რომელსაც უარი ეთქვა უნივერსიტეტის კამპუსის ტერიტორიაზე შესვლის უფლებაზე იმ საფუძვლით, რომ ის ატარებდა წვერს, მიუხედავად იმისა, რომ მას არასდროს მიუთითებია, რომ შთაგონებული იყო რაიმე კონკრეტული რელიგიური თუ სხვა სახის იდეებით ან რწმენებით (*Tiğ v. Turkey* (dec.));
- პირთა სურვილზე, გარდაცვლილი ოჯახის წევრის საფლავზე განეთავსებინათ სახსოვარი ქვა გარდაცვლილის გამოსახულებიანი ფოტოთი (*Jones v. the United Kingdom* (dec.));
- იმ პირთა მიმართ, რომლებსაც ტერორისტულად მიჩნეული ორგანიზაციების წევრობა ედებოდათ ბრალად (სხვა მრავალ საქმეს შორის, იხ., *Gündüz v. Turkey* (dec.); *Kenar v. Turkey* (dec.));
- მოსამართლის მიმართ, რომელსაც გამოეცხადა საყვედური იმის გამო, რომ უარს აცხადებდა საქმეების განხილვაზე მასზე ზეგავლენის განცდის მიზეზით (*Cserjés v. Hungary* (dec.)), და დაზღვევის სახელმწიფო დეპარტამენტში დასაქმებული ექიმის მიმართ, რომელიც გათავისუფლებულ იქნა იმის გამო, რომ უარს აცხადებდა სამედიცინო შემოწმება ჩატარებინა მისდამი დაქვემდებარებულ პირისთვის, ვინაიდან შიშობდა, რომ მოექცეოდა „სავარაუდო ზეგავლენის ქვეშ“, რაც მომავალში ამ დაქვემდებარებულ პირთან მუშაობის შემთხვევაში სირთულეებს შექმნიდა (*Blumberg v. Germany* (dec.));
- მონაზვნის მიმართ, რომელიც დასჯილ იქნა რელიგიური ცერემონიის დროს არეულობის გამოწვევის გამო, რაც გამოიხატებოდა ლოცვის დროს ხმამაღალი განცხადებების გაკეთებაში (*Bulgaru v. Romania* (dec.));
- მამის მიმართ, რომელიც უმუშევართა შემწეობით ცხოვრობდა და ასაჩივრებდა მუნიციპალური ორგანოების უარს აენაზღაურებინათ საშობაო ნაძვის ხის და გვირგვინის საფასური (*Jenik v. Austria* (dec.)); სარჩელი უარყოფილ იქნა, როგორც კონვენციის 35-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის a პუნქტთან შეუსაბამო;
- მამის მიმართ, რომელიც სასამართლოს მიერ განქორწინებული იყო მეუღლესთან და რომელიც აპროტესტებდა საკუთარი არასრულწლოვანი ქალიშვილის (რომელზე მეურვეობაც დედას ქონდა მინიჭებული) რომის კათოლიკე ეკლესიის წევრად გახდომას, მით უმეტეს, რომ დედა, ეროვნული სასამართლოების თანახმად, მოქმედებდა საკუთარი ქალიშვილის თავისუფალი არჩევანის შესაბამისად (*Rupprecht v. Spain* (dec.));
- ორი ებრაული ორგანიზაციის მიმართ, რომლებმაც მიმართეს უკრაინის სასამართლოებს რამდენიმე ძველი ებრაული სასაფლაოს (რომლებიც მიტოვებული იყო სამოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში) ყოფილი საზღვრების აღდგენის და ამ ტერიტორიებზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების აკრძალვის თხოვნით (*Representation of the Union of Councils for Jews in the Former Soviet Union and Union of Jewish Religious organisations of Ukraine v. Ukraine* (dec.));
- განმცხადებლის სურვილზე, შიშველს ესეირნა საჯაო სივრცეში, რადგან მისი რწმენით, ასეთი საქციელი საზოგადოებრივად მიღებული იყო (*Gough v. the United Kingdom*, §§ 185-188);
- განაცხადზე, რომელიც ეხებოდა სავაჭრო ნიშნის რეგისტრირებას წმინდად კომერციული მიზნებით, მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო ნიშანი მოიცავდა გრაფიკულ რელიგიურ სიმბოლოს (*Dor v. Romania* (dec.), § 39);

- ხელისუფლების უარზე, რელიგიური გაერთიანებისთვის სრულად გაემხილა მასზე შეგროვილი ინფორმაცია (*Das Universelle Leben Aller Kulturen Weltweit e.V. v. Germany* (dec.), § 34);
- რელიგიური თემის განაცხადზე, საკუთრების უფლება აღედგინათ კომუნისტური რეჟიმის მიერ 1930-იან წლებში ჩამორთმეულ საკულტო ნაგებობაზე (*Rymsko-Katolytska Gromada Svyatogo Klimentiya v Misti Sevastopoli v. Ukraine* (dec.), §§ 59-63);
- განმცხადებლის უარზე, გაეგლო სავალდებულო სამხედრო სამსახური, იმ მიზეზით, რომელიც ეფუძნებოდა არა ომზე ან იარაღის ტარებაზე კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის პრინციპს, არამედ, მის მიერ სახელმწიფოს კონსტიტუციური სისტემის უარყოფას, მიუხედავად იმისა, რომ ეს უარყოფა რელიგიურად იყო მოტივირებული (*Enver Aydemir v. Turkey*, § 79-84);
- უცხოელის მიმართ, რომლის განაცხადი ნატურალიზაციაზე უარყოფილ იქნა იმ საფუძვლით, რომ ის რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციის აქტივისტი იყო, რაც მასპინძელი სახელმწიფოს მიმართ მის ერთგულებას ეჭვის ქვეშ აყენებდა (*Boudelal v. France* (dec.)).

D. სახელმწიფოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები

I. ჩარევა დაცული უფლებებით სარგებლობაში და მისი გამართლება

33. კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფის თანახმად, ლეგიტიმური მიზნები, რომლებიც პირის რელიგიის ან რწმენის გამოხატვაში ჩარევას ამართლებს არის *საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ასევე, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა*. ლეგიტიმური მიზნების ეს ჩამონათვალი ამომწურავია და მათი განმარტება აუცილებლად შეზღუდული წესით უნდა მოხდეს. იმისთვის, რომ ამ თავისუფლების შეზღუდვა კონვენციასთან შესაბამისობაში იყოს, ის ამ დებულებით გათვალისწინებულ ერთ ან რამდენიმე ლეგიტიმურ მიზანს უნდა ემსახუროდეს (*Svyato-Mykhaylivska Parafiya v. Ukraine*, § 132 and 137; *S.A.S. v. France* [GC], § 113).

34. კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პარაგრაფის, მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფისა და მე-11 მუხლის მე-2 პარაგრაფისგან და მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მე-3 პარაგრაფისგან განსხვავებით, მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფში ჩამოთვლილ ლეგიტიმურ მიზნებს შორის „*ეროვნული უშიშროება*“ მოცემული არაა. ეს განსხვავება შემთხვევითი არ არის, პირიქით, კონვენციის ავტორების უარი, რომ ეს სპეციფიკური საფუძველი ჩარევის ლეგიტიმურ საფუძვლებს შორის შეეტანათ, გამომდინარეობს რელიგიური პლურალიზმის, როგორც, „დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საფუძვლის“, ფუნდამენტური მნიშვნელობიდან და იმ ფაქტიდან, რომ სახელმწიფო ვერ უკარნახებს პირს რა შეიძლება სწამდეს და ვერ გადადგავს მაიძულებელ ნაბიჯებს მისი რწმენების შესაცვლელად (*Nolan and K. v. Russia*, § 73). ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვერ გამოიყენებს ეროვნული უშიშროების დაცვის საჭიროებას, როგორც ერთადერთ საფუძველს, პირის ან პირთა ჯგუფის მიერ საკუთარი რელიგიის გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის შესაზღუდად. იგივე ეხება „სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის“ საჭიროებას, რომელიც შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად დადგენილია კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფში, მაგრამ არა მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფში (*Hamidović v. Bosnia and Herzegovina*, § 35; and *Lachiri c. Belgique*, § 38).

35. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-15 მუხლი სახელმწიფოებს უფლებას აძლევს გადაუხვიონ მე-9 მუხლით ნაკისრი ვალდებულებებიდან „მხოლოდ იმ ზომით, რამდენადაც ამას პირდაპირ მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე, და იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებები არ ეწინააღმდეგება მათ სხვა საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს“, ამასთან, დაცული უნდა იყოს მე-15 მუხლის მე-3 პარაგრაფით გათვალისწინებული პროცედურული ფორმალობები.

36. კონვენციის მე-9 მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობაში ჩარევა შესაძლოა შემდეგი ფორმით გამოვლინდეს, მაგალითად:

- სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული სასჯელი, ხელშეკრულების გაუქმება ან უარი მის განახლებაზე ამ უფლებებით სარგებლობის საფუძვლით (*Kokkinakis v. Greece; Ivanova v. Bulgaria; Masaev v. Moldova; Ebrahimian v. France*);
- სახელმწიფოს წარმომადგენელი პირების მხრიდან ფსიქოლოგიური ზეწოლა მონყვლად პირზე, რათა მან უარი თქვას საკუთარ მრწამსზე (*Mockutė v. Lithuania*, §§ 123-125);
- ფიზიკური ძალადობა იმ პირებზე, რომლებიც მე-9 მუხლით დაცულ უფლებებს ახორციელებენ, როგორცაა, მაგალითად შეკრების დაშლა პოლიციის ძალით (*Boychev and Others v. Bulgaria*);
- რელიგიური ორგანიზაციის გაუქმება (*Jehovah's Witnesses of Moscow and Others v. Russia*, §§ 99-103; *Biblical Centre of the Chuvash Republic v. Russia*, § 52; ეს განსხვავდება კომისიის ძველი პრაქტიკისგან, რომლის თანახმადაც რელიგიური გაერთიანების გაუქმება ან აკრძალვა არ იწვევს რელიგიის თავისუფლებით ინდივიდუალურად სარგებლობის უფლების ხელყოფას, კერძოდ *X. v. Austria*, Commission decision of 15 October 1981);
- უარი ამ უფლებებით სარგებლობის ხელშემწყობ ნებართვაზე, აღიარებაზე ან დამონმებაზე (*Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova; Vergos v. Greece*);
- სახელმწიფოს უარი რელიგიური თემისთვის სპეციალური სტატუსის მინიჭებაზე, იმ შემთხვევებში, როდესაც ამგვარი სტატუსის არ ქონა რიგ პრაქტიკულ პრობლემებსა და სირთულეებს წარმოშობს (*Izzettin Doğan and Others v. Turkey* [GC], § 95);
- ფორმით ნეიტრალური კანონის მიღება, რომელიც პრაქტიკულად უფლებას აძლევს სახელმწიფოს პირდაპირ ჩაერიოს შიდადენომინაციურ დავაში (*Holy Synod of the Bulgarian Orthodox Church (Metropolitan Inokentiy) and Others v. Bulgaria*, § 157);
- ოფიციალურ დოკუმენტებში რელიგიური თემების მიმართ დამამცირებელი გამონათქვამების გამოყენება იმ ფორმით, რამაც, შესაძლოა რელიგიის თავისუფლებით სარგებლობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს (*Leela Förderkreis e.V. and Others v. Germany*, § 84).

37. როდესაც ხდება იმ კანონის აღსრულება, რომელიც მე-9 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევას ადგენს, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს წარმომადგენელი - მაგალითად, პოლიციის ოფიცერი - მოქმედებს “*Ultra Vires*” (რაც, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებას გულისხმობს), ეს ქმედება, მაინც მოპასუხე სახელმწიფოს მიეწერება და კონვენციის 1-ლი მუხლის მიზნების შესაბამის პასუხისმგებლობას წარმოშობს (*Tsartsidze and Others v. Georgia*, § 80).

38. მეორე მხრივ, როგორც წესი, მე-9 მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობაში ჩარევად

არ მიიჩნევა კანონი, რომლის აღსრულება გათვალისწინებულია კონვენციით, არის ზოგადი და ნეიტრალური საჯარო სფეროში და ამასთან, არ ეწინააღმდეგება მე-9 მუხლით გარანტირებულ თავისუფლებებს (*C. v. the United Kingdom*, Commission decision; *Skugar and Others v. Russia* (dec.)).

39. როდესაც განმცხადებლები ასაჩივრებენ *ეროვნულ კანონმდებლობაში იმ ქმედებებისთვის გათვალისწინებული სასჯელების არსებობას, რომელთა განხორციელების სურვილიც მათ აქვთ* და როდესაც, საკუთარ მტკიცებულებებს მე-9 მუხლით დადგენილ დაცვაზე ამყარებენ, მათ უფლება აქვთ ამტკიცონ, რომ არიან უფლების დარღვევის „მსხვერპლი“ კონვენციის 34-ე მუხლის მნიშვნელობით, თუკი მათ უხდებათ საკუთარი მოქმედებების შეცვლა ან დევნის რისკის ქვეშ განხორციელება, ან თუკი ისინი მიეკუთვნებიან იმ პირთა კატეგორიას, რომელთა წინაშეც დგას რისკი, აღმოჩნდნენ დაზარალებულნი მოცემული კანონის გამო. შესაბამისად, მაგალითად, სასამართლომ აღიარა, რომ მუსლიმ ქალს, რომელსაც სურვილი ქონდა რელიგიური საფუძვლებით საჯაროდ ეტარებინა თავსაბურავი, რომელიც მთელ სახეს ფარავდა, შეეძლო ემტკიცებინა, რომ ის არის „მხვერპლი“, მხოლოდ იმის გამო, რომ ასეთი ქცევა კანონით დასჯადია და ითვალისწინებს ჯარიმას მოქალაქეობის სავალდებულო კურსის გავლასთან ერთად ან ჯარიმის შეცვლას ამ უკანასკნელით. განმცხადებელი იდგა დილემის წინაშე: დათანხმებოდა აკრძალვას და თავი შეეკავებინა საკუთარი რელიგიის შესაბამისი სამოსის ტარებისგან ან უარი ეთქვა დამორჩილებოდა კანონს და შესაბამისად, გამხდარიყო დევნის ობიექტი (*S.A.S. v. France* [GC], § 57).

40. სახელმწიფოებს უფლება აქვთ შეამოწმონ ახორციელებს თუ არა აშკარად რელიგიური მიზნების მქონე მოძრაობა ან გაერთიანება მოსახლეობის ან საზოგადოებრივი წესრიგის დამაზიანებელ აქტივობებს (*Manoussakis and Others v. Greece*, § 40; *Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*, § 105). ზოგ შემთხვევაში, სახელმწიფოს უფლება აქვს გაატაროს პრევენციული ზომები სხვათა ფუნდამენტური უფლებების დასაცავად. სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი პრევენციული ჩარევის ძალაუფლება სრულად შეესაბამება კონვენციის 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, იმ გაგებით, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები „თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციით განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს“ (*Leela Förderkreis e.V. and Others v. Germany*, § 99).

41. დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომელშიც ერთი და იმავე მოსახლეობის ფარგლებში რამდენიმე რელიგია თანაარსებობს, შესაძლოა აუცილებელი გახდეს ამ თავისუფლებების მიმართ შეზღუდვების დაწესება, რათა მოხდეს სხვადასხვა ჯგუფების ინტერესთა შეთანხმება და ყველა ადამიანის რწმენის პატივისცემის უზრუნველყოფა. მიუხედავად ამისა, მოცემულ სფეროში, სხვადასხვა რელიგიების, კონფესიების და მოძღვრებების მიმართ საკუთარი ხელისუფლების განხორციელებისას, სახელმწიფო უნდა დარჩეს ნეიტრალური და მიუკერძოებელი პლურალიზმისა და დემოკრატიის სათანადოდ ფუნქციონირების დაცვის მიზნით (*Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*, §§ 115-116).

42. სასამართლოს ამოცანაა განსაზღვროს არის თუ არა ეროვნულ დონეზე განხორციელებული ღონისძიებები არსებითად სამართლიანი და პროპორციული (*Leyla Şahin v. Turkey* [GC], § 110). ეს ნიშნავს, რომ *იმავე მიზნის მისაღწევად არ უნდა არსებობდეს არც ერთი სხვა საშუალება, რომელიც ამ უფლებაში ნაკლებად მნიშვნელოვან ჩარევას გამოიწვევდა*. ამ მხრივ, ხელისუფლებათა პასუხისმგებლობაა აჩვენონ, რომ ასეთი საშუალებები არ არსებობდა (*Biblical Centre of the Chuvash Republic v. Russia*, § 58). კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფი გულისხმობს, რომ ნებისმიერი ჩარევა უნდა გამომდინარეობდეს „გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან“, შესაბამისად, დათქმას „აუცილებელი“ არ აქვს იმგვარი მოქნილობა, რომ ის გაგებულ იქნას, როგორც „სასარგებლო“ ან „სასურველი“

(*Svyato-Mykhaylivska Parafiya v. Ukraine*, § 116). საკუთარი ზედამხედველობითი ფუნქციის განხორციელებისას, სასამართლოს ამოცანას არ წარმოადგენს კომპეტენტური ეროვნული ხელისუფლების ადგილის დაკავება, არამედ, მე-10 მუხლის შესაბამისად, იმის შემონიშნება შეესაბამება თუ არა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეფასების თავისუფლების მისსავე უფლებამოსილებას. ეს არ ნიშნავს, რომ ზედამხედველობის ფუნქცია შეზღუდულია იმის დადგენის უფლებამოსილებით მოპასუხე სახელმწიფო ახორციელებდა თუ არა საკუთარ დისკრეციას გონივრულად, ფრთხილად და კეთილსინდისიერად. ის, რაც სასამართლომ უნდა მოიძებნოს მდგომარეობს იმაში, რომ მან გასაჩივრებული ჩარევა კონკრეტული საქმის ფარგლებში განიხილოს და განსაზღვროს იყო თუ არა ის „ლეგიტიმური მიზნის პროპორციული“ და ეროვნული ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი მიზეზები ნამდვილად არის თუ არა „შესაბამისი და საკმარისი“. ამგვარად მოქმედებისას, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ეროვნული ხელისუფლება იცავდა სტანდარტებს, რომლებიც შესაბამისობაში იყო მე-10 მუხლით გათვალისწინებულ პრინციპებთან და ამასთანავე, ეყრდნობოდა შესაბამისი ფაქტების აღიარებულ შეფასებებს (*Association de solidarité avec les témoins de Jéhovah and Others v. Turkey*, § 98). კერძოდ, ეროვნული სასამართლო ვერ გათავისუფლდება საკუთარი ვალდებულებებიდან მხოლოდ ექსპერტული მოხსენების დამოწმებით; ყველა სამართლებრივი საკითხი უნდა გადაწყდეს ექსკლუზიურად სასამართლოების მიერ (იხ., მე-10 მუხლის მე-9 მუხლის ფონზე წაკითხვით (*Ibragim Ibragimov et autres c. Russie*, §§ 106-107)).

43. იმის შეფასებისას ჩარევა პროპორციულია თუ არა, სასამართლო კონვენციის ხელშეკრულ სახელმწიფოებს ჩარევის საჭიროებისა და მისი მოცულობის განსაზღვრად გარკვეულ შეფასების თავისუფლებას ანიჭებს. უნდა გვახსოვდეს, რომ კონვენციის, როგორც მექანიზმის, როლი არსებითად დამხმარე ხასიათისაა. ეროვნული ხელისუფლებები, ადგილობრივი საჭიროებებისა და მდგომარეობების შეფასებისას, არსებითად, უკეთეს პირობებში იმყოფებიან ვიდრე საერთაშორისო სასამართლო, რის შედეგადაც, ზოგადი პოლიტიკის თანახმად, რამდენადაც მოსაზრებები დემოკრატიული საზოგადოების შიგნით შესაძლოა, გონივრულობის ფარგლებში ერთმანეთისგან განსხვავებული იყოს, ადგილობრივი პოლიტიკის მწარმოებლებს უნდა ჰქონდეთ მნიშვნელოვანი წონა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი სახელმწიფოსა და რელიგიურ დენომინაციებს შორის ურთიერთობებს ეხება. რაც შეეხება უშუალოდ კონვენციის მე-9 მუხლს, სახელმწიფოს უნდა ენიჭებოდეს შეფასების ფართო თავისუფლება იმის გადასაწყვეტად რელიგიის ან რწმენის გამოხატვის უფლების შეზღუდვა არის თუ არა „აუცილებელი“ და თუ კი, მაშინ, რა მოცულობით. მიუხედავად ამისა, შეფასების თავისუფლების მოცულობის განსაზღვრისას კონკრეტულ საქმეში, სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს ორივეს, როგორც ამ საქმეში მოცემულ სპეციფიკურ შემთხვევას, ასევე, მე-9 მუხლში მოცემულ ზოგად საკითხს, კერძოდ, ნამდვილი რელიგიური პლურალიზმის დაცვის საჭიროებას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების შესანარჩუნებლად. განსაკუთრებული ყურადღება ჩარევის აუცილებლობას უნდა დაეთმოს მაშინ, როდესაც განისაზღვრება ჩარევის შესაბამისობა „უკიდურეს საზოგადოებრივ საჭიროებასა“ და „ლეგიტიმურ მიზანს“ შორის, როგორც ეს მე-9 მუხლის 1-ლი პარაგრაფითაა მოთხოვნილი. ცხადია, შეფასების თავისუფლება მჭიდროდაა დაკავშირებული ევროპულ ზედამხედველობასთან, რომელიც მოიცავს ორივეს, როგორც კანონს, ასევე, მის შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებებს, მაშინაც კი როდესაც ეს მიღებულია დამოუკიდებელი ეროვნული სასამართლოს მიერ. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ, თუკი ეს ხელსაყრელი იქნება, შესაძლოა ანგარიში გაუწიოს, ასევე, ნებისმიერ კონსენსუსსა და საერთო ღირებულებებს, რომლებიც გამოვლინდება კონვენციის ხელშეკრულ სახელმწიფოთა პრაქტიკებში (*Bayatyan v. Armenia* [GC], §§ 121-122; *S.A.S. v. France* [GC], § 129).

44. ამასთან ერთად, ჩარევის პროპორციულობისა და მოპასუხე სახელმწიფოს შეფასების თავისუფლების ფარგლების შემოწმებისას, სასამართლო ყოველთვის უთმობს ყურადღებას

ფედერალიზმის სპეციფიკურ თავისებურებებს, რამდენადაც ისინი კონვენციას შეესაბამება (*Osmanoğlu et Kocabaş v. Switzerland*, § 99).

45. მსგავსადვე, ეროვნული ღონისძიებების კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფთან შესაბამისობის შეფასებისას, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს კონკრეტული რელიგიის ისტორიული საფუძვლები და სპეციფიკური თავისებურებები, რაც მოიცავს დოგმატურ მოძღვრებას, რიტუალებს, ორგანიზაციულობას და ა.შ. (ამ მიდგომის ორი პრაქტიკული მაგალითი იხ.: *Cha'are Shalom Ve Tsedek v. France* [GC], §§ 13-19; *Mirojubovs and Others v. Latvia*, §§ 8-16). ეს არის იმ ზოგადი პრინციპების ლოგიკური მნიშვნელობა, რომლებიც საფუძვლად უდევს მე-9 მუხლს, მათ შორის, რელიგიური პრაქტიკის განკერძოებით ან საჯაროდ გამოხატვის თავისუფლებას, რელიგიური თემების შინაგან ავტონომიურობასა და რელიგიური პლურალიზმის დაცვას. კონვენციით დადგენილი ინდივიდუალური უფლებების დაცვის მექანიზმის დამხმარე ხასიათის გათვალისწინებით, იგივე ვალდებულება შესაძლოა, ასევე, ეკისრებოდეს ეროვნულ ხელისუფლებებს სხვადასხვა რელიგიებთან მათი კავშირის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას (*Mirojubovs and Others v. Latvia*, § 81). ამ მხრივ, სასამართლო, როგორც წესი, მიმართავს კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) ფარგლებში ჩამოყალიბებულ საკუთარ პრაქტიკას, რომლის თანახმადაც, ეს დებულება შეიძლება დაირღვეს, კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო ვერ ახერხებს განსხვავებულად მოუპყროს იმ პირებს, რომელთა მდგომარეობები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება (*Thlimmenos v. Greece* [GC], § 44).

46. როდესაც ეროვნული კანონმდებლობა რელიგიის თავისუფლებით ან მისი ერთ-ერთი ასპექტით სარგებლობისთვის წინასწარი რეგისტრირების სისტემას ქმნის, აღიარებული საეკლესიო ორგანიზაციისთვის, განსაკუთრებით, იმ ორგანიზაციისთვის, რომელიც განსხვავებულ დენომინაციას, იერარქიას ან მრწამსს მიეკუთვნება, რეგისტრაციის მინიჭების პროცედურებში ჩართვა შეუთავსებელია მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფის მოთხოვნებთან (*Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*, § 117; *Vergos v. Greece*, § 34; და შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით, *Pentidis and Others v. Greece*).

47. და ბოლოს, ზედამხედველობის განხორციელებისას, სასამართლო ვალდებულია გასაჩივრებული ჩარევა სადავო სასამართლო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული ყველა მასალის საფუძველზე განიხილოს (*Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*, § 119). თუ საჭიროა, მან უნდა შეაფასოს საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტი და გაითვალისწინოს მოვლენათა თანამიმდევრობა ერთიანობაში და არა ცალკეული და გამორჩეული ინციდენტები (*Ivanova v. Bulgaria*, § 83). გარდა ამისა, სასამართლო ყოველთვის უნდა დარწმუნდეს, რომ რელიგიის თავისუფლების სფეროში ეროვნული ხელისუფლებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ეფუძნება შესაბამისი ფაქტების აღიარებულ შეფასებას (*Svyato-Mykhaylivska Parafiya v. Ukraine*, § 138).

2. ხელშემკვრელი სახელმწიფოების პოზიტიური ვალდებულებები

48. კონვენციის 1-ლი მუხლის დებულებათა თანახმად, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებული არიან „თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყონ ამ კონვენციით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები“. შესაბამისად, სახელმწიფოთა ნეგატიური ვალდებულება, თავი შეიკავონ მე-9 მუხლით გარანტირებულ უფლებებში ჩარევისგან, შეიძლება გაერთიანდეს ამ უფლებებისთვის დამახასიათებელ პოზიტიურ ვალდებულებებთან – მათ შორის, იმ შემთხვევებში, როდესაც სადავო ქმედებები განხორციელებულია კერძო პირების მიერ და ამდენად, პირდაპირ დაკავშირებული არ არის მოპასუხე სახელმწიფოსთან.

გამომდინარე აქედან, ეს ვალდებულებები შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში, აუცილებელს ხდიდეს ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც უზრუნველყოფენ რელიგიის თავისუფლების პატივისცემას, რაც გავლენას ახდენს *პიროვნებებს შორის ინტერპერსონალური ურთერთობების* სტრუქტურაზე (*Siebenhaar v. Germany*, § 38). მიუხედავად იმისა, რომ საზღვარი კონვენციით გათვალისწინებულ სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის არ ექვემდებარება ზუსტ განმარტებას, გამოსაყენებელი პრინციპები, მეტაკლებად, მაინც შედარებადია (*İzzettin Doğan and Others v. Turkey* [GC], § 96). ორივე კონტექსტში, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ კერძო პირთა და მთლიანი თემის კონკურენტულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსი იქნას მიღწეული; და ორივე კონტექსტში სახელმწიფო *შეფასების გარკვეული თავისუფლებით* სარგებლობს. გარდა ამისა, იმ პოზიტიურ ვალდებულებებთან მიმართებით, რომლებიც მე-9 მუხლის 1-ლი პარაგრაფიდან გამომდინარეობენ, შესაძლოა მე-2 პარაგრაფში აღნიშნულ მიზნებსაც ქონდეთ გარკვეული რელევანტურობა (*Jakóbski v. Poland*, § 47; *Eweida and Others v. the United Kingdom*, § 84).

49. მე-9 მუხლით გათვალისწინებულმა პოზიტიურმა ვალდებულებებმა შესაძლოა მოითხოვოს ამ დებულებით გარანტირებული უფლებების დაცვისთვის საჭირო ეფექტური და ხელმისაწვდომი საშუალებების უზრუნველყოფი ნორმები, რაც მოიცავს ორივეს, ნორმებს, რომლებიც ქმნის სასამართლო წარმოების მარეგულირებელ ჩარჩოს და იძულების მექანიზმებს კერძო პირთა უფლებების დასაცავად და შესაბამის შემთხვევებში, მათი იმპლემენტაციისთვის საჭირო სპეციალურ ნაბიჯებს (*Osmanoğlu et Kocabaş v. Switzerland*, § 86).

50. მე-9 მუხლი რელიგიის თავისუფლების დაცვის *პრევენციული ღონისძიებებით* სარგებლობის უფლების, როგორც ასეთის, გარანტიას არ იძლევა (*Hernandez Sanchez v. Spain*, Commission decision).

E. მე-9 მუხლითა და კონვენციის სხვა დებულებებით დადგენილი გარანტიების ურთერთბადაზარკვა

51. თავისი ბუნებით, კონვენციის მე-9 მუხლის არსებითი შინაარსი, შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში კონვენციის სხვა დებულებებით გადაიფაროს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლოში წარდგენილი ერთი და იგივე სარჩელი შესაძლოა ზოგჯერ ერთზე მეტ მუხლს ექვემდებარებოდეს. ასეთ შემთხვევებში, სასამართლო, როგორც წესი, სარჩელის განსახილველად ირჩევს მხოლოდ ერთ მუხლს, რომელსაც ის საქმის სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით უფრო შესაფერისად მიიჩნევს. თუმცა, როდესაც სასამართლო ასე მოქმედებს, ის ასევე მხედველობაში ითოვებს სხვა მუხლ(ებ)ს და განმარტავს იმ მუხლს, რომლის ფარგლებშიც მან გადაწყვიტა საქმის განხილვა. მუხლები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში შეიძლება მე-9 მუხლთან ერთად იყოს მითითებული ერთსა და იმავე ფაქტებთან დაკავშირებით და ჩართული იყოს ერთსა და იმავე სარჩელებში, არის შემდეგი:

(ა) კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი (სამართლიანი სასამართლოს უფლება, განსაკუთრებით, სასამართლო განხილვაზე წვდომის უფლება). მაგალითად, საქმე, რომელიც ეხებოდა კრეტაზე რომის კათოლიკე დიოცეზის კათედრალისთვის იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის მინიჭებაზე საბერძნეთის საკასაციო სასამართლოს უარს, რის გამოც, საკუთარი ქონების დაცვის მიზნით მას სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ერთმეოდა, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება განმცხადებელი ორგანიზაციის სარჩელები მხოლოდ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პარაგრაფთან და არა მე-9 მუხლთან მიმართებით განეხილა (*Canea Catholic Church v. Greece*, §§ 33 and 50). მსგავსად, საქმეზე, რომელიც ეხებოდა მრევლისა და მისი წევრების მიერ საკუთარი სპეციფიკური რიტუალების შესაბამისად ადგი-

ლობრივ სასაფლაოზე თავიანთი მიცვალებულების დაკრძალვის უფლების მიმნიჭებელი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების სავარაუდო აღუსრულებლობას, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება სარჩელი მხოლოდ მე-6 მუხლის 1-ლ პარაგრაფთან მიმართებით განეხილა (*Greek Catholic Parish of Pesceana v. Romania* (dec.), § 43);

(b) კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). სასამართლომ განიხილა შემდეგი განაცხადები:

- მხოლოდ მე-8 მუხლთან მიმართებით ან მე-14 მუხლთან კავშირში: მაგალითად, განაცხადი, რომელიც ეხებოდა ადგილობრივი სასამართლოების გადაწყვეტილებას არასრულწლოვანი ბავშვების ერთი მშობლისთვის მიკუთვნების შესახებ მხოლოდ იმის გამო, რომ მეორე მშობელი ეჭვავს მონმე იყო (*Hoffmann v. Austria; Palau-Martinez v. France; Ismailova v. Russia*). სასამართლომ განმარტა, რომ ერევნული სასამართლოს მიერ განსაზღვრული ბავშვებზე მშობლის მზრუნველობის განხორციელებისთვის საჭირო პრაქტიკული ზომები, როგორც ასეთი, ვერ დააზიანებდა განმცხადებლის თავისუფლებას გამოეხატა საკუთარი რელიგია (*Deschomets v. France* (dec.));
- მე-8 მუხლთან მიმართებით, მე-9 მუხლის ფონზე წაკითხვით: განაცხადი, რომელიც ეხებოდა სატარო მოხელის სხვა სამსახურში გადაყვანას მისი მეუღლის რელიგიური ქცევის და ასევე, პირადად მისი რელიგიური მრწამსის გამო, რაც მართალია ცნობილი იყო სხვებისთვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი პირადი ცხოვრების საკითხს წარმოადგენდა (*Sodan v. Turkey*, § 30);

(c) კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება). სასამართლომ განიხილა შემდეგი განაცხადები:

- მხოლოდ მე-10 მუხლთან მიმართებით: მაგალითად, განაცხადი, რომელიც ეხებოდა დამოუკიდებელი რადიო-სადგურის მიერ რელიგიური შინაარსის მქონე ფასიანი რეკლამის გაშვებაზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ დადგენილ აკრძალვას (*Murphy v. Ireland*), ან ქრისტიანული რელიგიური პროგრამის მქონე რადიო-სადგურისთვის სამაუწყებლო ლიცენზიის მინიჭებაზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს უარს (*Glas Nadezhda EOOD and Anatoliy Elenkov v. Bulgaria*). გამომდინარე იქიდან, რომ განმცხადებელი მაუწყებლობის საშუალებით საკუთარი რწმენებისა და შეხედულებების გამოხატვაში ჩარევას ასაჩივრებდა, მე-10 მუხლი წარმოადგენდა სპეციალურ ნორმას მე-9 მუხლთან შედარებით და ამდენად, ამ უკანასკნელთან მიმართებით საქმის ცალკე გამოყოფით განხილვა საჭირო არ იყო (*Balsytė-Lideikienė v. Lithuania* (dec.));
- მე-10 მუხლთან მიმართებით, მე-9 მუხლის ფონზე წაკითხვით: მაგალითად, განაცხადი, რომელიც ეხებოდა რელიგიური ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელების აკრძალვას (*Ibragim Ibragimov et autres c. Russie*, § 78).

(d) კონვენციის მე-11 მუხლი (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) სასამართლომ განიხილა შემდეგი განაცხადები:

- მხოლოდ მე-9 მუხლთან მიმართებით: მაგალითად, განაცხადი, რომელიც ეხებოდა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამწევი პირის სარჩელს, რომელიც არ მიეკუთვნებოდა არც ერთ რელიგიურ ან პაციფისტურ ორგანიზაციას და რომელიც ეყრდნობოდა მე-11 მუხლს იმის დასამტკიცებლად, რომ სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების მოთხოვნაზე უარი არღვევდა მის ნეგატიური თავისუფლებას არ ყოფილიყო კონკრეტული რელიგიის მიმდევარი ან რაიმე სახის ორგანიზაციის წევრი (*Papavasilakis v. Greece*, §§ 34-35);

- მე-9 მუხლთან მიმართებით, მე-11 მუხლის ფონზე განმარტებით: მაგალითად, განაცხადი, რომელიც ეხებოდა ერთი რელიგიური თემის შიგნით დაპირისპირებული ორი ჯგუფის დავაში სახელმწიფოს ჩარევას (*Hassan and Tchaouch v. Bulgaria* [GC], § 65), რელიგიური ორგანიზაციის გაუქმებას (*Jehovah's Witnesses of Moscow and Others v. Russia*, §§ 102-103), ან რელიგიური თემისთვის იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის მინიჭებაზე გაჭიანურებულ უარს (*Religionsgemeinschaft der Zeugen Jehovas and Others v. Austria*, § 60);
- მე-9 მუხლთან მიმართებით, მე-11 მუხლისა და მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის ფონზე განმარტებით: მაგალითად, განაცხადი, რომელიც ეხებოდა ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების უარს რელიგიური ორგანიზაციის წესდებაში დაერეგისტრირებისათვის ცვლილებები, რაც დაადასტურებდა ამ ორგანიზაციის მიერ რელიგიური დენომინაციის ცვლილებას (*Svyato- Mykhaylivska Parafiya v. Ukraine*, § 152);
- მე-11 მუხლთან (გაერთიანების თავისუფლება) მიმართებით, მე-9 მუხლის ფონზე განმარტებით: მაგალითად, განაცხადი, რომელიც ეხებოდა უარს რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციაზე (*Orthodox Ohrid Archdiocese (Greek-Orthodox Ohrid Archdiocese of the Peć Patriarchy) v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, § 61), ან რეგისტრაციის განახლებაზე (*Moscow Branch of the Salvation Army v. Russia*, §§ 74-75; *Bektashi Community and Others v. the former Yugoslav Republic of Macedonia**, § 46). საპირისპირო შედეგისთვის იხ., განჩინება საქმეებზე *Genov v. Bulgaria*, § 38, და *Methodiev and Others v. Bulgaria*, § 26, რომლებშიც რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციაზე უარის განხილვა სასამართლომ მე-9 მუხლთან მიმართებით, მე-11 მუხლის ფონზე განმარტებით, გადაწყვიტა.
- მე-11 მუხლთან (შეკრების თავისუფლება) მიმართებით, მე-9 მუხლის ფონზე განმარტებით: მაგალითად, განაცხადი, რომელიც ეხებოდა უარს რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციის განახლებაზე (*Moscow Branch of the Salvation Army v. Russia*, §§ 74-75);
- მე-11 მუხლთან (შეკრების თავისუფლება) მიმართებით, მე-9 მუხლის ფონზე განმარტებით: მაგალითად, განაცხადი, რომელიც ეხებოდა *ნეო-დრუიდიზმის* მიმდევარი ჯგუფისთვის „სტონჰენჯის“ ისტორიულ ტერიტორიაზე ზაფხულის ბუნიობის აღნიშვნის აკრძალვას (*Pendragon v. the United Kingdom*, Commission decision; საპირისპირო შედეგისთვის იხ., *Chappell v. the United Kingdom*, Commission decision);

(e) კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი (საკუთრების დაცვა). სასამართლომ გადაწყვიტა საქმეები განეხილა მხოლოდ 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლთან მიმართებით: მაგალითად, საქმე, რომელიც ეხებოდა ნადირობის მონინალმდევე მიწათმესაკუთრების ვალდებულებას მათ მიწაზე ნადირობის ნებართვის გაცემაზე (*Chassagnou and Others v. France* [GC]; *Herrmann v. Germany* [GC]);

(f) კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი (მშობელთა უფლება პატივი სცენ მათ რელიგიურ და ფილოსოფიურ მრწამსებს მათი შვილების განათლების ფარგლებში). სასამართლომ გადაწყვიტა საქმეები განეხილა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან მიმართებით:

- მხოლოდ 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან მიმართებით: მაგალითად, საქმე, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო სკოლაში რელიგიური კულტურისა და მორალის შესახებ სავალდებულო გაკვეთილების დანიშვნას და ამგვარი გაკვეთილების დანიშვნის შესაძლებლობის შეზღუდვას (*Mansur Yalçın and Others v. Turkey*), ან საგან-

მანათლებლო დაწესებულებების უარს მოსწავლეებისთვის ქრისტიანობის შესახებ სავალდებულო გაკვეთილებიდან სრულ გათავისუფლებაზე (*Folgerø and Others v. Norway* [GC]);

- 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან მიმართებით და დამოუკიდებლად, კონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებით, საქმე, სადაც, მნიშვნელოვანი არგუმენტების საფუძველზე დაადგინეს, რომ პირველი მათგანი არ დარღვეულა, ხოლო, იმის დასადგენად, რომ მეორე მათგანი არ დარღვეულა უბრალოდ გამოიყენეს პირველის არგუმენტები (*Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark*);
- 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან მიმართებით, მე-9 მუხლის ფონზე განმარტებით: მაგალითად, საქმე, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის სავალდებულო განთავსებას (*Lautsi and Others v. Italy* [GC]);
- 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან მიმართებით მშობლების შემთხვევაში და კონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებით ბავშვის შემთხვევაში (*Valsamis v. Greece*, რომელიც ეხებოდა მასწავლებლის მიერ მოსწავლის დასჯას სკოლის მიერ ორგანიზებულ ადლუმში მონაწილეობაზე უარი გამო);
- მხოლოდ მე-9 მუხლთან მიმართებით: მაგალითად, საქმე, რომელიც ეხებოდა განმცხადებელთა შვილის ცურვის სავალდებულო ერთობლივი (გოგოებისა და ბიჭების) გაკვეთილებიდან გათავისუფლებაზე უარს (*Osmanoğlu et Kocabaş v. Switzerland*, §§ 35 and 90) – არსებითად იმის გამო, რომ მოპასუხე სახელმწიფოს, შვეიცარიას რატიფიცირებული არ ჰქონდა 1-ლი დამატებითი ოქმი.

52. განათლებისა და სწავლების სფეროში 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი, კონვენციის მე-9 მუხლთან შედარებით, ძირითადი სპეციალური ნორმაა. ის გამოიყენება მაშინ, როცა სადავო საკითხს, მოცემული საქმის მსგავსად, წარმოადგენს ხელშემკვრელი სახელმწიფოს ვალდებულება - როგორც ამ მუხლის მეორე წინადადებაშია გადმოცემული - ნებისმიერი ფუნქციის განხორციელებისას, რომელიც მათ განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებით აქვთ ნაკისრი, პატივი სცენ მშობლების უფლებას საკუთარი შვილებისთვის უზრუნველყონ თავის რელიგიურ და ფილოსოფიურ მრწამსებთან შესაბამისი განათლება და სწავლება (*Lautsi and Others v. Italy* [GC], § 59; *Osmanoğlu et Kocabaş v. Switzerland*).

II. მე-9 მუხლით დაცული ქმედებები

A. ნეგატიური ასპექტი

1. რელიგიური პრაქტიკის არ ქონისა და პირადი მრწამსის გაუცხადებლობის უფლება

53. რელიგიის თავისუფლება, ასევე, მოიცავს ნეგატიურ უფლებებს, რაც ნიშნავს პირის თავისუფლებას არ მიეკუთვნებოდეს ამა თუ იმ რელიგიას და არ ეწეოდეს რელიგიურ პრაქტიკას (*Alexandridis v. Greece*, § 32). ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვერ მოითხოვს პიროვნებისგან ისეთ ქმედებას, რომელიც საფუძვლიანად შეფასდება, როგორც კონკრეტული რელიგიის მიმართ ერთგულება. მაგალითად, სასამართლომ კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევად მიიჩნია განმცხადებელთა მიმართ კანონის ის მოთხოვნა, რომელიც დეპუტატის უფლებამოსილების ცნობის მიზნებისთვის სახარებაზე ფიცის დადების ვალდებულებას გულისხმობდა (*Buscarini and Others v. San Marino* [GC], §§ 34 and 39).

54. პირადი რელიგიური მრწამსის გამოხატვის თავისუფლების ნეგატიური ასპექტი იმსახვრ გულისხმობს, რომ არ შეიძლება პიროვნების იძულება გაცხადონ საკუთარი რელიგიური კუთვნილება ან მრწამსი; ასევე, არ შეიძლება მათი იძულება მიმართონ ისეთ ქცევას, რომელმაც შესაძლოა გამოარკვიოს აქვთ თუ არა მათ ამგვარი მრწამსი. სახელმწიფოს უფლება არ აქვს ჩაერიოს პიროვნების სინდისის თავისუფლებაში მათი რელიგიური რწმენის შესახებ კითხვის დასმის გზით ან მათი იძულებით გამოხატონ საკუთარი მრწამსი (*Alexandridis v. Greece*, § 38; *Dimitras and Others v. Greece*, § 78).

55. გარდა ამისა, შესაძლოა ამგვარი ჩარევა იყოს არაპირდაპირი; მაგალითად, როდესაც სახელმწიფოს მიერ შედგენილი ოფიციალური დოკუმენტი (პირადობის მოწმობა, სასკოლო დღიური და სხვ.) მოიცავს რელიგიის განყოფილებას, მისი შეუვსებლად დატოვება გარდაუვლად ატარებს სპეციფიკურ კონოტაციას. კონკრეტულ საქმეში, რომელიც უკავშირდებოდა პირადობის მოწმობებს, სასამართლომ დაადგინა, რომ ამგვარ დოკუმენტებში რელიგიის სავალდებულო ან არასავალდებულო მითითება ეწინააღმდეგება კონვენციის მე-9 მუხლს (*Sinan Işık v. Turkey*, §§ 51-52 and 60). მე-9 მუხლი, ასევე, არ იცავს უფლებას პირადობის მოწმობაში ჩაინეროს პიროვნების რელიგიური კუთვნილება, თუნდაც, ნებაყოფლობითობის საფუძველზე (*Sofianopoulos and Others v. Greece* (dec.)). სასამართლომ, ასევე უარი თქვა სამოქალაქო რეესტრებში ან პირადობის მოწმობებში დემოგრაფიული მიზნებით რელიგიური კუთვნილების მითითების საჭიროების აღიარებაზე, რამდენადაც ეს გარდაუვლად მოითხოვდა კანონმდებლობით სავალდებულო გამხდარიყო პიროვნების რელიგიური მრწამსის დეკლარირება (*Sinan Işık v. Turkey*, § 44). მეორე მხრივ, დასაქმებულის მიერ საკუთარი დამსაქმებლის წინასწარ ინფორმირების საჭიროება იმ მოთხოვნების შესახებ, რასაც მისი რელიგია კარნახობს და რომელზე დაყრდნობითაც ის იმედოვნებს გარკვეული პრივილეგიის - მაგალითად, ყოველ პარასკევს სამსახურიდან გათავისუფლება მეჩეთში ღოცვაზე დასწრების მიზნით, მიღებას, არ შეიძლება გაუთანაბრდეს „პიროვნების რელიგიური მრწამსის გაცხადების ვალდებულებას“ (*X. v. The United Kingdom*, Commission decision of 12 March 1981).

56. სასამართლომ კონვენციის მე-9 მუხლის (დამოუკიდებლად ან მე-14 მუხლთან - დისკრიმინაციის აკრძალვასთან, კავშირში) დარღვევა დაადგინა, შემდეგ შემთხვევებში:

- სასამართლოში ფიცის დადების პროცედურაში, როგორც კანონიერი პროფესიული საქმიანობის განხორციელების წინაპირობაში, რომელიც ემყარებოდა პრეზუმციას, რომ ფიცის დამდები პირი იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი და სურვილი ჰქონდა

დაედო რელიგიური ფიცი; იმ მიზნით, რომ რელიგიურის ნაცვლად საზეიმო ფიცის დადების უფლება მიეღო, განმცხადებელს მოუწია გაეცხადებინა, რომ ის არ იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი (*Alexandridis v. Greece*, §5 36-41);

- *Alexandridis v. Greece* მსგავს შემთხვევაში, როდესაც პირები სისხლის სამართლის საქმეებზე მიმდინარე სასამართლო განხილვებში მონაწილეობდნენ როგორც მოწმეები, მომჩივანები ან ექვმიტანილები (*Dimitras and Others v. Greece; Dimitras and Others v. Greece (no. 2); Dimitras and Others v. Greece (no. 3)*);
- ეთიკის ალტერნატიული კურსის არ არსებობისას, რომლის არჩევასაც შეძლებდა განმცხადებელი, სკოლის მოსწავლე, რომელიც გათავისუფლებული იყო რელიგიის გაკვეთილებიდან, რის შედეგადაც მისი ყველა სასკოლო დღიურისა და დაწყებითი სკოლის დიპლომის გრაფაში - „რელიგია/ეთიკა“, დაფიქსირებული იყო ტირე („-“). მიუხედავად იმისა, რომ ამ გრაფაში გაკვეთებული აღნიშვნა ვერ წარმოაჩენდა კონკრეტულმა მოსწავლემ რელიგიის კურსი გაიარა თუ ეთიკის, მისი არ არსებობა, ცხადად მიუთითებდა, რომ მას არ გაეწეოდა არც ერთი ამ კურსთაგანი, შესაბამისად ის სტიგმატიზების რისკის ქვეშ ექცეოდა (*Grzelak v. Poland*; შდრ. ორი საქმე, რომლებშიც კონვენციის ორგანოებმა მსგავსი სარჩელები მიუღებლად ცნეს მათი აშკარა დაუსაბუთებლობის გამო *C.J., J.J. and E.J. v. Poland*, Commission decision, and *Saniewski v. Poland* (dec.)).

57. ამის საპირისპიროდ, სასამართლომ მე-9 მუხლის დარღვევა არ დაადგინა განმცხადებლის საგადასახადო ბარათის სათანადო გრაფაში „-“, (ორი ტირე) მითითების შემთხვევაში, რომელიც აღნიშნავდა, რომ ის არ მიეკუთვნებოდა არც ერთ იმ ეკლესიას ან რელიგიურ ორგანიზაციას, რომელთა სასარგებლოდაც სახელმწიფო საეკლესიო გადასახადს კრფდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს კონკრეტული დოკუმენტი, რომელიც განკუთვნილი იყო მხოლოდ დამსაქმებლისა და საგადასახადო ორგანოებისთვის, შექმნილი არ იყო საჯარო მოხმარებისთვის, შესაბამისად, ზღუდავდა სადავო ჩარევის მასშტაბს (*Wasmuth v. Germany*, §5 58-59).

2. კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა: პირის უფლება არ იმოქმედოს საკუთარი სინდისისა და მრწამსის საწინააღმდეგოდ

58. მე-9 მუხლში მკაფიოდ არ არის ნახსენები კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება, არც სამხედრო და არც სამოქალაქო სფეროში. მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ მე-9 მუხლით დაცული უფლებები, პრინციპში, მოიცავს სამხედრო სამსახურისადმი წინააღმდეგობას, როდესაც ეს მოტივირებულია ძლიერი, გადაულახავი კონფლიქტით სავალდებულო სამხედრო სამსახურსა და პირის სინდისს ან მის გულწრფელ და ღრმა რელიგიურ ან სხვა სახის მრწამსს შორის. პასუხი კითხვაზე - ექცევა თუ არა ან რა მასშტაბით ექცევა სამხედრო სამსახურის მიმართ წინააღმდეგობა მე-9 მუხლის საზღვრებში, შესაძლოა განსხვავდებოდეს თითოეული საქმის სპეციფიკური გარემოებების მიხედვით (*Bayatyan v. Armenia* [GC], §5 92-111 ; *Enver Aydemir v. Turkey*, § 75). სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნებისმიერი სისტემა მოქალაქეებს მძიმე ტვირთს აკისრებს. ეს მისაღები იქნება თუკი იგი თანაბრად გავრცელდება ყველაზე და ამ ვალდებულებიდან გათავისუფლება დამყარებული იქნება მტკიცე და დამატარებელ საფუძვლებზე (*Bayatyan v. Armenia* [GC], § 125). შესაბამისად, ლეგიტიმურია, რომ ეროვნულმა სახელმწიფო ორგანოებმა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამწევი პირის მოთხოვნის აღიარების მიზნით წინასწარი მოკვლევა ჩაატარონ, კერძოდ, ხელშემკვრელი სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების გარკვეული თავი-

სუფლებით დაადგინონ ის გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც აღიარებული იქნება კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება და შეიმუშაონ მექანიზმები, რომელთა მიხედვითაც სამხედრო სფეროში კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამწვევი პირის მოთხოვნა იქნება განხილული (*Enver Aydemir v. Turkey*, § 81).

59. მიუხედავად იმისა, რომ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის ზუსტი განსაზღვრება დადგენილი არ არის, სასამართლომ შესაფერისად მიიჩნია გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის აზრი, იმ მნიშვნელობით, რომ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა ეფუძნება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას, როდესაც ეს უკანასკნელი, ძალის სავალდებულო გამოყენებით ადამიანთა სიცოცხლის მოსპობას ეწინააღმდეგება. კონვენციის მე-9 მუხლის გამოყენებით, სასამართლომ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება შეზღუდა რელიგიური და სხვა სახის რწმენებით, კერძოდ, იმით, რომლებიც ომში ნებისმიერი ფორმით ჩართვასა და იარაღის ტარებაზე ძლიერ, მუდმივ და გულწრფელ წინააღმდეგობას მოიცავენ (*Enver Aydemir v. Turkey*, § 81).

60. სახელმწიფო, რომელსაც (ჯერ) არ დაუდგენია სამოქალაქო სამსახურის ალტერნატიული ფორმები იმ მიზნით, რომ პირის სინდისსა და სამხედრო ვალდებულებებს შორის სავარაუდო კონფლიქტის გადალახვა მოხერხდეს, შეფასების მხოლოდ შეზღუდული თავისუფლებით სარგებლობს და ამ უფლებაში ნებისმიერი ჩარევის გამართლების მიზნით დამატებული და გაუბათილებელი საფუძვლები უნდა წარმოადგინოს. კერძოდ, მან უნდა წარმოაჩინოს, რომ ჩარევა შეესაბამება „გადაუდებელ საზოგადოებრივ საჭიროებას“ (*Bayatyan v. Armenia* [GC], § 123).

61. მაგალითად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მე-9 მუხლი დაირღვა იმით, რომ დასჯილ იქნა განმცხადებელი, იეჰოვას მოწმე (რელიგიური ჯგუფი, რომლის მრწამსი მოიცავს სამხედრო სამსახურის წინააღმდეგობის რწმენას, მაშინაც კი თუ ის არ გულისხმობს იარაღის ტარებას), სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდების გამო, როდესაც კანონით არ იყო გათვალისწინებული ალტერნატიული სამოქალაქო სამსახური (*Bayatyan v. Armenia* [GC], § 110). შესაბამისად, სასამართლომ მე-9 მუხლის დარღვევა დაადგინა *Bayatyan v. Armenia* საქმესთან ძლიერი მსგავსების მქონე საქმეებზე, რომლებიც მიმართული იყო სომხეთის (*Bukharatyan v. Armenia*; *Tsaturyan v. Armenia*) და თურქეთის წინააღმდეგ (*Erçep v. Turkey*; *Feti Demirtaş v. Turkey*; *Buldu and Others v. Turkey*). კერძოდ, საქმეში *Feti Demirtaş v. Turkey*, სასამართლომ დაადგინა, რომ ის ფაქტი, რომ განმცხადებელი რამდენჯერმე იყო დასჯილი და საბოლოოდ დემობილიზებულ იქნა სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, რომლის თანახმადაც ის განიცდიდა ფსიქიკურ აშლილობას, არ ცვლიდა არაფერს და არ ამცირებდა მის, როგორც „მსხვერპლის“, სტატუსს, არამედ, პირიქით - მისი ფსიქიკური აშლილობა წარმოიშვა სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში, რაც უფრო ამძიმებდა მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობას (§§ 73-77 and 113-114).

62. ყველა, ზემოთ აღნიშნულ საქმეში კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამწვევი პირები იეჰოვას მოწმეები იყვნენ. გარდა ამისა, სასამართლომ მე-9 მუხლის დარღვევა დაადგინა პაციფისტთა ორ საქმეში, რომელთაც არ მიუთითებიათ არც ერთი რელიგიური მრწამსი. ამ ორ საქმეში სასამართლომ კონცენტრირება მოახდინა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებზე, დაადგინა რა, რომ თურქეთის საკანონმდებლო სივრცეში ისეთი ეფექტური და ხელმისაწვდომი პროცედურების არ არსებობა, რომელთა საშუალებითაც მოსარჩლეები გაარკვევდნენ ჰქონდათ თუ არა უფლება მოეთხოვათ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამწვევი პირის სტატუსი, წარმოადგენდა დარღვევას (*Savda v. Turkey*; *Tarhan v. Turkey*). უფრო ადრე, საქმეში რუმინეთის წინააღმდეგ, განმცხადებელი ასაჩივრებდა, რომ ის იყო დისკრიმინაციის მსხვერპლი, რამდენადაც ეროვნული სახელმწიფო ორგანოების უარი, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამწვევ პირად მის დარეგისტრირებაზე, გამომდინარე-

ობდა იქიდან, რომ ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ამგვარი სტატუსის მოთხოვნა შეეძლოთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც წარმოადგენდნენ რელიგიურ მიზეზებს, მაშინ, როდესაც ის უბრალოდ პაციფისტი იყო. თუმცა, იმის გამო, რომ განმცხადებელი არასოდეს ყოფილა დასჯილი ან დევნის ქვეშ და სავალდებულო სამხედრო სამსახური რუმინეთში მშვიდობიანობის დროს გაუქმებული იყო, სასამართლომ მიიჩნია, რომ მას აღარ შეეძლო ემტკიცებინა, რომ მითითებული დარღვევის „სხვერპლი“ იყო (*T.N.B. Romania* (dec.)). ზოგადად, აუცილებელი არ არის პირი მოქმედი რელიგიის მიმდევარი ან პაციფისტური ორგანიზაციის წევრი იყოს, რომ ის კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამწვევ პირად იქნას აღიარებული (*Papavasilakis v. Greece*).

63. სასამართლომ არ აღიარა მე-9 მუხლის გამოყენების შესაძლებლობა განმცხადებლის, თურქეთის მოქალაქის საქმეზე, რომელიც დაპატიმრებული და დასჯილი იქნა იმის გამო, რომ უარი განაცხადა სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლაზე იმ საფუძველით, რომ მას არ შეეძლო ემსახურა თურქეთის სეკულარული სახელმწიფოსთვის, რაც, სავარაუდოდ, მოიმოქმედა ყურანსა და შარიათის კანონზე დაყრდნობით. სხვა სიტყვებით, განმცხადებელი არ ეყრდნობოდა არც რელიგიურ მრწამსს, რომელიც შეეწინააღმდეგებოდა სამხედრო სამსახურს და არც პაციფისტურ ან ანტი-მილიტარისტულ ფილოსოფიას. შესაბამისად, განმცხადებლის სარჩელი არ უკავშირდებოდა „რელიგიის ან რწმენის ღვთისმსახურებით, სწავლებით, პრაქტიკით (ან) რიტუალების აღსრულებით“ გამოხატვას, მე-9 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მნიშვნელობით (*Enver Aydemir v. Turkey*, §§ 79-84).

64. მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფო ადგენს სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების შესაძლებლობას და უზრუნველყოფს ალტერნატიულ სამოქალაქო სამსახურს, მხოლოდ ეს ფაქტი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ დადგინდეს კონვენციის მე-9 მუხლით დაცული კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლებასთან შესაბამისობა. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები, შესაძლოა ითხოვდეს ამ უფლების დაცვის ეფექტური და ხელმისაწვდომი პროცედურების შექმნას, კერძოდ, საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებას, რომელიც დაადგენს ქმედით სამართლებრივ მექანიზმს პირთა უფლებების დასაცავად და საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრავს სათანადო სპეციალურ ღონისძიებებს. ამდენად, ეროვნულ ხელისუფლებებს ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება მიიღონ ზომები, რათა ეფექტური და ხელმისაწვდომი პროცედურებით დადგინდეს, შეიძლება თუ არა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამწვევი პირისთვის ამ სტატუსის მინიჭება (*Papavasilakis v. Greece*, §§ 51-52). სრულიად ლეგიტიმურია, რომ ამ პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელმა სახელმწიფო ორგანომ გამოკითხოს პირი, იმ კონკრეტული მიზნით, რომ შეაფასოს მისი რწმენის სერიოზულობა და აღკვეთოს გათავისუფლების უფლების ბოროტად გამოყენების ნებისმიერი მცდელობა იმ პირთა მხრიდან, რომლებიც სამხედრო სამსახურის მოხდისთვის შესაბამის მდგომარეობაში არიან (*Papavasilakis v. Greece*, § 54). ნებისმიერ შემთხვევაში, სახელმწიფო ორგანოს მიერ განხორციელებული გამოძიება უნდა აკმაყოფილებდეს ხელმისაწვდომობისა და ეფექტურობის პირობებს, რომელიც ითხოვს, რომ გამოძიებაზე პასუხისმგებელი პირები იყვნენ დამოუკიდებლები (*იქვე*, § 60).

65. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა საქმეზე, რომელშიც ბერძენი მამაკაცი აცხადებდა, რომ ის წარმოადგენდა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამწვევ პირს, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო არც ერთი კონკრეტული რელიგიის მიმდევარი ან პაციფისტური ორგანიზაციის წევრი. ის წარდგა არმიის სპეციალური საბჭოს წინაშე, რათა განემარტა გათავისუფლების მოთხოვნის მიზეზები. ამ სპეციალურ საბჭოს, ჩვეულებრივ, ხუთი წევრი ჰყავს, მათგან ორი სამხედრო და სამი სამოქალაქო პირი, მაგრამ ამ კონკრეტულ დღეს მისი ორი სამოქალაქო წევრი (უნივერსიტეტის პროფესორები) შეხვედრას არ ესწრებოდნენ და არც მათი ჩანაცვლება მომხდარა. რამდენადაც ქვორუმი მაინც იყო, სამხედრო

პირების უმრავლესობით წარმოდგენილმა საბჭომ უარყო განმცხადებლის მოთხოვნა. მისი სააპელაციო სარჩელი, ასევე უარყო უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ და თავად მკაცრად დაისაჯა სუბორდინაციის დარღვევის გამო. სასამართლომ დაადგინა, რომ საბერძნეთის ხელისუფლებამ ვერ შეასრულა საკუთარი ვალდებულება, რაც გულისხმობდა, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამწევი პირის სპეციალური საბჭოს წინაშე გამოკითხვის უზრუნველყოფას იმ პირობების დაცვით, რომლებიც, ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, პროცედურული ეფექტიანობისა და თანაბარი წარმომადგენლობის გარანტია იყო (*Papavasiliakis v. Greece*, § 60).

66. მეორე მხრივ, ალტერნატიული სამსახურიც უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულ პირობებს, სხვა სიტყვებით, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ალტერნატიული ზომები უნდა შეესაბამებოდეს პირის სინდისისა და რწმენის მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით არის ორგანიზებული და განხორციელებული ალტერნატიული სამსახურის სისტემები, ხელშემკვრელი სახელმწიფოები შეფასების გარკვეული თავისუფლებით სარგებლობენ, რაც გულისხმობს, რომ მათ კანონმდებლობით და პრაქტიკით უნდა უზრუნველყონ ნამდვილად სამოქალაქო ხასიათის ალტერნატიული სამსახური, რომელსაც არ ექნება არც ხელშემშლელი და არც დამსჯელი ფორმა. იმის გადაწყვეტისას არის თუ არა ალტერნატიული სამსახური ნამდვილად სამოქალაქო ხასიათის, სასამართლო ყურადღებას მიაპყრობს რამდენიმე ფაქტორს, მათ შორის, შესასრულებელი სამუშაოს ბუნებას, ხელმძღვანელობას, კონტროლს, შესაბამის წესებსა და გარეგან ფორმებს (*Adyan and Others v. Armenia*, §§ 67-68).

67. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა საქმეზე, რომელშიც იეჰოვას მოწმე სომხეთის ოთხი მოქალაქე დასჯილ იქნა იმის გამო, რომ მათ საკუთარი რელიგიური რწმენის საფუძველზე, უარი განაცხადეს გაეცლოთ, როგორც სამხედრო, ასევე, ალტერნატიული სამოქალაქო სამსახური. თუმცა, წვევამდელებს შეეძლოთ აერჩიათ უკანასკნელი სახეობის სამსახური და დანიშნულ იქნენ კიდევ სამოქალაქო ინსტიტუციებში, როგორცაა ობოლთა თავშესაფრები, მოხუცთა თავშესაფრები და საავადმყოფოები, სისტემას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მოსარჩელებისთვის, ამ პერიოდში არ გააჩნდა ნამდვილად სამოქალაქო ხასიათი, რადგან ორ მნიშვნელოვან ნაკლს ატარებდა. პირველყოვლისა, ეს სამსახური სათანადოდ არ იყო გამიჯნული სამხედრო სისტემისგან: სამხედრო პირები ჩართული იყვნენ ამ სამოქალაქო ინსტიტუტების ზედამხედველობაში, ატარებდნენ რეგულარულ შემოწმებებს, იღებდნენ ზომებს უნებართვო გაცდენების შემთხვევაში, ადგენდნენ თანამშრომელთა გადაადგილებას, დანიშვნებსა და სამხედრო ტიპის რეგულაციებს. რაც შეეხება გარეგან ფორმებს, სამოქალაქო მოსამსახურეებს მოეთხოვებოდათ უნიფორმის ტარება. და მეორე, ეს პროგრამა სამხედრო სამსახურთან შედარებით არსებითად უფრო ხანგრძლივი იყო (42 თვე 24 თვის ნაცვლად), რასაც ნამდვილად ჰქონდა ხელშემშლელი, უფრო მეტიც, დამსჯელი ეფექტი (*Adyan and Others v. Armenia*, §§ 69-72).

68. სასამართლომ დაადგინა მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა, მე-9 მუხლთან კავშირში, სამ საქმეზე, რომლებშიც ავსტრიის იეჰოვას მოწმეთა ორგანიზაციის მღვდელმსახურები ასაჩივრებდნენ უარს სამხედრო სავალდებულო და ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურიდან სრული გათავისუფლების მოთხოვნაზე, რამდენადაც, ამგვარი გათავისუფლების უფლებით სარგებლობდნენ „ალიარებული რელიგიური გაერთიანებების“ მღვდელმსახურები, ხოლო იეჰოვას მოწმეთა ორგანიზაციისთვის, რომელსაც ასეთი „რეგისტრაცია“ არ ჰქონდა, ეს უფლება ხელმისაწვდომი არ იყო, ყველა სხვა რელიგიის მღვდელმსახურის ფუნქციებთან მსგავსების მიუხედავად (*Löffelmann v. Austria; Gütl v. Austria; Lang v. Austria*). მეორე მხრივ, სასამართლომ არ დაადგინა მე-14 მუხლის დარღვევა, მე-9 მუხლთან კავშირში, ევანგელისტი მქადაგებლის საქმეზე, რომელსაც უარი ეთქვა სამხედრო სავალდებულო და ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურიდან სრულ გათავისუფლებაზე. ამ

საქმეში, სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელს არასდროს მოუთხოვია „აღიარებული რელიგიური გაერთიანების“ სტატუსის მიღება; შესაბამისად, მისი მდგომარეობა არ შეესაბამებოდა იმ მღვდელმსახურთა მდგომარეობას, რომლებიც ამგვარ რელიგიურ გაერთიანებაში ეწეოდნენ ღვთისმსახურებას (*Koppi v. Austria*).

69. რაც შეეხება, იმ პირთათვის კონვენსაციის მიცემის ვალდებულებას, რომელთა მიმართაც წარსულში დაირღვა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება, სასამართლომ აშკარად დაუსაბუთებლად ცნო მეშვიდე დღის ადვენტისტის სარჩელი, რომელიც ჯარში განვეულ იქნა კომუნისტური რეჟიმის დროს და დასჯილ იქნა პატიმრობით „სუბორდინაციის დარღვევის“ გამო, რაც ფიცის დადებასა და შაბათ დღეს იარაღის სიმბოლურ პრეზენტაციაზე დასწრებასთან დაკავშირებით უარის გაცხადებაში გამოიხატებოდა. კომუნისტური რეჟიმის დამხობისა და დემოკრატიული რეჟიმის დამყარების შემდეგ მას არ დაენიშნა უფრო მაღალი პენსია და არ მიეცა საშუალება ესარგებლა სხვა პრივილეგიებით, რაც გარანტირებული იყო კანონით იმ პირთათვის, რომლებიც იყვნენ ძველი რეჟიმის პოლიტიკური დევნის მსხვერპლი, რადგან ეროვნული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, სასჯელი სამხედრო სუბორდინაციის - ნებისმიერი საფუძვლით - დარღვევის გამო, არ ითვლებოდა „პოლიტიკურ დევნად“. განმცხადებელმა ეროვნული სასამართლოების უარი, მხედველობაში მიეღოთ ის ფაქტი, რომ მისი დასჯა მოტივირებული იყო მისი რელიგიური მრწამსით, გაასაჩივრა მე-14 მუხლთან მიმართებით, მე-9 მუხლთან კავშირში. სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პოზიტიური ვალდებულებები, რომლებიც მე-14 მუხლიდან გამომდინარეობს, შესაძლოა სახელმწიფოს აიძულებდეს აღმოფხვრას კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამწვევი პირის მიმართ სამხედრო სუბორდინაციის დარღვევის გამო დაკისრებული ნებისმიერი სასჯელით დამდგარი უარყოფითი შედეგები, ისინი არ მოითხოვენ აღნიშნული სასჯელების კომპენსაციას პოზიტიური ფორმით, იმ ფინანსური უპირატესობების მინიჭებით, რაც სხვა კატეგორიის პირთათვის არის გათვალისწინებული. ამ საქმეში გასაჩივრებულ სასამართლო პრაქტიკას ჰქონდა სახელმწიფოს შეფასების თავისუფლების ნორმალური ფარგლების შესაბამისი ობიექტური და გონივრული გამართლება (*Baciu v. Romania* (dec.)).

70. რაც შეეხება *სკოლებს*, სასამართლომ არ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა იეჰოვას მოწმე ორი ახალგაზრდის საქმეებზე, რომლებიც სწავლობდნენ საბერძნეთის სახელმწიფო საშუალო სკოლებში და რომლებიც დასჯილ იქნენ სკოლიდან ერთი ან ორი დღის განმავლობაში დათხოვნით, იმის გამო, რომ მათ უარი განაცხადეს მონაწილეობა მიეღოთ ფაშისტურ იტალიასა და საბერძნეთს შორის ომის დანაშაულის წლისთავის აღმნიშვნელ სასკოლო აღლუმში. განმცხადებლებმა გააფრთხილეს შესაბამისი სკოლების დირექტორები იმის შესახებ, რომ მათი რელიგიური მრწამსი მათ უკრძალავდა ომის დანაშაულის წლისთავის აღნიშვნაში, კერძოდ, სამოქალაქო, საეკლესიო და სამხედრო ხელისუფლების წინაშე გამართულ სასკოლო აღლუმში, მონაწილეობას, რომელსაც მოყვებოდა ოფიციალური ღვთისმსახურება და რომელიც სამხედრო აღლუმის დღეს იმართებოდა. დაადგინა რა, რომ არ დარღვეულა მშობლების უფლება საკუთარი ქალიშვილებისთვის უზრუნველყოთ საკუთარი ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება (1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი), სასამართლო იმავე დასკვნამდე მივიდა საკუთრივ მათი ქალიშვილების რელიგიის თავისუფლების დაცვის უფლებასთან დაკავშირებითაც. მან აღნიშნა, რომ ისინი, მოთხოვნისამებრ, გათავისუფლებულ იქნენ რელიგიური განათლებისა და მართლმადიდებლური ღვთისმსახურებისგან. რაც შეეხება, სასკოლო აღლუმში სავალდებულო მონაწილეობას, სასამართლომ დაადგინა, რომ არც აღლუმის საფუძვლს და არც მისი ორგანიზების ფორმას არ შეეძლო დაერღვია გოგონების პაციფისტური მრწამსი და, რომ ეროვნული მოვლენების აღმნიშვნელ მსგავს დღესასწაულებს, საკუთარი არსით, გააჩნიათ ორივე, როგორც პაციფისტური მიზნები, ასევე, საჯარო ინტერესი (*Valsamis v. Greece; Efstratiou v. Greece*).

71. *სამოქალაქო სფეროში*, განმცხადებლის ინტერესი არ მოიქცეს საკუთარი სინდისის სა-წინააღმდეგოდ, შესაძლოა სერიოზულად შეიზღუდოს ყველა პირის მიმართ თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფის საჯარო ინტერესით, განსაკუთრებით, ეს ერთი და იგივე სქესის წევრების მიმართ მოპყრობას შეეხება (*Eweida and Others v. the United Kingdom*, § 105). კომისიამ, ასევე აღიარა, რომ მრწამსები, რომელთა გამოხატვაც სინდისის კლავზულით სარგებლობის გზით ხდება, პროფესიულ სფეროში - მაგალითად, ადვოკატის სინდისის კლავზული - პრინციპში, შესაძლებელია ხვდებოდეს მე-9 მუხლის დაცვის ქვეშ. ასე მაგალითად, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით და პროფესიული ბუნების მიუხედავად, შესაძლოა ამგვარი კლავზულის ადვოკატის, არა როგორც სასამართლოს მოხელის, არამედ, როგორც კერძო პირის, პერსონალურ მრწამსთან აღრევა (*Mignot v. France*, Commission decision).

72. სასამართლომ არ დაადგინა მე-9 მუხლის (დამოუკიდებლად ან კონვენციის მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) კავშირში) დარღვევა შემდეგ საქმეებზე:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოს ქრისტიანი მოხელის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სამსახურიდან მის გათავისუფლებას, იმის გამო, რომ მან უარი თქვა ჰომოსექსუალი წევრის სამოქალაქო კავშირის რეგისტრაციაზე (*Eweida and Others v. The United Kingdom*, §§ 102-106);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, კერძო კომპანიის თანამშრომლის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სამსახურიდან მის გათავისუფლებას, იმის გამო, რომ მან უარი თქვა ერთი და იმავე სქესის წევრისთვის ფსიქო-სექსუალური თერაპია გაეწია (*იქვე*, §§ 107-110).

73. კონვენციის ორგანოებმა, ასევე, უარი თქვეს ელიარებიანთ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება და შესაბამისად, დაედგინათ კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა, შემდეგ საქმეებზე:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, პაციენტი კვაკერის უარს საკუთარი გადასახადის გარკვეული პროცენტის გადახდაზე, მიუხედავად იმისა, რომ მას შეეძლო დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ეს თანხა სამხედრო სექტორის დაფინანსებაზე არ გადანაწილდებოდა (*C. v. the United Kingdom*, Commission decision; ეს მიდგომა დადასტურდა საქმეზე *H. and B. v. the United Kingdom*, Commission decision) და საქმეზე, რომელიც ეხებოდა, აბორტების წინააღმდეგი ფრანგ გადასახადების გადამხდელის უარს, საკუთარი გადასახადის გარკვეული პროცენტის გადახდაზე, რათა არ მომხდარიყო ამ თანხის გამოყენება აბორტების დასაფინანსებლად (*Bouessel du Bourg v. France*, Commission decision). ყველა ამ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ გადასახადის გადახდის ზოგად ვალდებულებას, თავისთავად, არანაირი სპეციფიკური გავლენა არ ჰქონდა კერძო პირის სინდისზე, რადგან ვალდებულების ნეიტრალური ხასიათი გამოიხატებოდა იმ ფაქტით, რომ კერძო გადასახადის გადამხდელებს არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ გადასახადების განაწილებაზე ან უკვე აკრეფილი გადასახადების განაწილებაზე;
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას ადვოკატისთვის, რომელიც ფორმალურად უარს აცხადებდა განეხორციელებინა ის მოვალეობები, რომლებიც მას კანონის შესაბამისად ოფიციალურად ჰქონდა ნაკისრი, კერძოდ, წარმოედგინა პოლიციის საპატიმროში მყოფი პირები, იმ საფუძველით, რომ ის პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა მოცემულ კანონს. იმის გადაწყვეტისას, ექცეოდა თუ არა ადვოკატის სინდისის კლავზულა მე-9 მუხლის დაცვის ქვეშ, კომისიამ აღნიშნა, რომ განმცხადებელი უბრალოდ სადავოს ხდიდა მოცემულ სამართლებრივ

სისტემას, იმის ნაცვლად, რომ გაესაჩივრებინა ის კონკრეტული მოთხოვნა, რამაც, აქტიური ფორმით, შეურაცხყო მისი სინდისი, რაც უფლებას მისცემდა დაყრდნობოდა მოცემულ კლავზულას (*Mignot v. France*, Commission decision);

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, აფთიაქის თანამესაკუთრების უარს, საკუთარ რელიგიურ მრწამსზე დაყრდნობით, მათ აფთიაქში კონტრაცეპტული აბების გაყიდვაზე (*Pichon and Sajous v. France* (dec.)).

74. სასამართლომ, ასევე, არ მიიღო შემდეგი განაცხადები:

- განაცხადი, რომელიც წარდგენილი იყო უმუშევარი პირის მიერ - რომელიც აცხადებდა, რომ არ მიეკუთვნებოდა არც ერთ კონკრეტულ რელიგიას - რომელსაც დროებით შეუჩერდა უმუშევრის შემწეობა მას შემდეგ, რაც მან უარი თქვა ადგილობრივი პროტესტანტული ეკლესიის საკონფერენციო და სასემინარო ცენტრის მიმღებში მუშაობაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული სამუშაო გულისხმობდა უბრალოდ კლიენტების დახმარებას, რაც სამსახურის აღწერილობის თანახმად, რაიმე სახის რელიგიურ რწმენასთან დაკავშირებული არ იყო და არ მჟღავნებოდა, რომ სამუშაო დაარღვევდა განმცხადებლის თავისუფლებას არ ყოფილიყო რელიგიის მიმდევარი (*Dautaj v. Switzerland* (dec.));
- განაცხადი, რომელიც წარდგენილი იყო სახელმწიფო ჯანმრთელობის დაზღვევის დეპარტამენტში დასაქმებული ექიმის მიერ, რომელიც გათავისუფლებულ იქნა იმის გამო, რომ უარი განაცხადა სამედიცინო შემოწმება ჩაეტარებინა მისადმი დაქვემდებარებული პირისთვის, რადგან შიშობდა, რომ მოექცეოდა „სავარაუდო ზეგავლენის ქვეშ“, რაც მომავალში ამ დაქვემდებარებულ პირთან მუშაობის შემთხვევაში სიძნელეებს გამოიწვევდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის დამოკიდებულება არ შეიცავდა ფუნდამენტური პრობლემის თანმიმდევრულ ხედვას და, რომ მას არ განუმარტავს მორალური დილემა, რომლის თავიდან არიდებაც მას სურდა. შესაბამისად, არ არსებობდა „პერსონალური რწმენის გამოხატვა“ მე-9 მუხლის მნიშვნელობით (*Blumberg v. Germany* (dec.));
- განაცხადი, რომელიც წარდგენილი იყო რუსეთის რამდენიმე მოქალაქის მიერ, რომლებიც ასაჩივრებდნენ გადასახადის გადამხდელებისთვის ინდივიდუალური „გადასახადის გადამხდელის ნომრის“ მიმნიჭებელ კანონმდებლობას, რასაც ისინი ანტიქრისტულ ბეჭდის წინამორბედად მიიჩნევდნენ. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს იყო ნეიტრალური და ზოგადი ღონისძიება საჯარო სფეროში და, რომ განმცხადებლები არ იყვნენ ვალდებულნი მიეღოთ ან გამოეყენებინათ გადასახადის გადამხდელის ნომრები, რადგან კანონი ცალსახად რთავდა ნებას გადასახადის გადამხდელთა უმრავლესობას არ გამოეყენებინა ის ოფიციალურ დოკუმენტებში. გარდა ამისა, სასამართლომ მრავალგზის აღნიშნა, რომ ოფიციალური დოკუმენტებისა და მონაცემთა ბაზების შინაარსი ვერ იქნებოდა განსაზღვრული მასში შემავალ კერძო პირთა სურვილების მიხედვით. შესაბამისად, არ ყოფილა ჩარევა მე-9 მუხლით დაცულ უფლებებში (*Skugar and Others v. Russia* (dec.)).

B. პოზიტიური ასპექტი

I. ზოგადი პრინციპები

75. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიის თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდუალური სინდისის საქმეა, ის, ასევე, გულისხმობს, მათ შორის, „[საკუთარი] რელიგიის გამოხატვის“ თავისუფლებას დამოუკიდებლად და განკერძოებით ან სხვებთან ერთად საჯაროდ და იმ პირთა წრეში, ვის რწმენასაც პირი იზიარებს. მე-9 მუხლი ჩამოთვლის იმ ფორმებს, რასაც პირის მიერ საკუთარი რელიგიის გამოხატვა შეიძლება ატარებდეს, სახელდობრ, ღვთისმსახურებას, სწავლებას, პრაქტიკასა და რიტუალების აღსრულებას (*Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*, § 114).

76. უკიდურესად განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, რელიგიის თავისუფლება, როგორც ის კონვენციითაა დაცული, შეუთავსებელია სახელმწიფოს მხრიდან რამე სახის უფლებამოსილებასთან შეფასდეს რელიგიური მრწამსის ან მისი გამოხატვის გზების ლეგიტიმურობა (*Hassan and Tchaouch v. Bulgaria* [GC], § 76; *Leyla Şahin v. Turkey* [GC], § 107). მართლაც, რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსი უკავშირდება კერძო პირთა მიდგომებს რელიგიისადმი, სივრცეს, სადაც შესაძლოა სუბიექტური აღქმებიც კი მნიშვნელოვანი იყოს, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რელიგიები აყალიბებენ ძალიან ფართო დოგმატურ და მორალურ არსს, რომელსაც აქვს ან შეიძლება ჰქონდეს პასუხები ყველა ფილოსოფიური, კოსმოლოგიური და მორალური ხასიათის კითხვაზე (*Izzettin Doğan and Others v. Turkey* [GC], § 107). შესაბამისად, სახელმწიფოს აქვს შეფასების თავისუფლების მჭიდრო ფარგლები და ვალდებულია წინასწარ მოიძიოს სერიოზული და დაუძლეველი მიზეზები, რათა ჩაერიოს იმ არჩევანში, რომელსაც ადამიანები პირად ავტონომიურ სფეროში ქცევის რელიგიური ნორმების მიხედვით აკეთებენ. ჩარევა შეიძლება გამართლებული იქნას მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფის შუქზე, თუკი კერძო პირთა არჩევანი შეუთავსებელია კონვენციით განმტკიცებულ ძირითად პრინციპებთან, როგორცაა, მაგალითად, პოლიგამია, არასრულწლოვანთა ქორწინება, გენდერული თანასწორობის რადიკალური დარღვევა ან შემთხვევები, როდესაც ეს არჩევანი თავსმოხვეულია მორწმუნეთა მიმართ ძალის ან იძულების გამოყენებით (*Jehovah's Witnesses of Moscow and Others v. Russia*).

77. მე-9 მუხლი არ იცავს რელიგიით ან რწმენით შთაგონებულ ნებისმიერ ქმედებას, ასევე, ყოველთვის არ იცავს საჯარო სივრცეში იმგვარი ქცევის უფლებას, რაც ნაკარნახევი ან შთაგონებულია მოქმედი პირის რელიგიით ან რწმენით (*Kalaç v. Turkey*). მსგავსადვე, როგორც წესი, ის არ იძლევა რელიგიური მრწამსის საფუძველზე უარის თქმის უფლებას, იმ კანონმდებლობის დაცვაზე, რომლის მოქმედებაც გათვალისწინებულია კონვენციით და რომელიც ნეიტრალური და ზოგადი ფორმით გამოიყენება (*Fränklin-Beentjes and CEFLU-Luz da Floresta v. the Netherlands* (dec.)). იმისთვის, რომ რელიგიით ან რწმენით შთაგონებული, მოტივირებული ან მათი გავლენით განხორციელებული ქმედება მე-9 მუხლით გათვალისწინებული მნიშვნელობით „გამოხატვად“ შეფასდეს, ის მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული კონკრეტულ რელიგიასთან ან რწმენასთან. ერთ-ერთი მაგალითი შესაძლოა იყოს ღვთისმსახურება ან თაყვანისცემა, რომელიც წარმოადგენს რელიგიის ან რწმენის პრაქტიკის საყოველთაოდ აღიარებული ფორმის ნაწილს. მიუხედავად ამისა, რელიგიის ან რწმენის „გამოხატვა“ არ არის შეზღუდული მხოლოდ ამგვარი ქმედებებით; ქმედებასა და მითითებულ რწმენას შორის სათანადოდ ახლო და პირდაპირი კავშირის არსებობა უნდა დადგინდეს თითოეულ შემთხვევაში მოცემულ ფაქტებზე დაყრდნობით. კერძოდ, განმცხადებლები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კონკრეტული ქმედება მათი რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ექცევა, არ არიან ვალდებულნი ამტკიცონ, რომ ისინი მოცემული რელიგიით მათზე დაკისრებულ ვალდებულებებთან სრული შესაბამისობით მოქმედებდნენ (*S.A.S. v. France* [GC],

§ 55). მაგალითად, სასამართლომ, მოპასუხე ქვეყნის ისლამური თემის ოფიციალურ პოზიცი-
აზე დაყრდნობით, აღიარა, რომ მუსლიმი მამაკაცის სურვილი ეტარებინა სპეციალური ქუდი,
რაც არ წარმოადგენდა მკაცრ რელიგიურ ვალდებულებას, მაგრამ გააჩნდა ძლიერი ტრადი-
ციული საფუძვლები და მრავალი ადამიანისთვის რელიგიური ვალდებულების შესრულებად
ითვლებოდა, დაცული იყო მე-9 მუხლით (*Hamidović v. Bosnia and Herzegovina*, § 30).

78. ზოგჯერ, რელიგიის გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას, პირებმა მხედველო-
ბაში უნდა მიიღონ საკუთარი სპეციფიკური პროფესიული ან ხელშეკრულებით გათვალისწი-
ნებული მდგომარეობები (*X. v. the United Kingdom*, Commission decision of 12 March 1981;
Kalaç v. Turkey, § 27). მაგალითად, სასამართლომ აშკარად დაუსაბუთებლად მიიჩნია გან-
მცხადებლის სარჩელი, რომელსაც გაუუქმდა კერძო დაცვის სამსახურის საქმიანობის ლი-
ცენზია იმ საფუძვლით, რომ ის მანდარომის აუმიტთა თემის წევრი გახდა და ამის გამო აღარ
აკმაყოფილებდა შვეიცარიის კანონმდებლობით ამგვარი ლიცენზიის მოპოვებისთვის სჭირო
„პატიოსნების“ კრიტერიუმს. ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ ამ თემის ლი-
დერი საშიშ პიროვნებას წარმოადგენდა და, რომ მისი სწავლება აპოკალიფსის გარდაუვა-
ლობას უკავშირდებოდა, ასევე, დაადგინა, რომ ის ვალდებული იყო საკუთარი მიმდევრები
დაერწმუნებინა ჩაედინათ თვითმკვლელობა ან ძალადობა და შესაბამისად, ამგვარი ორგა-
ნიზაციის წევრისთვის დაცვის სამსახურის საქმიანობის ჩვეულებრივი საშუალებების შენარ-
ჩუნება წარმოადგენდა რისკს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებისთვის. სასა-
მართლომ, არსებითად, გაიზიარა ეროვნული სასამართლოების არგუმენტები და დაასკვნა,
რომ ჩარევა შეესაბამებოდა კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფს (*C.R. v. Switzerland*
(dec.)).

79. სასამართლო პრაქტიკის შემდგომი მიმოხილვა მოიცავს რელიგიის გამოხატვის თავისუფლების სხვადასხვა ფორმებს, რანგირებულს ყველაზე პირადი და ინტიმურიდან (ჯან-
მრთელობის საკითხებთან დაკავშირებული ფორმები) კოლექტიური და საჯარო გამოხატვის
ფორმების (კოლექტიური ღვთისმსახურების თავისუფლებასთან და ღვთისმსახურებისთვის
საჭირო ადგილების შექმნის უფლებასთან დაკავშირებული ფორმები) ჩათვლით.

2. რელიგიის თავისუფლება და ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები

80. სასამართლომ დაადგინა, რომ უარი *სისხლის გადასხმაზე*, როგორც იეჰოვას მოწმეთა
თავისუფალი გადაწყვეტილება, არსებითად, წარმოადგენს პირადი ავტონომიურობის სა-
კითხს და, როგორც ასეთი, დაცულია კონვენციის მე-8 და მე-9 მუხლებით. ამ საკითხთან და-
კავშირებით, სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნა რომ უარი სისხლის გადასხმაზე,
არ შეიძლებოდა გათანაბრებულიყო თვითმკვლელობასთან, რადგან, იეჰოვას მოწმეები, ზო-
გადად არ უარყოფენ სამედიცინო დახმარებას; სისხლის გადასხმა, წარმოადგენდა ერთა-
დერთ სამედიცინო პროცედურას, რომელსაც ისინი რელიგიური საფუძვლებით უარყოფდნენ.
მაშინაც კი, როდესაც პაციენტი უარს ამბობს სისხლის გადასხმაზე, რაც, სამედიცინო აზრის
თანახმად, შესაძლოა უკიდურესად აუცილებელი იყოს მისი სიცოცხლის გადასარჩენად ან
ემსახურებოდეს მისი ჯანმრთელობის გამოსწორებელი დაზიანების პრევენციას, სასამარ-
თლომ დაადგინა, რომ თავისუფლება, იმგვარად წარმართოს პირმა საკუთარი ცხოვრება,
როგორც მას სურს, ასევე, მოიცავს ისეთი ქმედებების თავისუფლებას, რომელიც შესაძლოა
გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის ფიზიკურად დამაზიანებელი ან სახიფათო იყოს. სა-
მედიცინო მომსახურების სფეროში, მაშინაც კი, როდესაც უარი კონკრეტულ პროცედურაზე
შესაძლოა ფატალურ შედეგს იწვევდეს, სამედიცინო პროცედურის განხორციელება გონებ-
რივად ჯანმრთელი და სრულწლოვანი პაციენტის თანხმობის გარეშე, გამოიწვევს ჩარევას
მის უფლებაში ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე და წინააღმდეგობაში მოვა მე-8 მუხლით დაცულ

უფლებებთან. ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი ეს არის ნამდვილი პერსონალური თავისუფლება, პაციენტებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა გააკეთონ არჩევანი საკუთარი მოსაზრებებისა და ღირებულებების შესაბამისად, მაშინაც კი თუ ეს არჩევანი სხვებისთვის არარაციონალურად, არაკეთილგონივრულად ან წინდაუხედავად გამოიყურება. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის განხილვის შედეგად, სასამართლომ დაადგინა, რომ ის სათანადოდ იცავდა, როგორც სრულწლოვანი პაციენტების არჩევანის თავისუფლებას, ასევე, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებს (სასამართლოებისთვის ძალაუფლების მინიჭებით, რათა მათ, ბავშვის სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, სამედიცინო მომსახურებაზე მშობლების წინააღმდეგობა დაეძლიათ). შესაბამისად, სისხლის გადასხმის აკრძალვა, რომელიც იეჰოვას მოწმეთა სწავლებაშია მოცემული, ვერ გამოდგება მათი ორგანიზაციის გაუქმების ან საქმიანობის აკრძალვის გასამართლებლად (*Jehovah's Witnesses of Moscow and Others v. Russia*, §§ 131-144).

81. რაც შეეხება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული პაციენტების რელიგიის თავისუფლებას, მათთვის დამახასიათებელი სუსტი და უძლური მდომარეობა, ითხოვს უფრო მეტ სიფრთხილეს იმის განხილვისას, დაცულია თუ არა მათ მიმართ კონვენციის და განსაკუთრებით, მე-9 მუხლის მოთხოვნები (*Mockutė v. Lithuania*, § 122). ცხადია, რომ ფსიქიატრიული მკურნალობა შესაძლოა ითხოვდეს ფსიქიატრის მხრიდან პაციენტთან სხვადასხვა, მათ შორის, რელიგიის საკითხების განხილვას. მიუხედავად ამისა, მიუღებელია, რომ ფსიქიატრი ზემოქმედებდეს პაციენტების რწმენაზე იმ მიზნით, რომ „შეასწოროს“ ის, როდესაც არ არსებობს იმის ცხადი და გარდაუვალი რისკი, რომ ეს რწმენა პაციენტის ან სხვებისთვის სახიფათო ქმედებებში გამოვლინდება (*Mockutė v. Lithuania*, § 129). შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა საქმეზე, რომელშიც ქალი, რომელიც ეწეოდა მედიტაციას ოშოს რელიგიურ მოძრაობაში, მწვავე ფსიქოზის დიაგნოზით იძულებით იქნა განთავსებული ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, სადაც 52 დღე დაჰყო, რა დროის განმავლობაშიც სამედიცინო პერსონალი ცდილობდა „შეესწორობინა“ მისი რწმენა ამ მრწამსის აგდებულად მოხსენიებით და მისი წაქეზებით, რომ მედიტაციისა და ოშოს მოძრაობის მიმართ კრიტიკული მიდგომები მიეღო. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლის ჰოსპიტალიზაცია, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, მეორე დღიდანვე უკანონო და დაუსაბუთებელი იყო, ამასთან, განმცხადებელი პრაქტიკულად ფსიქიატრებისადმი დაქვემდებარებული, მონყვლადი და მათ წინაშე უძლური იყო, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ქონდა მის რელიგიის თავისუფლებაში ჩარევას და, რომ ეს ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“ არ იყო (*Mockutė v. Lithuania*, §§ 107-131).

3. კვების წესების დაცვა

82. რელიგიით ან ფილოსოფიური სისტემით ნაკარნახევი კვების წესების დაცვა წარმოადგენს „პრაქტიკას“, რომელიც დაცულია კონვენციის მე-9 მუხლის 1-ლი პარაგრაფით (*Cha'are Shalom Ve Tzedek v. France* [GC], §§ 73-74; *Jakóbski v. Poland*). სასამართლომ ორ საქმეზე დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა იმის გამო, რომ ციხის ადმინისტრაციები უარს აცხადებდნენ ბუდისტური პატიმრების უხორცო საჭმელით უზრუნველყოფაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამის ორგანიზება ციხეებს ზედმეტ ტვირთად არ აწვევდათ (*იქვე; Vartic v. Romania* (no. 2)). უკანასკნელ საქმეში კი, განმცხადებელს შეეძლო ესარგებლა მხოლოდ იმ დიეტური კვებით, რომელიც გათვალისწინებული იყო ავადმყოფი პატიმრებისთვის და შეიცავდა ხორცს. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელს საკუთარი რელიგიის შესაბამისი საკვების მიღების ძალიან მცირე შესაძლებლობა ჰქონდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იუსტიციის მინისტრმა საკვები პროდუქტების ფოსტით მიღება აკრძალა (*იქვე*, §§ 47-50).

83. ამის საპირისპიროდ, კომისიამ არ მიიღო განაცხადი, რომელშიც განმცხადებელი, პატიმრობაში მყოფი ორთოდოქსი იუდაველი, ასაჩივრებდა, რომ ქოშერული საკვებით მისი რეგულარული უზრუნველყოფა არ ხდებოდა. კომისიამ აღნიშნა, რომ განმცხადებელს სთავაზობდნენ ვეგეტარიანულ ქოშერულ საკვებს, რის შესახებაც კონსულტაცია გაიარეს მთავარ რაბინთან, რომელმაც მოიწონა შესაბამისი ორგანოების მიერ განმცხადებლის რელიგიური უფლებების დაცვის მიზნით მიღებული ეს ზომები (*X. v. the United Kingdom*, Commission decision of 5 March 1976).

84. სასამართლომ, ასევე, არ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა, როგორც დამოუკიდებლად, ასევე, კონვენციის მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) კავშირში, საქმეზე, რომელშიც განმცხადებელი ასოციაცია, საფრანგეთის ულტრა-ორთოდოქსული იუდაური ლიტურგიკური ასოციაცია, რომლის წევრებიც სტანდარტული ქოშერის ნაცვლად, წესების მკაცრი დაცვით დაკლული საქონლის „სრულად ქოშერული“ (“glatt”) ხორცი კვების უფლებას მოითხოვდნენ, ასაჩივრებდა ეროვნული სახელმწიფო ორგანოების უარს საჭირო ნებართვის მინიჭებაზე, რაც მის შესაბამის წევრებს ცხოველების აუცილებელი რიტუალური წესით დაკვლის უფლებას მისცემდა, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ნებართვა მინიჭებული ჰქონდა პარიზის იუდაველთა კონსისტორიულ ასოციაციას, რომელსაც საფრანგეთში მცხოვრები ებრაელების უმეტესობა მიეკუთვნებოდა. აღნიშნა რა, რომ განმცხადებელი ასოციაცია ადვილად შეძლებდა „სრულად ქოშერული“ (“glatt”) ხორციით მომარაგებას ბელგიიდან და, რომ კონსისტორიული ასოციაციის კონტროლის ქვეშ მოქმედი რიგი საყასბო მაღაზიები ებრაელებს სათანადოდ სერთიფიცირებული „სრულად ქოშერული“ (“glatt”) ხორციით უზრუნველყოფდნენ, სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული უარი ნებართვაზე, არ წარმოადგენდა განმცხადებელი ასოციაციის რელიგიის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას. მან, ასევე, განმარტა, რომ, რამდენადაც განმცხადებელ ასოციაციას და მის წევრებს ამგვარი ხორცის შოვნა ისედაც შეეძლოთ, კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული რელიგიის თავისუფლების უფლება ვერ განიცხადებოდა ცხოველთა რიტუალურ დაკვლაში პერსონალური მონაწილეობის და შესაბამისი ნებართვის მოპოვების უფლებამდე (*Cha'are Shalom Ve Tsedek v. France* [GC], § 82).

4. რელიგიური სამოსისა და სიმბოლოების ტარება

85. ჯანსაღი დემოკრატიული საზოგადოება უნდა შეინყნარებდეს და მხარს უჭერდეს რელიგიურ სფეროში პლურალიზმსა და მრავალფეროვნებას. გარდა ამისა, პირს, რომელმაც რელიგია საკუთარი ცხოვრების ცენტრალურ საფუძვლად აქცია, არსებითად, უნდა შეეძლოს სხვებთან ურთიერთობა ამ რწმენით, მათ შორის, რელიგიური სიმბოლოებისა და სამოსის ტარების გზით (*Eweida and Others v. the United Kingdom*, § 94). ამგვარი სიმბოლოს ან სამოსის ტარება, რომელიც პირის რწმენით არის მოტივირებული და ამ პირის სურვილი ატაროს საკუთარი მრწამსის მოწმობა, წარმოადგენს მისი რელიგიური რწმენის გამოხატვას, ღვთისმსახურების, პრაქტიკისა და რიტუალების აღსრულების ფორმით და, ამდენად, დაცულია მე-9 მუხლის 1-ლი პარაგრაფით (*იქვე*, § 89). მაგალითად, სასამართლომ ერთხმად აღიარა, რომ მუსლიმი მამაკაცის სურვილი ეტარებინა სპეციალური ქუდი, რაც არ წარმოადგენდა მკაცრ რელიგიურ ვალდებულებას, მაგრამ იმდენად ძლიერი ტრადიციული საფუძვლები გააჩნდა, რომ ადამიანთა უმრავლესობისთვის რელიგიური ვალდებულების შესრულებად ითვლებოდა, დაცული იყო მე-9 მუხლით (*Hamidović v. Bosnia and Herzegovina*, § 30).

86. მიუხედავად ამისა, რელიგიური სამოსისა და სიმბოლოების ტარების უფლება აბსოლუტური უფლება არ არის და ის უნდა ბალანსდებოდეს სხვა ფიზიკური პირებისა და სამართლის სუბიექტების ლეგიტიმურ ინტერესებთან მიმართებით. სასამართლოს ამჟამინდელი პრეცე-

დენტული სამართალი, ამ სფეროში, ოთხ განსხვავებულ სივრცეს მოიცავს: a) საჯარო სივრცე; b) სკოლები და უნივერსიტეტები; c) სამოქალაქო და საჯარო სამსახურები და d) სამუშაო ადგილი.

87. უპირველეს ყოვლისა, პირველ საკითხთან - *საჯარო სივრცეში* რელიგიური სამოსისა და სიმბოლოების ტარებასთან, დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა, გამომდინარე, იქიდან, რომ განმცხადებლების, რელიგიური ჯგუფის - *“Aczimendi tarikati”* - წევრების, მიმართ დადგა სისხლის სამართლებრივი მსჯავრი, იმ საფუძველით, რომ თურქეთის კანონმდებლობა კრძალავს განსაზღვრული ტიპის რელიგიური სამოსის ტარებას ყველასთვის ღია საჯარო ადგილებში, როდესაც ეს არ ხდება რელიგიური ცერემონიების ფარგლებში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აკრძალულ სამოსს წარმოადგენდა შავი ჩალმა, შავი მოკლე ტოტებიანი შარვალი და შავი ტუნიკა, ასევე, ხელჯოხი (კვერთხი). საქმის გარემოებებისა და ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ტექსტების გათვალისწინებით, ასევე, თურქეთში დემოკრატიული სისტემისთვის სეკულარიზმის პრინციპის მნიშვნელობის მხედველობაში მიღებით, სასამართლომ აღიარა, რომ, რამდენადაც მოცემული ჩარევა შესაბამისობაში იყო სეკულარულ და დემოკრატიულ პრინციპებთან, ის ემსახურებოდა მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფში ჩამოთვლილ რამდენიმე ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგისა და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ მიზნების მისაღწევად მოცემული ზომების მიღების აუცილებლობა დადგენილი არ იყო. მან აღნიშნა, რომ აკრძალვა მიმართული იყო არა საჯარო მოხელეების მიმართ, რომლებსაც მოეთხოვებათ შესაბამისი პასუხისმგებლობის გამოვლენა, არამედ, ჩვეულებრივი მოქალაქეების მიმართ და, რომ ამ სამოსის ტარება ხდებოდა არა სპეციფიკურ საჯარო დაწესებულებებში, არამედ, უბრალოდ საჯარო სივრცეში. გარდა ამისა, საქმის მასალებიდან არ ჩანდა, რომ განმცხადებლები - რომლებიც ამგვარი სამოსით მეჩეთის გარეთ იმ ერთადერთი მიზნით იყვნენ შეკრებილი, რომ რელიგიურ ცერემონიაში მიეღოთ მონაწილეობა - ამ სპეციფიკური სამოსის საშუალებით ახორციელებდნენ რწმენის იმგვარ გამოხატვას, რომელიც წარმოადგენდა ან შესაძლოა წარმოედგინა საფრთხე საზოგადოებრივი წესრიგისთვის ან რომელიც ზემოქმედებას მოახდენდა სხვა პირებზე. და ბოლოს, თურქეთის მთავრობის იმ არგუმენტის საპასუხოდ, რომლის თანახმადაც განმცხადებლებს შესაძლოა განეხორციელებინათ პროზელიტიზმი, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებში ვერ აღმოაჩინა მტკიცებულება, რომელიც წარმოაჩენდა, რომ ისინი, საკუთარი რელიგიური მრწამსის გავრცელების მიზნით, საჯარო სივრცეებსა და ქუჩებში გამვლელებზე უკანონო ზემოქმედების მოხდენას ცდილობდნენ (*Ahmet Arslan and Others v. Turkey*).

88. ამის საპირისპიროდ, სასამართლომ არ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა საქმეზე საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელიც ეხებოდა სასჯელის განმსაზღვრელი კანონის მიღებას საჯარო სივრცეში ისეთი სამოსის ტარებისთვის, რომელიც ფარავდა სახეს (და, შესაბამისად მოიცავდა ბურქასა და ნიქაბს). ამგვარი ქმედება ისჯებოდა ჯარიმით და/ან მოქალაქეობის სავალდებულო კურსის გავლით. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ საქმეს, საქმისგან - *Ahmet Arslan and Others v. Turkey*, განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სახის სრულად დამფარავ მუსლიმურ თავსაბურავს, გააჩნდა ის განსაკუთრებულობა, რომ ფარავდა ადამიანის მთელ სახეს, გარდა თვალებისა, შესაძლო გამონაკლისის შემთხვევაში. სწორედ აქედან გამომდინარე, ფრანგულ საქმეში მოცემული აკრძალვა არ ეფუძნებოდა ამ სამოსის საკუთრივ რელიგიურ კონტაქციას. სასამართლომ აღიარა მოპასუხე მთავრობის არგუმენტის ლეგიტიმურობა, რომლის თანახმადაც, სახე ადამიანთა შორის ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და, რომ ყველასთვის ღია საჯარო ადგილებში მყოფ პირებს შესაძლოა არ სურდეთ იხილონ ისეთი მოქმედებები ან დამოკიდებულებები, რომლებიც ფუნდამენტური კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ღია პიროვნებათაშორის ურთიერთობებს, რაც, საყოველთაო

თანხმობით, ამ საზოგადოებაში საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. შესაბამისად, სასამართლო დაეთანხმა, რომ ბარიერი, რომელიც სახის დამფარავი თავსაბურავის ტარებით სხვებთან მიმართებით აღიმართება, მოპასუხე სახელმწიფოს მიერ სოციალიზაციის სივრცეში, რომელიც თანაცხოვრებას აიოლებს, სხვათა უფლებების დარღვევად იქნა მიჩნეულ; სხვა სიტყვებით, სახელმწიფომ შესაძლოა არსებითად მიიჩნიოს ამ კონტექსტში პიროვნებებს შორის ურთიერთობებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება და ჩათვალოს, რომ მასზე ხელისშემშლელ ზეგაღწეას ახდენს ის ფაქტი, რომ ზოგი ადამიანი საჭარო სივრცეში საკუთარ სახეს ფარავს. მიუხედავად იმისა, რომ გამოითქვა ეჭვები საჭირო იყო თუ არა ამ პრობლემის გადაჭრა სრული აკრძალვით (რაც ქალების მხოლოდ მცირე რაოდენობას შეეხებოდა) და გამოიხატა შემფოთება იმ რისკის შესახებ, რომელიც ამ ქალების სოციალურ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენებში მდგომარეობდა, რომელთაც შესაძლოა თავი იზოლირებულად ეგრძნოთ, სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს არ დაურღვევია შეფასების თავისუფლების ფარგლები, განსაკუთრებით, დაწესებული სასჯელების სიმსუბუქის გათვალისწინებით (*S.A.S. v. France* [GC]). ამავე მიზეზებით, სასამართლო მივიდა მსგავს დასკვნამდე კიდევ ორ საქმეში ბელგიის წინააღმდეგ, ადგილობრივ და ფედერალურ კანონებთან დაკავშირებით, რომლებიც ძალიან გავდა ფრანგულ კანონმდებლობას, მიუხედავად იმისა, რომ ბელგიური კანონმდებლობით დაწესებული სასჯელები გაცილებით მძიმე იყო (*Dakir v. Belgium; Belcacemi et Oussar v. Belgium*).

89. კონვენციის ორგანოები ყოველთვის უარს აცხადებდნენ განეხილათ ის სასარჩელო მოთხოვნები, რომელთა არსებითი ნაწილი, *უსაფრთხოების მიზნით*, რელიგიასთან ასოცირებულ სამოსზე სავალდებულო და დროებით უარის თქმას ეხებოდა. მაგალითად, მათ არ მიიღეს განაცხადები, რომლებიც ეხებოდა:

- სიქჰიზმის მიმდევრის დაჯარიმებას, რომელიც მოტოციკლისთვის სავალდებულო დამცავი ჩაფხუტის ტარების ვალდებულებას არღვევდა; განმცხადებელი მიუთითებდა, რომ მისი რელიგია მოითხოვდა ჩალმის მუდმივ ტარებას, რაც შეუძლებელს ხდიდა ჩაფხუტის დაფარებას (*X. v. the United Kingdom*, Commission decision of 12 July 1978);
- სიქჰიზმის მიმდევრის ვალდებულებას აეროპორტის გასაფრენ განყოფილებაში შესვლის წინ სკანერში გავლისას მოეხადა ჩალმა (*Phull v. France* (dec.));
- ქალი განმცხადებლის ვალდებულებას, რომელიც მაროკოში საფრანგეთის გენერალურ საკონსულოს ვიზის მიღების თხოვნით მიმართავდა, იდენტიფიცირების მიზნით მოეხსნა თავსაბურავი; მას შემდეგ, რაც მან ამაზე უარი განაცხადა, ის არ შეუშვეს საკონსულოში და შესაბამისად, მან ვერ შეძლო ვიზის მიღება. სასამართლომ არ მიიღო განმცხადებლის არგუმენტი, რომ ის მზად იყო მოეხსნა თავსაბურავი, მაგრამ, მხოლოდ ქალების თანდასწრებით; სასამართლომ მიიჩნია, რომ ის ფაქტი, რომ საფრანგეთის საკონსულოს წარმომადგენლებმა არ დანიშნეს ქალი ოფიცერი, რომელიც განმცხადებლის იდენტიფიკაციის პროცედურას ჩაატარებდა, ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს შეფასების თავისუფლების ფარგლებს არ არღვევდა (*El Morsli v. France* (dec.));
- ვალდებულებას, რომლის თანახმადაც ოფიციალური დოკუმენტებისთვის გათვალისწინებულ ფორმებზე პირი თავდაუბურავი უნდა ყოფილიყო გადაღებული, უფრო კონკრეტულად, ვალდებულებას, რომელიც დაუნესდა მუსლიმ სტუდენტს უნივერსიტეტის დიპლომის მიღების მიზნით, თავდაუბურავად გადაღებული ფოტო წარმოედგინა (*Karaduman v. Turkey*, Commission decision; *Araç v. Turkey* (dec.));
- ვალდებულებას, რომლის თანახმადაც ოფიციალური დოკუმენტებისთვის გათვა-

ლისწინებულ ფოტოებზე პირი თავდაპირველი უნდა ყოფილიყო გადაღებული, უფრო კონკრეტულად, შესაბამისი ორგანოების უარს სიქჰი განმცხადებლის მიერ წარდგენილი ფოტოების მიღებაზე, რომლებზეც მას ჩალმა ეხურა (*Mann Singh v. France* (dec.)).

90. რაც შეეხება მეორე საკითხს - სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური სიმბოლოებისა და სამოსის ტარებას, სასამართლო ყოველთვის ხაზს უსვავს იმ გარემოებას, რომ ამ სფეროში სახელმწიფოები შეფასების თავისუფლების ძალიან ვიწრო ფარგლებით სარგებლობენ. საზოგადოებაში რელიგიის მნიშვნელობის შესახებ ევროპის მასშტაბით უნივერსალური კონცეფციის გამორჩევა შეუძლებელია, ხოლო რელიგიური რწმენის საჯარო გამოხატვის შინაარსი ან მისი გავლენა შესაძლოა განსხვავდებოდეს დროის და კონტექსტის მიხედვით. შესაბამისად, ამ სფეროში არსებული რეგულაციებით ქვეყნები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მათი ეროვნული ტრადიციებისა და იმ მოთხოვნათა მიხედვით, რომლებიც სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის საჭიროებისთვისაა დადგენილი. აქედან გამომდინარე, ამ რეგულაციების ხარისხისა და ფორმების შერჩევის უფლება, გარდაუვლად უნდა ენიჭებოდეს შესაბამის სახელმწიფოს, გარკვეულ დონემდე, რამდენადაც ის განსაკუთრებულ ეროვნულ კონტექსტზე იქნება დამოკიდებული (*Leyla Şahin v. Turkey* [GC], § 109). საქმეები, რომლებიც განხილულ იქნა სასამართლოს მიერ, ამ თვალსაზრისით, ორ კატეგორიად არის ჩამოყალიბებული, იმის მიხედვით, განმცხადებელი, რომელიც რელიგიური სამოსის ტარებას ითხოვდა, იყო მასწავლებელი თუ სტუდენტი (მოსწავლე).

91. მასწავლებლებთან დაკავშირებით, სასამართლომ მასწავლებლის უფლება საკუთარი რელიგიის გამოხატვაზე დააბაღანსა სახელმწიფო განათლების სისტემის ნეიტრალურობასა და ინტერრელიგიური ჰარმონიის უზრუნველყოფით სტუდენტის ლეგიტიმური ინტერესების დაცვასთან. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ლეგიტიმურია საჯარო მოხელეებისთვის, მათი სტატუსის გათვალისწინებით, საჯაროდ საკუთარი რელიგიური მრწამსის გამოხატვისგან თავშეკავების ვალდებულების დანეხება, საჯარო მოხელეები, ამავდროულად, არიან პიროვნებები და, როგორც ასეთი, ექცევიან კონვენციის მე-9 მუხლის დაცვის ქვეშ. სწორედ ამიტომ, სასამართლო ვალდებულია, კონკრეტული საქმეების გარემოებათა გათვალისწინებით, განმარტოს დაცულია თუ არა სამართლიანი ბალანსი პიროვნების რელიგიის თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებასა და დემოკრატიული სახელმწიფოს ლეგიტიმურ ინტერესს შორის, რათა უზრუნველყოფილ იქნას საჯარო სამსახურის მიერ მე-9 მუხლის მე-2 §-ში ჩამოთვლილი მიზნების ხელშეწყობა (*Kurtulmuş v. Turkey* (dec.)). ამ მხრივ, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სახელმწიფო სკოლის მასწავლებელთა პროფესიის არსებითი ხასიათი, რომლებიც, ერთდროულად, არიან საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მონაწილენიც და სახელმწიფოს წარმომადგენლებიც მათი მოსწავლეების წინაშე და ის სავარაუდო პრობელიტიზმის ეფექტი, რაც შესაძლოა მათ მიერ რელიგიური სამოსისა და სიმბოლოების ტარებამ იქონიოს მოსწავლეებზე. გარდა ამისა, მოსწავლის ასაკი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნას, რამდენადაც უმცროსი ასაკის ბავშვები ინტერესდებიან უამრავი რამით და ამასთან, უფროსი ასაკის მოსწავლეებთან შედარებით, ადვილად ექცევიან გავლენის ქვეშ (*Dahlab v. Switzerland* (dec.)).

92. ამ ლოგიკაზე დაყრდნობით, სასამართლო აღიარებს რომ სახელმწიფოს აქვს შეფასების თავისუფლების ვრცელი ფარგლები და აშკარად დაუსაბუთებლად მიიჩნევს განაცხადებს, რომლებიც შეეხება:

- სახელმწიფო სკოლის მასწავლებლისთვის, რომელიც პასუხისმგებელია უმცროსი ასაკის (ოთხიდან რვა წლამდე) ბავშვებზე, ისლამური თავსაბურავის ტარების

აკრძალვას პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებისას. სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ ისლამური თავსაბურავის ტარება, წარმოადგენს რა „ძლიერ გარეგან სიმბოლოს“, რთულად შესათავსებელია შემწყნარებლობის, სხვათა პატივისცემისა და ყველზე მეტად, თანასწორობისა და არადისკრიმინაციულობის გზავნილთან, რომელსაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ყველა მასწავლებელი უნდა აწვდიდეს საკუთარ მოსწავლეებს. გარდა ამისა, სასამართლომ უარყო განმცხადებლების პრეტენზია, რომ სადავო ზომა, წარმოადგენდა დისკრიმინაციას სქესის მიხედვით (კონვენციის მე-14 მუხლი), რამდენადაც, ეს ზომა, მსგავს გარემოებებში, შესაძლოა, ასევე, მიღებული ყოფილიყო მამაკაცის მიმართ, თუკი ის ჩაიცვამდა სამოსს, რომელიც ცხადად წარმოაჩენდა, რომ ის განსხვავებული რწმენის მიმდევარი იყო (*Dahlab v. Switzerland* (dec.));

- განმცხადებლისთვის, თურქეთის ერთ-ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორისთვის, პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების პერიოდში ისლამური თავსაბურავის ტარების გამო დაკისრებულ დისციპლინური სასჯელს, იმ საფუძვლით, რომ ის არღვევდა საჯარო მოხელეთათვის დადგენილ ჩაცმის წესებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს უფლება აქვს საკუთარი საჯარო მოხელეებისგან მოითხოვოს იმ კონსტიტუციური პრინციპების დაცვა, რომელთა საფუძველზეც ის არის ჩამოყალიბებული; სეკულარიზმის პრინციპი თურქეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნდამენტია; შესაბამისად, განმცხადებელს, პირს, რომელიც იმყოფება უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში და წარმოადგენს სახელმწიფოს და, რომელმაც საჯარო მოხელის სტატუსი საკუთარი თავისუფალი ნებით მიიღო, უნდა გააჩნდეს იმ წესების შესრულების მოლოდინი, რომელთა თანახმადაც, მას მოეთხოვება თავი შეიკავოს საკუთარი რელიგიური რწმენის დემონსტრაციული ფორმით საჯაროდ გამოხატვისგან. გარდა ამისა, სასამართლომ უარყო განმცხადებლების პრეტენზია, რომ სადავო ზომა, წარმოადგენდა დისკრიმინაციას, ორივე საფუძვლით, სქესის და რელიგიური კუთვნილების მიხედვით (კონვენციის მე-14 მუხლი), რამდენადაც, უნივერსიტეტის მამაკაც თანამშრომლებს, ასევე, მოეთხოვებოდათ იმ წესების დაცვა, რომლებიც მათგან საკუთარი რელიგიური რწმენის დემონსტრაციული ფორმით გამოხატვისგან თავის შეკავებას მოითხოვენ (*Kurtulmuş v. Turkey* (dec.); ასევე, იხ., მსგავსი საქმე, რომელიც ეხებოდა ქალი მასწავლებლის გათავისუფლებას “Imam-Hatip”-ის საშუალო სკოლიდან, *Karaduman v. Turkey* (dec.)).

93. *მოსწავლეებთან და სტუდენტებთან* დაკავშირებით, სასამართლომ არ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა ან აშკარად დაუსაბუთებლად ცნო განაცხადები, შემდეგ საქმეებზე:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, თურქეთის ერთ-ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტისთვის, სასწავლო პროცესის დროს მუსლიმური თავსაბურავის ტარების აკრძალვას. თურქეთის ისტორიული თავისებურებებისა და მისი განსაკუთრებული კონსტიტუციური სისტემის გათვალისწინებით, სასამართლომ ლეგიტიმურად ცნო შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ სეკულარიზმის პრინციპის, თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, თურქეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის, დაცვის მიზნით განეული ძალისხმევა. სასამართლომ სეკულარიზმის ეს მნიშვნელობა კონვენციის საფუძვლადმდებარე ღირებულებებთან შესაბამისად და კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის დაცვის ღირებულებებთან თავსებადად მიიჩნია. იმის დადგენისას, რომ მე-9 მუხლი არ დარღვეულა, სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მსჯელობებს: თურქეთის კონსტიტუციური სისტემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გენდერულ თანასწორობას, რომელიც წარმოადგენს კონვენციის ერთ-ერთ ფუნდა-

მენტურ საფუძვლადმდებარე პრინციპს და მიზანს, რომლისკენაც ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები მიისწრაფვიან; ისლამური თავსაბურავის საკითხი, თურქეთის კონტექსტში, ვერ შეფასდება იმ პოტენციური ზეგავლენის გათვალისწინების გარეშე, რაც ამ სიმბოლოს აქვს, როგორც პირდაპირ ან ირიბად აღქმულ რელიგიურ ვალდებულებას, იმ პირთა მიმართ, ვინც მას არ ატარებს; თურქეთის სასამართლოების თანახმად, მათ ქვეყანაში, თავსაბურავის ტარებას პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს; თურქეთში არის ექსტრემისტული მოძრაობები, რომლებიც ცდილობენ მთელ საზოგადოებას თავს მოახვიონ საკუთარი რელიგიური სიმბოლოები და რელიგიურ მოძღვრებებზე დაფუძნებული საზოგადოების კონცეფცია. ამგვარი ფონის საწინააღმდეგოდ, გასაჩივრებული რეგულაციები, წარმოადგენენ ზომებს, რომლებიც აღწევენ ზემოთ აღნიშნულ ლეგიტიმურ მიზნებს და ამ გზით, იცავენ პლურალიზმს უნივერსიტეტში (*Leyla Şahin v. Turkey* [GC]);

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, *“İmam-Hatip”-ის* საშუალო სკოლების (თურქეთის სახელმწიფო საბიუჯეტო რელიგიური საშუალო სკოლები) მოსწავლეებისთვის თავსაბურავის ტარების აკრძალვას, გარდა ყურანის გაკვეთილებისა და იმ მოსწავლეების გაკვეთილებიდან დათხოვნას, ვინც ამ თავსაბურავს ატარებდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ თურქეთის მიერ დადგენილი შესაბამისი რეგულაციები ყველა საშუალო სკოლის მოსწავლისგან მოითხოვდა სასკოლო უნიფორმის ტარებასა და სკოლაში თავდაპირველი სიარულს; *“İmam-Hatip”-ის* სკოლებში არსებობდა ერთი გამონაკლისი, რომლის თანახმადაც გოგონებს შეეძლოთ ეტარებინათ თავსაბურავი ყურანის გაკვეთილებზე. შესაბამისად, გასაჩივრებული რეგულაციები შეიცავდა ზოგადი ხასიათის დებულებებს, რომლებიც გამოიყენებოდა ყველა მოსწავლის მიმართ, განურჩევლად მათი რელიგიური მრწამსისა; ეს დებულებები ემსახურებოდა იმ მოზარდების მიმართ საშუალო განათლების ნეიტრალურობის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს, რომლებიც შესაძლოა ზენოლის რისკის ქვეშ მოქცეულიყვნენ (*Köse and Others v. Turkey* (dec.));
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, საფრანგეთის სახელმწიფო სკოლებში ფიზკულტურისა და სპორტის გაკვეთილებზე მოსწავლეებისთვის თავსაბურავის ტარების დაშვებაზე უარს და შესაბამისად, სკოლიდან მათ დათხოვნას სკოლის საგალდებულო წესებთან შეუსაბამობის გამო. საფრანგეთის სეკულარული მოდელის კონვენციის საფუძვლადმდებარე ღირებულებებთან შესაბამისობის აღიარებისას, სასამართლომ გაითვალისწინა ეროვნული სასამართლო პრაქტიკა, რომლიდანაც გამომდინარეობდა, რომ რელიგიური სიმბოლოების ტარება, ჩვეულებრივ, შეუთავსებელი არ იყო სკოლებში სეკულარიზმის პრინციპთან, მაგრამ შეუთავსებლად იქცა იმ გარემოებების გამო, რა გარემოებებშიც მათი ტარება ხდებოდა და, ასევე, ამ სიმბოლოების ტარების შესაძლო შედეგების გათვალისწინებით. სასამართლომ აღიარა, რომ უსაფუძვლო არ იყო იმის მხედველობაში მიღება, რომ ისლამური თავსაბურავის მსგავსი საბურველის ტარება სპორტის დროს შეუთავსებელი იყო ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლების წინააღმდეგ გამოყენებული დისციპლინური წარმოება სრულად აკმაყოფილებდა ყველა კონკურენტ ინტერესს შორის ბალანსის დაცვის ვალდებულებას. შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფოს არ დაურღვევია შეფასების თავისუფლების ფარგლები (*Dogru v. France; Kervanci v. France*);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, საფრანგეთში დაწყებითი და საშუალო სკოლების მოსწავლეებისთვის „საკუთარი რელიგიური კუთვნილების დემონსტრაციული ფორმით გამოშხატველი სიმბოლოებისა და სამოსის“ ტარების აკრძალვას, რომელიც იყო ზოგადი სახის აკრძალვა და არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ფიზკულტურისა და

სპორტის გაკვეთილებით და, შესაბამისად, იმ მოსწავლეების სკოლიდან დათხოვნას, რომლებიც სკოლაში ისლამურ თავსაბურავს ან სიქების ჩალმას ატარებდნენ. სასამართლომ ჩათვალა, რომ სეკულარიზმის კონსტიტუციური პრინციპის დაცვის მიზანი, რომელიც შეესაბამებოდა კონვენციის საფუძვლადმდებარე ღირებულებებს, გასაჩივრებული ზომების დადგენისთვის სათანადო საფუძველს წარმოადგენდა. გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ დამრიგებლის გადაწყვეტილება, რომელმაც უფლება არ მისცა მუსლიმ მოსწავლეებს ეტარებინათ თავსაბურავები და ამის გამო ისინი საკლასო ოთახში არ შეუშვა ან მოსთხოვა თავსაბურავები რელიგიური დატვირთვის არ მქონე „კეპებით“ ან „ბენდენებით“ ჩანაცვლებათ ან უფლება მისცა სიქ მოსწავლეებს მათი ჩალმები (“turbans”) მცირე ზომის ჩალმებით (“keski”) ჩაენაცვლებინათ, არ ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-9 მუხლს, რადგან ის სრულიად თავსდებოდა სახელმწიფოს შეფასების თავისუფლების ფარგლებში (*Gamaleddyn v. France* (dec.); *Aktas v. France* (dec.); *Ranjit Singh v. France* (dec.); *Jasvir Singh v. France* (dec.)).

94. მესამე საკითხი შეეხება რელიგიური სიმბოლოებისა და სამოსის ტარებას სახელმწიფო დაწესებულებებში (სამინისტროები, სასამართლოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებები და ა.შ.), გარდა სკოლებისა. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ მიერ განხილული საქმეები შესაძლოა ორ კატეგორიად დაიყოს, იმის მიხედვით, საქმე სახელმწიფო მოხელეებს შეეხებათ თუ სახელმწიფო მომსახურების მიმღებ პირებს.

95. უპირველეს ყოვლისა, რაც შეეხება, *სახელმწიფო მომსახურების მიმღებ პირებს (users)*, ტერმინი „მომსახურების მიმღები პირი“ გაგებულ უნდა იქნას მისი ყველაზე უფრო ფართო მნიშვნელობით, რაც მოიცავს ნებისმიერ პირს, რომელსაც სახელმწიფო მომსახურებასთან შეხება (ნებაყოფლობითი, აუცილებელი ან სავალდებულო) აქვს, როგორც კერძო პირს. სახელმწიფო მოხელეებისგან განსხვავებით, მომსახურების მიმღები პირები სახელმწიფო მომსახურების განევისას არ წარმოადგენენ სახელმწიფოს და შესაბამისად, არ არიან შეზღუდული საჯაროდ საკუთარი რელიგიური მრწამსის გამოხატვის თავისუფლებაში (*Ebrahimian v. France*, § 64; *Lachiri c. Belgique*, § 44). ამ მხრივ, ზოგადი წესი მდგომარეობს იმაში, რომ მომსახურების მიმღები პირი თავისუფალია საკუთარი რელიგიური მრწამსის გამოხატვაში, იქნება ეს სახელმწიფო შენობების შიგნით თუ საჯარო მოხელეებთან ურთიერთობისას.

96. თუმცა, ეს თავისუფლება აბსოლუტური არ არის. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა სასამართლო, სამუშაო ადგილისგან განსხვავებით, ნაწილობრივ წარმოადგენს „საჯარო სივრცეს“, ის მაინც ვერ ჩაითვლება საჯარო სივრცედ იმ გაგებით, როგორც ქუჩა, გზა ან საზოგადოებრივი მოედანი. სასამართლო არის „საჯარო“ დაწესებულება, რომელშიც მრწამსთა მიმართ ნეიტრალურობის დაცვა შესაძლოა აღემატებოდეს რელიგიის გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის უფლებას (*Lachiri c. Belgique*, § 45). შესაბამისად, სასამართლომ, როგორც ზოგადი, ასევე, თეორიული ფორმით, აღიარა, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლომ შესაძლოა მოწმეს მოსთხოვოს სასამართლო დარბაზში რელიგიური სიმბოლოს მოხსნა (*Hamidović v. Bosnia and Herzegovina*, § 41). თუმცა, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლიდ დარღვევა საქმეზე, რომელიც ეხებოდა ისლამის ვაჰაბიტური/სალაფიტური მიმდინარეობის ჯგუფის წევრ ბოსნიელ მამაკაცს, რომელიც დაჯარიმდა იმის გამო, რომ უარი თქვა სასამართლო დარბაზში მოეხადა სპეციალური ქუდი ტერორიზმის საქმეზე დაკითხვისას. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია მისთვის მინიჭებული შეფასების თავისუფლების ვრცელი ფარგლები, შემდეგი მიზეზების გამო: განმცხადებელი იყო კერძო პირი და არა საჯარო მოხელე; მას ჩვენების მიცემა უწევდა სასჯელის შიშით; მისი ქცევა ცხადად იყო შთაგონებული მისი გულწრფელი რელიგიური

რწმენით, რომ მას სპეციალური ქუდი მუდმივად უნდა ეტარებინა; მას არ ჰქონდა სასამართლოს შეურაცხყოფის ან დაცინვის ფარული განზრახვა; და ბოლოს, ბრალდებული პირებისგან განსხვავებით, რომლებიც, ასევე, სალაფიტები იყვნენ, განმცხადებელი გამოცხადდა სასამართლოში და ფეხზე წამოდგა, როდესაც ეს სასამართლო მოითხოვა, რითაც მან აჩვენა, რომ პატივს სცემდა სახელმწიფო კანონმდებლობასა და სასამართლოს (*Hamidović v. Bosnia and Herzegovina*). მსგავსად, სასამართლომ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა საქმეზე, რომელიც ეხებოდა სასამართლო დავის მონაწილე მუსლიმი ქალის გაძევებას სასამართლო დარბაზიდან იმის გამო, რომ მან უარი განაცხადა თავსაბურავის მოხდაზე. როგორც წინა საქმეში, სასამართლომ ამ შემთხვევაშიც აღიარა, რომ განმცხადებლის მხრიდან ადგილი არ ჰქონია სასამართლოს მიმართ უპატივცემულობას ან არასათანადო ქცევას (*Lachiri c. Belgique*).

97. სახელმწიფო მომსახურების მიმღები პირების რელიგიის გამოხატვის თავისუფლება, პრინციპში, შესაძლოა, ასევე, დაექვემდებაროს შეზღუდვებს სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების ფარგლებში. თუმცა, პაციენტები და მომსახურების მიმღები სხვა პირები თავისუფლები არიან საკუთარი რელიგიური რწმენის გამოხატვაში, მათ მაინც შეიძლება მოეთხოვოთ სეკულარიზმის პრინციპის განხორციელებაში დახმარების განწევა, პროზელიტიზმის ნებისმიერი ფორმისგან თავის შეკავების და სამედიცინო მომსახურების ორგანიზების წესის პატივისცემის, განსაკუთრებით, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რეგულაციების დაცვის გზით. სხვა სიტყვებით, სახელმწიფოს მიერ დადგენილი რეგულაციები, შესაძლოა უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებდეს სხვათა უფლებებს, პაციენტების მიმართ თანასწორ მოპყრობას და მომსახურების სათანადო ფუნქციონირებას, ვიდრე რელიგიური რწმენის გამოხატვას (*Ebrahimian v. France*, § 71).

98. სახელმწიფო მომსახურების განწევისას *სახელმწიფო მოხელეების* (საჯარო მოხელეებისა და ხელშეკრულებით დასაქმებული პირების) მდგომარეობა არსებითად განსხვავებულია. სახელმწიფოებს შეუძლიათ დაეყრდნონ სახელმწიფოს სეკულარიზმისა და ნეიტრალურობის პრინციპებს, იმ მიზნით, რომ საჯარო მოხელეებისთვის სამსახურში რელიგიური სიმბოლოების ტარებაზე შეზღუდვების დაწესება გაამართლონ. სასამართლომ „ლეგიტიმურ მიზნად“ აღიარა სახელმწიფოს სურვილი - უზრუნველყო მკაცრი რელიგიური ნეიტრალიტეტი იმ მიზნით, რომ დაეცვა სახელმწიფო მომსახურების მიმღები პირების უფლებები და ინტერესები, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ეს უკანასკნელნი მოწყვლად მდგომარეობაში იყვნენ. ამის მიზანი, იმ პირთა რელიგიური რწმენებისა და სასულიერო ორიენტაციების პატივისცემაა, რომლებიც სახელმწიფო მომსახურებით სარგებლობენ და სახელმწიფო მოხელეებზე დაკისრებული რელიგიური ნეიტრალიტეტის სუბიექტებს წარმოადგენენ; სწორედ ამიტომ, სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ მომსახურების მიმღები ყველა პირი, რელიგიის ნიშნით განსხვავების მიუხედავად, თანასწორი მოპყრობით სარგებლობდეს. შესაბამისად, განმცხადებლების რელიგიური რწმენის გამოხატვაზე დაწესებული აკრძალვა, იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი საკუთარ მოვალეობებს ასრულებენ, ემსახურება „სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზანს, კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 §-ის მნიშვნელობით (*Ebrahimian v. France*, § 53). კერძოდ, როდესაც კონსტიტუციური სისტემა სახელმწიფოს ურთიერთობას სხვადასხვა რელიგიურ დენომინაციებთან სეკულარიზმისა და ნეიტრალურობის პრინციპის საგნად აქცევს, ფაქტი, რომ ეროვნული სასამართლოები ამ პრინციპს და სახელმწიფოს ინტერესებს სახელმწიფო მოხელის ინტერესზე - მისი რელიგიური რწმენის გამოხატვა არ იყოს შეზღუდული, უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებენ, კონვენციასთან მიმართებით შეუთავსებლობას არ წარმოშობს (*იქვე*, § 67).

99. ეს მსჯელობები განსაკუთრებით მიესადაგება სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულების კონტექსტს, კერძოდ იმ საავადმყოფოებს, რომლებშიც მომსახურე პერსონალი პაციენტებ-

თან უშუალო ურთიერთობაში იმყოფება, ლეგიტიმურია იმის მოთხოვნა, რომ მათ, საკუთარი მოვალეობების შესრულებისას, თავი შეიკავონ საკუთარ რელიგიური მრწამსის გამოხატვისგან, რათა ამით გარანტირებულ იქნას პაციენტების მიმართ თანასწორი მოპყრობა. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებში განუვლი მომსახურების ნეიტრალურობა შესაძლოა დაკავშირებული იყოს მომსახურე პერსონალის დამოკიდებულებასთან და მოითხოვდეს, რომ იმ პირთა მიუკერძოებლობა, ვინც პაციენტებს ემსახურება, ამ უკანასკნელებში ექვს არ იწვევდეს (*Ebrahimian v. France*, § 64).

100. შესაბამისად, სასამართლომ არ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა საქმეზე, რომელიც ეხებოდა შრომითი ხელშეკრულების განახლებაზე უარს მუსლიმი ქალისთვის, რომელიც დასაქმებული იყო საფრანგეთის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში სოციალური ასისტენტის თანამდებობაზე, იმ მიზეზით, რომ მან, გაფრთხილების მიუხედავად, უარი განაცხადა სამსახურში მოეხსნა მუსლიმური თავსაბურავი. სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებულ ზომას საფუძვლად ედო სამედიცინო დაწესებულებაში განმცხადებლის ნეიტრალურობის ვალდებულების რეალური გამოხატვის საჭიროება, იმ მიზეზით, რომ უზრუნველყოფილიყო იმ პაციენტების რელიგიურ რწმენათა მიმართ პატივისცემა, რომელთანაც ის უშუალო ურთიერთობაში იყო და ასევე, ის, რომ პაციენტები, როგორც სახელმწიფო მომსახურების მიმღები პირები, სახელმწიფოს მხრიდან, მათი რელიგიური მრწამსის მიუხედავად, თანასწორ მოპყრობაში ყოფილიყვნენ დარწმუნებულები. ამ მხრივ, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მის ფუნქციას არ წარმოადგენდა სახელმწიფო მომსახურების სფეროში სეკულარიზმის ფრანგული მოდელის შეფასება, როგორც ასეთი, და რომ განმცხადებლის ნეიტრალურობის სადაო ვალდებულების მისსავე სამსახურებრივ მოვალეობებთან შეთავსების შეუძლებლობა, თავისთავად არ წარმოადგენდა პრობლემას. სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული ჩარევა პროპორციული იყო და აღნიშნა, რომ, უპირველეს ყოვლისა, სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელებს გულმოდგინედ ჰქონდათ შემოწმებული განმცხადებლის უარი დამორჩილებოდა თავსაბურავის მოხსნის ბრძანებას და საკუთარი პასუხი განმცხადებლის მხრიდან განგრძობით წინააღმდეგობაზე, შეფასებული ქონდათ ნეიტრალურობის პრინციპთან შესაბამისობის აუცილებლობის კონტექსტში. მეორე მხრივ, სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელს ქონდა შესაძლებლობა გაესაჩივრებინა დაწესებული სანქცია ეროვნულ სასამართლოებში და ეფექტურად ესარგებლა საკუთარი რელიგიის თავისუფლების უფლებით (*Ebrahimian v. France*).

101. აქ ჩვენ განვიხილავთ მეოთხე და უკანასკნელ საკითხს - *სამუშაო ადგილს*. სასამართლომ დაადგინა, რომ სამედიცინო დაწესებულებებს გააჩნიათ დისკრეციის ვრცელი ფარგლები, საკუთარი პაციენტებისა და სამედიცინო პერსონალის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით ჩაცმის წესების დადგენისას (*Eweida and Others v. the United Kingdom*, § 99; *Ebrahimian v. France*). კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ *ევიდას* (*Eweida*) საქმის მეორე განმცხადებელი დასაქმებული იყო სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებაში, სასამართლოს მსჯელობის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულების შემთხვევაში, მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა. მართლაც, სასამართლომ არ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა საქმეზე, რომელშიც გერიატრიული პალატის ექთანი გადაყვანილ იქნა სხვა სამუშაო ადგილზე, იმის გამო, რომ მან უარი განაცხადა მოეხსნა სამკერდე ჯვარი, ან ეტარებინა ის, როგორც გულსაბნევი ან დაეფარა მაღალეკლიანი სამოსით. ეროვნულ სასამართლოებში განმცხადებლების ხელმძღვანელებმა განმარტეს, რომ არსებობდა რისკი, რომ ადელვებულ პაციენტს ხელი ჩაევილო და მოექანა ძენკვი და ამგვარად დაეზიანებინა საკუთარი თავი ან განმცხადებელი, ან ჯვარი ჩამოცურებულიყო და, მაგალითად, შეხებოდა ღია ქრილობას (*Eweida and Others v. The United Kingdom*, §§ 98-100).

102. გარდა სამედიცინო დაწესებულებებისა, კომერციულ კომპანიას უფლება აქვს კანონი-

ერად დაანესოს ჩაცმის წესი საკუთარი დასაქმებულებისთვის, რათა შექმნას კონკრეტული კომერციული იმიჯი; ამგვარი წესის დაწესება შესაძლოა, ზოგჯერ ითვალისწინებდეს რელიგიური სიმბოლოების ტარების შეზღუდვებს (*Eweida and Others v. the United Kingdom*, § 94). მიუხედავად ამისა, ეს მეტაკლებად ლეგიტიმური ინტერესები აბსოლუტური არ არის და ყოველთვის უნდა შეფასდეს კერძო პირის რელიგიის გამოხატვის უფლებასთან მიმართებით. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა საქმეზე, რომელშიც კერძო კომპანიამ გაათავისუფლა თანამშრომელი, რომელიც უარს აცხადებდა დაეფარა ქრისტიანული ჯვარი, რომელსაც ის ატარებდა, მაშინ, როდესაც სხვა რელიგიების ცალკეული სიმბოლოების (ჩალმა და ჰიჯაბი) ტარება დაშვებული იყო (*Eweida and Others v. the United Kingdom*, §§ 94-95).

5. რელიგიის თავისუფლება, ოჯახი და ბავშვების განათლება

103. მე-9 მუხლი არ არეგულირებს *ქორწინებას* რაიმე რელიგიური მნიშვნელობით, არამედ, რელიგიური ქორწინების სახეობის განსაზღვრას თითოეულ კონკრეტულ რელიგიას მიანდობს. კერძოდ, თითოეული რელიგია თავისუფალია იმის გადამწყვეტისას დაუშვებენ თუ არა, ან რა ხარისხით დაუშვებენ ერთი და იმავე სქესის წყვილის კავშირს (*Parry v. the United Kingdom* (dec.)). მაგალითად, კომისიამ უარი განაცხადა მე-9 მუხლის დაცვა გაევრცელებინა იმ მამაკაცზე, რომელიც სასჯელს იხდიდა თექვსმეტწლამდე (ქორწინებაზე თანხმობისთვის საჭირო კანონიერი ასაკი) გოგონასთან სქესობრივი კავშირის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ის მასზე დაქორწინებული იყო ისლამური კანონების მიხედვით; კომისიამ, ასევე, დაასკვნა, რომ დარღვეული არ იყო არც კონვენციის მე-12 მუხლი (ქორწინების უფლება) (*Khan v. the United Kingdom*, Commission decision). კომისიამ, ასევე, არ მიიღო განაცხადი მამაკაცისგან, რომელიც უარს აცხადებდა ქორწინებაში შესულიყო პარტნიორთან სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით, რის პარალელურადაც, მოითხოვდა, რომ სახელმწიფოს ეღიარებინა მათი კავშირი, როგორც კანონიერი ქორწინება, რომელიც, მისი მტკიცებით, ოფიციალურად იყო აღსრულებული, იმდენად, რამდენადაც პირველ სქესობრივ კავშირამდე ძველი აღთქმიდან წაკითხულ იქნა შესაბამისი ტექსტი (*X. v. Germany*, Commission decision of 18 December 1974).

104. მე-9 მუხლი არ იცავს *განქორწინების* უფლებას (*Johnston and Others v. Ireland*, § 63). შესაბამისად, კომისიამ არ მიიღო განაცხადი მე-9 მუხლთან მიმართებით, რომელიც წარდგინილი იყო იუდაიზმის მიმდევარი მამაკაცის მიერ, რომელსაც სამოქალაქო სასამართლომ დააკისრა ფინანსური კომპენსაციის მიცემა ყოფილი მეუღლისთვის იმის გამო, რომ მან უარი განაცხადა სამოქალაქო წესით განქორწინების შემდეგ, მეუღლისთვის *განტყვების წერილი* (გაყრის ხელწერილი) მიეცა, რაც მას, რელიგიური ცერემონიის საშუალებით, ხელახლა დაქორწინების საშუალებას მისცემდა. მოცემულ საქმეში, განმცხადებელმა განმარტა, რომ ამ გზით, ის იმედოვნებდა, რომ შეინარჩუნებდა მასთან ხელახლა ქორწინების შესაძლებლობას, რადგან ის მიეკუთვნებოდა სამღვდელო წოდებას და მოსეს კანონების თანახმად, მისთვის აკრძალული იყო განქორწინებულ ქალზე დაქორწინება, მაშინაც კი, თუ ეს უკანასკნელი, მისი ყოფილი მეუღლე იყო. კომისიამ აღნიშნა, რომ უარი *განტყვების წერილის* მიცემაზე არ წარმოადგენდა „რელიგიის გამოხატვას“ მე-9 მუხლის მნიშვნელობით, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელი დასჯილი იყო რაბინთა სასამართლოს მიერ ამ უარის გამო, რაც აშკარად ეწინააღმდეგებოდა იმ რელიგიურ მოძღვრებას, რომელსაც ის იმონებდა (*D. v. France*, Commission decision);

105. ცნობილი ფაქტია, რომ რელიგიური ცხოვრება, მათგან, ვინც ასეთ გზას მიჰყვება, მოითხოვს, როგორც რელიგიური წესების დაცვას, ასევე, რელიგიური მოღვაწეობისთვის თავის

მიძღვნას, რამაც შესაძლოა მორწმუნე ადამიანის დროის მნიშვნელოვანი ნაწილი მოითხოვოს და ზოგიერთ შემთხვევაში, ისეთი უკიდურესი ფორმები მიიღოს, როგორცაა მონასტრული ცხოვრება, რაც საერთოა ბევრი ქრისტიანული დენომინაციისთვის და, უფრო ნაკლები ხარისხით, ასევე, ბუდიზმისა და ინდუიზმისთვის. რამდენადაც, ასეთი ცხოვრების წესის მიღება სრულწლოვანი პირის თავისუფალი და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების შედეგია, ის სრულად არის დაცული კონვენციის მე-9 მუხლით, მაშინაც, კი თუ ეს იწვევს კონფლიქტს ოჯახის იმ წევრებთან, რომლებიც არ ეთანხმებიან ამგვარ არჩევანს (*Jehovah's Witnesses of Moscow and Others v. Russia*, § 111).

106. 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან მიმართებით, კომისიამ გადაწყვიტა, რომ მშობლების უფლება საკუთარი შვილებისთვის უზრუნველყონ თავისი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება, წარმოადგენდა მშობლის უფლებამოსილების ერთ-ერთ თანმდევ ნიშანს, შესაბამისად, ამ უფლებით სარგებლობა შეუძლებელია იმ მშობლისთვის, რომელსაც მეურვეობის უფლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აქვს ჩამორთმეული (*X. v. Sweden*, Commission decision of 12 December 1977).

107. ამ პრინციპთა დაცვით, კომისიამ მიუღებლად ცნო:

- განაცხადი, რომელიც წარდგენილი იყო გერმანიაში მცხოვრები პოლონეთის მოქალაქე მამაკაცის მიერ, რომლის ყოფილი მეუღლე ცხოვრობდა შვედეთში მათ არასრულწლოვან ვაჟთან ერთად. საკუთარი შვილის მონახულების უფლების მინიჭებაზე შვედეთის სასამართლოების უარის გარდა, განმცხადებელი, ასევე, ასაჩივრებდა იმას, რომ ბავშვი იზრდებოდა ლუთერული რელიგიის მიხედვით, რომის კათოლიკე ეკლესიის სწავლებათა საწინააღმდეგოდ, რომელშიც ის იყო მონათლული; მისმა ყოფილმა მეუღლემ არ დაიცვა ქორწილზე დადებული საზეიმო ფიცი, რომლის თანახმადაც, ის ბავშვს კათოლიკედ აღზრდიდა, როგორც ამას, რომის კათოლიკე ეკლესიის კანონიკური სამართალი მოითხოვდა. კომისიამ არ მიიღო ეს განაცხადი, იმ საფუძველზე, რომ ის შეუსაბამო იყო სასამართლოსთვის მიმართებაზე უფლებამოსილი პირის (*Ratione Personae*) კონვენციით დადგენილ უფლებასთან, რამდენადაც, სადავო უფლებები მხოლოდ განმცხადებლის ყოფილ მეუღლეს ეკუთვნოდა, რომელსაც, ერთადერთს გააჩნდა მეურვეობის უფლება და შესაბამისად, ბავშვის განათლების უზრუნველყოფის უფლება და ვალდებულება და არა მოპასუხე სახელმწიფოს (*X. v. Sweden*, Commission decision of 20 December 1957; ასევე, იხ., ამავე განმცხადებლის მიერ წარდგენილი სხვა განაცხადები (*X. v. Sweden*, Commission decision of 30 June 1959, and *X. v. Sweden*, Commission decision of 10 April 1961), რომლებიც უარყოფილ იქნა, როგორც პირველი საქმის არსებითად იდენტური);
- განაცხადი, რომელიც წარდგენილი იყო საბჭოთა ცენტრალური აზიიდან პოლიტიკური დევნილის მიერ, რომელიც ასაჩივრებდა, იმას, რომ მისი ძმის (ან დის) შვილები ჩამოშორდნენ ისლამურ რწმენას, რადგან ისინი აღიზარდნენ რომის კათოლიკე ეკლესიის დაწესებულებაში. იმ საკითხის განხილვის გარეშე, შეეძლო თუ არა განმცხადებელს ამ ბავშვების სახელით მოქმედება ან იმის მტკიცება, რომ ის გასაჩივრებული დარღვევის ირიბი „მსხვერპლი“ იყო, კომისიამ აღნიშნა, რომ არ არსებობდა რელიგიის თავისუფლების რაიმე სახის დარღვევა, რადგან, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ერთი ძმის (ან დის) შვილი ოცი, ხოლო, მეორე ოცდაერთი წლის იყო (*X. v. Germany*, Commission decision of 19 July 1968);
- განაცხადი, რომელიც წარდგენილი იყო იუდაველი მშობლების მიერ და ეხებოდა შვედეთის სოციალური დაცვის სამსახურების გადაწყვეტილებას მათი არასრულწლოვანი ქალიშვილის აღსაზრდელად იუდაური ოჯახის ნაცვლად, პროტესტანტი

ოჯახისთვის გადაცემას, რითაც ისინი ამტკიცებდნენ, რომ დაირღვა მათი უფლება საკუთარი შვილისთვის მიეცათ მათივე რელიგიური მრწამსის შესაბამისი განათლება. კომისიამ, კონვენციის მე-9 მუხლის საფუძველზე, 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან კავშირში, აღნიშნა, რომ სოციალური დაცვის სამსახურებმა, ადგილობრივი რაბინის დახმარებით, ფაქტობრივად განიეს სათანადო ძალისხმევა იუდაური აღმზრდელი ოჯახის მოსაძებნად, ამასთან, ახდენდნენ მშობლების ინფორმირებას საკუთარი მოქმედებების შესახებ და სთხოვდნენ გამოეთქვათ საკუთარი აზრი; მიუხედავად ამისა, სოციალური დაცვის სამსახურებმა ვერ შეძლეს იუდაველი აღმზრდელი ოჯახის პოვნა ამ რეგიონში (*Tennenbaum v. Sweden*, Commission decision);

- განაცხადი, რომელიც წარდგენილი იყო განქორწინებული მუსლიმი მამაკაცის მიერ, რომელიც დასჯილ იქნა პატიმრობით იმის საფუძველზე, რომ ის საკუთარ არასრულწლოვან ქალიშვილს არ უხდოდა ალიმენტს, იმ მიზეზით, რომ მან შეიცვალა რელიგია, მას შემდეგ, რაც ის დედამ რომის კათოლიკე ეკლესიაში მონათლა. განმცხადებლის თანახმად, ბავშვი, რომელმაც უარყო მუსლიმური სარწმუნოება (თუნდაც საკუთარი დედის ზეგავლენით) უნდა ჩათვლილიყო „არარსებულად“; შესაბამისად, მამისთვის ალიმენტის გადახდის მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა რელიგიის თავისუფლებას. კომისიამ დაადგინა, რომ განმცხადებლის რელიგიის თავისუფლებაში ჩარევას ადგილი არ ქონია, რამდენადაც ბავშვისთვის ალიმენტის გადახდის ვალდებულება, რომელზე მეურვეობაც მეორე მშობელს ჰქონდა გადაცემული, გამოიყენებოდა ზოგადი ფორმით და რელიგიის ან სინდისის სფეროსთვის მას, თავისთავად, პირდაპირი მნიშვნელობა არ ჰქონდა (*Karakuzey v. Germany*, Commission decision).

108. რაც შეეხება სასამართლოს,

- მან მიუღებლად ცნო განაცხადი კონვენციის მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და რამდენიმე სხვა მუხლთან მიმართებით, რომელიც წარდგენილი იყო მშობელთა ჯგუფის მიერ, რომელთა სრულწლოვანი შვილებიც შეუერთდნენ მაკედონიის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთ მონასტერს. განმცხადებლები ასაჩივრებდნენ, რომ მონასტრის დაარსებითა და მათი შვილების წევრად მიღებით ეკლესიამ დაარღვია მათი უფლებები, მათ შორის, საკუთარ შვილებთან ურთიერთობის, ხანდაზმულობისა და ავადმყოფობისას მათგან დახმარების მიღებისა და შვილიშვილების ყოლის უფლებები; შესაბამისად, სახელმწიფოს უნდა ემოქმედა ეკლესიის საწინააღმდეგოდ, რათა დაეცვა მათი უფლებები. სასამართლომ აღნიშნა, რომ შვილების ცხოვრების გზის არჩევანი იყო თავისუფალი და, რომ ურთიერთობა, პატივისცემა და ორმხრივი ერთგულება მშობლებსა და მათ მიერ აღზრდილ შვილებს შორის, წარმოადგენდა უკიდურესად პირად სფეროს მიკუთვნებულ საკითხს და ვერ წარმოშობდა რაიმე სახის პოზიტიურ ვალდებულებას სახელმწიფოს მხრიდან, და ბოლოს, კონვენცია არ იძლეოდა ბებიად (ბაბუად) გახდომის უფლების გარანტიას (*Šijakova and Others v. the former Yugoslav Republic of Macedonia* (dec.));
- მან მიუღებლად და აშკარად დაუსაბუთებლად ცნო რაელისტური მოძრაობის წევრი დედის მიერ წარდგენილი განაცხადი, რომელიც განქორწინებული იყო საკუთარ პარტნიორთან, მაგრამ, სასამართლო განჩინების საფუძველზე, სარგებლობდა ერთობლივი მეურვეობის უფლებით, რომლის თანახმადაც მას ეკრძალებოდა საკუთარი შვილების რაელისტებთან (მისი და მისი ახალი პარტნიორის გარდა) ურთიერთობაში შეყვანა და მათი ტარება რეალისტა შეკრებებზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარი ჩარევა, რომელიც განსაზღვრული იყო კანონით და ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზნებს (ბავშვებისა და მათი მამის უფლებების დაცვა), ასევე, წარმოადგენდა „აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში“. განმცხადებელს შეეძლო გაეგ-

რძელებინა პირადი რელიგიური პრაქტიკა შეზღუდვების გარეშე, ამასთან, საკუთარი შვილების თანდასწრებით, იმ პირობით, რომ ისინი ურთიერთობაში არ შევიდოდნენ რაელისტური მოძრაობის სხვა წევრებთან. სასამართლომ, ასევე, ხაზი გაუსვა ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების მიზანს, რომელიც მოითხოვდა ორივე მშობლის საგანმანათლებლო არჩევანთა შეთანხმებასა და მშობლების პირად მოსაზრებებს შორის სათანადო ბალანსის დაცვის მცდელობას, ნებისმიერი ღირებულებითი მსჯელობების გამორიცხვით და, საჭიროების შემთხვევაში, პირად რელიგიურ პრაქტიკაზე მინიმალური წესების დადგენით. ზუსტად მსგავსი საფუძვლებით სასამართლომ არ დაადგინა მე-14 მუხლით აკრძალული დისკრიმინაციის არსებობა (*F.L. v. France* (dec.));

- მე-9 მუხლის დარღვევის დადგენისას, სასამართლომ არადამაჯერებლად მიიჩნია რუსეთის სასამართლოების მიერ წარმოდგენილი არგუმენტი, რომელიც გამოყენებულ იქნა იეჰოვას მოწმეთა ორგანიზაციის ადგილობრივი ფილიალის გაუქმებისა და მისი საქმიანობის აკრძალვის საფუძველად და, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ რელიგიური ორგანიზაცია ახორციელებდა „ფსიქოლოგიურ ზეწოლას“ მისი მიმდევრების საკუთარი ოჯახებიდან გამოყოფისა და ამ უკანასკნელთა დანგრევის მიზნით. სასამართლომ დაადგინა, რომ, უპირველეს ყოვლისა, იეჰოვას მოწმეთა გადანაცვლები, საკუთარი თავი მთლიანად რელიგიური ცხოვრებისთვის მიეძღვნათ, მიღებული იყო თავისუფალი ნების საფუძველზე, იძულების გარეშე, ზუსტად იმ ფორმით, როგორც ეს დამახასიათებელია უმრავლესი „ტრადიციული“ რელიგიებისთვის მსოფლიოს მასშტაბით და, მეორე, წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები არ იყო სანდო, რადგან ისინი შეეხებოდა იეჰოვას მოწმეთა საოჯახო დავების მხოლოდ ექვს შემთხვევას, მაშინ, როდესაც სათანადო მიდგომა მოითხოვდა ქვეყნის მასშტაბით არამორწმუნეთა და უმრავლესობის რელიგიის მიმდევრებს შორის ოჯახების დანგრევის სიხშირის შედარებას იეჰოვას მოწმეთა შემთხვევებთან (*Jehovah's Witnesses of Moscow and Others v. Russia*, §§ 109-104);
- მან მიუღებლად და კონვენციასთან საგნობრივად შეუსაბამოდ (*ratione materiae*) ცნო მამის მიერ წარდგენილი განაცხადი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მისი არასრულწლოვანი ქალიშვილის (რომელზე მეურვეობაც მინიჭებული ჰქონდა დედას) მონათვლასა და რომის კათოლიკე ეკლესიის კატეხიზაციის სკოლაში ტარებას და ასაჩივრებდა ესპანეთის სასამართლოების უარს ნებართვაზე, რომ მისი ქალიშვილის რელიგიურ განათლებასთან დაკავშირებული ყველა გადანაცვლები გაადადებულიყო მის სრულწლოვნებამდე, მანამდე კი, ამ მხრივ, მისი ქალიშვილის განათლებაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ მას დაკისრებოდა. სასამართლომ დაადგინა, რომ დედა, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა მეურვეობა, აბსოლუტურ თანხმობაში იყო ქალიშვილის სურვილებთან, შესაბამისად, სათანადოდ იყო გარანტირებული ამ უკანასკნელის საუკეთესო ინტერესები (*Rupprecht v. Spain* (dec.); ასევე, იხ., სრულიად მსგავსი საქმე, განხილული 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან მიმართებით: *X. v. The Netherlands*, Commission decision of 6 February 1968).

109. რაც შეეხება *სასკოლო განათლებას*, მე-9 მუხლი იცავს პირებს სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური ინდოქტრინაციისგან (*Angeleni v. Sweden*, Commission decision; *C.J., J.J. and E.J. v. Poland*, Commission decision). რეალურად, სახელმწიფოს მიერ შეფასების თავისუფლების სათანადო ფარგლებით სარგებლობის პრინციპი დაკავშირებულია სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობას მიკუთვნებულ და საზოგადოებაში რელიგიის მნიშვნელობასთან დაკავშირებულ საკითხებთან, განსაკუთრებით, კი იმ საკითხებთან, რომლებიც სწავლებისა და სახელმწიფო საგანმანათლებლო პროცესში წარმოიშვება. მიუხედავად იმისა, რომ სახელ-

მნიშვნელოვანი ვალდებულებები არიან უზრუნველყონ კურიკულუმებში მოცემული ინფორმაციისა და ცოდნის ობიექტურობა, კრიტიკულობა და პლურალიზმი და თავი შეიკავონ ინდოქტრინაციის ნებისმიერი მიზნებით განხორციელებისგან, მათ მაინც აქვთ თავისუფლება კურიკულუმები საკუთარი საჭიროებებისა და ტრადიციების შესაბამისად შეიმუშავონ (*Osmanoğlu et Kocabaş v. Switzerland*, § 95). სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვებისთვის მშობლების მიერ მიცემული განათლების დაცვას; სწორედ ამიტომ, აუცილებელია თითოეული საქმის სიღრმისეული და დეტალური შესწავლა, რათა შემოწმდეს დაცულია თუ არა შვილების განათლებაზე მშობლების უფლება სრული მოცულობით. გარდა ამისა, მე-9 მუხლი ამა თუ იმ რელიგიის ან ფილოსოფიის მიმდევრებს არ ანიჭებს უფლებას ბავშვებს აუკრძალონ სახელმწიფო სკოლებში განათლების მიღება, რომელიც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს მათ იდეებს, არამედ, უბრალოდ სახელმწიფოს უკრძალავს ბავშვების მიმართ ინდოქტრინაციის განხორციელებას (*A.R. et L.R. v. Switzerland* (dec.), §§ 40 and 49). მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მშობლები არიან ბავშვების განათლებაზე ძირითადი პასუხისმგებელი პირები, მათ უფლება არ აქვთ, კონვენციაზე დაყრდნობით, სახელმწიფოსგან სწავლების კონკრეტული ფორმით წარმართვა ან გაკვეთილების კონკრეტული ფორმით ორგანიზება მოითხოვონ (*Osmanoğlu et Kocabaş v. Switzerland*, § 95).

110. ზოგ შემთხვევაში სასკოლო გაკვეთილებზე დასწრების ვალდებულება შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს ოჯახის რელიგიურ მრწამსთან. მაგალითად, კონვენციის ორგანოებმა განსახილველად არ მიიღეს:

- განაცხადი, რომელიც ეხებოდა შვედეთის ეროვნული სკოლების საბჭოს უარს, განმცხადებლის, სახელმწიფო სკოლის მოსწავლის, რომელიც ამტკიცებდა, რომ იყო ათეისტი, რელიგიის სწავლებისგან გათავისუფლებაზე; ის ამტკიცებდა, რომ ამგვარი სწავლება მისგან ქრისტიანულ აზროვნებაზე მოქცევას მოითხოვდა. განმცხადებელი, ასევე, სადავოს ხდიდა დისკრიმინაციის ფაქტს მე-14 მუხლთან მიმართებით, რამდენადაც შვედეთის კანონმდებლობა უშვებდა სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეების გათავისუფლებას რელიგიის გაკვეთილებიდან, იმ პირობით, რომ ისინი მიეკუთვნებოდნენ კონკრეტულ „რელიგიურ კონგრეგაციას“ და რელიგიურ განათლებას ამ უკანასკნელისგან იღებდნენ; რაც უზრუნველყოფილი არ იყო ათეისტებისთვის. კომისიამ აღნიშნა, რომ გოგონა ისედაც გათავისუფლებული იყო გაკვეთილების იმ ნაწილიდან, რომელიც ღვთისმსახურების ელემენტებს (საგალობლების გალობა და ა.შ.) მოიცავდა. დანარჩენ საკითხებში სასამართლო დაეთანხმა შვედეთის მთავრობას, რომ სწავლება ეხებოდა რელიგიებს და არა ერთ კონკრეტულ რელიგიას, მიუხედავად იმისა, რომ სწავლება მეტწილად ქრისტიანობაზე იყო კონცენტრირებული. შესაბამისად, განმცხადებელი არ იყო რელიგიური ინდოქტრინაციის მსხვერპლი ან იძულებული, რომ მონაწილეობა მიეღო კონკრეტული ტიპის ღვთისმსახურებაში (*Angeleni v. Sweden*, Commission decision; ამის საპირისპიროდ იხ., *Folgerø and Others v. Norway* [GC]);
- განაცხადი, რომელიც წარდგენილი იყო მშობლების მიერ, რომლებიც ასაჩივრებდნენ დისკრიმინაციის ფაქტს, გამომდინარე იქიდან, რომ ლუქსემბურგის კანონმდებლობის თანახმად, რელიგიისა და მორალის ან მორალისა და სოციალური განათლების გაკვეთილებიდან გათავისუფლების ერთადერთი დაშვებული საფუძველი რელიგიური რწმენის მიმდევრობა იყო, მაშინ, როდესაც, მათ სურდათ, რომ მათი შვილი გაკვეთილებიდან გათავისუფლებულიყო ფილოსოფიური მრწამსის საფუძველზე. კომისიამ მიიჩნია, რომ სადავო რელიგიური ან სხვა სახის ინდოქტრინაციის არარსებობის გამო, ბავშვების ვალდებულება დასწრებოდნენ მორალური და სოციალური განათლების გაკვეთილებს, არ წარმოადგენდა მათი აზრის ან სინდისის თავისუფლე-

ბით სარგებლობაში ჩარევას. განსხვავებული მოპყრობა, ამ შემთხვევაში, ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს (ზღუდავდა მოსწავლეთა დაუსწრებლობას იმ მიზნით, რომ ახალგაზრდა ადამიანები მორალურ განათლებაში ჩაერთო) და მისი პროპორციული იყო, რამდენადაც შესაბამისი კანონმდებლობა ადგენდა, რომ ეს გაკვეთილები მოიცავდა ადამიანის უფლებების სწავლებას და იმგვარად იყო ორგანიზებული, რომ უზრუნველყოფილიყო მოსაზრებათა მრავალფეროვნება (*Bernard and Others v. Luxembourg*, Commission decision);

- განაცხადი, რომელიც წარდგენილი იყო მეშვიდე დღის ადვენტისტი წყვილის მიერ, რომლებიც ასაჩივრებდნენ ლუქსემბურგის მუნიციპალური ორგანოების უარს მათი შვილისთვის სავალდებულო სასკოლო დასწრებიდან შაბათ დღეს, ამ რელიგიური თემისთვის სრულიად უქმე დღეს, მუდმივ გათავისუფლებაზე. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სადავო ჩარევა გამართლებული იყო ბავშვის განათლების უფლების დაცვის საჭიროებით, რომელიც მისი მშობლების რელიგიურ რწმენაზე უპირატესი უნდა ყოფილიყო და ამ შემთხვევაში, გონივრული პროპორციულობა დაცული იყო (*Martins Casimiro and Cerveira Ferreira v. Luxembourg* (dec.)).

111. სასამართლომ, ასევე, არ დააკმაყოფილა მშობლების მიერ მე-9 მუხლთან მიმართებით წარდგენილი განაცხადები, შემდეგ საქმეებზე:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, მუსლიმი რელიგიის მიმდევარი შვეიცარიელი-თურქი მშობლების უარს მათი ქალიშვილებისთვის (რომელთაც ჯერ არ მიეღწიათ სქესობრივი სიმწიფისთვის) ცურვის სავალდებულო ერთობლივ (გოგოებისა და ბიჭების) გაკვეთილებზე დასწრებაზე, როგორც სასკოლო საგამანათლებლო პროცესში მონაწილეობაზე და შესაბამისი ორგანოების უარს ამ გაკვეთილებიდან მათ გათავისუფლებაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ ეს საქმე მშობლების რელიგიის თავისუფლების უფლებაში ჩარევასთან იყო დაკავშირებული. ეს ჩარევა ემსახურებოდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, კერძოდ, უცხოელი მოსწავლეების დაცვას სოციალური გარიყულობისგან. რაც შეეხება, ჩარევის პროპორციულობას, სასამართლომ ხაზი გაუსვა სკოლის სპეციალურ როლს სოციალური ინტეგრაციის პროცესში, განსაკუთრებით, უცხოელ მოსწავლეებთან მიმართებით, აღნიშნა რა, რომ, უპირველეს ყოვლისა, ბავშვების ინტერესი, მიიღონ სრული სასკოლო განათლება, რომელიც ხელს შეუწყობს მათ სოციალურ ინტეგრაციას ადგილობრივი ჩვეულებებისა და ზნეობის შესაბამისად, უპირატესი იყო, ვიდრე მშობლების სურვილი, მათი ქალიშვილები გათავისუფლებულიყვნენ ცურვის ერთობლივი (გოგოებისა და ბიჭების) გაკვეთილებიდან და მეორე, ცურვის გაკვეთილებზე დასწრებისას, ბავშვის ინტერესს წარმოადგენდა, არა მხოლოდ, ცურვის შესწავლა, არამედ, და, უფრო მეტად, ამ აქტივობაში ყველა სხვა მოსწავლესთან ერთად მონაწილეობა. გარდა ამისა, შესაბამისმა ორგანოებმა მშობლებს შესთავაზეს ძალიან მოქნილი მიდგომა, იმ მიზნით, რომ შეემცივებინათ ჩარევის სადავო ზეგავლენა, რომელიც მოიცავდა ბურკინის ტარების შესაძლებლობას. შესაბამისად, სახელმწიფო მოქმედებდა შეფასების თავისუფლების ფარგლებში (*Osmanoglu et Kocabaş v. Switzerland*);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, შვეიცარიის სახელმწიფო დაწყებითი სკოლის უარს შვიდი წლის გოგონას დედისთვის, მისი ქალიშვილის სქესობრივი აღზრდი გაკვეთილებიდან გათავისუფლებაზე. ერთი მხრივ, დედას საკუთრი განაცხადისთვის არ დაურთავს განმარტება, თუ მისი ქალიშვილის რა ფუნდამენტურ ეთიკურ ან მორალურ ღირებულებებზე ახდენდა გავლენას სქესობრივი აღზრდის გაკვეთილებზე დასწრება; მეორე მხრივ, კი სქესობრივი აღზრდის გაკვეთილები საბავშვო ბაღებსა და დაბალი კლასის დაწყებით სკოლებში ატარებდა დამატებით და არა სისტემურ ხასიათის,

ამასთან, პედაგოგები შეზღუდულნი იყვნენ ბავშვების კითხვებზე პასუხის გაცემასა და მათ მოქმედებებზე რეაგირებაში (*A.R. et L.R. v. Switzerland* (dec.).

ნ. ქადაგება და პროზელიტიზმი

112. რელიგიის გამოხატვის თავისუფლება, არსებითად, მოიცავს *სხვა პირთა დარწმუნებისა და გადმობირების მცდელობის უფლებას*, მაგალითად, „სწავლების“ საშუალებით, რომლის განხორციელების გარეშეც, კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებული „რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლება“ უსიცოცხლო ნორმად იქცეოდა (*Kokkinakis v. Greece*, § 31). მეორე მხრივ, მე-9 მუხლი არ იცავს არაკეთილსინდისიერ პროზელიტიზმს, მაგალითად, ეკლესიაში ახალი წევრის მიღების მიზნით, მატერიალური ან სოციალური სარგებლის შეთავაზებას ან არაკეთილსინდისიერი ზეწოლის გამოყენებას (*Larissis and Others v. Greece*, § 45).

113. მაგალითად, სასამართლომ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა საქმეზე, რომელშიც განმცხადებელი, იეჰოვას მოწმე, დააკავეს და სისხლის სამართლის წესით დასაჯეს ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის მგალობლის ცოლთან სახლში სტუმრობისა და მასთან რელიგიური ხასიათის დისკუსიის გამართვის გამო (*Kokkinakis v. Greece*). სასამართლომ უფრო ნიუანსური მიდგომა ჩამოაყალიბა კიდევ ერთ ბერძნულ საქმეზე, რომელშიც განმცხადებლები, სამხედრო საჰაერო ძალების მოქმედი ოფიცრები, სამხედრო სასამართლოს მიერ ბრალდებულ იქნენ პროზელიტიზმში რამდენიმე მათზე დაბალი წოდების სამხედრო და, ასევე, სამოქალაქო პირის მიმართ. *სამხედრო ძალების წევრთა* გადმობირების მცდელობასთან მიმართებით, სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული ბრალდებები არ არღვევდნენ მე-9 მუხლს. მან მიუთითა, რომ სამხედრო ძალების შემადგენლობაში ცხოვრებისთვის დამახასიათებელი იერარქიული სტრუქტურები შესაძლოა განმსჭვალავდეს სამხედრო პირებს შორის ურთიერთობის ყველა ასპექტს, რაც, სუბორდინაციის გათვალისწინებით, ართულებს ზემდგომი პირის მიმართ წინააღმდეგობის გაწევას ან მის მიერ წამოწყებული საუბრისთვის თავის არიდებას. ამგვარად ის, რაც სამოქალაქო ცხოვრებაში აზრთა უწყინარ გაცვლა-გამოცვლად აღიქმება, სადაც მოსაუბრეს შეუძლია მიიღოს ან უარყოს მეორე პირის აზრი, სამხედრო ცხოვრებაში შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დაუშვებელი ზეწოლა საკუთარი ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით. ამასთან, რელიგიურ ან სხვა დელიკატურ თემებზე ნებისმიერი დისკუსია სხვადასხვა წოდების მქონე პირებს შორის, არ ხვდება ამ კატეგორიაში. მიუხედავად ამისა, როცა გარემოებები მოითხოვს, სამხედრო ძალებში მომსახურე დაქვემდებარებულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით სახელმწიფოს მიერ გარკვეული ზომების მიღება შეიძლება გამართლებული იყოს. გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლების ბრალდება *სამოქალაქო პირთა* მიმართ პროზელიტიზმში, რომლებზეც მათ ზეწოლა ან იძულება არ განუხორციელებიათ, არ წარმოადგენდა აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში და ამდენად დარღვეულ იქნა კონვენციის მე-9 მუხლი (*Larissis and Others v. Greece*).

114. რაც შეეხება ქადაგებასა და პროზელიტიზმს, აღსანიშნავია, რომ მქადაგებლის ან მწერლის განცხადება იმის შესახებ, რომ მისი რელიგიის აღიარება სჭობს მის არ აღიარებას, თავისთავად, არ წარმოადგენს დარღვევას (იხ., მე-10 მუხლთან მიმართებით, მე-9 მუხლის ფონზე ნაკითხვით, *Ibragim Ibragimov et autres c. Russie*, § 117). იგივე ეხება რელიგიური ორგანიზაციის მიერ მილიტარული მეთაფორების გამოყენებას, რაც, თავისთავად, ასევე, ვერ გაამართლებს ამ უფლებით სარგებლობაში ჩარევას (*იქვე*, § 120).

7. რელიგიური ღვთისმსახურების თავისუფლება

115. რელიგიის თავისუფლება მოიცავს რელიგიის გამოხატვის თავისუფლებას არა მხოლოდ ინდივიდუალურად და განკერძოებით, არამედ, ასევე, საჯაროდ, სხვებთან ერთად, მათ შორის, იმ პირთა გარემოცვაში, ვინც ერთსა და იმავე რწმენას იზიარებს. სხვა სიტყვებით, ნებისმიერი პირი თავისუფალია ინდივიდუალურად თუ *სხვებთან ერთად*, განკერძოებით თუ საჯაროდ, გამოხატოს საკუთარი მრწამსი. კონვენციის მე-9 მუხლი ჩამოთვლის სხვადასხვა ფორმებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლოა რელიგიის ან რწმენის გამოხატვა, კერძოდ, ღვთისმსახურებით, სწავლებით, პრაქტიკითა და რიტუალების აღსრულებით (*Güler and Uğur v. Turkey*, § 35). ეს ნიშნავს, რომ მე-9 მუხლი იცავს მორწმუნეთა უფლებას მშვიდობიანად შეიკრიბონ და აღასრულონ ღვთისმსახურება საკუთარი რელიგიის შესაბამისად (*The Church of Jesus Christ of Latter-Day Saints v. the United Kingdom; Cumhuriyetçi Eğitim ve Kültür Merkezi Vakfı v. Turkey*, § 41). მიუხედავად ამისა, მე-9 მუხლი არც დამოუკიდებლად და არც კონვენციის მე-11 მუხლთან (შეკრების თავისუფლება) კავშირში, ნებისმიერ ადგილზე შეკრებისა და საკუთარი რელიგიური მრწამსის გამოხატვის აბსოლუტურ უფლებას არ იძლევა (*Pavlidis and Georgakis v. Turkey* (dec.), § 29).

116. მაგალითად, სასამართლომ რელიგიის თავისუფლების დარღვევა დაადგინა შემდეგ საქმეებზე:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის“ ტერიტორიაზე მცხოვრებ კვიპროსელ ბერძენ მართლმადიდებელთა რელიგიური ცხოვრების მარეგულირებელ ღონისძიებებს, რომელთა თანახმადაც, მათ ეკრძალებოდათ საკუთარი სოფლების დატოვება, ნებისმიერ სხვა ადგილზე, ღვთისმსახურების ცერემონიაში მონაწილეების ან მონასტრების მონახულების მიზნით (*Cyprus v. Turkey* [GC], §§ 243-246);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, სახელმწიფო პროფესიული საშუალო სკოლის დარბაზში მიმდინარე იეჰოვას მოწმეთა საკვირაო მსახურების დარბევას რუსეთის პოლიციის მიერ, რომელიც იეჰოვას მოწმეთა ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ დაქირავებული იყო კანონიერად გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე. პოლიციის მიერ განხორციელებული ღონისძიება, ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმადაც კი, ცალსახად უკანონო და თვითნებური იყო (*Kuznetsov and Others v. Russia*). კიდევ ერთ, მსგავს საქმეზე, სასამართლომ დაადგინა დარღვევა, რადგან იეჰოვას მოწმეთა ყოველწლიური კონგრესი დარბეულ იქნა, მიუხედავად იმისა, რომ ის იმართებოდა ადგილობრივი კანონმდებლობის დაცვით დაქირავებულ სოფლის მეურნეობის აკადემიის დარბაზში. გასაჩივრებული ოპერაცია ჩატარდა პოლიციის ოფიცერთა მრავალრიცხოვანი შემადგენლობის, მათ შორის, პოლიციის სპეციალური ძალების შეიარაღებული რაზმის მიერ; განმცხადებლები დაკავებულ იქნენ და იმყოფებოდნენ პატიმრობაში რამდენიმე საათის განმავლობაში. ჩარევის კანონიერების საკითხის განხილვის გარეშე, სასამართლომ დაადგინა, რომ ეს ღონისძიება, ცალსახად, არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (*Krupko and Others v. Russia*);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, მოლდოვის პოლიციის მიერ კერძო სახლში სალოცავად შეკრებილი მუსლიმების ჭგუფის დარბევას და განმცხადებლების დაჭარბებულ ადმინისტრაციული წესით „სახელმწიფოს მიერ არაღიარებული რელიგიის მიმდევრობის“ გამო (*Masaev v. Moldova*);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, ბულგარეთის პოლიციის მიერ ღირსი მუნის გაერთიან-

ნების ეკლესიის ერთ-ერთი მიმდევრის სახლში მიმდინარე ამავე ეკლესიის წევრთა შეკრების ჩაშლას, რასაც მოჰყვა პროკურორის მიერ სანქცირებული სახლის ჩხრეკა და წიგნების, ჩანაწერებისა და სხვა ნივთების დაყადაღება, იმის გამო, რომ რელიგიური თემი სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებული არ იყო. გასაჩივრებულ ღონისძიებებს ამკარად არ გააჩნდათ არანაირი სამართლებრივი საფუძველი ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში. გარდა ამისა, ეროვნული კანონმდებლობა ბუნდოვანი იყო იმასთან დაკავშირებით, შეიძლებოდა თუ არა არარეგისტრირებული რელიგიური ჯგუფის მიერ შეკრების გამართვა; ასევე, არსებობდა, ადგილობრივი პრეცედენტებით განმტკიცებული ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომელიც ამგვარ შეკრებებს უკანონოდ აცხადებდა (*Boychev and Others v. Bulgaria*);

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, განმცხადებლის გამოძახებას პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაში და მის დაკითხვას რელიგიური მრწამსის საკითხებზე, რასაც, თან სდევდა, მისი სახლის ჩხრეკა და წიგნებისა და ჩანაწერების დაყადაღება და ბოლოს, განმცხადებლის გაფრთხილება პოლიციის ბრძანებით, რომ მას აღარ გაეგრძელებინა საკუთარ სახლში იმ ევანგელური კონგრეგაციის შეკრებების ორგანიზება, რომელსაც თავადვე მიეკუთვნებოდა. სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობდა ჩარევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, რადგან გასაჩივრებული ღონისძიებები განხორციელებული იყო რაიმე სახის სისხლის სამართლებრივი გამოძიების გარეშე, რაც ეროვნული კანონმდებლობის უხეშ დარღვევას წარმოადგენდა (*Dimitrova v. Bulgaria*);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, განმცხადებლების დაპატიმრებას, იმის გამო, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს მუსლიმურ რელიგიურ ცერემონიაში (მეფლუდში), რომელიც წინ უსწრებდა უშიშროების ძალების მიერ მოკლული არალეგალური ორგანიზაციის სამი წევრის ხსოვნისადმი მიძღვნილ პოლიტიკურ ღონისძიებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ ცერემონია იმ პოლიტიკური ღონისძიების წინ გაიმართა, რომელზეც ტერორისტული ორგანიზაციის სიმბოლოები იყო გამოფენილი, განმცხადებლებს მე-9 მუხლით გარანტირებული დაცვით სარგებლობის უფლებას არ ართმევდა. ამ შემთხვევაში, სასჯელი თანხვედრაში არ მოდიოდა სიცხადისა და განჭვრეტადობის მოთხოვნებთან, რამდენადაც შეუძლებელი იყო იმის წინასწარ გათვალისწინება, რომ უბრალოდ რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობა ტერორიზმის ამკრძალავი კანონმდებლობის ფარგლებში მოექცეოდა (*Güler and Uğur v. Turkey*).

117. ამის საპირისპიროდ, კონვენციის ორგანოებმა არ დაადგინეს მე-9 მუხლის დარღვევა ან წარდგენილი განაცხადები ამკარად დაუსაბუთებლად ცნეს, შემდეგ საქმეებზე:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას ზაფხულის ბუნიობისას „სტონჰენჯის“ ტერიტორიის დაკეტვის შესახებ და უარს დრუიდთა ჯგუფისთვის ბუნიობის ცერემონიის აღნიშვნის ნებართვაზე. კომისიამ მიიჩნია, რომ, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა მე-9 მუხლით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობაში ჩარევა, ის ემსახურებოდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას და გამართლებული იყო მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფის მიზნებით, კერძოდ, იმდენად, რამდენადაც შესაბამისმა ორგანოებმა, ამ ფორმით, წინასწარ განიეს ძალისხმევა რათა უზრუნველყოთ „სტონჰენჯით“ დაინტერესებული კერძო პირებისა და ორგანიზაციების ინტერესების დაკმაყოფილება (*Chappell v. the United Kingdom*, Commission decision; ასევე, იხ., *Pendragon v. the United Kingdom*, Commission decision);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, სიმშვიდის დარღვევისთვის ფულადი ჯარიმის დაკისრე-

ბას იმ პირთათვის, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ აბორტებს და ამის გამოსახბატავად გადაკეტეს კლინიკის შესასვლელი და ერთ-ერთ დერეფანში მუხლმოყრილი ლოცულობდნენ. კომისიამ აღიარა, რომ ეს ქმედება ექცეოდა მე-9 მუხლის დაცვის ფარგლებში, მაგრამ გასაჩივრებული ჩარევა სრულიად გამართლებული იყო მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფით (*Van Schijndel and Others v. the Netherlands*, Commission decision);

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, კუნძულის სამხრეთში მცხოვრები კვიპროსის მოქალაქე განმცხადებლის მიერ, ჩრდილოეთში, ანუ „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკის“ მდებარე ტაძრებისა და მონასტრების მონახულების შესაძლებლობის არ ქონას. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელს კუნძულის ჩრდილოეთთან მხოლოდ მშობლებისგან მემკვიდრეობით მიღებული სასოფლო-სამეურნეო მიწა აკავშირებდა და სამხრეთ კვიპროსში ხელს არაფერი უშლიდა მე-9 მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობაში (*Josephides v. Turkey* (dec.));
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, პოლიციის მიერ „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის“ ტერიტორიაზე მდებარე მონასტერში, რომელიც, მოცემულ პერიოდში, მუზეუმად გამოიყენებოდა, მიმდინარე უნებართვო მართლმადიდებლური წირვის ჩაშლას. სასამართლომ აღიარა, რომ ამ საქმეში ადგილი ჰქონდა შეცდომას, რადგან მორწმუნეებს გულწრფელად სჯეროდათ, რომ მათ ჰქონდათ წირვის ჩატარების ნებართვა, მაშინ, როდესაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ტერიტორიაზე შეკრების ნებართვა შესაბამის ორგანოს გაცემული არ ქონდა და შესაბამისად, მათი შეკრება უკანონო იყო. მიუხედავად ამისა, ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით, მათ შორის, არაპროპორციული ძალის გამოყენებისგან თავის შეკავების, ჩრდილოეთ კვიპროსის სპეციფიკური პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე კონფლიქტის პრევენციის საჭიროებისა და ა.შ. - სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული ჩარევა პროპორციული იყო (*Pavlidis and Georgakis v. Turkey* (dec.)).

118. სასამართლომ, მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული ლეგიტიმური ინტერესების განმცხადებელთა რელიგიებით გათვალისწინებული რიტუალების აღსრულების ინტერესზე აღმატებულობის საფუძვლით, მიუღებლად ცნო შემდეგი განაცხადები:

- განაცხადი, რომელიც ეხებოდა მუნიციპალიტეტის მიერ რომის კათოლიკე ეკლესიის მრევლისთვის საეკლესიო ზარის დილის 7:30 სთ-მდე, კონკრეტულ დონეზე ხმაზადლა, რეკვის აკრძალვას. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ჩარევა სხვათა უფლებების - ამ შემთხვევაში, ადგილობრივ მაცხოვრებელთა ღამის მშვიდი დასვენების, დაცვის ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა. ფაქტობრივად, საეკლესიო ზარის რეკვა ისევ შესაძლებელი იყო, ხმაურის შემცირებული დონის დაცვის პირობით; დღის განმავლობაში, დანარჩენ დროს საეკლესიო ზარის რეკვაზე შეზღუდვები დაწესებული არ იყო (*Schilder v. the Netherlands* (dec.));
- განაცხადი, რომელიც ეხებოდა, დიდი ოდენობით ჰალუცინოგენის - “ayahuasca” დაყადაღებასა და კონფისკაციას, რომელიც „სანტო დაიმეს ეკლესიის“ სახელით ცნობილი რელიგიის რიტუალებში გამოიყენება. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ გასაჩივრებული ზომები, რომელიც მიღებული იყო ნარკოტიკების მარეგულირებელი კანონმდებლობის საფუძველზე, წარმოადგენდა „აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ჯანმრთელობის დაცვის მიზნებისთვის. რამდენადაც, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ წარმოადგენდნენ დისკრიმინაციის მსხვერპლს ქრისტიანულ ეკლესიებთან მიმართებით, რომლებიც საკუთარ რიტუალებში იყენებენ აკლოპოლს (საზიარებელ ღვინოს), სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ ორი შემთხვევის ერთმანეთ-

თან შედარება არ შეიძლება: უპირველეს ყოვლისა, ღვინო არ წარმოადგენდა წარკოტიკების მარეგულირებელი კანონმდებლობის სუბიექტს, და მეორე, ქრისტიანული ეკლესიების რიტუალებში არ გამოიყენებოდა ფსიქოაქტიური ნივთიერებები ინტოქსიკაციის მიზნებისთვის (*Fränklin-Beentjes and CEFLU-Luz da Floresta v. the Netherlands* (dec.)).

119. სასამართლომ, ასევე, მიუღებლად ცნო ბერძნული მართლმადიდებლური მონასტრის მიერ წარდგენილი განაცხადი, რომელიც ასაჩივრებდა მონასტრის ტერიტორიის მიმდებარედ ტელეკომუნიკაციების, კერძოდ, რადიო და ტელე-ანძების დამონტაჟებას, როგორც ღვთისმსახურების თავისუფლების დარღვევას. სასამართლომ ვერ დაადგინა მე-9 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევა, რამდენადაც, ანძების მონტაჟის მიუხედავად, მონასტერი დიდი ხნის მანძილზე აგრძელებდა ფუნქციონირებას და თავადვე განაახლა იმ ტერიტორიის იჭარა, რომელზეც ეს ანტენები იყო დამონტაჟებული (*Iera Moni Profitou Iliou Thiras v. Greece* (dec.)).

120. ღვთისმსახურების თავისუფლების გამოყენება, ასევე, შესაძლებელია *მიცვალებულთა დაკრძალვასთან* დაკავშირებით, რამდენადაც, ეს რელიგიური პრაქტიკის არსებით ასპექტს წარმოადგენს (*Johannische Kirche and Peters v. Germany* (dec.)). მიუხედავად ამისა, საქმეზე, რომელშიც განმცხადებლები სადავოს ხდიდნენ იმ დროის შუალედს, რომლის განმავლობაშიც, შესაბამისმა ორგანოებმა მათ საავადმყოფოში გარდაცვლილი ქალიშვილის ცხედარი არ გადასცეს, რის შედეგადაც, მათ მრავალი თვის განმავლობაში ვერ შეძლეს მისი რელიგიური წესით დაკრძალვა და მის საფლავზე ლოცვა, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ აღნიშნული სარჩელი მხოლოდ კონვენციის მე-8 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მიმართებით განეხილა, რადგან გასაჩივრებული ქმედება არ მოიცავდა შესაბამისი ორგანოების მხრიდან მე-9 მუხლით დაცულ უფლებებში პირდაპირ ჩარევას, არამედ, დაკავშირებული იყო ყოფით საკითხებთან, რაც, სასამართლოს თვალსაზრისით, მე-8 მუხლთან მიმართებით უნდა განხილულიყო (*Pannulo and Forte v. France* (dec.)).

ბ. ღვთისმსახურების ადგილები და შენობები

121. კონვენციის მე-9 მუხლი, პრინციპში, იცავს რელიგიური ღვთისმსახურებისთვის განკუთვნილი ადგილებისა და შენობების შექმნის, დაარსებისა და მოვლა-პატრონობის უფლებას. შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევებში, რელიგიური დანიშნულების შენობებით სარგებლობამ შესაძლოა გავლენა იქონიოს რელიგიური ჯგუფის წევრების მიერ რელიგიური მრწამსის გამოხატვის უფლებით სარგებლობაზე (*The Church of Jesus Christ of Latter-Day Saints v. the United Kingdom*, § 30; *Cumhuriyetçi Eğitim ve Kültür Merkezi Vakfı v. Turkey*, § 41). გარდა ამისა, სასამართლომ აღიარა, რომ თუკი რელიგიურ თემს ღვთისმსახურების ადგილის ქონის შესაძლებლობა არ აქვს, მის უფლებას რელიგიის გამოხატვაზე ყოველგვარი არსი ეცლება (*Association de solidarité avec les témoins de Jéhovah and Others v. Turkey*, § 90). ზოგიერთ შემთხვევაში, ფაქტი, რომ გარკვეულ ადგილებზე ეროვნული ხელისუფლების მიერ რელიგიური შეკრებები, *დე-ფაქტო*, ნებადართული ან უბრალოდ შეწყნარებულია, ჩარევის ყველა რისკის აღმოსაფხვრელად შესაძლოა არასაკმარისი იყოს (*იქვე*, § 107).

122. იმავე ზოგად პრინციპს ექვემდებარება *სასაფლაოების მდებარეობის* საკითხი, რამდენადაც ეს რელიგიური პრაქტიკის არსებით ასპექტს წარმოადგენს (*Johannische Kirche and Peters v. Germany* (dec.)).

123. მე-9 მუხლი რელიგიურ თემებს სახელმწიფოს მხრიდან ღვთისმსახურების ადგილების გადაცემის უფლებას არ ანიჭებს (*Griechische Kirchengemeinde München und Bayern e.V. v. Germany* (dec.); *Association de solidarité avec les témoins de Jéhovah and Others v. Turkey*

§ 97). მხოლოდ ის ფაქტი, რომ სახელმწიფო მრავალი წლის განმავლობაში მისი კუთვნილი შენობების რელიგიური მიზნებით განგრძობად გამოყენებას იწყნარებდა, მის მიმართ რაიმე სახის პოზიტიურ ვალდებულებას არ წარმოშობს (*Juma Mosque Congregation and Others v. Azerbaijan* (dec.), § 60).

124. მე-9 მუხლი, როგორც ასეთი, რელიგიურ თემებს დიდი ხნის წინ (მოცემულ შემთხვევაში 1930-იან წლებში), იმდროინდელი პოლიტიკური რეჟიმის მიერ, ჩამორთმეული ღვთისმსახურების შენობების საკუთრებაში დაბრუნების რაიმე სახის უფლებას არ ანიჭებს (*Rymsko-Katolytska Gromada Svyatogo Klimentiya v. Misti Sevastopoli v. Ukraine* (dec.), §§ 59-63). გარდა ამისა, მე-9 მუხლი, პრინციპში, სახელმწიფოებს არ უკრძლავას ორი განსხვავებული რელიგიური თემისთვის ღვთისმსახურების ერთი და იმავე ადგილით მონაცვლეობით სარგებლობის უფლების მინიჭებას, როდესაც ეს განსაკუთრებული ისტორიული გარემოებებით არის გამართლებული (*Gromada Ukrayinskoyi Greko-Katolytskoyi Tserkvy Sela Korshiv v. Ukraine* (dec.), §§ 33-38).

125. კონვენციის დებულებები, სახელმწიფოს, არც ღვთისმსახურების ადგილებისთვის სპეციალური სტატუსის მინიჭების ვალდებულებას აკისრებს. მიუხედავად ამისა, თუკი სახელმწიფო საკუთარი ინიციატივით, კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების გარეშე და მათ მიღმა, ღვთისმსახურების ადგილებისთვის სპეციალური პრივილეგირებული სტატუსის მინიჭებას სთავაზობს, მას უფლება არ აქვს ეს უპირატესობა, მე-14 მუხლით აკრძალული დისკრიმინაციული ფორმით, მხოლოდ სპეციფიკურ რელიგიურ ჯგუფებს მიანიჭოს (*Cumhuriyetçi Eğitim ve Kültür Merkezi Vakfı v. Turkey*, §§ 48-49).

126. როგორც წესი, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შეფასების თავისუფლების ვრცელი ფარგლები აქვთ, ისეთ კომპლექსურ და რთულ სფეროში, როგორც სივრცული განვითარებაა, რაც მათ მიერ ქალაქ-გეგმარების პოლიტიკის განხორციელებაში მდგომარეობს, ვინაიდან, მშენებლობების დაგეგმვის მარეგულირებელი კანონმდებლობა, ზოგადად, დაშვებულია თანამედროვე საზოგადოებაში უკონტროლო განვითარების პრევენციის აუცილებლობიდან გამომდინარე (*ISKCON and Others v. United Kingdom*, Commission decision; *Association de solidarité avec les témoins de Jéhovah and Others v. Turkey*, § 103). შესაბამისად, პრინციპში, ქალაქ-გეგმარების რეგულაციებთან დაკავშირებული განაცხადები კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ლეგიტიმური მიზნის ქვეშ ექცევა (*იქვე*, § 95). მიუხედავად ამისა, სასამართლოს არ შეუძლია უარი თქვას გადასინჯვის უფლებამოსილებაზე და ის ყოველთვის ვალდებულია დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმით, რომ აუცილებელი ბალანსი დაცული იქნება განმცხადებელთა რელიგიის გამოხატვის თავისუფლების უფლებასთან თანხმობაში (*იქვე*, § 103). მეტიც, თუკი სახელმწიფო რელიგიის თავისუფლებას, სხვადასხვა მშენებლობების დაგეგმვის მიმართ ბალანსის დაცვისას, ადეკვატურ მნიშვნელობას ანიჭებს, რელიგიურ ორგანიზაციას უფლება არ აქვს მე-9 მუხლით დაცული უფლებები მშენებლობის დაგეგმვის მოქმედი კანონმდებლობის რეგულაციების დასაძლევად გამოიყენოს (*ISKCON and Others v. the United Kingdom* (dec.)). ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ამ ბალანსს ახორციელებს, მან მხედველობაში უნდა მიიღოს მორწმუნეთა მცირე თემების სპეციალური საჭიროებები (*Association de solidarité avec les témoins de Jéhovah and Others v. Turkey*, § 105).

127. მაგალითად, სასამართლომ რელიგიის თავისუფლების დარღვევა დაადგინა შემდეგ საქმეებზე:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, განმხადებლების დასჯას პატიმრობით და ჯარიმით, იმის გამო, რომ ისინი პირად ოთახს, რომელიც იეჰოვას მოწმეთათვის ღვთისმსახურების მიზნით ჰქონდათ დაქირავებული, „ალიარებული საეკლესიო ხელისუფლების“ (ე.ი. ადგილობრივი ბერძენი მართლმადიდებელი ეპისკოპოსის) და განათლებისა და რე-

ლიგიის საქმეთა სამინისტროს ნებართვის გარეშე იყენებდნენ. სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები ზედმეტ დისკრეციულ ძალაუფლებას ანიჭებდნენ ამ სფეროში მოქმედ ორგანოებს, რასაც ისინი დომინანტი მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებული რელიგიური დენომინაციების საქმიანობის შეზღუდვისთვის იყენებდნენ (*Manoussakis and Others v. Greece*; ასევე, იხ., კომისიის მოსაზრება საქმეზე *Pentidis and Others v. Greece*, რის გამოც აღნიშნული საქმის განხილვა შეწყდა);

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, კერძო შენობების დაკეტვას, რომელიც მანამდე თურქეთში მოქმედი იეჰოვას მოწმეთა ორი კონგრეგაციის მიერ გამოიყენებოდა, ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, რომლის თანახმადაც აკრძალული იყო ღვთისმსახურებისთვის იმ ადგილების გამოყენება, რომელთაც ასეთი დანიშნულება არ ჰქონდათ და შესაბამისად, უარს ამ შენობების ღვთისმსახურებისთვის გამოყენების მოთხოვნაზე. ამ საქმეში, კონგრეგაციებს, ასევე ეცნობათ, რომ ადგილობრივი ურბანული განვითარების გეგმა არ მოიცავდა ღვთისმსახურებისთვის შესაფერისი რაიმე ადგილის გამოყოფას. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა მორწმუნეთა მცირე თემის სპეციფიკური საჭიროებები, რამდენადაც, მიმდევართა მცირე რაოდენობა გულისხმობდა, რომ ამ კონგრეგაციას ესაჭიროებოდა არა სპეციფიკური არქიტექტურული ტიპის შენობა, არამედ, უბრალო შეხვედრების ოთახი, სადაც ისინი საკუთარი მსახურების აღსრულებას და შეხვედრებისა და მათი რელიგიის სწავლების ორგანიზებას შეძლებდნენ (*Association de solidarité avec les témoins de Jéhovah and Others v. Turkey*).

128. მეორე მხრივ, სასამართლომ არ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა (ან განაცხადი აშკარად დაუსაბუთებლად ცნო) შემდეგ საქმეებზე:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, საბერძნეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრს ებრძანა გადაეტანა მისი მამის საფლავი სხვა ადგილას, რათა ხელი შეეწყოს გზის გაფართოების სამუშაოებისთვის. კომისიამ აღნიშნა, რომ მართლმადიდებელი რელიგიის სხვა მიმდევრებმა, იმავე სიტუაციაში, ნებაყოფლობით გადაიტანეს საკუთარი ოჯახის წევრების საფლავები სხვა ადგილას და, რომ საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებმა, რომლებსაც განმცხადებელმა მიმართა, ამ საქმეში მის სასარგებლოდ ჩარევაზე უარი განაცხადეს. გარდა ამისა, განმცხადებელს არ წარმოუჩინია თუ როგორ შეუძლიდა ხელს სასაფლაოს გადატანა საკუთარი რწმენით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებაში ან ამ მოვალეობების შესრულება რატომ მოითხოვდა სასაფლაოს თავდაპირველ ადგილზე შენარჩუნებას (*Daratsakis v. Greece*, Commission decision);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, მშენებლობის დაგეგმარების ადგილობრივი ორგანოს მიერ კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოებისთვის მიცემულ გაფრთხილებას, საზოგადოების მიერ შესყიდული მიწის ნაკვეთის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც მათ ავალებდა მიწის ნაკვეთის გამოყენება იმ მიზნებამდე შეეზღუდა, რისი ნებართვაც მას შესყიდვის დროს ჰქონდა მოპოვებული (საერთო საცხოვრებლებისგან შემდგარი თეოლოგიური კოლეჯისა და ღვთისმსახურების ადგილის მოწყობა, რომელშიც დღიურად მაქსიმუმ ათასი სტუდენტი განთავსდებოდა); ფაქტობრივად, მიწის ნაკვეთის რელიგიური დანიშნულებით აქტიური გამოყენება ამ დრისთვის ძალიან გაფართოებული იყო, იზიდავდა ფართო მასშტაბიან თავყრილობებს, რომელთაც მეზობლების მრავალრიცხოვანი საჩივრები მოჰყვებოდა. სასამართლომ აღიარა, რომ ადგილი ჰქონდა განმცხადებელი საზოგადოების მიერ რელიგიის თავისუფლებით

სარგებლობაში ჩარევას, თუმცა, ეს ჩარევა გამართლებული იყო მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფით; კერძოდ, მან დაადგინა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები მუდმივად მიმართავდნენ ძალისხმევას, რათა პრობლემა მორიგებით გადაეჭრათ და, რომ მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში განმცხადებელი საზოგადოების კონკრეტული რელიგიური ინტერესი სათანადოდ იყო გათვალისწინებული (*ISKCON and Others v. the United Kingdom* (dec.));

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, ავსტრიის სასამართლოების მიერ დანიშნული წარმომადგენლის მოქმედებას, რომლის მოვალეობასაც იმ სერბული მართლმადიდებელი თემის ქონებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება წარმოადგენდა, რომელსაც საერო სამართლის სფეროში მოქმედების უფლებამოსილებაც ბელგრადის საპატრიარქოსთან განხეთქილების გამო თავად შეზღუდული ჰქონდა: წარმომადგენელმა ქირავნობის ხელშეკრულება გააფორმა ორ მღვდელთან, რომლებიც სერბეთის პატრიარქის და უფლებამოსილი ეპისკოპოსის მიერ იყვნენ დანიშნულნი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ჩარევის ალბათობა განმცხადებლის მიერ მე-9 მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობაში, ეს ჩარევა წარმოადგენდა სხვათა უფლებების დაცვისთვის აუცილებელ ზომას და ამ მიზნის პროპორციული იყო, რადგან სადავო ღონისძიება შეზღუდული მასშტაბის იყო და ქირავნობის ხელშეკრულება ძალაში რჩებოდა იმ ვადით, რა ვადითაც ეს განხეთქილება გაგრძელდებოდა (*Serbischgriechisch-orientalische Kirchengemeinde zum Heiligen Sava in Wien v. Austria*, Commission decision);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, გერმანიის ხელისუფლების უარს რელიგიური ორგანიზაციისთვის განაშენიანებისგან დაცულ ზონაში სასაფლაოს განთავსების უფლების მინიჭებაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ჩარევა, რომელიც მშენებლობის დაგეგმარების, გარემოს დაცვისა და კომუნალური მომსახურების მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებს ეფუძნებოდა და მოტივირებული იყო მხოლოდ იმ ფაქტით, რომ მითითებულ ზონაში საერთოდ არანაირი ნაგებობა არ არსებობდა, შეესაბამებოდა მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფს (*Johannische Kirche and Peters v. Germany* (dec.));
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, საბერძნეთის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების უარს განმცხადებლის მოთხოვნაზე შესწორებები შესულიყო ადგილობრივი განაშენიანების გეგმაში იმ მიზნით, რომ მას შეძლებოდა „ქეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანების“ (ძველი სტილის საეკლესიო კალენდრის მიმდევარი ბერძნები ან „მეძველსტილები“) სალოცავი სახლის აშენება მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე; უარის მიზნებს წარმოადგენდა ის, რომ განაშენიანების გეგმაში შესწორებების შეტანის „საზოგადოებრივი საჭიროება“ არ არსებობდა, რადგან მუნიციპალიტეტში მცხოვრები მითითებული რელიგიური თემის წევრების რაოდენობა არასაკმარისი იყო. სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის - *Manoussakis and Others v. Greece*, საპირისპიროდ, ამ შემთხვევაში განაცხადი ეხებოდა ზოგადი სივრცითი დაგეგმარების კანონის, რომელიც, თავისი ფორმით, ნეიტრალური იყო. საბერძნეთის უზენაესი სასამართლოს მიერ აღიარებული რაოდენობრივი კრიტერიუმი არ შეიძლებოდა თვითნებურად ყოფილიყო გაგებული, რადგან ადგილობრივი განაშენიანების გეგმაში შესწორებების შეტანა შესაძლებელი იყო, მხოლოდ „საჯარო ინტერესების“ შესაბამისი ნაგებობების ასაშენებლად. ასეთ გარემოებებში, გონივრული იყო, რელიგიური თემის ობიექტური საჭიროებების მხედველობაში მიღება, თუმცა, რაციონალური სივრცითი დაგეგმარების საჯარო ინტერესი ვერ შეიზღუდებოდა ერთი პირის რელიგიური საჭიროებებით, მაშინ, როცა, მებობელ ქალაქში არსებობდა სალოცავი სახლი, რომელიც უზრუნველყოფდა ამ რეგიონში მცხოვრები „ქეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანების“ საჭიროებებს. შესაბამისად, სახელმწიფო მოქმედებდა შეფასების თავი-

სუფლების ფარგლებში (*Vergos v. Greece*);

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, განმცხადებლების, თურქეთის პროტესტანტული ეკლესიის წევრების, დაჯარიმებას პირადი ბინის ღვთისმსახურების ადგილად გამოყენების გამო, რომელიც მათ შეიძინეს თურქეთის კანონმდებლობით დადგენილი ფორმალური მოთხოვნების დაცვის გარეშე, განსაკუთრებით, შენობის თანამფლობელებთან წინასწარი სავალდებულო შეთანხმების გარეშე. სასამართლომ დაადგინა, რომ საქმისგან - *Manoussakis and Others v. Greece*, განსხვავებით, ამ შემთხვევაში, ფორმალობები არ უკავშირდებოდა რომელიმე რელიგიის აღიარებას ან მის პრაქტიკას და შესაბამისად, არ შეიძლოდა განხილულიყო, როგორც წინასწარი ნებართვის მოპოვების ეკვივალენტი. ისინი, მხოლოდ სხვათა უფლებებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ემსახურებოდნენ. სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ მოახდინა მოცემული ფორმალობების დაბალანსება რელიგიის თავისუფლების მოთხოვნებთან, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ განმცხადებლებს შესთავაზა დაეცვათ ეს ფორმალობები. ამ მნიშვნელობით, სადავო ჩარევა შესაძლოა, გამართლებულად და პროპორციულად ჩაითვალოს. ბოლოს, სასამართლოს არ გამოუთქვამს არანაირი აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ შესაბამისი კანონმდებლობა განმცხადებლების მიმართ დისკრიმინაციული ფორმით, კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევით, იყო გამოყენებული (*Tanyar and Others v. Turkey (dec.)*);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების გზით მუსლიმური კონგრეგაციის მეჩეთის ძველი შენობიდან გამოყვანას, რომელიც ისტორიული ძეგლების ნუსხაში ირიცხებოდა; იმ ფაქტის მიუხედავად, რომ განმცხადებელი კონგრეგაცია ამ შენობას ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იყენებდა, მას ის არც შეძენილი ჰქონდა და არც დაქირავებული (საქმეში - *Manoussakis and Others v. Greece*, არსებული გარემოებების საპირისპიროდ). კერძოდ, განმცხადებელ კონგრეგაციას არ მოუყვანია იმის მტკიცებულებები, რომ მას სხვაგან არ შეეძლო ღვთისმსახურების ადგილის თავისუფლად მოწყობა (*Juma Mosque Congregation and Others v. Azerbaijan (dec.)*).

129. სასამართლომ, ასევე, განიხილა კერძო პირის მიერ წარდგენილი განაცხადი კონვენციის მე-14 და მე-9 მუხლებთან მიმართებით, რომელიც ეხებოდა, შვეიცარიის ფედერალურ კონსტიტუციაში, რეფერენდუმის გზით, მინარეთების მშენებლობის აკრძალვის შესახებ დამატების შეტანას. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ, რადგან განმცხადებელს პირდაპირ არ ეხებოდა სადავო ზომა და არასდროს გამოუთქვამს მინარეთიანი მეჩეთის აშენების სურვილი, მას არ შეეძლო ემტკიცებინა, რომ თავად იყო გასაჩივრებული დარღვევის „მსხვერპლი“ (*Ouardiri v. Switzerland (dec.)*).

130. კომისიამ მიუღებლად მიიჩნია მე-9 მუხლთან მიმართებით წარდგენილი სარჩელი, რომელიც ეხებოდა, საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების ანულირებას „*prêtres français*“ ინსტიტუტისთვის (რომის კათოლიკე ეკლესიის დაწესებულება), რომელიც დაარსებული იყო საეკლესიო კანონმდებლობით და მდებარეობდა თურქეთში და რომელიც 1923 წლის ლოზანის ზავით იყო დაცული და ამ საკუთრების დარეგისტრირებას ხაზინის სახელზე, რასაც შედეგად მისი სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსებისგან მოწყვეტა, რელიგიური მსახურების შესრულებისა და ეკლესიის შენარჩუნების უზრუნველყოფის შესაძლებლობის დაკარგვა მოჰყვა (*Institut de prêtres français and Others v. Turkey (dec.)*). სასამართლო განხილვების პროცესში ეს საქმე მორიგებით დასრულდა (*Institut de prêtres français and Others v. Turkey (friendly settlement)*).

C. რელიგიის თავისუფლება და იმიგრაცია

I. უცხოელთა ბინადრობა და დასაქმება ეროვნულ ტერიტორიაზე და რელიგიის თავისუფლება

131. კონვენცია, როგორც ასეთი, არ იძლევა იმ სახელმწიფოში შესვლის ან ცხოვრების უფლების გარანტიას, რომლის მოქალაქეც პირი არ არის. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ დამკვიდრებული პრინციპის თანახმად, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს უფლება აქვთ აკონტროლონ მათ ტერიტორიაზე არამოქალაქე პირების შესვლა, დარჩენა და ტერიტორიიდან მათი გაყვანა (*Perry v. Latvia*, § 51). შესაბამისად, კონვენციის მე-9 მუხლი, როგორც ასეთი, არ იძლევა უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის მოცემულ ქვეყანაში დარჩენის უფლების გარანტიას. აქედან გამომდინარე, უცხო ქვეყნის მოქალაქის გაძევება, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს ამ მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობაში ჩარევას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დადგინდება, რომ გაძევების ბრძანება მიღებულ იქნა სწორედ ამ უფლებებით სარგებლობის ხელყოფისა და განმცხადებლისა და მისი მიმდევრების რელიგიური ან ფილოსოფიური მრწამსის გავრცელების აღკვეთის მიზნით (*Omkananda and Divine Light Zentrum v. Switzerland*, Commission decision).

132. მაგალითად, სასამართლომ მე-9 მუხლის დარღვევა დაადგინა შემდეგ საქმეებზე:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს პირველად უარს განმცხადებლისთვის, ამერიკის მოქალაქე ევანგელისტი პასტორისთვის, ბინადრობის ნებართვის გახანგრძლივებაზე, რასაც თან სდევდა განსხვავებული ტიპის ნებართვის შეთავაზება, რომელიც შეიცავდა ნახევრად-ინფორმაციული ხასიათის განმარტებას, რომ ის მომავალში ვეღარ შეძლებდა ჩართულიყო საჯარო რელიგიურ აქტივობებში; ამგვარი აკრძალვა არ ემყარებოდა ეროვნულ კანონმდებლობას (*Perry v. Latvia*);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, განმცხადებლის, ღირსი მუნის გაერთიანების ეკლესიის ტაძრის ამერიკელი მსახურის, გაძევებას ვიზის გაუქმების გზით და მისთვის რუსეთში შესვლის აკრძალვას, მიუხედავად იმისა, რომ ის წლების განმავლობაში სარგებლობდა კანონიერი ბინადრობის უფლებით და მისი მცირეწლოვანი ვაჟი ცხოვრობდა ამ ქვეყანაში; ძალიან მკაფიოდ წარმოჩნდა, რომ ეს ზომა რუსეთში განმცხადებლის რელიგიური აქტივობების წინააღმდეგ იყო მიმართული. მოპასუხე მთავრობამ მიუთითა, რომ განმცხადებელი წარმოადგენდა საფრთხეს ეროვნული უშიშროებისთვის - საფუძველი, რომელიც კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული არ არის - ისე, რომ სათანადო მტკიცებულება არ წარმოუდგენია (*Nolan and K. v. Russia*).

133. სასამართლომ, ასევე მისაღებად ცნო შემდეგი განაცხადები, თუმცა არ დაუდგენია მე-9 მუხლის დარღვევა:

- განაცხადი, რომელიც ეხებოდა, მუდმივი ბინადრობის უფლების გაუქმებას განმცხადებლისთვის, პალესტინური წარმოშობის მუსლიმი მქადაგებლისა და მასწავლებლისთვის, რომელიც სერთიფიცირებული იყო ბულგარეთის მთავარი მუფთის მიერ და სახელმწიფო ტერიტორიიდან მის გაძევებას, იმ საფუძველით, რომ მისი რელიგიური აქტივობები მიზნად ისახავდა ისლამის ფუნდამენტალისტური ვერსიის გავრცელებას და წარმოაჩენდა, რომ ის დაკავშირებული იყო ექსტრემისტულ ორგანიზაციასთან - „მუსლიმი ძმები“ (*Al-Nashif v. Bulgaria* (dec.)). დაადგინა რა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევა, სასამართლომ

საჭიროდ აღარ მიიჩნია რელიგიის თავისუფლების დარღვევასთან დაკავშირებით განმცხადებლის სხვა პრეტენზიის განხილვა (*Al-Nashif v. Bulgaria*, §§ 139-142);

- განაცხადი, რომელიც ეხებოდა, ბინადრობის უფლების გაუქმებას ორი განმცხადებლისთვის, ავსტრიის მოქალაქე იეჰოვას მონმე წყვილისთვის, ბულგარეთში მათი სავარაუდო რელიგიური აქტივობების გამო (*Lotter v. Bulgaria* (dec.)). ეს საქმე მორიგებით დასრულდა (*Lotter and Lotter v. Bulgaria* (მორიგება)).

134. მეორე მხრივ, კომისიამ აშკარა დაუსაბუთებლობის გამო მიუღებლად ცნო განაცხადი, რომელიც ეხებოდა, ინდოელი ბერისა და ფილოსოფოსის გაძევების ბრძანებას, რომელიც დამნაშავედ იქნა ცნობილი საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნაში, რადგან ის უწყვეტად არღვევდა მისი სამეზობლოს სიმშვიდეს; ეს ბრძანება არ აღსრულებულა, რადგან განმცხადებელი, ამ დროის განმავლობაში, დამნაშავედ იქნა ცნობილი სისხლის სამართლის დანაშაულებში და მიესაჯა თოთხმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა და შვეიცარიიდან თხუთმეტი წლით გაძევება (*Omkananda and Divine Light Zentrum v. Switzerland*, Commission decision).

135. გარდა ამისა, კონვენციის მე-9 მუხლი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის არ იძლევა ბინადრობის ნებართვის მოპოვების გარანტიას ხელშემკვრელ სახელმწიფოში დასაქმების მიზნით, მაშინაც კი, როცა დამსაქმებელი რელიგიური გაერთიანებაა (*Öz v. Germany*, Commission decision; *Perry v. Latvia*; *El Majjaoui and Stichting Touba Moskee v. the Netherlands* (განაცხადი ამოღებულ იქნა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან) [GC], § 32). ამ პრინციპზე დაყრდნობით, კომისიამ მიუღებლად ცნო განაცხადი, რომლითაც გასაჩივრებული იყო უარი თურქეთის მოქალაქე მუსლიმი რელიგიური მსახურისა და მასწავლებლისთვის დროებითი ბინადრობის ნებართვის განახლებაზე, რომლის შრომითი ხელშეკრულებაც ადგილობრივ ისლამურ გაერთიანებასთან შეწყდა და რომელსაც სურდა დარჩენილიყო გერმანიაში მუშაობის მიზნით - კვლავ იმამის თანამდებობაზე - სხვა გაერთიანებაში და არა იმავში, რომელმაც თავდაპირველად მიიწვია (*Öz v. Germany*, Commission decision).

136. შედარებით ბოლო პერიოდში, სასამართლომ მიუღებლად ცნო განაცხადი, რომელიც ეხებოდა, ნიდერლანდების სამეფოს ხელისუფლების უარს მაროკოს მოქალაქისთვის ბინადრობის ნებართვაზე, რომელიც მას რელიგიურ გაერთიანებაში იმამის თანამდებობაზე დასაქმებლად ესაჭიროებოდა, იმ კონკრეტული საფუძვლით, რომ გაერთიანებას არ გაუწევია სათანადო ძალისხმევა, რათა სხვა კანდიდატი ეროვნულ ან ევროპის შრომის ბაზარზე ეპოვნა და არ უცდია ნიდერლანდების სამეფოში მომზადებული იმამებიდან მოეწვია საკუთარი იმამი (*El Majjaoui and Stichting Touba Moskee v. the Netherlands* (dec.)). მიუხედავად ამისა, გაერთიანებიდან ახალი მოთხოვნის საფუძველზე, განმცხადებელმა საბოლოოდ მოიპოვა ნიდერლანდების სამეფოში დროებითი დასაქმებისა და დროებითი ბინადრობის ნებართვა; შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია რომ დავა გადაწყდა და კონვენციის 37-ე მუხლის 1-ლი b პარაგრაფის თანახმად, განაცხადი განსახილველი საქმეების ნუსხიდან ამოიღო (*El Majjaoui and Stichting Touba Moskee v. the Netherlands* [GC], § 32).

137. სასამართლომ დაადგინა მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა), მე-9 მუხლთან კავშირში, დარღვევა საქმეზე, რომელშიც ავსტრიის ხელისუფლებამ უარი უთხრა იეჰოვას მონმეთა თემს უცხოელთა დასაქმების აქტიდან ამოღებაზე, რითაც მათ ბინადრობის ნებართვის მოპოვების უფლება მიეცემოდათ წყვილისთვის, რომელთაგან ორივე იყო მქადაგებელი და ჰქონდათ ფილიპინების მოქალაქეობა, და რომელთა დასაქმებაც განმცხადებელ თემს ავსტრიაში სურდა. ფაქტობრივად, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, ამ აქტიდან ამოღება შესაძლებელი იყო მხოლოდ „აღიარებული რელიგიური გაერთიანებებისთვის“ და არა განმცხადებელი თემის მსგავსი „რეგისტრირებული“ რელიგიური ორგანიზაციებისთვის (*Jehovas Zeugen in Österreich v. Austria*).

2. იმ ქვეყანაში გაძევება, რომელიც არღვევს რელიგიის თავისუფლებას

138. შეუძლია თუ არა ხელშემკვრელ სახელმწიფოს უცხო ქვეყნის მოქალაქეები გააძევოს მესამე ქვეყანაში, სადაც, სავარაუდოდ, მათ არსებითად შეეშლებათ ხელი საკუთარი რელიგიის თავისუფლებით სარგებლობაში? ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, დადგეს ხელშემკვრელი სახელმწიფოს არაპირდაპირი პასუხისმგებლობა, იმ შემთხვევაში, თუ ის პირებს, მისი იურისდიქციის გარეთ მყოფ ქვეყანაში, მათი უფლებების დარღვევის რეალური რისკის ქვეშ აყენებს. სასამართლომ აღიარა ამგვარი პასუხისმგებლობა საქმეებში, რომლებიც მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლების დარღვევის რისკებს ეხებოდა. სასამართლო პრაქტიკა, ამ საკითხთან დაკავშირებით, ეფუძნება ამ მუხლების ფუნდამენტურ მნიშვნელობას, რამდენადაც ის დაცვის გარანტიები, რომლებსაც ისინი აყალიბებენ, პრაქტიკაში ეფექტურ აღსრულებას საჭიროებენ, ისევე, როგორც, წამების აკრძალვის აბსოლუტურ ხასიათს და იმ ფაქტს, რომ ის წარმოაჩენდა განსაკუთრებული მნიშვნელობის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტს; სასამართლომ, ასევე, ხაზი გაუსვა მოსალოდნელი რისკების მძიმე და გამოუსწორებელ ხასიათს. მოგვიანებით, გარკვეულ გარემოებებში, სასამართლომ იგივე პრინციპი მე-6 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) და მე-5 (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება) მუხლებით დაცულ გარანტიებზეც განავრცო. მიუხედავად ამისა, ამ არსებითი მსჯელობების კონვენციის სხვა ნორმებთან მიმართებით ავტომატურად გამოყენება არ შეიძლება. სუფთად პრაგმატული საფუძვლებით, ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეს საკუთარი ტერიტორიიდან აძევებს, არ შეიძლება მოეთხოვოს, პირის მხოლოდ იმ ქვეყანაში დაბრუნება, სადაც პირობები კონვენციით დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ყველა გარანტიასთან სრულ და ეფექტურ შესაბამისობაშია. მიუხედავად იმისა, რომ მე-9 მუხლით დაცული უფლებები „დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ საფუძველს“ წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, ეს სტანდარტი მაინც იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოებშია დაცული, რომლებიც დემოკრატიული იდეალების, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების ერთგულნი არიან. ცხადია, ზემოთ აღნიშნული პრეცედენტული სამართლის მიხედვით, დაცვა შეთავაზებულია მათთვის, ვისაც მტკიცებულებებით გამყარებული პრეტენზია აქვს, რომ ისინი ან დევნის, მათ შორის, რელიგიური მიზეზებით, ან სიკვდილის ან არასათანადო მოპყრობის და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების რადიკალური დარღვევის მსხვერპლნი იქნებიან ან უკანონო პატიმრობის რეალური რისკის ქვეშ აღმოჩნდებიან, საკუთარი რელიგიური კუთვნილების გამო (ისევე, როგორც, ნებისმიერი სხვა მიზეზით). როდესაც პირი გამოთქვამს პრეტენზიას, რომ საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში მას რელიგიურ ღვთისმსახურებაში ხელი მხოლოდ იმდენად შეეშლება, რომ ეს უკანონობის ამ დონეებს ვერ მიაღწევს, მან საკუთრივ მე-9 მუხლიდან, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია, შესაძლოა მხოლოდ უკიდურესად მზღუდული დახმარება მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს დააკისრებდა ვალდებულებას ეფექტურად ემოქმედათ მსოფლიოში, როგორც ღვთისმსახურების უფლების არაპირდაპირ გარანტორებს. თუკი, მაგალითად, კონვენციის ქოლგის გარეთ მყოფი ქვეყანა კრძალავს რელიგიას, მაგრამ ამავდროულად არ იყენებს დევნის, სასამართლო წესით დევნის, თავისუფლების აღკვეთის ან არასათანადო მოპყრობის რაიმე ზომებს, საეჭვოა კონვენცია იმგვარად იქნას ინტერპრეტირებული, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოს ამ აკრძალული რელიგიის მიმდევართა მიერ საკუთარი რელიგიის მათ სამშობლოში თავისუფალი და ღია გამოხატვის უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფის ვალდებულება დაეკისროს (*Z. and T. v. the United Kingdom* (dec.)).

139. მიუხედავად ამისა, სასამართლო არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, რომელიც საკუთარი ტერიტორიიდან აძევებს პირს, გამონაკლისის სახით, დაექვემდებაროს კონვენციის მე-9 მუხლს, თუკი განმცხადებელი მიმღებ ქვეყანაში

ამ მუხლის რადიკალური დარღვევის რისკის ქვეშ აღმოჩნება. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლოს თანახმად, რთულია იმ შემთხვევის თვალსაზრისით წარმოდგენა, რა დროსაც მე-9 მუხლის რადიკალური დარღვევა, ასევე, არ გამოიწვევს იმგვარ მოპყრობას, რაც დაარღვევს კონვენციის მე-3 მუხლს (*Z. and T. v. The United Kingdom* (dec.)).

140. ზემოხსენებულის ფონზე, სასამართლომ აშკარად დაუსაბუთებლად ცნო პაკისტანის მოქალაქე ორი ქრისტიანის მიერ წარდგენილი განაცხადი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ თუკი მათ პაკისტანში გააძევებდნენ, ისინი საკუთარი რელიგიის თავისუფლების უფლებით სრულყოფილად სარგებლობას ვერ შეძლებდნენ. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლებმა ვერ შეძლეს წარმოედგინათ რელიგიის ნიადაგზე დევნის შემთხვევა ან იმის დამტკიცება, რომ მე-2 ან მე-3 მუხლის დარღვევის რისკის ქვეშ იყვნენ. განმცხადებელი, არც თავად ყოფილა რაიმე სახის ფიზიკური თავდასხმის მსხვერპლი და არც საკუთარი რწმენის გამოხატვაში შეშლია ხელი. პაკისტანში არსებული ზოგადი მდგომარეობის შეფასებისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ ეკლესიებსა და ქრისტიანებზე მიმდინარე თავდასხმების მიუხედავად, ქრისტიანობა პაკისტანში ოფიციალურად აკრძალული არ იყო, მათ ჰყავდათ საკუთარი წარმომადგენლები პარლამენტში და პაკისტანის სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლოები სათანადო ნაბიჯებს დგამდნენ ეკლესიებისა და სკოლების დაცვისა და იმათი დაპატიმრების, სასამართლო წესით დევნისა და დასჯისთვის, ვინც ამ თავდასხმებს ახორციელებდა. ამ გარემოებებში, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლებმა ვერ წარმოაჩინეს, რომ ისინი პირადად იყვნენ ამ თავდასხმების რისკის ქვეშ ან იყვნენ ამ მოწყვლადი ან საფრთხის ქვეშ მყოფი ჯგუფის წევრები ან როგორც ქრისტიანები, იმგვარ არასაიმედო მდგომარეობაში იყვნენ, რაც კონვენციის მე-9 მუხლის რადიკალურ დარღვევას წარმოაჩენდა (*Z. and T. v. The United Kingdom* (dec.); ასევე, იხ., *Razaghi v. Sweden* (dec.)).

III. სახელმწიფოს, როგორც რელიგიის თავისუფლების გარანტის, ვალდებულებები

A. ნებათიური ვალდებულებები: რელიგიური ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელშეშლელი ვალდებულება

I. რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი ხელშემკვრელ სახელმწიფოებში

141. ევროპაში სახელმწიფოსა და რელიგიურ თემებს შორის ურთიერთობათა ერთგვაროვანი მოდელი არ არსებობს; ამის სრულიად საპირისპიროდ, ევროპას ამ ურთიერთობების მომწესრიგებელი კონსტიტუციური მოდელების ფართო მრავალფეროვნება აქვს (*Sindicatul "Păstorul cel Bun" v. Romania* [GC], § 138). არსებული სისტემები შესაძლოა სამ კატეგორიად დაიყოს: a) სახელმწიფო ეკლესიის არსებობა; b) სრული გამოწვევა სახელმწიფოსა და ყველა რელიგიურ ორგანიზაციას შორის; და c) კონკორდატის ტიპის ურთიერთობები (ეს უკანასკნელი ევროპულ ქვეყნებში დომინირებული მოდელია). სასამართლო აღიარებს, რომ სამივე ტიპის სისტემა, როგორც ასეთი, თავსებადია კონვენციის მე-9 მუხლთან და არ არსებობს იმის საჭიროება, რომ მოპასუხე სახელმწიფოს სხვადასხვა რელიგიურ თემებთან თანამშრომლობის კონკრეტული ფორმა დაუნესდეს (*İzzettin Doğan and Others v. Turkey* [GC], § 183).

142. ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოში არსებობს *სახელმწიფო ეკლესია* (ან ოფიციალური ეკლესია), რომელიც უზრუნველყოფილია სპეციალური კონსტიტუციური სტატუსით. ამგვარი სისტემა, თავისთავად, არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-9 მუხლს; ფაქტობრივად, ეს სისტემა უკვე არსებობდა ზემოხსენებულ სახელმწიფოებში, როდესაც კონვენცია ძალაში შევიდა და ეს სახელმწიფოები მისი მხარეები გახდნენ. გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ რელიგიურ საკითხებში სახელმწიფოს ნეიტრალურობის ვალდებულება არ შეიძლება იმგვარად იქნას გაგებულ, რომ მან დააკნინოს იმ რწმენის ან ეკლესიის როლი, რომელთანაც კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობა ისტორიულად და კულტურულად არის ასოცირებული (*Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia*, § 132); მართლაც, ზოგიერთ ქვეყანაში, ისტორიულად დომინანტი უმრავლესობის ეკლესიის დამოუკიდებლობა და მთლიანობა მთელი საზოგადოებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანი საკითხებია (*Orthodox Ohrid Archdiocese (Greek-Orthodox Ohrid Archdiocese of the Peç Patriarchy) v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, § 118). ამ ეკლესიის სამართალსუბიექტობა (იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსი) შესაძლოა აღიარებულ იქნას კანონით (*Holy Synod of the Bulgarian Orthodox Church (Metropolitan Inokentiy) and Others v. Bulgaria*, § 157). ნებისმიერ შემთხვევაში, გადაწყვეტილება იმის შესახებ, ხელი შეუწყოს თუ არა ტრადიციის შენარჩუნებას, პრინციპში, მოპასუხე სახელმწიფოს შეფასების თავისუფლების ფარგლებში თავსდება. უფრო მეტიც, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის უდიდესი მრავალფეროვნება, რაც ევროპულ სახელმწიფოთა შორის არსებობს, კერძოდ, კულტურული და ისტორიული განვითარების სფეროში. მიუხედავად ამისა, ტრადიციაზე მითითება ხელშემკვრელ სახელმწიფოს ვერ შეუმსუბუქებს ვალდებულებას დაიცვას ის უფლებები და თავისუფლებები, რაც კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებითაა გათვალისწინებული (*Lautsi and Others v. Italy* [GC], § 68). იმისთვის, რომ სახელმწიფო ეკლესიის სისტემა მე-9 მუხლის მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს, ის კერძო პირთა რელიგიის თავისუფლების დაცვის სპეციფიკურ გარანტიებს უნდა მოიცავდეს. კერძოდ, არავინ უნდა იქნას იძულებული შევიდეს სახელმწიფო ეკლესიის შემადგენლობაში, ან აეკრძალოს მისი დატოვება (*Ásatrúarfélagið v. Iceland* (dec.), § 27; იხ., ასევე, *Darby v. Sweden*, Commission's report, § 45).

143. ამასთან, იმ სახელმწიფოებში, რომელთაც სახელმწიფო ეკლესია აქვთ, ეკლესიის მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის სფეროში მიღებული გადაწყვეტილებები, არ იწვევს სახელმწი-

ფოს პასუხისმგებლობას კონვენციის წინაშე. მაგალითად, კომისიამ განიხილა შვედეთის ეკლესიის - მითითებულ პერიოდში, სახელმწიფო ეკლესიის - ფინურენოვანი სამრევლოს მიერ წარდგენილი საჩივარი, რომელიც ეხებოდა ეკლესიის ასამბლეის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მათთვის ფინური ლუთერულ-ევანგელური ეკლესიის ლიტურგიის მიხედვით მსახურების აკრძალვისა და შვედური ლიტურგიის ფინური თარგმანით მსახურების დაწესების შესახებ. კომისიამ დაადგინა, რომ ეკლესია და მისი სამრევლოები იყვნენ „არასამთავრობო ორგანიზაციები“ და სახელმწიფოს ვერ დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა იმ გასაჩივრებულ დარღვევაზე, რომელიც ეკლესიის ასამბლეის გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობდა. იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელ სამრევლოს არ აკრძალვია შვედეთის ეკლესიის დატოვება, სახელმწიფოს ვალდებულებებში ვერანაირად მოექცეოდა სამრევლოს რელიგიის თავისუფლების დაცვა (*Finska Församlingen i Stockholm and Hautaniemi v. Sweden*, Commission decision).

144. სხვა სახელმწიფოებში კონსტიტუციური მოდელი ეფუძნება *სეკულარიზმის* პრინციპს, რომელიც სახელმწიფოსა და რელიგიური თემების სრულ გამიჯნვას მოითხოვს. სასამართლომ განაცხადა, რომ ამგვარი მოდელიც შეესაბამება იმ ღირებულებებს, რომელთაგანაც შედგება კონვენცია (*Leyla Şahin v. Turkey* [GC], § 108; *Dogru v. France*, § 72). *სეკულარიზმისა* და ნეიტრალურობის პრინციპი გამოხატავს ერთ-ერთ იმ წესთაგანს, რომლითაც რელიგიურ ინსტიტუტებთან სახელმწიფოს ურთიერთობებია მოწესრიგებული, კერძოდ, წესს, რომელიც, პლურალიზმისა და მრავალფეროვნების პატივისცემის საფუძვლით, ნებისმიერი რელიგიური მრწამსისადმი მიუკერძოებლობას გულისხმობს (*Ebrahimian v. France*, § 67).

145. და ბოლოს, სახელმწიფოები, რომელთა კონსტიტუციური მოდელიც შესაძლებლობას იძლევა გაფორმდეს *თანამშრომლობის შეთანხმება* კონკრეტულ ეკლესიასთან (ან რამდენიმე ეკლესიასთან), რითაც, ამ უკანასკნელისთვის, უზრუნველყოფილი იქნება სპეციალური (გადასახადის გადამხდელის ან სხვა) სტატუსი, იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება და, რომ მსგავსი შეთანხმებების გაფორმება შესაძლებელი იქნება სხვა ეკლესიებთანაც, მათი სურვილის შემთხვევაში (*Alujer Fernández and Caballero García v. Spain* (dec.); *Savez crkava "Riječ života" and Others v. Croatia*, § 85). სახელმწიფოს, ასევე, შეუძლია რელიგიური ორგანიზაცია სხვებისგან განსხვავებული სპეციალური რეჟიმის სუბიექტად აქციოს იმით, რომ არ დაავალდებულოს რეგისტრაცია ან დეკლარირება და მისი სამართალსუბიექტობა (იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსი) აღიაროს კანონით (*Holy Synod of the Bulgarian Orthodox Church (Metropolitan Inokentiy) and Others v. Bulgaria*). მართლაც, სახელმწიფოს შესაძლოა ქონდეს სხვა ლეგიტიმური მიზეზები კონკრეტული რელიგიური დენომინაციებისთვის სპეციალური სტატუსის მოპოვების შესაზღუდად. მას, გარკვეულ გარემოებებში, ასევე შეუძლია დააწესოს სამართლიანი განსხვავებები სხვადასხვა კატეგორიის რელიგიურ თემებს შორის ან შესთავაზოს თანამშრომლობის განსხვავებული ფორმები (*Izzettin Doğan and Others v. Turkey* [GC], § 175). მიუხედავად ამისა, თუ სახელმწიფო, სპეციალურ სტატუსთან ერთად, რელიგიური ჯგუფებისთვის იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის მინიჭების საკანონმდებლო ჩარჩოსაც ადგენს, ყველა რელიგიურ ჯგუფს, რომელიც ამის სურვილს გამოთქვამს, უნდა ჰქონდეს სამართლიანი შესაძლებლობა მოიპოვოს ეს სტატუსი და ამისთვის დაწესებული კრიტერიუმები უნდა გამოიყენებოდეს არადისკრიმინაციული ფორმით (*Religionsgemeinschaft der Zeugen Jehovas and Others v. Austria*; *Izzettin Doğan and Others v. Turkey* [GC], § 175). რელიგიის თავისუფლება, არანაირი ფორმით არ გულისხმობს, რომ რელიგიურ ჯგუფებს ან მათ მიმდევრებს აუცილებლად უნდა მიენიჭოთ, სხვა არსებული ორგანიზაციებისგან განსხვავებული, სპეციალური სამართლებრივი სტატუსი; თუკი, რაიმე ფორმით, მსგავსი სტატუსი მაინც იქნება დადგენილი, ის მინიჭებულ უნდა იქნას არადისკრიმინაციული ფორმით (*Cumhuriyetçi Eğitim ve Kültür Merkezi Vakfı v. Turkey*, § 45).

146. სახელმწიფომ, ასევე, შესაძლებელია გარკვეული საჯარო ვალდებულებები და ფუნქციები დააკისროს ერთ ან მეტ რელიგიურ ორგანიზაციას, რამდენადაც, ამგვარი ვალდებულებებისა და ფუნქციების დელეგირება და მათი დაფინანსების ფორმა სახელმწიფოს შეფასების თავისუფლების ფარგლებს განეკუთვნება (*Bruno v. Sweden* (dec.); *Lundberg v. Sweden* (dec.)).

147. და ბოლოს, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ რელიგიებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბების ამ რთულ სფეროში, ეს უკანასკნელი, პრინციპში, შეფასების თავისუფლების ვრცელი ფარგლებით სარგებლობს (*Cha'are Shalom Ve Tsedek v. France* [GC], § 84). მიუხედავად ამისა, ეს ფარგლები უსასრულო არ არის და სასამართლო, ზოგიერთ შემთხვევაში, აღნიშნავს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ სხვადასხვა რელიგიებთან თანამშრომლობის ფორმების შერჩევას, მათ გადააბიჯა (*Izzettin Doğan and Others v. Turkey* [GC], § 132).

2. რელიგიური ორგანიზაციების აღიარება, რეგისტრაცია და გაუქმება

148. ის საშუალებები, რითაც ეროვნული კანონმდებლობა გაერთიანების თავისუფლებას იცავს და ხელისუფლების მიერ მათი პრაქტიკული გამოყენება, წარმოაჩენს ამ ქვეყანაში დემოკრატიის მდგომარეობას. ბუნებრივია, რომ იქ, სადაც სამოქალაქო საზოგადოება ჯანსაღი ფორმით ფუნქციონირებს, დემოკრატიულ პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობა, დიდ წილად, მათი იმ გაერთიანებებისადმი მიკუთვნებულობით მიიღწევა, რომლებშიც მათ ერთმანეთთან ინტეგრირება და საერთო მიზნების კოლექტიურად მსახურება შეუძლიათ. სახელმწიფომ შეზღუდულად უნდა გამოიყენოს ის ძალაუფლება, რომელიც მის ინსტიტუციებსა და მოქალაქეებს იმ გაერთიანებებისგან იცავს, რომელთაც მათთვის საფრთხის შექმნა შეუძლიათ, რადგან გამონაკლისები გაერთიანების თავისუფლების წესიდან უნდა გაიგებოდეს ცალსახად და მხოლოდ დამატებელი და დაუძლეველი მიზეზები შეიძლება ამართლებდეს ამ თავისუფლების შეზღუდვებს (*Orthodox Ohrid Archdiocese (Greek-Orthodox Ohrid Archdiocese of the Peć Patriarchy) v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, §§ 94-96).

149. რელიგიის თავისუფლების კოლექტიურ ასპექტში ჩარევის ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური ფორმა არსებული რელიგიური ორგანიზაციის გაუქმებაა. ასეთი მკაცრი ზომის გასამართლებლად საჭიროა ძალიან სერიოზული მიზეზები, რათა ის აღიარებულ იქნას „აუცილებლობად დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (*Biblical Centre of the Chuvash Republic v. Russia*, § 54).

150. მაგალითად, სასამართლომ დაადგინა მე-9 მუხლის, კონვენციის მე-11 მუხლთან კავშირში, დარღვევა შემდეგ საქმეებზე:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, რუსეთის სასამართლოების მიერ იეჰოვას მოწმეთა ადგილობრივი ორგანიზაციის (ფილიალის) გაუქმებას და მისი საქმიანობის აკრძალვას პროკურორის მოთხოვნის საფუძველზე. შეაფასა რა ეროვნული სასამართლოების ყველა მასალა (სავარაუდო ზენოლა მიმდევართა ოჯახებზე, რამაც მათი დანგრევა გამოიწვია; სავარაუდო ჩარევა მიმდევართა პირად ცხოვრებასა და მათ უფლებაში თავად აერჩიათ საკუთარი საქმიანობა; მშობლების უფლებების სავარაუდო დარღვევა იმ მშობელთა მიმართ, რომლებიც არ მიეკუთვნებოდნენ იეჰოვას მოწმეთა ორგანიზაციას; პრეტენზიები „ტვინის გამორეცხვისა“ და „გონების კონტროლის“ შესახებ; სავარაუდო წაქეზება თვითმკვლევლობაზე ან სამედიცინო დახმარების, მათ შორის, სისხლის გადასხმის უარყოფაზე; ორგანიზაციაში არასრულწლოვანთა სავარაუდო მოტყუებითი განწევრიანება; წაქეზება, რომ არ ემსახურათ ჯარში, პატივი არ ეცათ

სახელმწიფო სიმბოლოებისათვის და უარი ეთქვათ ეროვნულ დღესასწაულებში მონაწილეობაზე), სასამართლომ დაადგინა, რომ ყველა პრეტენზია ან კონკრეტული მტკიცებულებით არ იყო გამყარებული, ან წარმოადგენდა რელიგიის თავისუფლების ჩვეულებრივ გამოხატვას, რომელიც მიმდევართა მიერ თავისუფალი არჩევანის საფუძველზე, პიროვნული ავტონომიურობის ფარგლებში იყო გაკეთებული, როგორც ეს მე-9 მუხლითაა დაცული. გარდა ამისა, რელიგიის ამგვარი გამოხატვა ძალიან ჰგავდა მსოფლიო მასშტაბით არსებული უმეტესი „ტრადიციული“ რელიგიის პრაქტიკებს (მარხვა, ასკეზა, პირადი ცხოვრების შემზღუდავი სწავლებები და ა.შ.) აქედან გამომდინარე, ორგანიზაციის გაუქმება ლეგიტიმური მიზნების მიმართ აშკარად არაპროპორციული იყო, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებლობა, რომელიც ამ შემთხვევაში იქნა გამოყენებული უკიდურესად ხისტი იყო და სავარაუდოდ დარღვევის ჩამდენი რელიგიური თემის იმაზე უფრო მსუბუქი სანქციით დასჯის შესაძლებლობას არ იძლეოდა, ვიდრე მისი გაუქმება იყო (*Jehovah's Witnesses of Moscow and Others v. Russia*);

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა რუსეთის სასამართლოების მიერ პროტესტანტული (ორმოცდაათიანელთა) ბიბლიური ცენტრის გაუქმებას იმ საფუძველით, რომ მას ჰქონდა საკვირაო სკოლა ბავშვებისთვის და ბიბლიური კოლეჯი სრულწლოვანთათვის (რომელიც გასცემდა სწავლის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატებს ან „დიპლომებს“), რომელთაც არ გააჩნდათ იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსი. გაუქმების მიზეზები იყო, პირველ რიგში ის ფაქტი, რომ ბიბლიური კოლეჯი სათანადო ნებართვის გარეშე გაიხსნა და მეორე, ის, რომ ამ ორმა დაწესებულებამ ვერ დააკმაყოფილა შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნები. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ორგანოებს განმცხადებელი ორგანიზაციისთვის არ მიუციათ რაიმე სახის წინასწარი გაფრთხილება, რაც მას საშუალებას მისცემდა თანხმობაში მოსულიყო შესაბამის სამართლებრივ ან კანონისმიერ მოთხოვნებთან. გარდა ამისა, განმცხადებელ ორგანიზაციას არ შეეძლო საკუთარ მოქმედებათა შედეგების გონივრული წინასწარგანჭვრეტა, რუსეთის სასამართლოების წინააღმდეგობრივი პრაქტიკის გამო, რადგან, ზოგიერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ ისეთი სასაწავლო ცენტრი, როგორიც საკუთრივ საკვირაო სკოლაა, სპეციალურ ავტორიზაციას არ მოითხოვდა (*Biblical Centre of the Chuvash Republic v. Russia*).

151. არსებობს ჩარევის სხვა ფორმებიც, რომლებიც, ასევე, შესაძლებელია, რომ გაუქმების კატეგორიაში მოთავსდეს. რელიგიური საზოგადოებები, ტრადიციულად და საყოველთაოდ ორგანიზებული ინსტიტუტების ფორმით არსებობს. შესაბამისად, მე-9 მუხლის კონვენციის მე-11 მუხლის ფონზე განმარტებისას, სასამართლომ ჩამოაყალიბა, რომ სახელმწიფოს მიერ აღიარებული იურიდიული პირის დაფუძნების შესაძლებლობა, იმ მიზნით, რომ გარანტირებულ იქნას რელიგიის სფეროში კოლექტიური მოქმედებების უფლება, რელიგიის თავისუფლების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, რომლის გარეშეც ეს თავისუფლება აზრს დაკარგავდა. გამომდინარე აქედან, უარი რელიგიური თემისთვის იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის აღიარებაზე ან მინიჭებაზე, წარმოადგენს ჩარევას მე-9 მუხლით დაცული უფლებების, როგორც საკუთრივ თემის, ასევე, მისი წევრების მიერ, გარეგანი და კოლექტიური განზომილებით სარგებლობაში (*Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*, § 105; *Religionsgemeinschaft der Zeugen Jehovas and Others v. Austria*, § 62). მართლაც, მე-11 მუხლთან მიმართებით, სასამართლომ დაადგინა, რომ იურიდიული პირის დაფუძნების შესაძლებლობა, იმ მიზნით, რომ მისმა წევრებმა საერთო ინტერესების სფეროში კოლექტიურად იმოქმედონ, გაერთიანების თავისუფლების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, რომლის გარეშეც ამ უფლებას ყოველგვარი

აზრი გამოეცლებოდა. სახელმწიფოს უარი, რელიგიური ან სხვა სახის გაერთიანებისთვის იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის მინიჭებაზე, გაერთიანების თავისუფლების უფლებით სარგებლობაში ჩარევას უტოლდება. ამ მხრივ, სახელმწიფოს უარი ჭკუფის რეგისტრაციაზე პირდაპირ გავლენას ახდენს, როგორც საკუთრივ ამ ჭკუფზე, ასევე, მის ხელმძღვანელებზე, დამფუძნებლებსა და ცალკეულ წევრებზე (*Kimlya and Others v. Russia*, § 84). იგივე პრინციპების გამოყენება სავსებით შესაძლებელია მე-9 მუხლთან მიმართებით (*Genov v. Bulgaria*, § 35).

152. გარდა ამისა, როდესაც მორწმუნეთა ჭკუფი ასახივრებს ეროვნული ხელისუფლების უარს მათი რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციაზე, ორგანიზაციის ყოველ ცალკეულ წევრს უფლება აქვს ამტკიცოს, რომ ის წარმოადგენს დარღვევის „მსხვერპლს“ კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად; გამომდინარე აქედან, არ არსებობს იმის მიზეზი, რომ მსხვერპლის სტატუსი მიენიჭოთ მხოლოდ იმ პირებს, ვინც რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართა შესაბამის ორგანოებს (*Metodiev and Others v. Bulgaria*, § 24).

153. სახელმწიფოს მხრიდან დაურეგისტრირებელი რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობის უბრალოდ დაშვება, ვერ შეცვლის მის აღიარებას მაშინ, როდესაც მხოლოდ აღიარებას შეუძლია დაინტერესებული პირების შესაბამისი უფლებებით აღჭურვა (*Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*, § 129; *İzzettin Doğan and Others v. Turkey* [GC], § 127). მაშინაც კი, როდესაც კანონმდებლობა ცხადად იძლევა დაურეგისტრირებელი რელიგიური ჭკუფებისთვის საქმიანობის უფლებას, ეს მაინც არ არის საკმარისი, თუკი ეროვნული კანონმდებლობა რელიგიური საქმიანობის წარმართვისთვის არსებითად აუცილებელ მთელ რიგ უფლებებს, მხოლოდ იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსით რეგისტრირებულ ორგანიზაციებს აკუთვნებს (*Svyato-Mykhaylivska Parafiya v. Ukraine*, § 122). ეს უფლებები მოიცავს ქონების საკუთრებისა და ქირავნობის უფლებას, საბანკო ანგარიშების ქონის უფლებას, თანამშრომლების დაქირავების უფლებას, თემის, მისი წევრებისა და მისი ქონების სასამართლო წესით დაცვის უფლებას, ღვთისმსახურების ადგილების დაარსების უფლებას, საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილებში რელიგიური მსახურების უფლებას, რელიგიური ლიტერატურის შექმნის, შექმნისა და გავრცელების უფლებას, საგანმანათლებლო ინსტიტუტების შექმნის უფლებას და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიზნით შესაბამისი კავშირების ქონის უფლებას (*Kimlya and Others v. Russia*, §§ 85-86; *Genov v. Bulgaria*, § 37). გარდა ამისა, იმის შესაძლებლობა, რომ გარანტირებული იქნას თემის, მისი წევრებისა და მისი ქონების სასამართლო წესით დაცვა რელიგიის, განსაკუთრებით, რელიგიური თემის მიერ, კოლექტიურ განზომილებაში გამოხატვის უფლებით სარგებლობის ერთ-ერთი საშუალებაა, შესაბამისად, მე-9 მუხლი დანახულ უნდა იქნას არა მხოლოდ მე-11 მუხლის, არამედ, ასევე, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის ფონზე, რომელიც გულისხმობს სამართლიანი სასამართლოს და სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას (*Svyato-Mykhaylivska Parafiya v. Ukraine*, § 152; *Religionsgemeinschaft der Zeugen Jehovas and Others v. Austria*, § 63).

154. წინა პარაგრაფში გადმოცემული ყველა მსჯელობა განსაკუთრებით სანდოა იმ შემთხვევებში, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა რელიგიურ გაერთიანებებს არ აძლევს უფლებას იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსი მოიპოვონ გაერთიანებათა საქმიანობის მომწესრიგებელი ზოგადი რეგულაციებით არარელიგიურ ორგანიზაციად რეგისტრაციის ან აღიარების გზით (*Genov v. Bulgaria*, § 37; *Metodiev and Others v. Bulgaria*, § 36). გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ რელიგიური თემის მიერ იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის უქონლობა, შესაძლოა ნაწილობრივ კომპენსირებულ იქნას დამხმარე ორგანიზაციების ფუნქციონირებით, არ არის გადამწყვეტი მნიშვნელობისა და პრობლემას ვერ აღმოფხვრის (*Religionsgemeinschaft der Zeugen Jehovas and Others v. Austria*, § 67; *İzzettin Doğan and Others v. Turkey* [GC], § 130).

155. რაც შეეხება რელიგიური თემების აღიარებასა და რეგისტრაციას, სახელმწიფოები უფლებამოსილი არიან შეამოწმონ ახორციელებს თუ არა აშკარა რელიგიური მიზნების მქონე მოძრაობა ან გაერთიანება მოსახლეობისთვის მავნე ან საზოგადოებრივი საფრთხის შემცველ საქმიანობას. რამდენადაც შეუძლებელია იმის გამორიცხვა, რომ ორგანიზაციის პროგრამა გაცხადებულისგან განსხვავებულ დაფარულ მიზნებსა და ამოცანებს მოიცავდეს, ამის გამორიცხვის მიზნით, პროგრამის შინაარსი შესაძლოა ორგანიზაციის საქმიანობასა და იმ პოზიციებს შედარდეს, რომელთაც ის იცავს (*Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*, §§ 105 and 125). სახელმწიფომ, ასევე, შესაძლოა მოითხოვოს, რომ რელიგიური გაერთიანების წესდება ცხადად განმარტავდეს მითითებულ მრწამსსა და რიტუალებს, რათა საზოგადოებამ შეძლოს სხვადასხვა დენომინაციების დიფერენცირება და თავიდან იქნას აცილებული განსხვავებულ რელიგიურ თემებს შორის კონფრონტაცია (*Metodiev and Others v. Bulgaria*, §§ 40 et 45). შესაბამისად, უარი რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციაზე იმ საფუძვლით, რომ მან სახელმწიფო ორგანოებს არ მიანოდა მითითებული რელიგიის ფუნდამენტური მოძღვრებების აღწერა, შესაძლოა გამართლებული იყო იმის დადგენის საჭიროებით, წარმოადგენს თუ არა ორგანიზაცია საფრთხეს დემოკრატიული საზოგადოებისა და მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფით აღიარებული ფუნდამენტური ინტერესებისთვის (*Cârnuirea Spirituală a Musulmanilor din Republica Moldova v. Moldova* (dec.); *Church of Scientology of Moscow v. Russia*, § 93; *Lajda and Others v. the Czech Republic* (dec.)). მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს უფლება აქვთ შეამოწმონ რელიგიური გაერთიანების მიზნებისა და საქმიანობის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, მათ ეს უნდა განახორციელონ შეზღუდულად და იმ ფორმით, რაც შეესაბამება მათ მიერ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებსა და კონვენციის ორგანოების ხედვებს (*Jehovah's Witnesses of Moscow and Others v. Russia*, § 100; *Orthodox Ohrid Archdiocese (Greek-Orthodox Ohrid Archdiocese of the Peć Patriarchy) v. The former Yugoslav Republic of Macedonia*, § 94).

156. სახელმწიფო ორგანოების მიერ აღიარების ან რეგისტრაციის განაცხადის განხილვისა და ზემოხსენებული შესაბამისობის შემოწმების ვადები გონივრულად ხანმოკლე უნდა იყოს (*Religionsgemeinschaft der Zeugen Jehovas and Others v. Austria*, § 79). მსგავსადვე, როდესაც სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს სხვებისგან (მაგალითად, იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის მქონეთაგან) განსხვავებული სპეციალური პრივილეგიების მქონე რელიგიური ორგანიზაციების არსებობას, სახელმწიფოს, გამონაკლისის წესით, შეუძლია დააწესოს უფრო ხანგრძლივი ვადები და შემოწმების პერიოდი, განსაკუთრებით, ახლად ჩამოყალიბებული და უცნობი რელიგიური ჯგუფების შემთხვევაში. მაგრამ, ეს გამართლებული ვერ იქნება იმ რელიგიური ჯგუფების მიმართ, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში არსებობენ, როგორც, საერთაშორისო, ასევე, ქვეყნის მასშტაბით და ამდენად, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებისთვის კარგად არიან ცნობილი (*Religionsgemeinschaft der Zeugen Jehovas and Others v. Austria*, §§ 97-98).

157. სახელმწიფოს, ასევე, შეუძლია ლეგიტიმურად დააწესოს სპეციალური პირობები რელიგიური ორგანიზაციის სახელწოდებასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს მოთხოვნას, რომ სახელწოდება იყოს არსებული ორგანიზაციების სახელწოდებებისგან მკაფიოდ განსხვავებული. იდენტურმა ან ძალიან მსგავსმა სახელწოდებებმა შესაძლოა გამოიწვიოს დაბნეულობა და გაუგებრობა ფართო საზოგადოებაში და ამდენად, სხვათა უფლებებისა და ინტერესების ხელყოფის რისკი წარმოშვას (*Orthodox Ohrid Archdiocese (Greek-Orthodox Ohrid Archdiocese of the Peć Patriarchy) v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, § 111; *Bektashi Community and Others v. the former Yugoslav Republic of Macedonia**, § 71). შესაბამისად, მოთხოვნა, რომ ახლადდაფუძნებულმა იურიდიულმა პირმა მიიღოს ის სახელწოდება, რომელიც საზოგადოებას არ შეიყვანს შეცდომაში და შეუძლებელს არ გახდის მის გარჩევას სხვა მსგავსი ორგანიზაციებისგან, პრინციპში, შესაძლებელია განხილულ იქნას,

როგორც რელიგიური ორგანიზაციის მიერ საკუთარი სახელწოდების თავისუფლად შერჩევის უფლების გამართლებული შეზღუდვა (*Genov v. Bulgaria*, § 43).

158. მაგალითად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლის (დამოუკიდებლად ან/და მე-14 მუხლთან კავშირში) დარღვევა, შემდეგ საქმეებზე:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, მოლდოვის ხელისუფლების უარს აღიარება მიენიჭებინა ბესარაბიის სამიტროპოლიტო ეკლესიისთვის, ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, რომელიც მოქმედებდა ბუქარესტის საპატრიარქოს (რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის) დაქვემდებარებაში, იმ საფუძვლით, რომ ამგვარი აღიარება შელახავდა მოლდოვის სამიტროპოლიტო ეკლესიის ინტერესებს, რომელიც მოქმედებდა მოსკოვის საპატრიარქოს (რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის) დაქვემდებარებაში და უკვე აღიარებული იყო სახელმწიფოს მიერ. სამართლებრივი აღიარების უქონლობის გამო, განმცხადებელი ეკლესია მოკლებული იყო საკუთარი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას; მის მღვდელმსახურებს არ შეეძლოთ საღვთო ლიტურგიის შესრულება, მის წევრებს არ შეეძლოთ შეხვედრა რელიგიური პრაქტიკის ერთობლივი აღსრულების მიზნით და, მეტიც, იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის არარსებობა, მას უფლებას არ აძლევდა სასამართლოს წესით დაეცვა საკუთარი ქონება ან თავი მის წინააღმდეგ განხორციელებული დაშინების აქტებისგან. აღიარებაზე უარის თქმით, იმის გამო, რომ განმცხადებელი ეკლესია წარმოადგენდა მხოლოდ „სქიზმატურ ჯგუფს“ მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში, მოლდოვის მთავრობამ დაარღვია ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულება. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ბრალდებები, რომ განმცხადებელი ეკლესია წარმოადგენდა საფრთხეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და საზოგადოებრივი სტაბილურობისთვის, აშკარად დაუსაბუთებელი იყო (*Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*);
- მოცემული საქმის მსგავს კონტექსტში: საქმეზე, რომელიც ეხებოდა, ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების უარს განმცხადებლებისთვის მოწმობის მიცემაზე, რომელიც მათ ბესარაბიის სამიტროპოლიტო ეკლესიის რეგისტრაციისთვის ესაჭიროებოდათ, იმის საფუძველზე, რომ იმ რეგიონში უკვე რეგისტრირებული იყო და მოქმედებდა მოლდოვის სამიტროპოლიტო ეკლესია; სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული ჩარევა არ იყო „კანონით გათვალისწინებული“ (*Fusu Arcadie and Others v. the Republic of Moldova*);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს უარს განმცხადებელი ეკლესიის რეგისტრაციაზე, ამის მავალდებულებელი სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის მიუხედავად; ამ საქმეზე, სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული ჩარევა არ იყო „კანონით გათვალისწინებული“ (*Biserica Adevărat Ortodoxă din Moldova and Others v. Moldova*);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, ბულგარეთის ხელისუფლების უარს ახალი რელიგიური გაერთიანების, სახელწოდებით: „აჰმადიის მუსლიმური თემი“ (“Ahmadiyya Muslim Community”), რელიგიურ დენომინაციად რეგისტრაციაზე, იმ საფუძვლით, რომ მის წესდებაში არ იყო ჩამოყალიბებული სათანადოდ ცხადი და სრული ინფორმაცია აჰმადიის (Ahmadi) დენომინაციის მრწამსისა და რიტუალების შესახებ, რაც ართულებდა უკვე აღიარებული მუსლიმური რელიგიისგან მის გარჩევას. ამ შემთხვევაში ბულგარეთის კანონმდებლობა არ აყალიბებდა რაიმე სპეციალურ ნორმებს იმის შესახებ თუ რა დეტალურობით უნდა ყოფილიყო აღწერილი ეს მრწამსი და რიტუალები და რა სპეციალური ინფორმაცია უნდა ყოფილიყო მითითებული სარეგისტრაციო

განაცხადის ფორმაში, რაც, პრაქტიკულად, შესაძლებლობას აძლევდა სახელმწიფო ორგანოებს უარი ეთქვათ ნებისმიერი იმ ახალი რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციაზე, რომელსაც უკვე არსებული დენომინაციის მსგავსი დოქტრინა ჰქონდა (*Metodiev and Others v. Bulgaria*);

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, ავსტრიის ხელისუფლების მიერ გაშვებულ ოც წლიანი დროის შუალედს კანონით აღიარების შესახებ იეჰოვას მოწმეთა კონგრეგაციის განაცხადის განხილვაზე და საბოლოოდ, მისთვის „რეგისტრირებული“ რელიგიური ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილების მიღებას. სასამართლომ, ასევე, დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას მე-14 მუხლის დარღვევით, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ განმცხადებელ თემს უარი ეთქვა „აღიარებული რელიგიური საზოგადოების“ სტატუსის მინიჭებაზე, რაც მოიცავდა იურიდიული პირის სამართლებრივ სტატუსს და ითვალისწინებდა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი მთელი რიგი პრივილეგიების მინიჭებას, იმ საფუძველზე, რომ ის ავსტრიის ტერიტორიაზე, მინიმუმ ათი წლის განმავლობაში, არ ფუნქციონირებდა, როგორც „რეგისტრირებული“ ორგანიზაცია. მოპასუხე მთავრობას არ წარმოუდგენია ამ განსხვავებული მოპყრობის რაიმე ობიექტური და გონივრული გამართლება, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ „ათწლიანი“ მოთხოვნა დაცული არ ყოფილა სხვა რელიგიური თემების მიმართ, რომლებიც იეჰოვას მოწმეთა მსგავს მდგომარეობაში იყვნენ (*Religionsgemeinschaft der Zeugen Jehovas and Others v. Austria*);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა რუსეთის ხელისუფლების უარს საინტელოჯიური ეკლესიის ორი ადგილობრივი ფილიალის „რელიგიურ ორგანიზაციად“ რეგისტრაციაზე, რაც მათ ავტომატურად მიანიჭებდა იურიდიული პირის სამართლებრივ სტატუსს, იმ საფუძველზე, რომ ისინი რუსეთის ტერიტორიაზე, მინიმუმ თხუთმეტი წლის მანძილზე არ ფუნქციონირებდნენ, როგორც „რელიგიური ჯგუფები“ (იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის გარეშე). დაადგინა რა მე-9 მუხლის, მე-11 მუხლის ფონზე განმარტებით, დარღვევა, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე მთავრობას სადავო შეზღუდვის მხარდასაჭერად არ მიუთითებია რაიმე დაუძლეველი საზოგადოებრივი საჭიროება ან ასეთი ხანგრძლივი მოცდის პერიოდის გამართლებისთვის სათანადო და შესაფერისი მიზეზი; კერძოდ, არასოდეს დამტკიცებულა, რომ განმცხადებლები - როგორც ჯგუფი ან როგორც კერძო პირები - ეწეოდნენ ან სურვილი ქონდათ განეხორციელებინათ უკანონო მოქმედებები ან ემსახურებოდნენ რაიმე სხვა მიზნებს, გარდა რელიგიური ღვთისმსახურებისა, სწავლებისა, პრაქტიკისა და რიტუალების აღსრულებისა. რეგისტრაციაზე უარის მიზეზი იყო წმინდად ფორმალური, არ უკავშირდებოდა მოცემული ჯგუფის საქმიანობას და ერთადერთ „დანაშაულს“, რაშიც განმცხადებლები ცნობილ იქნენ დამნაშავედ, წარმოადგენდა მათი განზრახვა მიემართათ იმ „რელიგიური ხასიათის“ გაერთიანების რეგისტრაციის მოთხოვნით, რომელიც არ არსებობდა ამ რეგიონში მინიმუმ თხუთმეტი წლის განმავლობაში (*Kimlya and Others v. Russia*). სხვა, ძალიან მსგავს საქმეში, რეგისტრაციის განაცხადზე უარის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ ადგილობრივ მუნიციპალურ საბჭოს ამგვარი მოწმობის გაცემის კომპეტენცია არ გააჩნდა. საქმის - *Kimlya and Others v. Russia*, საპირისპიროდ, ამ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ ჩარევა არ იყო „კანონით გათვალისწინებული“ და შესაბამისად, მისი პროპორციულობის საკითხის განხილვის საჭიროება არ არსებობდა (*Church of Scientology of St Petersburg and Others v. Russia*);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, ხორვატიის მთავრობის მიკერძოებულ და დისკრიმინაციულ უარს განმცხადებლებთან, რამდენიმე რეფორმისტულ ეკლესიასთან, საჯარო ინტერესის სფეროში თანამშრომლობის შეთანხმების გაფორმებაზე, რაც ამ ეკლესი-

ებს უფლებას მისცემდა განეხორციელებინათ რელიგიური განათლება სახელმწიფო სკოლებში და აღიარებდა მათი მღვდელმსახურების მიერ ჩატარებული ქორწინების სამოქალაქო შედეგებს. ამ საქმეში მთავრობამ საკუთარი უარი იმ ფაქტით გაამართლა, რომ განმცხადებლები, არც დამოუკიდებლად და არც ერთობლივად, არ აკმაყოფილებდნენ ამგვარი შეთანხმების დადებისთვის საჭირო კრიტერიუმებს, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო მთავრობის დადგენილებით (ინსტრუქციით). ამასთან, რამდენიმე სხვა თემი გათავისუფლებულ იქნა რაოდენობრივი კრიტერიუმისგან, ხოლო ისტორიულ კრიტერიუმთან („ევროპული კულტურის სივრცეში არსებული ისტორიული რელიგიური თემები“) მიმართებით, მთავრობამ ვერ განმარტა რატომ არ აკმაყოფილებდნენ განმცხადებლები, პროტესტანტული რეფორმისტული ტრადიციის ეკლესიები, ამ უკანასკნელს. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა (*Savez crkava "Riječ života" and Others v. Croatia*).

159. სასამართლომ, ასევე დაადგინა:

- მე-11 მუხლის, მე-9 მუხლის ფონზე წაკითხვით, დარღვევა მაკედონიელ მართლმადიდებელ ქრისტიანთა გაერთიანების საქმეზე, რომელიც კანონიკურ ერთობაში იყო სერბეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან და არა მაკედონიის მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რომელიც საკუთარ თავს ავტოკეფალურად აცხადებდა. განმცხადებელმა გაერთიანებამ წარადგინა რეგისტრაციის ორი განაცხადი ორი უმნიშვნელო განსხვავების მატარებელი სახელწოდებით, სადაც მიუთითებდა, რომ ის იმყოფებოდა სერბეთის ეკლესიის კანონიკურ იურისდიქციში. რეგისტრაციის ორივე მოთხოვნა უარყოფილ იქნა, არსებითად ფორმალური საფუძვლებით. ხელისუფლებამ ასევე, მიუთითა სხვა ორ საფუძველზეც, კერძოდ: იმაზე, რომ განმცხადებელი გაერთიანება დაფუძნებული იყო უცხო ქვეყნის ეკლესიის ან სახელმწიფოს მიერ, რის გამოც მას რეგისტრაციის უფლება არ ჰქონდა; და იმაზე, რომ მის მიერ მითითებული სახელწოდებები პრობლემური იყო. უფრო კონკრეტულად, მითითებული სახელწოდებები ძალიან ჰგავდა „მაკედონიის მართლმადიდებელ - ოჰრიდის სამთავარეპისკოპოსოს“, რომელსაც გააჩნდა „ისტორიული, რელიგიური, მორალური და ძირითადი უფლება“ გამოეყენებინა სახელწოდება „ოჰრიდის სამთავარეპისკოპოსო“. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მთელი რიგი ხარვეზები, რომელზე დაყრდნობითაც განმცხადებელ გაერთიანებას უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, არ ყოფილა არც სათანადო და არც საკმარისი. იგივე მიემართებოდა გაერთიანების „უცხოურ წარმომავლობას“, რადგან მისი დამფუძნებლები მოპასუხე სახელმწიფოს მოქალაქეები იყვნენ და შესაბამისი კანონმდებლობა არ კრძალავდა იმგვარი რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციას, რომელიც საზღვარგარეთ მდებარე რელიგიური ცენტრის წინაშე იქნებოდა პასუხისმგებელი. რაც შეეხება, გაერთიანების სახელწოდებას ის იყო საკმარისად სპეციფიკური, იმისთვის, რომ განსხვავებულიყო სხვა ეკლესიებისგან. შესაბამისად, გასაჩივრებული ჩარევა არაპროპორციული იყო (*Orthodox Ohrid Archdiocese (Greek-Orthodox Ohrid Archdiocese of the Peć Patriarchy) v. the former Yugoslav Republic of Macedonia*);
- მე-9 მუხლის, მე-11 მუხლის ფონზე წაკითხვით, დარღვევა ბულგარეთის ხელისუფლების მიერ ჰარე კრიშნას მოძრაობის მიმდევართა ახალი გაერთიანების რეგისტრაციაზე უარის გამო, იმ საფუძვლებით, რომ გაერთიანების მრწამსი და რიტუალები არ განსხვავდებოდა იმ გაერთიანებისგან, რომელიც უკვე რეგისტრირებული იყო; მათი წესდებები და დეკლარირებული მიზნები ერთი და იგივე იყო; მათი სახელწოდებები იყო ძალიან მსგავსი; კანონი კრძალავდა ერთ დასახლებაში ან ქალაქში მდებარე ორი რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციას; და ბოლოს, ახალი გაერთიანება,

შეიძლება ყოფილიყო „დედა ორგანიზაციის“ (უკვე რეგისტრირებული გაერთიანების) ფილიალი, თუმცა, მხოლოდ ამ უკანასკნელის გაცხადებული მოთხოვნის საფუძველზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელწოდებათა მსგავსების არგუმენტი საბოლოოდ არ ყოფილა გამოყენებული, როგორც უარის მთავარი საფუძველი და, რომ სხვა საფუძველები „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის“, როგორც სადავო ჩარევის, გასამართლებლად არასაკმარისი იყო (*Genov v. Bulgaria*).

160. მეორე მხრივ, სასამართლომ აშკარად დაუსაბუთებლად ცნო ჩეხეთის რესპუბლიკასა და ბულგარეთში არსებული სონ მიუნგ მუნის გაერთიანების ეკლესიის მიმდევართა ორი ჯგუფის მიერ წარდგენილი სარჩევები:

- პირველ საქმეში, რომელიც სასამართლომ მე-11 მუხლის მე-9 მუხლთან კავშირში განიხილა, განმცხადებლები ასაჩივრებდნენ ჩეხეთის ხელისუფლების უარს მათი ორგანიზაციის იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის მქონე ეკლესიად რეგისტრაციაზე, ორი საფუძველით: პირველი, განმცხადებლების უარი სახელმწიფო ორგანოებისთვის მათი სწავლების განმმართველი დოკუმენტების მიწოდებაზე და მეორე, მათ მიერ „ეკლესიის დოქტრინის მიმდევარი პირებისგან“ ხელმოწერების შეგროვების ზოგადი რეგულაციის დარღვევის ფაქტი. დამატებითი შემონიშნების ჩატარების შემდეგ, სახელმწიფო ორგანოებმა ბათილად ცნეს მრავალი ხელმოწერა, იმ საფუძველით, რომ მათი ავტორები უფრო მეტად ეკლესიის მხარდამჭერები იყვნენ, ვიდრე ეკლესიასთან რელიგიური კავშირის მქონე მორწმუნეები; სასამართლომ კანონმდებლობის ამგვარი ინტერპრეტაცია გონივრულად და დასაბუთებულად ცნო. გარდა ამისა, გაუბათილებელი ხელმოწერების რაოდენობა იყო ეკლესიის რეგისტრაციისთვის კანონით მოთხოვნილ 10,000-ზე ნაკლები. მიუხედავად აღიარებისა, რომ შესაძლოა ეს რაოდენობა ერთი შეხედვით არაპროპორციულად გამოიყურებოდეს, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის განხილვის პერიოდში ძალაში შესული კანონის თანახმად ეს რაოდენობა 300-მდე შემცირდა და განმცხადებლებს არაფერი უშლიდათ ხელს, რომ მათი ეკლესიის რეგისტრაციის მოთხოვნა ხელახლა წარედგინათ (*Lajda and Others v. the Czech Republic* (dec.));
- მეორე საქმეში, რომელიც სასამართლომ მე-9 მუხლთან მიმართებით განიხილა, განმცხადებლები ასაჩივრებდნენ ბულგარეთის ხელისუფლების სავარაუდო ფარულ უარს მათი ორგანიზაციის რეგისტრაციაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლებს არ მიუღიათ ფორმალური უარი რეგისტრაციაზე; მათ მთავრობისგან მიიღეს წერილი, რომელიც მათ თხოვდა შეეცნოთ და განემართათ წარდგენილი დოკუმენტები, მაგრამ მათ გადაწყვიტეს არ დაეცვათ ეს ინსტრუქცია. საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ მთავრობის მიდგომა არ მიანიშნებდა არც შემაფერხებელ ტაქტიკაზე და არც რაიმე სახის ფარულ უარზე (*Boychev and Others v. Bulgaria*).

161. რაც შეეხება, სახელმწიფოს მიერ უკვე აღიარებული რელიგიური ორგანიზაციის *ხელახალ რეგისტრაციაზე უარს* - მისთვის იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის ჩამორთმევით ან უფრო დაბალი სამართლებრივი სტატუსის მინიჭების გზით - სასამართლო ამ სახის საქმეების განხილვას კონვენციის მე-11 მუხლის (გაერთიანების თავისუფლება) მე-9 მუხლთან კავშირში არჩევს. მაგალითად, სასამართლომ მე-11 მუხლის დარღვევა დაადგინა შემდეგ საქმეებზე:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, რუსეთის ხელისუფლების უარს ხსნის არმიის ადგილობრივი ფილიალის ხელახალ რეგისტრაციაზე, რაც მას ართმევდა იურიდიული პირის სამართლებრივ სტატუსს, იმ საფუძველით, რომლებიც სასამართლომ მიიჩნია ან

ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლების არმქონედ ან დაუსაბუთებლად და არაგონივრულად (განმცხადებლის „უცხოური წარმომავლობა“; მისი რელიგიურობის დამადასტურებელი მონაცემების სავარაუდოდ არადამაკმაყოფილებლობა; განმცხადებლის სავარაუდოდ „პარამილიტარული“ ხასიათი; მისი სავარაუდოდ განზრახვა დაერღვია რუსეთის კანონმდებლობა და ა.შ.) (*Moscow Branch of the Salvation Army v. Russia*, §§ 74–75);

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, რუსეთის ხელისუფლების უარს საინტოლოგიური ეკლესიის ადგილობრივი ფილიალის ხელახალ რეგისტრაციაზე, ხელახალი რეგისტრაციის მინიმუმ თერთმეტი განაცხადის წინააღმდეგობრივი და დაუსაბუთებელი საფუძვლებით (დოკუმენტაციის სავარაუდოდ არასაკმარისობა, იმის მითითების გარეშე თუ რომელი დოკუმენტი არ იყო წარმოდგენილი; მოთხოვნა, რომ წარმოდგინათ დოკუმენტების ორიგინალები და არა ასლები, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ამას არ ითხოვდა და ა.შ.) უარყოფის გზით (*Church of Scientology of Moscow v. Russia*). სხვა, ძალიან მსგავს საქმეზე, სასამართლომ დაადგინა მე-11 მუხლის დარღვევა, როგორც *იეჰოვას მოწმეთა ორგანიზაციის ადგილობრივი ფილიალის ხელახალ რეგისტრაციაზე უარის შედეგი* (*Jehovah's Witnesses of Moscow and Others v. Russia*);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, ახალი კანონმდებლობის ძალაში შესვლის შემდეგ, მაკედონიის ხელისუფლების უარს ბექტაშის თემისთვის (სუფიური წესის) რელიგიური ორგანიზაციის სტატუსის დამტკიცებაზე, რომელსაც ამგვარი სტატუსი თხუთმეტი წლის განმავლობაში ჰქონდა, წმინდად ფორმალური მიზეზებით, რომელსაც მოჰყვა უარი ახალ რეგისტრაციაზე იმ საფუძვლით, რომ მისი სახელწოდება და დოქტრინის წყაროები უკვე რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის იდენტური იყო, რასაც მორწმუნეთა შორის დაბნეულობის გამოწვევა შეეძლო (*Bektashi Community and Others v. The former Yugoslav Republic of Macedonia**);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, იმ საკანონმდებლო ცვლილებას, რომლის საფუძველზეც მანამდე უნგრეთში „ეკლესიებად“ აღიარებულ რელიგიურ ორგანიზაციებს მიენიჭათ „გაერთიანების“ სტატუსები, მნიშვნელოვნად უფრო დაბალი სამართლებრივი სტატუსი, რომელიც უფლებებისა და პრივილეგიების თვალსაზრისით გაცილებით უფრო მცირე უპირატესობებს ითვალისწინებდა (*Magyar Keresztény Mennonita Egyház and Others v. Hungary*).

162. კონვენციის მე-9 მუხლის 1-ლი პარაგრაფი არ გაიგება იმდენად ფართოდ, რომ ის ხელშემკვრელი სახელმწიფოებისგან *რელიგიური ქორწინებებისთვის* სამოქალაქო ქორწინების თანაბარი სტატუსის და თანაბარი სამართლებრივი შედეგების მინიჭებას მოითხოვდეს (*X. v. Germany*, Commission decision of 18 December 1974; *Khan v. the United Kingdom*, Commission decision; *Spetz and Others v. Sweden*, Commission decision; *Serif v. Greece*, § 50; *Şerife Yiğit v. Turkey* [GC], § 102). უფრო მეტიც, მე-9 მუხლი არ მოიცავს რელიგიური ქორწინების ფორმებს, იმ გაგებით, რომ მათი დადგენა სრულად არის დამოკიდებული ყველა კონკრეტულ რელიგიაზე. მაგალითად, თითოეული რელიგიის გადასაწყვეტია დაუშვებენ თუ არა, ან რა მოცულობით დაუშვებენ ერთი და იმავე სქესის წყვილთა კავშირებს (*Parry v. the United Kingdom* (dec.)). მე-9 მუხლს არც ის ეწინააღმდეგება, თუკი სახელმწიფო მოითხოვს, რომ ქორწინებები *აღრიცხულ იქნას* სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით და უარს იტყვის ქორწინებების რელიგიური აღრიცხვების იურიდიული ძალის აღიარებაზე შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ პრობლემათა ფარგლებში (*Von Pelsler v. Italy*, Commission decision).

163. კომისიამ არ მიიღო ბელგიის მოქალაქის სარჩელი, რომელიც ეხებოდა იმ ფაქტს, რომ ბელგიური სისტემა, რომელიც აერთიანებდა მეუღლეთა შემოსავლებს საგადასახადო მიზნებისთვის, დაქორწინებული წყვილებისთვის არახელსაყრელად მუშაობდა; განმცხადებლის თანახმად, წყვილებისთვის, რომელთა რელიგიის მიხედვით ქორწინება წმინდა საიდუმლოებას წარმოადგენდა, შეუძლებელი იყო ქორწინებაში თანაცხოვრების უარყოფითი საგადასახადო შედეგების თავიდან არიდება. კომისიამ არ დაადგინა განმცხადებლის რელიგიის თავისუფლების დარღვევა, იმის გათვალისწინებით, რომ დაქორწინებული და თანაცხოვრებაში მყოფი წყვილების მდგომარეობათა შედარება, მხოლოდ შემოსავლებთან დაკავშირებულ გადასახადებზე კონცენტრირებით, როგორც ამას განმცხადებელი აკეთებდა, ხელოვნური იყო და ამდენად, გამორიცხავდა ქორწინებისას მეუღლეთა მიმართ წარმოშობილ, საქმიანი თუ მორალური მნიშვნელობის, სხვა უფლებებსა და ვალდებულებებს (*Hubaux v. Belgium*, Commission decision).

164. სახელმწიფოებს არ მოეთხოვებათ ეროვნული სამართლებრივი სისტემით აღიარონ რელიგიური სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (*Serif v. Greece*, § 50).

165. გარდა ამისა, რელიგიის გამოხატვა „სწავლების“ გზით არ გაიგება იმდენად ფართოდ, რომ ის მოიცავდეს სახელმწიფოთა ვალდებულებას სახელმწიფო სკოლებში დაუშვან რელიგიური განათლება (*Savez crkava "Riječ života" and Others v. Croatia*, § 57). მიუხედავად ამისა, თუკი სახელმწიფო გადაწყვეტს, რომ ამგვარი პრივილეგია მიანიჭოს კონკრეტულ რელიგიურ თემებს, ეს სპეციალური უფლებები და პრივილეგიები მოექცევა მე-9 მუხლის სფეროში, იმგვარად, რომ შესაძლებელი იქნება კონვენციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის აკრძალვის გამოყენება (*იქვე*, § 58).

166. გარდა ამისა, თუკი ეროვნული კანონმდებლობით კონკრეტული დენომინაციების ღვთისმსახურები სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგების მქონე ქორწინებების შესრულების ან კონკრეტული სამოქალაქო-სამართლებრივი დავების (მაგალითად, საოჯახო და მემკვიდრეობის საკითხების) გადაწყვეტის უფლებას ფლობენ, სახელმწიფოს წარმოეშება ლეგიტიმური ინტერესი მიიღოს სპეციალური ზომები, რათა შეცდომაში შეყვანისგან დაიცვას ისინი, ვის სამართლებრივ ურთიერთობებზეც, შესაძლოა, ღვთისმსახურთა მოქმედებებმა იქონიოს გავლენა (*Serif v. Greece*, § 50).

3. სახელმწიფოს მიერ რელიგიური თემების მიმართ დამაკნინებელი ტერმინების გამოყენება

167. ოფიციალურ დოკუმენტებში რელიგიური თემების მიმართ დამაკნინებელი გამოთქმების გამოყენება შესაძლოა გაუტოლდეს მე-9 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევას, რამდენადაც, მოსალოდნელია, რომ მან უარყოფითი გავლენა იქონიოს რელიგიის გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობაზე (*Leela Förderkreis e.V. and Others v. Germany*, § 84).

168. კომისიამ მიუღებლად ცნო განაცხადები, რომლებიც ეხებოდა შემდეგს:

- კომპეტენტური ეროვნული სასამართლოს უარს განმცხადებელი გაერთიანების მოთხოვნაზე, რომ გერმანიის ფედერალურ მთავრობას აკრძალვოდა მისი მოხსენიება სამთავრობო გამოცემაში სახელწოდებით: „ეგრეთწოდებული ახალგაზრდა სექტები და ფსიქო-ჭკუაფები გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში“. კომისიამ აღნიშნა, რომ განმცხადებელი გაერთიანების უფლება რელიგიის გამოხატვაზე არ დარღვეულა, რამდენადაც, სადავო გამოცემას ამ უფლებით სარგებლობაზე რაიმე სახის პირდაპირი უარყოფითი შედეგები არ ჰქონია. გამოცემა მომზადებული იყო იმ

ერთადერთი მიზნით, რომ მოეხდინა ფართო საზოგადოების ინფორმირება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ეროვნული სასამართლოების თანახმად, განმცხადებელი გაერთიანების ზოგიერთმა საქმიანობამ - მაგალითად, სამედიცინო მკურნალობის რელიგიური რწმენით ჩანაცვლების მხარდაჭერის ფაქტმა - მათ შესახებ საზოგადოების გაფრთხილების საჭიროება გაამართლა (*Universelles Leben e.V. v. Germany*, Commission decision);

- საგანმანათლებლო ჟურნალში ბავარიის განათლების სამინისტროს მიერ სტატიის გამოქვეყნებას, იმ მიზნით, რომ მოსწავლეები საინტელოგოგის სავარაუდო საფრთხეების შესახებ გაეფრთხილებინა და სასამართლოების უარს სტატიის გავრცელების დროებით შეჩერებაზე. კომისიამ მხედველობაში მიიღო, რომ სადავო სტატიამ სამიზნედ აქცია ზოგადად საინტელოგოგია, როგორც მსოფლიო მასშტაბით მოქმედი მოძრაობა და არა მისი კერძო მიმდევრები, ისეთები, როგორებიც განმცხადებლები იყვნენ. რამდენადაც, განმცხადებლები ასაჩივრებდნენ მათ მიმართ მეზობლებისა და ადგილობრივი პრესის უარყოფით დამოკიდებულებას, მიზნობრივი კავშირი სადავო სტატიასა და ამ ფაქტებს შორის არ იკვეთებოდა; ნებისმიერ შემთხვევაში, სტატიის გავლანა არაპირდაპირი და უმნიშვნელო იყო იმისთვის, რომ მე-9 მუხლით დაცულ მათ უფლებებზე მოეხდინა ზეგავლენა; შესაბამისად, სარჩელი შეუსაბამო იყო სასამართლოსთვის მიმართვაზე უფლებამოსილი პირის (*Ratione Personae*) კონვენციით დადგენილ უფლებასთან (*Keller v. Germany*, Commission decision).

169. სასამართლომ არ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა იმ საქმეზე, რომელშიც განმცხადებლები, ბხაგავატ შრი რაჯნიშის (ოშოს) მიმდევარი გაერთიანებები, ასაჩივრებდნენ გერმანიის ფედერალური მთავრობისა და მისი წევრების მხრიდან სპეციალურ ოფიციალურ კომუნიკაციებში მათ სწავლებებთან დაკავშირებით შემდეგი ტერმინების განმეორებად გამოყენებას: „სექტა“, „ახალგაზრდა სექტა“, „ფსიქო-სექტა“, „ფსევდო-რელიგია“, „დესტრუქციული რელიგიური მოძრაობა“, „მოძრაობა, რომელიც ეწევა მისი წევრების მანიპულაციას“ და ა.შ. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მთავრობას უფლება ჰქონდა გამოეყენებინა ამ ტერმინთა უმეტესობა; მეორე მხრივ, გამოთქმები „ფსევდო-რელიგია“ და „დესტრუქციული რელიგიური მოძრაობა“ და მანიპულაციის შესახებ განცხადება ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას. მე-9 მუხლით გარანტირებულ უფლებებში სავარაუდო ჩარევის შეფასებისას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჩარევა ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზნებს (საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგისა და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას) და ამ მიზნების პროპორციული იყო. მართლაც, ფედერალური ხელისუფლება, საჯარო ინტერესს მიკუთვნებული საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმირების ვალდებულების განხორციელებისას, მიზნად ისახავდა მხოლოდ მოქალაქეთა ყურადღების მიპყრობას იმ ფენომენისადმი, რომელიც მას საგანგაშოდ მიაჩნდა, როგორც იყო მრავალი ახალი რელიგიის გამოჩენა და მათი მიმზიდველობა ახალგაზრდებში. ხელისუფლების ერთადერთი მიზანი ის იყო, რომ ხალხს შესაძლებლობა მისცემოდა, საჭიროების შემთხვევაში, ემოქმედა ფაქტების სრულყოფილი ცოდნით და თავიდან აერიდებინა მხოლოდ უცოდინრობის გამო შექმნილი სირთულეები. გარდა ამისა, მთავრობის ქცევა არანაირი ფორმით არ უშლიდა ხელს განმცხადებელი გაერთიანებების მიერ კონვენციის მე-9 მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობას; მეტიც, გერმანიის ხელისუფლებამ, ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, საბოლოოდ შეწყვიტა სადავო ტერმინების გამოყენება (*Leela Förderkreis e.V. and Others v. Germany*).

170. მეორე მხრივ, სასამართლომ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა საქმეზე, რომელშიც ქალი, რომელიც ეწეოდა მედიტაციას ოშოს რელიგიურ მოძრაობაში, მწვავე ფსიქოზის დი-

აგნობით, იძულებით იქნა მოთავსებული ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, სადაც 52 დღე დაჰყო და ამ დროის განმავლობაში სამედიცინო პერსონალი ცდილობდა „შექნორებინა“ მისი რწმენა ამ მრწამსის აგდებულად მოხსენიებითა და მისი წაქეზებით, რომ მედიტაციისა და ომოს მოძრაობის მიმართ „კრიტიკული მიდგომები მიეღო“. სასამართლომ ეს საქმე არაორაზროვნად დაუპირისპირა ზემოხსენებულ საქმეს - *Leela Förderkreis e.V. and Others v. Germany*, ხაზი გაუსვა რა იმ სამედიცინო პერსონალისადმი განმცხადებლის დაქვემდებარებულობის, მოწყვლადობისა და მათ წინაშე უძღურების განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ, როგორც მის დიაგნოზზე, ასევე, საავადმყოფოში მის განგრძობად დაკავებაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ქონდა მის რელიგიის თავისუფლებაში ჩარევას და, რომ ეს ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“ არ ყოფილა (*Mockuté v. Lithuania*, §§ 107-131).

171. სასამართლომ მიუღებლად ცნო იეჰოვას მოწმეთა ჯგუფის მიერ წარდგენილი განაცხადი, რომელიც ასაჩივრებდა საფრანგეთის მთავრობის მიერ მისი რელიგიის თავისუფლების უფლების დარღვევას იმით, რომ მან საზოგადოებისთვის სასარგებლო ორგანიზაციის სტატუსი მიანიჭა „ოჯახებისა და კერძო პირების დამცველი გაერთიანებების ეროვნული კავშირის“ (*“National Union of Associations for the Defence of Families and the Individual” (UNADFI)*) სახელით ცნობილ გაერთიანებას, რომელიც მიზნად ისახავდა „დესტრუქციული სექტების“ მიერ „ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლას“ და რომელიც, განმცხადებლის მითითებით, მათი რელიგიური თემის მიმართ ღიად მტრულ დამოკიდებულებაში იყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ორგანიზაციათა ყველა ქმედებაზე, რომელთაც, მათი წესდების შესაბამისად, მან საზოგადოებისთვის სასარგებლო ორგანიზაციის სტატუსი მიანიჭა. ამ სტატუსის მინიჭების ფაქტი, არ იწვევს, რაიმე იმგვარი საჯარო უფლებამოსილების გადაცემას, რომლის გამოც კონვენცია სახელმწიფოს პასუხისმგებლობას დააკისრებდა. თუმცა, განმცხადებლები მიიჩნევდნენ, რომ UNADFI-ის საქმიანობა არღვევდა მათ უფლებებს, მსგავსი ბრალდებები სათანადო საშუალებებით უნდა განხილულიყო კომპეტენტურ ეროვნულ სასამართლოებში. სასამართლომ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ განმცხადებლებს არ შეეძლოთ დაემტკიცებინათ, რომ წარმოადგენდნენ სადავო დარღვევის „მსხვერპლებს“ და, რომ მათი სარჩელები შეუსაბამო იყო სასამართლოსთვის მიმართვაზე უფლებამოსილი პირის (*Ratione Personae*) კონვენციით დადგენილ უფლებასთან (*Gluchowski and Others v. France* (dec.)).

4. ფინანსური და საგადასახადო რეგულაციები

172. ევროპულ დონეზე არ არსებობს ეკლესიების ან რელიგიური თემების დაფინანსებისა და მათთვის გადასახადების დაწესების ერთიანი სტანდარტი, რამდენადაც, ეს საკითხები მჭიდროდ არის დაკავშირებული თითოეული ქვეყნის ისტორიასა და ტრადიციებთან. შესაბამისად, ამ სფეროში სახელმწიფოები შეფასების განსაკუთრებით ფართო თავისუფლებით სარგებლობენ (*Alujer Fernández and Caballero García v. Spain* (dec.)).

173. რელიგიური ორგანიზაციები ვერ დაეყრდნობიან კონვენციის მე-9 მუხლს იმ მიზნით, რომ რელიგიის თავისუფლების საბაბით სპეციალური საგადასახადო სტატუსი მოითხოვონ (*Association Sivananda de Yoga Vedanta v. France*, Commission decision). ამ შემთხვევაში, რელიგიის თავისუფლება არ იწვევს ეკლესიებისა და მათი წევრებისთვის სხვა გადასახადის გადამხდელებისგან განსხვავებული საგადასახადო სტატუსის მინიჭებას (*Alujer Fernández and Caballero García v. Spain* (dec.)). გარდა ამისა, მე-9 მუხლი არ შეიძლება განიმარტოს, როგორც ღვთისმსახურების სასარგებლოდ საგადასახადო შეღავათების გარანტია (*Iglesia*

Bautista “El Salvador” and Ortega Moratilla v. Spain, Commission decision). მიუხედავად ამისა, რელიგიური ორგანიზაციის წინააღმდეგ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური ან ფისკალური ზომები, შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში, კონვენციის მე-9 მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობაში ჩარევას წარმოადგენდეს, რამდენადაც, ცხადია, რომ ის ამ უფლებების განხორციელებისთვის რეალურ და სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის, კერძოდ, გარკვეულ გარემოებებში, რელიგიური შენობების ფლობასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის, ამ შენობების დასაბეგრი სტატუსით გამოწვეულ ხარჯებს, შესაძლოა მკვეთრად უარყოფითი გავლენა ჰქონდეთ რელიგიური ჯგუფების წევრთა მიერ მათი რელიგიური მრწამსის გამოხატვის უფლებით სარგებლობაზე (*The Church of Jesus Christ of Latter-Day Saints v. the United Kingdom*, § 30; *Cumhuriyetçi Eğitim ve Kültür Merkezi Vakfı v. Turkey*, § 41).

174. მაგალითად, სასამართლომ მე-9 მუხლის დარღვევა დაადგინა შემდეგ საქმეებზე:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, საფრანგეთში იეჰოვას მოწმეთა ორგანიზაციისთვის გაღებული კერძო შემოწირულობების დაბეგვრას, რაც გულისხმობდა ჩვეულებრივ პროცენტებსა და დამატებით გადასახადებს, რის გამოც განმცხადებელი გაერთიანება ორგანიზაციებისთვის დაწესებული სტანდარტული საგადასახადო სისტემის სუბიექტად იქცა და გამოირიცხა იმ საგადასახადო შეღავათებიდან, რომლებსაც სხვა ცალკეული, მათ შორის, რელიგიური გაერთიანებები იღებდნენ. სადავო ზომას, რომელიც განმცხადებელი გაერთიანებისთვის გაღებულ ყველა კერძო შემოწირულობას მოიცავდა და მისი რესურსების 90%-ს შეადგენდა, გაერთიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი წყაროების გადაკეტვის ეფექტი ჰქონდა, რაც, მას ხელს უშლიდა საკუთარი მიმდევრების რელიგიური მრწამსის გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში. სასამართლომ არ მიიჩნია, რომ ჩარევა შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს, რადგან საგადასახადო კოდექსის ის მუხლი, რომელიც ამ შემთხვევაში იქნა გამოყენებული, უკიდურესად ბუნდოვანი იყო (*Association Les Témoins de Jéhovah v. France*; ასევე იხ., მსგავსი საქმე, მსგავსი შედეგით, *Église Évangélique Missionnaire and Salaûn v. France*);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, აუმისტა თემის სასარგებლოდ და მანდარომის მონასტერში ტაძრების ასაშენებლად ორი გაერთიანების მიერ მიღებულ კერძო შემოწირულობების დაბეგვრას. საგადასახადო ვალდებულების კორექტირებამდე, ამ ორმა გაერთიანებამ მიიღო გაუქმების და მთელი მათი აქტივების მსგავსი მიზნების მქონე გაერთიანებისთვის გადაცემის გადაწყვეტილება, რათა მითითებულ სექტას საზოგადოებრივი საქმიანობის გაგრძელება შესძლებოდა; საგადასახადო ორგანოებმა წამოიწყეს სასამართლო წარმოება კომპეტენტურ სასამართლოში და მოითხოვეს ფინანსური ტრანსფერის გაუქმება. სასამართლომ აღიარა, რომ, რადგან, სადავო ზომის მიზნად მითითებული რელიგიის რიტუალები და ღვთისმსახურების ადგილი იქცა, ის კონვენციის მე-9 მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობაში ჩარევას უტოლდებოდა; სასამართლომ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა იმავე საფუძველზე, რითაც საქმეზე - *Association Les Témoins de Jéhovah v. France* (*Association Cultuelle du Temple Pyramide v. France*; *Association des Chevaliers du Lotus d’Or v. France*).

175. მეორე მხრივ, სასამართლომ მიუღებლად ცნო ზემოხსენებული ორი განაცხადის მსგავსი განაცხადი, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ, თუმცა კი განმცხადებელი ასოციაცია საქმიანობას ნაწილობრივ კერძო შემოწირულობების საფუძველზე ახორციელებდა, ამ უკანასკნელის დაბეგვრას გაერთიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი წყაროების გადაკეტვის ან მისი რელიგიური საქმიანობის შეფერხების ეფექტი არ ჰქონია (*Sukyo Mahikari France v. France* (dec.), § 20).

176. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა), მე-9 მუხლთან კავშირში, დარღვევა, შემდეგ საქმეებზე:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, უარს იეჭოვას მოწმეთა თემისთვის მემკვიდრეობასა და საჩუქრებზე დაწესებული გადასახადებისგან გათავისუფლებაზე, იმ საფუძველით, რომ ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ამგვარი გათავისუფლება შესაძლოა, მინიჭებოდა მხოლოდ „აღიარებულ რელიგიურ საზოგადოებას“ და არა „რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციას“, როგორცაც განმცხადებელი თემი წარმოადგენდა (*Jehovas Zeugen in Österreich v. Austria; İzzettin Doğan and Others v. Turkey* [GC]);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, თურქეთის რელიგიის საქმეთა დირექტორატის უარს ალევითა რელიგიური ცენტრისთვის, რომელშიც განთავსებული იყო ჯემევი (ალევითა ღვთისმსახურების ადგილი) ელექტრონერგის გადასახადის გადახდაზე, იმ წესით, როგორც ის მეჩეთების, ეკლესიებისა და სინაგოგების კომუნალურ გადასახადებს იხდიდა. უარის საფუძველი იყო ის ფაქტი, რომ ჯემევი აღიარებული არ იყო „ღვთისმსახურების ადგილად“, რაც გამოწვეული იყო თურქეთის ხელისუფლების მიერ ალევობის დამოუკიდებელ რელიგიად და არა ისლამის განშტოებად აღიარებაზე უარით. სასამართლომ დაადგინა, რომ ამ განსხვავებულ მოპყრობას ობიექტური და გონივრული გამართლება არ ჰქონდა (*Cumhuriyetçi Eğitim ve Kültür Merkezi Vakfı v. Turkey*).

177. მეორე მხრივ, სასამართლომ არ დაადგინა მე-14 მუხლის, მე-9 მუხლთან კავშირში, დარღვევა, საქმეზე, რომელიც ეხებოდა გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლების უარს მორმონთა ტაძრის (რომელიც დახურულია საზოგადოებისთვის და სადაც დაშვებული არიან მხოლოდ ის მორმონები, ვისაც აქვთ მიმდინარე „რეკომენდაციები“) კონკრეტული გადასახადებისგან სრულ გათავისუფლებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი გათავისუფლებით სარგებლობდნენ მორმონთა სამლოცველოები და „პალოს ცენტრები“ (“Stake Centres”), რომლებიც ღიაა საზოგადოებისთვის. სასამართლომ გამოთქვა ეჭვი იმის შესახებ, ექცეოდა თუ არა მოცემული დავა მე-9 მუხლის ფარგლებში. მიუხედავად ეჭვისა, შეიძლებოდა თუ არა ამ ნორმის გამოყენება, სადავო განსხვავებულ მოპყრობას გააჩნდა ობიექტური და გონივრული გამართლება: ის ეფუძნებოდა იდეას, რომ რელიგიურ ცერემონიებზე დასწრების შესაძლებლობით ესარგებლა მთელ საზოგადოებას, რადგან, ამგვარად, შესაძლებელი იქნებოდა მულტირელიგიურ საზოგადოებაში ეჭვების გაფანტვა და ცრურწმენების დაძლევა. ამასთან, მორმონთა ეკლესია არ ყოფილა სხვა რელიგიური თემებისგან განსხვავებული მოპყრობის სუბიექტი, მათ შორის, ოფიციალური ანგლიკანური ეკლესიისგან, რომლის კერძო სამლოცველოებიც, ასევე, ექცეოდნენ იმ საგადასახადო კანონის მოქმედების ქვეშ, რომლის ქვეშაც მოექცა მორმონთა ტაძრები. გარდა ამისა, მოცემული ტაძარი, როგორც ღვთისმსახურების ადგილი, ისედაც სარგებლობდა 80%-იანი შეღავათით (*The Church of Jesus Christ of Latter-Day Saints v. The United Kingdom*).

178. იმავეს გათვალისწინებით კონვენციის ორგანოებმა არ მიიღეს სარჩელები, რომლებიც უკავშირდებოდა შემდეგ სიტუაციებს:

- ესპანეთის საგადასახადო ორგანოების უარს ევანგელურ პროტესტანტული ეკლესიის გათავისუფლებაზე მის კუთვნილ ღვთისმსახურების ადგილებთან დაკავშირებული მიწის გადასახადისგან, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გათავისუფლებით სარგებლობდა რომის კათოლიკე ეკლესია. კომისიამ ამ საქმეზე დისკრიმინაცია არ დაადგინა, რადგან გადასახადისგან გათავისუფლება, რომლითაც რომის კათოლიკე ეკლესია სარგებლობდა, გამომდინარეობდა სახელმწიფოსა და წმინდა საყდარს შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან, რომელიც ორმხრივ ვალდებულებებს აკის-

რებდა მხარეებს. მეორე მხრივ, იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელ თემს არასდროს მოუთხოვია სახელმწიფოსთან მსგავსი ხელშეკრულების გაფორმება, ამ უკანასკნელს მის მიმართ არ გააჩნდა იგივე ვალდებულებები, რაც რომის კათოლიკე ეკლესიის წინაშე (*Iglesia Bautista “El Salvador” and Ortega Moratilla v. Spain, Commission decision*);

- კორპორატიული გადასახადის დაწესების ფაქტს განმცხადებელი ასოციაციისთვის, რომელიც იოგას სწავლებას ახორციელებდა, იმ საფუძვლით, რომ ასოციაცია იოგას გაკვეთილებს კომერციული მიზნით ატარებდა. გარდა ამისა, კომისიამ არ დააკმაყოფილა განმცხადებელი ასოციაციის პრეტენზია იმის შესახებ, რომ რელიგიურ საქმიანობასთან დაკავშირებით ის განიცდიდა დისკრიმინაციულ მოპყრობას სხვა თემების, კერძოდ, რომის კათოლიკე ეკლესიის, საქმიანობასთან შედარებით, რომლის არაკომერციული სტატუსი აღიარებული იყო სახელმწიფოს მიერ. რელიგიური გაერთიანების სტატუსის უქონლობის გამო განმცხადებელი ასოციაცია არ იყო რელიგიური გაერთიანებების ანალოგიურ ან, თუნდაც, შედარებად მდგომარეობაში (*Association Sivananda de Yoga Vedanta v. France, Commission decision*);
- გერმანიის ხელისუფლებისა და სასამართლოების გადაწყვეტილებას განმცხადებლისთვის, ისლამური ასოციაციისთვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (გდრ) პერიოდში გადაცემული შეწირულობის სატრასტო სააგენტოს ადმინისტრაციისთვის გადაცემის და შესაბამისი აქტივების კონფისკაციის შესახებ. სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული ღონისძიება გამომდინარეობდა გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული გარემოებებიდან; უფრო კონკრეტულად, აღნიშნული ღონისძიება დადგენილი იყო გაერთიანების წინა პერიოდში გდრ-ის მიერ შემოღებული ზოგადი რეგულაციების ფარგლებში იმ მიზნით, რომ შემოწმებულიყო პოლიტიკური პარტიებისა და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციების კუთვნილი აქტივების წყარო. დაადგინა რა, რომ სადავო ჩარევა შეესაბამებოდა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლს (საკუთრების დაცვა), სასამართლო მე-9 მუხლთან მიმართებითაც, იმავე დასკვნამდე მივიდა. მან გამოთქვა ეჭვი რელიგიის თავისუფლებით სარგებლობის უფლებაში ჩარევის ფაქტთან დაკავშირებით, რადგან გასაჩივრებული ღონისძიება, არც, განმცხადებელი ასოციაციის შიდა ორგანიზაციას და არც, სახელმწიფოს მხრიდან მის ოფიციალურ აღიარებას არ მიემართებოდა. ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული ღონისძიება გათვალისწინებული იყო კანონით, ემსახურებოდა საზოგადოებრივი მორალისა და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ლეგიტიმური მიზნების მიღწევას და ამ მიზნების პროპორციული იყო (*Islamische Religionsgemeinschaft in Berlin e.V. v. Germany (dec.)*).

179. ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოს დაწესებული აქვს რელიგიური გადასახადი (საეკლესიო გადასახადი, დენომინაციური გადასახადი და ა.შ.), რომლის აკრეფაც ხდება ან სახელმწიფოს მიერ, რომელიც შემდეგ მას კონკრეტულ რელიგიურ ორგანიზაციებს გადასცემს, ან თავად რელიგიური ორგანიზაციების მიერ, რომელთაც გადახდის იძულება ეროვნული სასამართლოების სამართალწარმოების საშუალებით შეუძლიათ. სხვა სახელმწიფოებში გადასახადის გადამხდელებს უფლება აქვთ კანონიერად მოახდინონ საკუთარი საშემოსავლო გადასახადის გარკვეული პროპორციის გადანაწილება კონკრეტულ რელიგიურ ორგანიზაციაზე. ამგვარი რელიგიური გადასახადის არსებობა, თავისთავად, არ წარმოშობს რაიმე სახის პრობლემას კონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებით, რადგან სახელმწიფოს უფლება ერთ-ერთი ამ სახის გადასახადის აკრეფაზე მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული „ლეგიტიმური მიზნებიდან“ გამომდინარეობს (*Wasmuth v. Germany, § 55*;

Klein and Others v. Germany, § 89). გარდა ამისა, პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით სახელმწიფოს ცალსახად ანიჭებს გადასახადების აკრფის უფლებამოსილებას (*C. v. The United Kingdom*, Commission decision). მიუხედავად ამისა, საეკლესიო გადასახადთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით სახელმწიფოებისთვის მინიჭებული შეფასების თავისუფლების ვრცელი ფარგლები არ გულისხმობს, რომ რელიგიის თავისუფლების პრობლემები არ შეიძლება წარმოიშვას ამ სფეროში. პირიქით, სასამართლომ განაცხადა, რომ შესაძლოა არსებობდეს სიტუაციები, როდესაც საეკლესიო გადასახადის სისტემასთან დაკავშირებული ჩარევა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და როდესაც კონკურენტულ ინტერესებს შორის ბალანსის შემონახვისას შესაძლოა დადგინდეს დარღვევა (*Wasmuth v. Germany*, § 61).

180. ეკლესიის მიერ, სახელმწიფოს დახმარებით, მისი წევრების მიერ გადასახადელი შემოწირულობის აკრეფა, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს მე-9 მუხლის პირველ პარაგრაფში ჩემოთვლილ საქმიანობებში („ღვთისმსახურება, სწავლება, პრაქტიკა და რიტუალების აღსრულება“) ჩარევას. ამ საკითხთან დაკავშირებით რელიგიური ორგანიზაციის წევრების მდგომარეობა შეესაბამება კერძო გაერთიანების წევრთა მიერ ამ გაერთიანების სასარგებლოდ შემოწირულობის გაღების ვალდებულებას და მე-9 მუხლი არ შეიძლება განმარტებულ იქნას ისე, რომ პირს მიენიჭოს ეკლესიის წევრობის უფლება და ამავდროულად, გათავისუფლდეს იმ კანონისმიერი, კერძოდ, ფინანსური ვალდებულებებისგან, რომლებიც, ამავე ეკლესიის ავტონომიური რეგულაციების შესაბამისად, მისი წევრობიდან გამომდინარეობს (*E. and G.R. v. Austria*, Commission decision).

181. ცხადია, ზოგადი წესის თანახმად, მაშინაც კი, როდესაც საეკლესიო გადასახადის ან მსგავსი შემოწირულობის აკრეფა ხორციელდება სახელმწიფოს მიერ ეკლესიის სასარგებლოდ, ამგვარი ღონისძიება მხოლოდ ამ უკანასკნელის წევრობას მიემართება. შესაბამისად, როდესაც სახელმწიფო ქმნის ისეთ სიტუაციას, რომელშიც პირი, პირდაპირ ან ირიბად, ვალდებულია შემოწირულობა გაიღოს იმ რელიგიური ორგანიზაციის სასარგებლოდ, რომლის წევრიც ის არ არის, სახეზეა რელიგიის თავისუფლების ნეგატიურ ასპექტში ჩარევა (*Klein and Others v. Germany*, § 81).

182. მაგალითად, სასამართლომ დაადგინა ჩარევა საქმეზე, რომელშიც მამაკაცის, რომელიც არ იყო იმავე ეკლესიის წევრი, რომელსაც მისი მეუღლე მიეკუთვნებოდა, საგადასახადო კომპენსაცია შემცირდა საგადასახადო ორგანოების მიერ; კომპენსაციის ოდენობა პირდაპირ დაიქვითა, მისი მეუღლის კუთვნილი სპეციალური საეკლესიო გადასახადის ოდენობიდან. სხვა სიტყვებით, ის იქცა საკუთარი მეუღლის ისეთი ფინანსური ვალდებულებების სუბიექტად, რომელიც მის მეუღლეს იმ ეკლესიის წინაშე ქონდა, რომელსაც თავად არ მიეკუთვნებოდა (*Klein and Others v. Germany*, §§ 81-83). მიუხედავად ამისა, ჩარევა გამართლებულ იქნა კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფის მიზნებით, რადგან, უპირველეს ყოვლისა, სადავო საგადასახადო კომპენსაცია დაიქვითა იქიდან გამომდინარე, რომ მეუღლეებს თავადვე, ნებაყოფლობით, ჰქონდათ შედგენილი ერთობლივი საგადასახადო დეკლარაცია, და მეორე, განმცხადებელს შეეძლო შეეცვალა საკუთარი არჩევანი შესაბამის გაფრთხილებაზე დათანხმებით. ამ გარემოებებში, საგადასახადო კომპენსაცია სახელმწიფოს მხრიდან წყვილის საგადასახადო ვალდებულებების მოწესრიგების მიზნების პროპორციული იყო.

183. გადასახადის გადამხდელის მიმართ საეკლესიო გადასახადის გადახდის მოთხოვნა იმ ეკლესიის სასარგებლოდ, რომლის წევრიც ის არ არის, შესაძლოა გამართლდეს, ასევე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ეს ეკლესია ახორციელებს გარკვეულ საჯარო მომსახურების ფუნქციებს, რაც, თავისი ბუნებით, არ არის რელიგიური და როდესაც ეს გადასახადი მხოლოდ ხსენებულ არარელიგიური ფუნქციებს ხმარდება:

- კომისიამ არ დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა საქმეზე, რომელშიც განმცხადებელს, რომელიც მუშაობდა შვედეთში, მაგრამ არ გააჩნდა შვედეთის „რეზიდენტის“ სამართლებრივი სტატუსი, ვალდებულებიდან გათავისუფლების შესაძლებლობის გარეშე, დაევალა შვედეთის ეკლესიის (ლუთერული ეკლესია, რომელიც იმ დროს სახელწმიფო ეკლესიის სტატუსს ატარებდა) სასარგებლოდ საეკლესიო გადასახადის გადახდა, რომლის წევრიც ის არ იყო. (*Darby v. Sweden*, Commission's report, §§ 57-60). მიუხედავად ამისა, როდესაც ამ საქმემ სასამართლომდე მიაღწია, ამ უკანასკნელმა მისი განხილვა არა მე-9 მუხლთან მიმართებით, არამედ, კონვენციის მე-14 მუხლის, 1-ლი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან (დისკრიმინაცია რეზიდენტ და არარეზიდენტ პირებს შორის, საკუთრების დაცვის უფლებით სარგებლობისას) კავშირში, გადაწყვიტა, რის მიხედვითაც მან დარღვევა დაადგინა (*Darby v. Sweden*, §§ 34-35);
- სასამართლომ აშკარად დაუსაბუთებლად ცნო შვედეთის მოქალაქის მიერ წარდგენილი სარჩელი, რომელიც არ იყო შვედეთის ეკლესიის წევრი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უწევდა „განსხვავებულთა გადასახადის“ (“dissenting tax”) გადახდა, რომელიც სტანდარტული საეკლესიო გადასახადის 25%-ს შეადგენდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ შეწირულობა, რომლის გაღებაც განმცხადებელს ევალებოდა, მიმართული იყო შვედეთის ეკლესიის მიერ არარელიგიური საქმიანობის განხორციელების დასაფინანსებლად, რაც მთელი მოსახლეობის ინტერესებს ემსახურებოდა, როგორცაა, დაკრძალვების ორგანიზება, მოხუცებულებზე მზრუნველობა და ეროვნული არქიტექტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა; გარდა ამისა, 25% გამოთვლილი იყო არა თვითნებურად, არამედ ეკლესიის მთელს ეკონომიკაში ამგვარი საქმიანობის ღირებულებების პროცენტულობის საფუძველზე (*Bruno v. Sweden* (dec.); *Lundberg v. Sweden* (dec.)).

184. ყველა ზემოთ ციტირებული საქმე შეეხებოდა *ფიზიკურ პირებს*. თუმცა, ცალსახად მოგებაზე ორიენტირებული *კომერციული კომპანია*, მაშინაც კი თუ ის დაფუძნებულია და მოქმედებს ფილოსოფიური გაერთიანების მიერ, ვერ დაეყრდნობა მე-9 მუხლს იმ მიზნით, რომ თავიდან აირიდოს საეკლესიო გადასახადის გადახდა, რომლის აკრეფაც ხორციელდება ყველა კომერციული კომპანიისთვის სავალდებულო კანონმდებლობის საფუძველზე (*Company X. v. Switzerland*, Commission decision; *Kustannus OY Vapaa Ajattelijä AB and Others v. Finland*, Commission decision).

185. შესაბამისად, საეკლესიო გადასახადი, თავისთავად, არ ეწინააღმდეგება რელიგიის თავისუფლებას, როდესაც ადგილობრივი კანონმდებლობა იძლევა საშუალებას პირმა საკუთარი სურვილის საფუძველზე *დატოვოს ის ეკლესია, რომლის სასარგებლოდაც ის იხდის გადასახადს* (*Klein and Others v. Germany*, § 113). მიუხედავად ამისა, ეროვნულ ხელისუფლებას აქვს ფართო დისკრეცია იმის გადაწყვეტისას თუ რა გარემოებებში ჩაითვლება პირის გადაწყვეტილება რელიგიური დენომინაციის დატოვების შესახებ სარწმუნოდ; ამდენად, მას შეუძლია მოითხოვოს ამ საკითხთან დაკავშირებით პირის სურვილის ცხადი და არა-ორაზროვანი გამოხატვა (*Gottesmann v. Switzerland*, Commission decision).

186. კონვენციის ორგანოებმა არ დაადგინეს მე-9 მუხლის (დამოუკიდებლად ან მე-14 მუხლთან - დისკრიმინაციის აკრძალვა, კავშირში) დარღვევა შემდეგ საქმეებზე:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, განმცხადებლების, რომის კათოლიკე ეკლესიის წევრი წყვილის, მიმართ საეკლესიო შეწირულობის ავსტრიული სისტემის გავრცელებას, რაც მათგან რომის კათოლიკე ეკლესიის სასარგებლოდ რეგულარული შეწირულობის გაღებას მოითხოვდა; შეწირულობის არგაღების შემთხვევაში ეკლესიას უფლება

ჰქონდა მიემართა სასამართლო წარმოებისთვის მათ წინააღმდეგ შესაბამისი მოცულობის შეწირულობის გაღების მოთხოვნით. კომისიამ აღნიშნა, რომ ამ ვალდებულების თავიდან არიდება შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ განმცხადებლები დატოვებდნენ ეკლესიას; ამ შესაძლებლობის მკაფიო სამართლებრივი უზრუნველყოფით სახელმწიფომ შექმნა სათანადო დაცვის ზომები, რაც განმცხადებლებს საკუთარი რელიგიის თავისუფლებით სარგებლობის გარანტიას ანიჭებდა; მეორე მხრივ, განმცხადებლებს არ შეეძლოთ კონვენციის მე-9 მუხლზე დაყრდნობით მიეღოთ რაიმე „უფლება“, რომელიც მათ რომის კათოლიკე ეკლესიის წევრობის შენარჩუნებისა და ამავდროულად, ამ უკანასკნელის მიერ დაკისრებული ვალდებულებებისგან გათავისუფლების შესაძლებლობას მისცემდა. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ სახელმწიფო საკუთარ სასამართლოებს ეკლესიების განკარგულებაში იმავე საფუძვლით გადასცემდა, რითაც სხვა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებს, რათა მათ შეძლებოდათ დაკისრებული ვალდებულებების აღსრულება, არ წარმოშობს რაიმე სახის პრობლემას პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით გარანტირებული საკუთრების დაცვის უფლებასთან მიმართებით (*E. and G.R. v. Austria*, Commission decision);

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, შვეიცარიის ხელისუფლების მიერ განმცხადებლებზე დაკისრებულ ვალდებულებას, რაც გულისხმობდა მათთვის, რომის კათოლიკე ეკლესიის წევრობიდან გამომდინარე, საეკლესიო გადასახადის უკანა თარიღით გადახდის ვალდებულებას იმ პერიოდის ჩათვლით, როდესაც ისინი, მათივე განცხადებით, აღარ წარმოადგენდნენ ეკლესიის წევრებს. ფაქტობრივად, ეროვნულმა ხელისუფლებამ მათი გასვლა ეკლესიიდან ცნო მხოლოდ იმ პერიოდიდან, როდესაც თითოეულმა მათგანმა ცხადად და არაორაზროვნად გამოხატა საკუთარი ნება აღარ ყოფილიყვნენ ამ ეკლესიის წევრები, იმ არგუმენტით, რომ საგადასახადო დეკლარაციაში მათ მიერ მხოლოდ რელიგიური გადასახადის გრაფის გაუქმება ამ მიზნისთვის არასაკმარისი იყო (*Gottesmann v. Switzerland*, Commission decision);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, ოთხი განმცხადებლის მიერ იმ ფაქტის გასაჩივრებას, რომ გერმანიის საგადასახადო ორგანოებმა გამოთვალეს და აკრიფეს საეკლესიო გადასახადები და საწევრო შენატანები მათი და მათი მეუღლეების შემოსავლების გაერთიანების საფუძველზე. ისინი რეალურად ასაჩივრებდნენ საკუთარი მეუღლეების ფინანსური დახმარების ვალდებულებას, მათ მიერ სპეციალური საეკლესიო საწევრო შენატანების გადახდისას, რაც, ამ შემთხვევაში, ეკლესიის წევრის სურვილს - ისარგებლოს საკუთარი რელიგიის თავისუფლებით, მის მეუღლეზე დამოკიდებულს ხდის, ისევე, როგორც საეკლესიო გადასახადის გადახდის ვალდებულებას, რომელიც უსამართლოდ მაღალი იყო, რადგან საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც ის იყო გამოთვლილი, ითვალისწინებდა მეუღლის შემოსავლებსაც. სადავო გადასახადებისა და საწევრო შენატანების გამოთვლა და აკრეფა განხორციელდა თავად ეკლესიების და არა სახელმწიფოს მიერ; შესაბამისად, ეს აქტი ამ ეკლესიების მხრიდან ავტონომიური საქმიანობა იყო, რაც გერმანიის სახელმწიფოსთან დაკავშირებული ვერ იქნებოდა. გარდა ამისა, განმცხადებლები, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, თავისუფლები იყვნენ დაეტოვებინათ მათი ეკლესიები (*Klein and Others v. Germany*, §§ 113-118 and 129-134);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, განმცხადებლებისთვის, ესპანელი ევანგელისტი პროტესტანტების ჯგუფისთვის, მიცემულ არჩევანს მათი საშემოსავლო გადასახადის გარკვეული მოცულობა მოხმარებოდა ან რომის კათოლიკე ეკლესიის ან საჯარო ინტერესის სფეროში მის მიერ განხორციელებული საქმიანობების ფინანსურ მხარდაჭერას, მაგრამ არა მათ საკუთარ ეკლესიას. სასამართლომ აღნიშნა, რომ რელიგიურ თემს,

რომელსაც განმცხადებლები მიეკუთვნებოდნენ, არ უცდია ესპანეთის სახელმწიფოს-თან გაფორმებინა ხელშეკრულება, რომელიც მას საშუალებას მისცემდა აკრეფილი გადასახადები მათი სურვილების შესაბამისად გამოეყენებინა, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კანონმდებლობა ამის შესაძლებლობას იძლეოდა. რომის კათოლიკე ეკლესიისთვის მინიჭებული სპეციალური ფინანსური პრივილეგიები ემყარებოდა მოპასუხე სახელმწიფოსა და წმინდა საყდარს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც ორმხრივ ვალდებულებებს აკისრებდა მხარეებს, მაგალითად, ეკლესიის მხრიდან მოითხოვდა მისი ისტორიული, კულტურული და წერილობითი მემკვიდრეობის გამოყენებას მთელი ესპანური საზოგადოების სასარგებლოდ (*Alujer Fernández and Caballero García v. Spain* (dec.));

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, იტალიელი გადასახადის გადამხდელებისთვის მინიჭებული არჩევანის შესაძლებლობას საკუთარი საშემოსავლო გადასახადის ერთი მეათასედი ნაწილი გადაეცა ან სახელმწიფოსთვის ან რომის კათოლიკე ეკლესიისთვის ან ერთ-ერთი იმ ინსტიტუტისთვის, რომელიც წარმოადგენდა სხვა ხუთ რელიგიას, რომლებიც თანახმა იყვნენ მიეღოთ ამ სახის სუბსიდია სახელმწიფოსთან დადებული სპეციალური ხელშეკრულების თანახმად. განმცხადებლების წინააღმდეგობის მიუხედავად, სასამართლომ დაადგინა, რომ კანონი გადასახადის გადამხდელებს, ასევე, აძლევდა შესაძლებლობას თავი შეეკავებინათ ამგვარი არჩევანის გაცემებისგან, ისე, რომ სადავო ნორმას არ დაევალებულიყვნენ ისინი გაეცხადებინათ საკუთარი რელიგიური მრწამსი (*Spampinato v. Italy* (dec.));
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც ყველა სამართლებრივად აღიარებული რელიგიური თემი წევრს აძლევდა უფლებას საკუთარი გადასახადების ნაწილი გადაეცა მათთვის სასურველი თემისთვის, მაგრამ, ასევე, ითვალისწინებდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ექსკლუზიურად სახელმწიფო ეკლესიის (ისლანდიის ლუთერული ეკლესიის) სპეციალურ ყოველწლიურ დაფინანსებას, რომლის მღვდელმსახურებიც საჯარო მოხელის სტატუსს ფლობდნენ (*Ásatrúarfélagið v. Iceland* (dec.)).

187. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოცემული საქმეები შეეხებოდა ან სპეციალურ საეკლესიო გადასახადს ან საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდილი საყოველთაო გადასახადებიდან, გადასახადის გადამხდელების მიერ ნებაყოფლობით გამოყოფილი გადასახადების კონკრეტულ ნაწილს. თუმცა, კონვენციის მე-9 მუხლი გადასახადის გადამხდელებს არ ანიჭებს რაიმე უფლებას *სახელმწიფოს ზოგად ფისკალურ და საბიუჯეტო პოლიტიკასთან მიმართებით*, თუკი არ არსებობს პირდაპირი, განჭვრეტადი კავშირი მათ მიერ გადახდილ კონკრეტულ გადასახადსა და მის შემდგომ განკარგვას შორის. შესაბამისად, კომისიამ განსახილველად არ მიიღო პაციფისტი კვაკერის სარჩელი, რომელიც უარს აცხადებდა გადაეხადა საკუთარი გადასახადების კონკრეტული ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ მან დარწმუნებით იცოდა, რომ ეს ნაწილი სამხედრო სექტორის დაფინანსებას მოხმარდებოდა. კომისიამ გაითვალისწინა, რომ გადასახადის გადახდის ვალდებულება ზოგადი ხასიათის ვალდებულებაა, რომელსაც, როგორც ასეთი, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მიზნებზე კონკრეტული გავლენა არ აქვს; მისი ნეიტრალურობა წარმოჩენილი იყო იმ ფაქტით, რომ გადასახადის გადამხდელებს არ შეუძლიათ გავლენა იქონიონ მათ მიერ გადასახადელი გადასახადების განაწილებაზე ან უკვე აკრეფილი გადასახადების გადანაწილებაზე (*C. v. the United Kingdom*, Commission decision, როგორც დადასტურდა საქმეში: *H. and B. v. the United Kingdom*, Commission decision). კომისია იმავე დასკვნამდე მივიდა ფრანგი ადვოკატის საქმეში, რომელიც აბორტის წინააღმდეგი იყო და მოითხოვდა უფლებას არ გადაეხადა საკუთარი გადასახადების ის კონკრეტული ნაწილი, რომელიც აბორტების დაფინანსებას ხმარდებოდა (*Bouessel du Bourg v. France*, Commission decision).

188. შესაბამისად, კომისიამ განსაზღვრა, რომ სახეზე არ იქნებოდა რელიგიის თავისუფლების ხელყოფა მაშინაც კი, თუ სახელმწიფო საბიუჯეტო ასიგნებებს, რომლებიც საყოველთაო გადასახადებისგან შედგებოდა, კონკრეტული რელიგიური თემის ან მათი რელიგიური საქმიანობის მხარდასაჭერად გამოიყენებდა (*Darby v. Sweden*, Commission's report, § 56).

189. რაც შეეხება *სავალდებულო დაზღვევასა და სოციალურ დაცვას*, კომისიამ 1960-იან წლებში განიხილა ჰოლანდიელი რეფორმისტი პროტესტანტების მიერ წარდგენილი რამდენიმე განაცხადი, რომლებიც, მე-9 მუხლზე დაყრდნობით, ითხოვდნენ უფლებას არ მიეღოთ სხვადასხვა ტიპის სავალდებულო დაზღვევა და არ ყოფილიყვნენ აფილირებულნი სახელმწიფოს მიერ დადგენილ კონკრეტულ ორგანოებთან ან მექანიზმებთან. ისინი ეყრდნობოდნენ შემდეგ არგუმენტებს: უპირველეს ყოფლისა, ადამიანს ღმერთი მოუვლენს როგორც კეთილდღეობას, ასევე, გასაჭირს და შესაბამისად, აკრძალულია წინასწარ თავიდან აირიდო ან შეამცირო სავარაუდო უბედურების შედეგები. და მეორე, ბიბლიაში ღმერთი ქრისტიანებს ავალებს დახმარება აღმოუჩინონ მოხუცებსა და უძღურებს; ამ შემთხვევაში კი, ამ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებითა და საპენსიო სისტემის შექმნით, სახელმწიფომ დაარღვია ღვთის მცნება და განმცხადებლები უარს ამბობდნენ ასოცირებული ყოფილიყვნენ ცოდვასთან. ამ კატეგორიის საქმეებზე კომისიამ არ მიიღო შემდეგი სარჩელები:

- რძის გამყიდველის მიერ წარდგენილი სარჩელი, რომელიც ეხებოდა მისთვის დაკისრებულ სასჯელს იმის გამო, რომ მან უარი განაცხადა ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემაში ჩართვაზე, რაც მესაქონლეობისთვის კანონით განსაზღვრულ წინაპირობას წარმოადგენდა; მიუხედავად ვარაუდისა, რომ ადგილი ჰქონდა მე-9 მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობაში ჩარევას, ის წარმოადგენდა „აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში“ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ დასაცავად, რაც საფუძვლიანად ითვალისწინებდა საქონლისგან მომდინარე დაავადებების პრევენციას (*X. v. the Netherlands*, Commission decision of 14 December 1962);
- რეფორმისტული ეკლესიის და მისი ორი წარმომადგენლის მიერ წარდგენილი სარჩელი, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ დაზღვევის ყველა ფორმის წინააღმდეგნი არ იყვნენ, მაინც გამოთქვამდნენ სურვილს გათავისუფლებულიყვნენ საპენსიო სისტემით გათვალისწინებული გადასახადებისგან. კომისიამ აღნიშნა, რომ ჰოლანდიის კანონი ათავისუფლებდა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამწვე პირებს ამ სისტემაში პირდაპირი მონაწილეობისგან, იმით, რომ მას ანაცლვებდა იმავე ოდენობის სხვა გადასახადებით. შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობა, სათანადოდ ითვალისწინებდა რეფორმისტული ეკლესიის სპეციფიკურ ინტერესებს და ამდენად, ამ საქმეში მე-9 მუხლის დარღვევა არ ვლინდებოდა (*Reformed Church of X. v. the Netherlands*, Commission decision);
- სარჩელი, რომლითაც მამაკაცი ასაჩივრებდა დისკრიმინაციას, რადგან ჰოლანდიის კანონმდებლობით სავალდებულო საპენსიო სისტემიდან თავისუფლდებოდნენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც, რელიგიური მოსაზრებებით, პირდაპირ ეწინააღმდეგებოდნენ ნებისმიერი სახის დაზღვევას (თუმცა, მათ მოეთხოვებოდათ იმავე ოდენობის სხვა გადასახადების გადახდა), თავად განმცხადებელი კი ასეთ კატეგორიას არ მიეკუთვნებოდა (*X. v. the Netherlands*, Commission decision of 14 December 1965);
- მალაზიის მეპატრონის მიერ წარდგენილი სარჩელი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ნებისმიერი სახის დაზღვევას და რომელსაც დაეკისრა ჯარიმა და ჩამოერთვა პირადი სატრანსპორტო საშუალება იმის გამო, რომ მას სავალდებულო სამოქალაქო-პასუხისმგებლობის დაზღვევის გარეშე მართავდა. განმცხადებელი აღიარებდა, რომ ის უფლებამოსილი იყო ესარგებლა კანონით გავალისწინებული გათავისუფლების

უფლებით, მაგრამ, რადგან მას მაინც მოუწევდა იმავე ოდენობის სხვა გადასახადების გადახდა, ამ შესაძლებლობას ის მორალურად მიუღებლად მიიჩნევდა. კომისიამ დაადგინა, რომ გასაჩივრებული ჩარევა წარმოადგენდა „აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში“ „სხვათა უფლებების დაცვის“ მიზნით, რადგან მესამე პირები შესაძლოა უბედური შემთხვევის სავარაუდო მსხვერპლნი ყოფილიყვნენ (*X. v. the Netherlands*, Commission decision of 31 May 1967).

190. შედარებით მოგვიანებით, კომისიამ, ასევე, არ მიიღო ჰოლანდიელი ექიმის მიერ წარდგენილი მსგავსი განაცხადი, რომელიც ეწეოდა ზოგად სამედიცინო პრაქტიკას ანთროპოსოფიულ პრინციპებზე დაყრდნობით და ითხოვდა უფლებას დაკავშირებული არ ყოფილიყო კანონით გათვალისწინებულ პროფესიულ საპენსიო სისტემასთან. კომისიამ დაადგინა, რომ საპენსიო სისტემაში ჩართვის ვალდებულება, სრულიად ნეიტრალური ხასიათის იყო ყველა ზოგადი სამედიცინო პრაქტიკის მქონე ექიმისთვის და შეუძლებელი იყო იმის თქმა, რომ ის რაიმე ფორმით მჭიდროდ უკავშირდებოდა განმცხადებლის რელიგიურ მრწამსს (*V. v. the Netherlands*, Commission decision).

191. სასამართლომ დაადგინა, რომ არ იკვეთებოდა მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა), მე-9 მუხლთან კავშირში, დარღვევა საქმეზე, რომელშიც ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდი იმ ქრისტიანული საფუძვლების მქონე გაერთიანების ლიდერებისგან, რომლებიც „იღვწოდნენ ადამიანის თვითგანივითარებისთვის ხელოვნებისა და მშვენიერების საშუალებით“, ითხოვდა სოციალური დაცვის საერთო სისტემაში ჩართვას იმ საფუძვლით, რომ მათი საქმიანობა, რისთვისაც გაერთიანება ყველა საქმეზე ხარჯებს წევდა, სამართლებრივი თვალსაზრისით, უფრო „ანაზღაურებადი“ იყო, ვიდრე, „მოხალისეობრივი“. განმცხადებელი გაერთიანება მიიჩნევდა, რომ ის იყო დისკრიმინაციული მოპყრობის სუბიექტი იმ რელიგიური დენომინაციების ღვთისმსახურებთან შედარებით, რომელთა რელიგიური საქმიანობა არ ექვემდებარებოდა სოციალური დაცვის საერთო სისტემას და ასევე, იმ ფედერაციის წევრ სხვა მოხალისეებთან შედარებით, რომელსაც განმცხადებელი გაერთიანება მიეკუთვნებოდა. სასამართლომ დაადგინა, რომ საფრანგეთის კანონმდებლობით ბერები და მონაზვნები საერთო სოციალური დაცვის სისტემის სუბიექტები იყვნენ, თუმცა, შესაძლებლობა ჰქონდათ ჩართულიყვნენ სპეციალურ სისტემაში; მიუხედავად ამისა, როდესაც ისინი მათი რელიგიური სწავლებისთვის უცხო საქმიანობაში მონაწილეობდნენ, სოციალური დაცვის საერთო სისტემის სუბიექტებს წარმოადგენდნენ (*Office culturel de Cluny v. France* (dec.)).

5. რელიგიური მოტივების მქონე პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ მიღებული ზომები

192. მე-9 მუხლი არც პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას კრძალავს და არც არჩევნებში პოლიტიკური პარტიის სახით მონაწილეობის უფლებას იძლევა (*X., Y. and Z. v. Germany*, Commission decision).

193. სასამართლოს არასოდეს დაუდგენია, რომ რელიგიური იდეებით შთაგონებული პოლიტიკური პარტიის დაფუძნება წარმოადგენს „რელიგიის გამოხატვის“ კონვენციის მე-9 მუხლით დაცულ ფორმას. მეორე მხრივ, მას განხილული აქვს ამგვარი პარტიების მიერ წარდგენილი განაცხადები, რომლებიც ასაჩივრებდნენ სახელმწიფოების მიერ მათ წინააღმდეგ მიღებულ ზომებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიტიკური პარტიას შეუძლია ხელი შეუწყოს ცვლილებებს კანონმდებლობაში ან სახელმწიფოს სამართლებრივ და კონსტიტუციურ სტრუქტურებში, ორი გარემოების გათვალისწინებით: პირველი, ამ მიზნით გამოყენებული საშუალებები უნდა იყოს კანონიერი და დემოკრატიული; და

მეორე, ინიცირებული ცვლილება, თავისთავად, შესაბამისობაში უნდა იყოს ფუნდამენტურ დემოკრატიულ პრინციპებთან. აქედან, აუცილებლობით, გამომდინარეობს, რომ პოლიტიკური პარტია, რომლის ლიდერებიც აქეზებენ ძალადობას ან აყალიბებენ პოლიტიკას, რომელიც აკნინებს დემოკრატიის პატივისცემას ან რომლის მიზანიც დემოკრატიის მოსპობა და დემოკრატიულ საზოგადოებაში აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების აბუჩად აგდებაა, ვერ დაეყრდნობა კონვენციას, ამ საფუძვლებიდან გამომდინარე, მისთვის დაკისრებული სასჯელების წინააღმდეგ. ამ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, პოლიტიკური პარტია, რომელიც შთაგონებულია რელიგიიდან მომდინარე მორალური ღირებულებებით, არ შეიძლება აპრიორი ჩაითვალოს კონვენციაში მოცემული დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპებისადმი მტრულ დამოკიდებულებაში მყოფად (*Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey* [GC]; *Staatkundig Gereformeerde Partij v. the Netherlands* (dec.), § 71). მეორე მხრივ, ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია კანონიერად აღკვეთოს მის ქვეყანაში მოქმედი კერძო სამართლის სფეროში რელიგიურად შთაგონებული ისეთი ნორმების ასახვა, რომლებიც საზიანო საზოგადოებრივი წესრიგისა და კონვენციით განმტკიცებული დემოკრატიული ღირებულებებისთვის (*Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey* [GC], § 128).

194. მაგალითად, სასამართლომ:

- არ დადგინა კონვენციის მე-11 მუხლის (გაერთიანების თავისუფლება) დარღვევა საქმეზე, რომელიც ეხებოდა თურქეთის პოლიტიკური პარტიის გაუქმებას და მისი ლიდერებისთვის სხვა პოლიტიკურ პარტიაში მსგავსი თანამდებობის დაკავებაზე დროებითი აკრძალვის დადგენას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული პარტია ცდილობდა დაემყარებინა პოლიტიკური სისტემა, რომელიც დაეფუძნებოდა ისლამურ სამართალს (შარიათს) (რაც შეუთავსებელი იქნებოდა დემოკრატიასთან) და მრავალგვარ სამართლებრივ სისტემებს, რომლებიც დაუშვებდნენ დისკრიმინაციას გენდერის ნიშნით დაინტერესებული მხარის სასარგებლოდ, კერძოდ, მრავალცოლიანობას და მამრობითი სქესის პრივილეგიებს განქორწინებისა და მემკვიდრეობის საკითხებში (რაც სქესთა შორის თანასწორობის, კონვენციით დაცული ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირებულების, საწინააღმდეგო იქნებოდა) (*Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey* [GC], § 128);
- კონვენციასთან საგნობრივი შეუსაბამობის გამო (*ratione materiae*) მიუღებლად ცნო „გლობალური ისლამური პოლიტიკური პარტიის“ მიერ წარდგენილი განაცხადი, რომელიც ასაჩივრებდა გერმანიის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ მათი საქმიანობის აკრძალვას გერმანიის ტერიტორიაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ რადგან პარტია ავრცელებდა მოწოდებებს ისრაელის სახელმწიფოს ძალადობრივი განადგურების, მისი მოსახლეობის განდევნისა და მკვლელობის შესახებ, კონვენციის მე-17 მუხლის (უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა) თანახმად ის ვერ ისარგებლებდა მე-9, მე-10 და მე-11 მუხლებით გათვალისწინებული დაცვით (*Hizb Ut-Tahrir and Others v. Germany* (dec.));
- აშკარა დაუსაბუთებლობის გამო მიუღებლად ცნო ჰოლანდიის რეფორმისტული პროტესტანტული პარტიის მიერ წარდგენილი განაცხადი, რომელიც შეეხებოდა ჰოლანდიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს უნდა განეხორციელებინა მოქმედება (დაუზუსტებელი), რაც ბოლოს მოუღებდა ამ პარტიის მმართველ ორგანოებსა და საარჩევნო სიებში ქალთა დაუშვებლობის პრაქტიკას; ეს პრაქტიკა მოტივირებული იყო გულწრფელი რწმენით, რომელიც ბიბლიის ცალკეული ამონარიდებიდან გამომდინარეობდა. სასამართლომ განაცხადი მე-9, მე-10 და მე-11 მუხლებთან ერთობლივი მიმართებით განიხილა. გვერდზე გა-

დადო რა საკითხი, იმის შესახებ, შეეძლო თუ არა განმცხადებელ პარტიას საკუთარი თავი მის წინააღმდეგ გატარებული სპეციალური ღონისძიებების „მსხვერპლად“ მიეჩნია, სასამართლომ განაცხადა, რომ პარტიის პოზიცია პოლიტიკაში ქალთა როლის შესახებ მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა კონვენციით განმტკიცებულ ფუნდამენტურ ღირებულებებს. სასამართლომ არგუმენტად არ მიიღო ის ფაქტი, რომ არც ერთ ქალს არასდროს გამოუთქვამს სურვილი განმცხადებელი პარტიის საარჩევნო კანდიდატობის შესახებ (*Staatkundig Gereformeerde Partij v. the Netherlands* (dec.)).

B. ნეგატიური ვალდებულებები: რელიგიური ორგანიზაციების ავტონომიურობის დაცვა

I. რელიგიური ორგანიზაციების ავტონომიურობის პრინციპი

195. რელიგიური თემები ტრადიციულად და საყოველთაო პრაქტიკის თანახმად ორგანიზებული სტრუქტურების სახით არსებობენ. საქმეებში, რომლებიც კონკრეტული რელიგიური თემის ორგანიზებას შეეხება, კონვენციის მე-9 მუხლი განმარტებულ უნდა იქნას მე-11 მუხლის ფონზე, რომელიც გაერთიანებების საქმიანობას სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებელი ჩარევისგან იცავს. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, მორწმუნეთა რელიგიის თავისუფლების უფლება მოიცავს მოლოდინს, რომ თემს უფლება ექნება იფუნქციონიროს მშვიდობიანად, სახელმწიფოს მხრიდან თვითნებური ჩარევის გარეშე. *რელიგიური თემების ავტონომიური არსებობა* დემოკრატიულ საზოგადოებაში პლურალიზმის აუცილებელი პირობაა და შესაბამისად, მე-9 მუხლით გათვალისწინებული დაცვის შემადგენელ არსებით ასპექტს წარმოადგენს. ეს პირდაპირ უკავშირდება, არა მხოლოდ თემის ორგანიზებას, როგორც ასეთი, არამედ, ასევე, მისი ყველა აქტიური წევრის მიერ საკუთარი რელიგიის თავისუფლების უფლებით ეფექტურ სარგებლობას. როდესაც თემის ორგანიზაციული ცხოვრება კონვენციით არ არის დაცული, მისი წევრების რელიგიის თავისუფლების ყველა სხვა ასპექტიც მოწყვლადი ხდება (*Hassan and Tchaouch v. Bulgaria* [GC], §§ 62 and 91; *Fernández Martínez v. Spain* [GC], § 127). რელიგიური ორგანიზაციის შიდა სტრუქტურა და მისი წევრობის მარეგულირებელი ნორმები უნდა განიხილებოდეს, როგორც საშუალებები, რითაც ამგვარი ორგანიზაციები გამოხატავენ საკუთარ მრწამსს და იცავენ საკუთარ რელიგიურ ტრადიციებს (*Svyato-Mykhaylivska Parafiya v. Ukraine*, § 150).

196. ზემოთ ნახსენები ავტონომიურობის პრინციპი გულისხმობს, რომ სახელმწიფო ვერ აიძულებს რელიგიურ თემს მიიღოს ახალი ან გარიცხოს არსებული წევრები. რელიგიური გაერთიანებები უნდა იყვნენ სრულიად თავისუფალი საკუთარ გადაწყვეტილებებში, რომელთა საფუძველზეც ახალი წევრების მიღება და არსებული წევრების გარიცხვა ხდება (*Svyato-Mykhaylivska Parafiya v. Ukraine*, §§ 146 and 150).

197. რელიგიური საქმიანობის განხორციელებისას, რელიგიური თემები იცავენ წესებს, რომლებიც მისი მიმდევრების მხრიდან ხშირად გაგებულია, როგორც ღვთაებრივი წარმოშობისა. რელიგიურ ცერემონიებს, თუ ისინი ღვთისმსახურთა მიერ ამ წესების შესაბამისად სრულდება, მორწმუნეებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა და საკრალური ღირებულება აქვთ. ღვთისმსახურთა პიროვნება, უდავოდ, მნიშვნელოვანია თემის ყველა წევრისთვის. თემის ცხოვრებაში მონაწილეობა კონვენციის მე-9 მუხლით დაცული პიროვნების რელიგიის კონკრეტული გამოხატულებაა (*Hassan and Tchaouch v. Bulgaria* [GC], § 62; *Mirojubovs and Others v. Latvia*, § 80).

198. მაგალითად, სასამართლომ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა იმ ღონისძიებებთან

მიმართებით, რომლებიც „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის“ ტერიტორიაზე მართლმადიდებელი მრწამსის კვიპროსელი ბერძნების თემის ცხოვრებას არეგულირებდნენ: ხელისუფლებამ არ დაამტკიცა მღვდლების დანიშვნა იმ რეგიონში, სადაც მხოლოდ ერთი მღვდელი იყო დარჩენილი, რომელსაც მსახურება მთელი რეგიონის ტერიტორიაზე უწევდა (*Cyprus v. Turkey* [GC], § 243-246).

199. პირის დასჯა მხოლოდ იმის გამო, რომ ის მოქმედებდა, როგორც იმ ჯგუფის რელიგიური ლიდერი, რომელიც მას ნებაყოფლობით ემორჩილებოდა - მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი სახელმწიფოს მიერ აღიარებული არ იყო - ძნელად თუ განიხილება დემოკრატიულ საზოგადოებაში რელიგიური პლურალიზმის მოთხოვნებთან შესაბამისად (*Serif v. Greece*, § 51). ამ საქმეში სასამართლომ მე-9 მუხლის დარღვევა იმ საფუძველზე დაადგინა, რომ განმცხადებელი, ბერძენი მუსლიმი თეოლოგი, ბრალდებული იყო „ცნობილი რელიგიის ღვთისმსახურის ფუნქციების მითვისებასა“ და „ამ ღვთისმსახურისთვის დამახასიათებელი სამოსის საჭაროდ უნებართვო ტარებაში“. ფაქტობრივად, განმცხადებელი ახალგაზრდა მუსლიმების მიერ არჩეულ იქნა როდოპის (Rodopi) მუფტად, სახელმწიფოს მხრიდან აღიარების გარეშე, მაშინ როდესაც, ამ უკანასკნელს მუფტის თანამდებობაზე სხვა პირი ჰყავდა დანიშნული. მან, როგორც მუფტმა, ნამდვილად მიიღო მონაწილეობა რიგ რელიგიურ ცერემონიებში, თუმცა არასდროს უცდია განეხორციელებინა სამართლებრივი და ადმინისტრაციული ფუნქციები, რომლებიც სახელმწიფო კანონმდებლობით მუფტებს და სხვა „აღიარებული რელიგიების“ ღვთისმსახურებს აქვთ მინიჭებული (*იქვე*). მსგავს საქმეში, რომელიც, ამ შემთხვევაში, ქსანთის (Xanthi) მუფტად არჩეულ პირს ეხებოდა, სასამართლო მივიდა იმავე დასკვნამდე, მიუთითა რა, რომ ერთდროულად ორი მუფტის არსებობის შემთხვევაში ადგილობრივებს შორის დაძაბულობის გამოწვევის თეორიული შესაძლებლობა გასაჩივრებული ჩარევის ლეგიტიმაციისთვის არასათანადო იყო, რადგან დაპირისპირებულ მხარეთა შორის ორმხრივი შემწყნარებლობის უზრუნველყოფა სწორედ სახელმწიფოს ორგანოების მოვალეობას წარმოადგენდა (*Agga v. Greece (no. 2)*; ასევე, იხ: *Agga v. Greece (no. 3)* and *Agga v. Greece (no. 4)*).

200. ხსნის არმიასთან დაკავშირებით, რომლის შიდა სტრუქტურა ჯარისთვის დამახასიათებელ წოდებრივ სისტემას და უნიფორმის ტარებას ეფუძნება, სასამართლომ დაადგინა რომ ეს გარემოება შეიძლება განხილული ყოფილიყო, როგორც ორგანიზაციის რელიგიური მრწამსის კანონიერი გამოხატვა. შესაბამისად, შეუძლებელი იყო იმის სერიოზულად მტკიცება, რომ ხსნის არმია ამით სახელმწიფოს მთლიანობას ან მის უსაფრთხოებას არღვევდა (*Moscow Branch of the Salvation Army v. Russia*, § 92). უფრო ვრცლად, რელიგიური ორგანიზაციის მიერ მილიტარული მეტაფორების გამოყენება, თავისთავად, ვერ გაამართლებს მისი საქმიანობის აკრძალვას (იხ., მე-10 მუხლთან მიმართებით, მე-9 მუხლის ფონზე ნაკითხვით, *Ibragim Ibragimov et autres c. Russie*, § 120).

2. სახელმწიფოს ჩარევა შიდადენომინაციურ და დენომინაციათაშორის კონფლიქტებში

201. პლურალიზმი, ტოლერანტობა და არასტერეოტიპული აზროვნება „დემოკრატიული საზოგადოების“ მახასიათებლებია. მიუხედავად იმისა, რომ, ცალკეულ შემთხვევებში, ინდივიდუალური ინტერესები ჯგუფის ინტერესებს უნდა ემორჩილებოდეს, დემოკრატია მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ უმრავლესობის შეხედულებებს ყოველთვის უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს: დაცულ უნდა იქნას ბალანსი, რომელიც უზრუნველყოფს უმცირესობას მიკუთვნებული ადამიანების მიმართ სამართლიან და ჯეროვან მოპყრობას და თავიდან აირიდებს დომინანტური მდგომარეობის რაიმე ფორმით ბოროტად გამოყენებას (*Leyla Şahin v. Turkey* [GC], §

108). პლურალიზმი, ასევე, ეფუძნება მრავალფეროვნებისა და კულტურული ტრადიციების დინამიკის, ეთიკის და კულტურული იდენტობების, რელიგიური რწმენების და სახელოვნებო, ლიტერატურული და სოციო-პოლიტიკური იდეებისა და კონცეპტების გულწრფელ აღიარებასა და პატივისცემას. განსხვავებული იდენტობის პიროვნებებისა და ჯგუფების ჰარმონიული ურთიერთობები არსებითი მნიშვნელობის მატარებელია სოციალური თანხმობის მიღწევისთვის. რელიგიური მრავალფეროვნების პატივისცემა, უდავოდ წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამონვევას თანამედროვე ცხოვრებაში; ამდენად, სახელმწიფოები რელიგიურ მრავალფეროვნებას უნდა აღიქვამდნენ არა გამდიდრების საფრთხედ, არამედ, მის წყაროდ (*Izzettin Doğan and Others v. Turkey* [GC], § 109).

202. პლურალიზმი და დემოკრატია, ასევე, უნდა ეფუძნებოდნენ დიალოგსა და კომპრომისის სულისკვეთებას, რომელიც აუცილებლად იწვევს სხვადასხვა სახის დათმობებს პიროვნებების ან პიროვნებათა ჯგუფების მხრიდან, რაც დემოკრატიული საზოგადოების იდეალებისა და ღირებულებების შენარჩუნებითა და განვითარებით არის გამართლებული (*S.A.S. v. France* [GC], § 128). დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც, ერთი და იმავე მოსახლეობის ფარგლებში რამდენიმე რელიგია თანაარსებობს, შესაძლოა საჭირო იყოს ამ თავისუფლებისთვის შეზღუდვების დაწესება, რათა მოხდეს განსხვავებული ჯგუფების ინტერესების შეთანხმება და ყველა მათგანის რწმენის პატივისცემის უზრუნველყოფა. მიუხედავად ამისა, ამ სფეროში საკუთარი მარეგულირებელი ძალაუფლების განხორციელებისას და სხვადასხვა რელიგიებთან, დენომინაციებთან და მრწამსებთან ურთიერთობისას სახელმწიფო ვალდებულია შეინარჩუნოს ნეიტრალურობა და მიუკერძოებლობა. ამის მიზანი პლურალიზმის დაცვა და დემოკრატიის ჯეროვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფაა (*Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*, §§ 115-116).

203. ამ თვალსაზრისით, სასამართლომ მრავალჯერ გაამახვილა ყურადღება სახელმწიფოს, როგორც სხვადასხვა რელიგიების, რწმენებისა და მრწამსების განხორციელებაში ნეიტრალური და მიუკერძოებელი ორგანიზატორის როლზე, იმის ხაზგასმით, რომ ეს როლი ხელს უწყობს დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო წესრიგს, რელიგიურ ჰარმონიასა და ტოლერანტობას (*Bayatyan v. Armenia* [GC], § 120; *S.A.S. v. France* [GC], § 127). ეს უკავშირდება ურთიერთობებს, როგორც მორწმუნეებსა და არამორწმუნეებს შორის, ასევე, სხვადასხვა რელიგიების, რწმენებისა და მრწამსების მიმდევართა შორის (*Lautsi and Others v. Italy* [GC], § 60).

204. ნეიტრალურობის ეს ვალდებულება არ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც იმ რწმენის ან ეკლესიის როლის დაკნინება, რომელთანაც კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობას ისტორიული და კულტურული კავშირი აქვს (*Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia*, § 132). მართლაც, გადაწყვეტილება ტრადიციის დაცვის ან არ დაცვის შესახებ, პრინციპში, მოპასუხე სახელმწიფოს შეფასების თავისუფლების ფარგლებში ექცევა. სასამართლომ, ასევე, უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ევროპა გამორჩეულია მის შემადგენელ სახელმწიფოთა შორის არსებული დიდი მრავალფეროვნებით, განსაკუთრებით, კულტურული და ისტორიული განვითარების სფეროში. მიუხედავად ამისა, ტრადიციაზე მითითება ხელშემკვრელ სახელმწიფოს ვერ შეუძლებულებს კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით განმტკიცებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ვალდებულებას (*Lautsi and Others v. Italy* [GC], § 68).

205. სახელმწიფოს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულება შეუთავსებელია სახელმწიფოს მხრიდან რაიმე სახის დისკრეციასთან განმართოს რელიგიური რწმენის ან მისი გამოხატვის საშუალებების კანონიერება (*Manoussakis and Others v. Greece*, § 47; *Bayatyan v. Armenia* [GC], § 120). აგრეთვე, ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც რელიგიის თავისუფლებით ან მისი რომელიმე ასპექტით სარგებლობას ისეთი წინასწარი საწინააღმდეგარო

რთვ სისტემის სუბიექტად აქცევს, რომლის მოპოვებისთვის დადგენილ პროცედურებშიც მონაწილეობს აღიარებული საეკლესიო ინსტიტუტი - განსაკუთრებით, ისეთი, რომელიც განსხვავებულ დენომინაციას, რელიგიურ იერარქიას განეკუთვნება - თავსებადი ვერ იქნება მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფის მოთხოვნებთან (*Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*, § 117; *Vergos v. Greece*, § 34).

206. ნეიტრალურობის ვალდებულება სახელმწიფოს, მათ შორის, ეროვნულ სასამართლოებს, გამორიცხავს კერძო პირის ან ჯგუფის რელიგიური კუთვნილების საკითხის გადაწყვეტიდან, რაც, კონკრეტული რელიგიური თემის უმაღლესი სასულიერო ავტორიტეტების ექსკლუზიურ პასუხისმგებლობას წარმოადგენს (*Mirojubovs and Others v. Latvia*, §§ 89-90; *Izzettin Doğan and Others v. Turkey* [GC], § 121). სხვა სიტყვებით, სახელმწიფოს არ შეუძლია თვითნებურად, მათი ნების გარეშე, „თავს მოახვიოს“ ან „შეუცვალოს“ რელიგიური კუთვნილება კერძო პირებს ან ჯგუფებს. სახელმწიფოს ჩარევა შესაძლოა მხოლოდ, უკიდურესად სერიოზული და დაუძლეველი მიზეზებით გამართლდეს (*Izzettin Doğan and Others v. Turkey* [GC], § 110). მაგალითად, სასამართლომ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა შემდეგ საქმეებზე:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, ლატვიის რელიგიურ საქმეთა დირექტორატის მიერ ძველ-მართლმადიდებელთა ადგილობრივ თემში (რუსეთის ძველ-მართლმადიდებელთა ეკლესიის მიმდევრები) მიმდინარე მწვავე კამათთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას; გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულ იქნა იმ ექსპერტების მიერ გამოთქმული ორი მოსაზრების საფუძველზე, რომელთაგან არც ერთი ძველ-მართლმადიდებლურ რელიგიას არ მიეკუთვნებოდა, დადგინდა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურისგან ზიარების მიღების გამო განმცხადებლებმა, *ipso facto*, შეიცვალეს დენომინაცია. ამ გადაწყვეტილების აღსრულებამ ღვთისმსახურების ადგილებიდან განმცხადებლების განდევნა გამოიწვია (*Mirojubovs and Others v. Latvia*, §§ 33-36 and 88-89);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, განმცხადებლის მიერ საკუთარი პირადობის მოწმობის გრაფაში ჩანაწერის „ისლამი“, ჩანაწერით - „ალევი“, ცვლილების დაცვის შეუძლებლობას, რადგან მუსლიმური რელიგიის საკითხებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოები მიიჩნევენ, რომ რელიგია ალევინში მხოლოდ ისლამის განშტოება იყო (*Sinan Işık v. Turkey*, §§ 45-46).

207. გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა მე-9 მუხლის, როგორც დამოუკიდებლად, ასევე, კონვენციის მე-14 მუხლთან კავშირში, დარღვევა თურქეთის მთავრობის მიერ ალევინების მიმდევართა ჯგუფის პეტიციის უარყოფაზე, რომელიც ისლამის სუნიტური განშტოების მიმდევართა თანასწორ მოპყრობას ითხოვდა. რეალურად, ისინი ითხოვდნენ, რომ ალევიტთა თემის რელიგიურ მსახურებას საჯარო სერვისის ფორმა მინიჭებოდა; ჯემეებს (ადგილებს, სადაც ალევიტები საკუთარ რელიგიურ ცერემონიას - ჯემს, ადასრულებდნენ) ღვთისმსახურების ადგილების სტატუსი მინიჭებოდათ; ალევიტური რელიგიის ლიდერები გადაზადებულიყვნენ, როგორც საჯარო მოხელეები და სახელმწიფო დაფინანსება ხელმისაწვდომი ყოფილიყო მათი თემისთვის. უარი, მეტწილად, ეფუძნებოდა იმის უარყოფას, რომ ალევიტთა დენომინაცია აღქმულიყო, როგორც დამოუკიდებელი რელიგია ან კულტი (და მის ერთ-ერთ სუფიურ ორდენად განგრძობით ფორმალურ კლასიფიკაციას, რომელიც 1920-იან წლებში აიკრძალა). სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ ხელისუფლების უარმა, გაეთვალისწინებინა ალევინების სპეციფიური მახასიათებლები, ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულება დაარღვია. ალევიტთა თემის შიგნით არსებული დავა მათი მრწამსის ფუძემდებლური წესებისა და მოთხოვნების შესახებ არ ცვლიდა იმ ფაქტს, რომ ალევიტები წარმოადგენდნენ რელიგიურ თემს, რომელსაც ღრმა ფესვები ჰქონდა თურქეთის ისტორიასა და კულტურაში და კონვენციის მე-9 მუხლით დაცული უფლებები გააჩნდა. ჯემე-

ვების ღვთისმსახურების ადგილებად ცნობაზე უართან ერთად, არალიარებული რელიგიური უმცირესობების (ისეთის, როგორც ალევინში იყო) საქმიანობის მარეგულირებელი მკაფიო საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობამ გამოიწვია მრავალი სამართლებრივი, ორგანიზაციული და ფინანსური პრობლემა, რაც უკავშირდებოდა ღვთისმსახურების ადგილების აშენების, შემონარეულობებისა და დაფინანსების მიღების, საკუთარი სახელით სასამართლოსთვის მიმართვის უფლებით სარგებლობის და ა.შ. შეუძლებლობას. შესაბამისად, თურქეთის ხელისუფლებამ გადააბიჯა მისთვის მინიჭებულ შეფასების თავისუფლების ფარგლებს. სასამართლომ, ასევე, დაადგინა, რომ განმცხადებლები განიცდიდნენ დიკრიმინაციას სუნიტური ისლამის უმეტესი განშტოებების მიმდევრებთან შედარებით, რომლებიც სარგებლობდნენ ზემოხსენებული უფლებებითა და სერვისებით (*İzzettin Doğan and Others v. Turkey* [GC]).

208. მსგავსადვე, სასამართლომ დაადგინა მე-11 მუხლის, კონვენციის მე-9 მუხლის ფონზე წაკითხვით, დარღვევა მაკედონიის ხელისუფლების მიერ ბექტაშის სუფიური ორდენის რეგისტრაციის უარყოფაზე, რომელიც უკვე, თხუთმეტი წლის განმავლობაში, აღიარებული იყო იურიდიულ პირად, იმ საფუძვლით, რომ მისი დოქტრინალური წყაროები და ფუნდამენტური მოძღვრებები იგივე იყო, რაც მთლიანი ისლამური თემისთვის (*Bektashi Community and Others v. the former Yugoslav Republic of Macedonia**).

209. სახელმწიფოს მოქმედებები, რომელიც უპირატესობას ანიჭებს გაყოფილი რელიგიური თემის ერთ-ერთ ლიდერს, ან რომელიც განხორციელებულია იმ მიზნით, რომ აიძულოს თემი, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ერთი ხელმძღვანელობის ქვეშ გაერთიანდეს, აგრეთვე, წარმოადგენს ჩარევას რელიგიის თავისუფლებაში. მართალია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ისტორიულად დომინანტი უმრავლესობის ეკლესიის დამოუკიდებლობა და მთლიანობა, ზოგადად, საზოგადოებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხია (*Orthodox Ohrid Archdiocese (Greek-Orthodox Ohrid Archdiocese of the Peć Patriarchy) v. the former Yugoslav Republic of Macedonia*). მიუხედავად ამისა, დემოკრატიულ საზოგადოებებში სახელმწიფომ არ უნდა მიიღოს ზომები, რომელიც ხელს შეუწყობს რელიგიის ერთ ინტერპრეტაციას იმ მიზნით, რომ დააზიანოს სხვები ან აიძულოს გაყოფილი რელიგიური თემი ან მისი ნაწილი გაერთიანდეს ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ (*Hassan and Tchaouch v. Bulgaria* [GC], § 78; *Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*, § 117). როდესაც რელიგიის მიმდევრების ან/და მღვდელმსახურების ჯგუფი გამოეყოფა იმ თემს, რომელსაც ის ადრე მიეკუთვნებოდა, ან თუნდაც მაშინ, როდესაც გადაწყვეტს შეიცვალოს დენომინაცია, ამგვარი ქმედება წარმოადგენს „რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებით“ კოლექტიური სარგებლობის სახეს, რაც მკაფიოდ არის დაცული კონვენციის მე-9 მუხლის 1-ლი პარაგრაფით (*Mirojubovs and Others v. Latvia*, § 93). შესაბამისად, ეროვნულმა ხელისუფლებამ არ შეიძლება მორწმუნეებისგან მოითხოვოს მათი მოძღვრებების უკვე აღიარებული ან რეგისტრირებული ორგანიზაციის ფარგლებში აღმსარებლობა იმ საფუძვლებით, რომ მისი მოსაზრებით, მათი მრწამსი ამ უკანასკნელი ორგანიზაციების იდენტურია (*Genov v. Bulgaria*, § 46). სახელმწიფო ხელისუფლების როლს არ წარმოადგენს დაძაბულობის მიზეზის მოსპობა პლურალიზმის აღმოფხვრის გზით, არამედ, იმის უზრუნველყოფა, რომ კონკურენტი ჯგუფები შეიწყნარებდნენ ერთმანეთს, მაშინაც კი, როდესაც ორივე მათგანი ერთი და იმავე თემიდან არის წარმოშობილი (*Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*, § 123).

210. სახელმწიფოს, როგორც რელიგიური პლურალიზმის საბოლოო გარანტორის, როლი შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევებში, მოითხოვდეს დაპირისპირებულ მხარეთა შორის მედიატორობას; მორწმუნეთა ჯგუფებს შორის ნეიტრალური მედიატორობა, პრინციპში, არ შეიძლება წარმოადგენდეს კონვენციის მე-9 მუხლით დაცულ მორწმუნეთა უფლებებში სახელმწიფოს ჩარევას, თუმცა, ხელისუფლებამ უნდა გამოავლინოს სიფრთხილე ამ განსაკუთრებით დელიკატურ სფეროში (*Supreme Holy Council of the Muslim Community v. Bulgaria*, § 80).

ყველა შემთხვევაში, ხელისუფლების მიერ ამ სფეროში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება შესაბამისი ფაქტების მისაღებ შეფასებას უნდა ემყარებოდეს (*Svyato- Mykhaylivska Parafiya v. Ukraine*, § 138).

211. მაგალითად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა შემდეგ საქმეებზე:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, მოლდოვის ხელისუფლების უარს ბესარაბიის სამიტროპოლიტო ეკლესიისთვის, ბუქარესტის საპატრიარქოს (რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესია) დაქვემდებარებაში მოქმედი ავტონომიური ეკლესიისთვის სამართლებრივი აღიარების მინიჭებაზე, იმ საფუძველით, რომ ამგვარი აღიარება საფრთხეს შეუქმნიდა მოლდოვის სამიტროპოლიტო ეკლესიის ინტეგრაციას, რომელიც ექვემდებარებოდა მოსკოვის საპატრიარქოს (რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია) და რომელიც უკვე აღიარებული იყო მთავრობის მიერ. აღიარებაზე უარით, რაც იმ საფუძველიდან გამომდინარეობდა, რომ განმცხადებელი ეკლესია რუსეთის ეკლესიის პერსპექტივიდან მხოლოდ „სქიზმატური ჯგუფი“ იყო და იმის განცხადებით, რომ განმცხადებელი ეკლესიის მიმდევრებს შეეძლოთ საკუთარი რელიგია სხვა, სახელმწიფოს მიერ აღიარებული, მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნით გამოეხატათ, მოლდოვის მთავრობამ ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულება დაარღვია (*Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, უკრაინის ხელისუფლების თვითნებურ უარს მართლმადიდებელი სამრევლოს წესდებაში მისი წევრების საერთო კრების მიერ დამტკიცებული ცვლილებების აღიარებასა და რეგისტრირებაზე, რომელთა შესაბამისადაც სამრევლო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის (მოსკოვის საპატრიარქოს) იურისდიქციიდან უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის (კიევის საპატრიარქოს) დაქვემდებარებაში გადადიოდა. ამ საქმეში გამოვლენილი თვითნებობის ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტი იმაში მდგომარეობს, რომ უკრაინის ხელისუფლებამ და სასამართლოებმა სრულიად უარყვეს სამრევლოს წესდებით განსაზღვრული მისი შიდა სტრუქტურა, იმით, რომ „მრევლად“ მიიჩნიეს ის პირები რომელიც წესდების თანახმად მრევლის სტატუსს არ ფლობდნენ და დაასკვნეს, რომ აღნიშნული საერთო კრება იყო უკანონო, რადგან მას ეს პირები არ ესწრებოდნენ. რამდენადაც, ეროვნულმა სასამართლოებმა არ გამოასწორეს ადმინისტრაციული ორგანოების თვითნებური ქმედებები, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-9 მუხლი, მე-6 მუხლის 1-ლ პარაგრაფთან და მე-11 მუხლთან კავშირში (*Svyato-Mykhaylivska Parafiya v. Ukraine*).

212. საქმეში *Mirojubovs and Others v. Latvia*, სახელმწიფო ჩაერია დავაში, რომელიც ხლენ-და რელიგიურ თემს. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა სახელმწიფო ჩათრეული აღმოჩნდეს იმ შიდადენომინაციურ დავაში, რომლის წარმოშობასაც მან პირდაპირ შეუწყო ხელი. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს სასამართლოს სამი გადაწყვეტილება ბულგარეთის წინააღმდეგ მიმდინარე სამ საქმეზე. ყველა ეს საქმე, დანახული უნდა იქნას ამ ქვეყნის განსაკუთრებული ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, რომელიც განპირობებულ იქნა 1989 წელს კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმიდან დემოკრატიკაზე სწრაფი გადასვლით. 1989 წლის შემდეგ ბულგარეთის სახელმწიფომ ქვეყნის ორი უდიდესი რელიგიური თემის, კერძოდ, მართლმადიდებელი ეკლესიისა და ისლამის, შიდა ფუნქციონირებაში ჩარევის პოლიტიკა განახორციელა. მთავრობამ, უპირველეს ყოვლისა, სცადა დაეცვა ორივე რელიგიური ორგანიზაციის ლიდერების ცვლილება, ყოფილ კომუნისტურ რეჟიმთან მათი სავარაუდო თანამშრომლობის გამო; ამ პოლიტიკამ მაშინვე გამოიწვია გაყოფა ორივე მითითებული რელიგიური თემის შიგნით. წარმატებული საყოველთაო არჩევნების შემდეგ, ახალმა მთავრო-

ბამ მიიღო ზომები, რათა თითოეული გაყოფილი თემი გაერთიანებულიყო იმ რელიგიური ლიდერების ხელმძღვანელობის ქვეშ, რომლებიც მმართველი პარტიისადმი პოლიტიკურად ლოიალურებად მიიჩნეოდნენ, მონინალმდევე ჯგუფის ლიდერებისგან განსხვავებით. გარდა ამისა, ბულგარეთის სახელმწიფო ორგანოების სტანდარტულ ადმინისტრაციულ პრაქტიკაში, კანონი რელიგიური დენომინაციების შესახებ იმგვარად იქნა ინტერპრეტირებული, რომ მან აკრძალა ერთი და იმავე დენომინაციას მიკუთვნებული ორი პარალელური ორგანიზაციის საქმიანობა და ორივე დენომინაციისთვის მოითხოვა მხოლოდ თითო ხელმძღვანელობის ყოლა, რომელიც აღიარებული იქნებოდა სახელმწიფოს მიერ (სიტუაციის ზოგადი შინა-არსისთვის იხ., *Holy Synod of the Bulgarian Orthodox Church (Metropolitan Inokentiy) and Others v. Bulgaria*, §§ 68 and 127).

213. ამ კონტექსტში, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა ქვემოთ ჩამოთვლილ სამივე საქმეზე:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, ბულგარეთის მთავრობის ჩარევას მუსლიმი თემის ლიდერების არჩევაში, რაც მთლიანი თემის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლებად, რაიმე დასაბუთებული განმარტებების გარეშე, განმცხადებლების მონინალმდევე ჯგუფის ლიდერების აღიარებაში გამოიხატა. მიუხედავად იმისა, რომ ბულგარეთის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მინისტრთა საბჭოს მოეთხოვებოდა პირველი განმცხადებლის მიერ წარდგენილი რეგისტრაციის მოთხოვნის გათვალისწინება, მთავრობამ უარი განაცხადა დამორჩილებოდა ამ მითითებას. სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“ არ ყოფილა და ამდენად, იყო თვითნებური და ემყარებოდა კანონის იმ ნორმებს, რომლებიც აღმასრულებელ ხელისუფლებას დისკრეციის შეუზღუდავ თავისუფლებას ანიჭებდა (*Hassan and Tchaouch v. Bulgaria* [GC]);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, იმ ფაქტს, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ორგანიზება გაუწია ბულგარეთის მუსლიმთა გამაერთიანებელ კონფერენციას იმ მიზნით, რომ ბოლო მოეღო ზემოხსენებული გაყოფისთვის და ძალიან აქტიურად ჩაერია კონფერენციის მომზადებასა და მსვლელობაში, განსაკუთრებით, მისი მონაწილეების შერჩევაში. ამ საქმეში განმცხადებელი იყო მუსლიმი თემის უმაღლესი სასულიერო საბჭო, რომელიც ბატონი ჰასანისა და ბატონი ჩაუშის მონინალმდევე მხარეს წარმოადგენდა და უარს აცხადებდა ელიარებინა მითითებული კონფერენციის კანონიერება. ამ საქმეში ბულგარეთის ხელისუფლებამ გაყოფილ მუსლიმ თემზე განახორციელა ზეწოლა, რათა ეიძულებინა ის მიეღო ერთიანი ხელმძღვანელობა, ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ ელიარებინა თემის კვლავ გაერთიანებისთვის გაწეული ძალისხმევის უშედეგობა და საჭიროების შემთხვევაში, გაეგრძელებინა მხარეთა შორის მედიატორის როლის შესრულება. სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ჩარევა „გათვალისწინებული იყო კანონით“ და ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, მაგრამ ამ მიზნის პროპორციული არ იყო (*Supreme Holy Council of the Muslim Community v. Bulgaria*);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, სახელმწიფოს ჩარევას დავაში, რომელიც ხლენდა ბულგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიას და რომელიც თავად მთავრობამ გააღვივა 1992 წელს იმით, რომ არ ცნო პატრიარქ მაქსიმეს ეკლესიის წინამძღვრად არჩევა და მის ნაცვლად დროებითი ხელმძღვანელობა („ალტერნატიული სინოდი“) დანიშნა. საქმეში არსებული განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ უარყო მთავრობის არგუმენტი, რომ „ალტერნატიული სინოდის“ წევრებსა და მათ მიმდევრებს ჰქონდათ თავისუფლება შეექმნათ და დაერეგისტრირებინათ საკუთარი ეკლესია პატრიარქ მაქსიმეს წინამძღვრობით არსებული ეკლესიის პარალელ-

ლურად. ფაქტობრივად, დავა უკავშირდებოდა არა უარს რელიგიური ორგანიზაციის აღიარებაზე, არამედ, სახელმწიფოს ჩარევას ორ იერარქს შორის გახელჩილი თემის შიდა საქმეებში, რომელთაგან თითოეული მეორეს არაკანონიკურად მიიჩნევდა იმ არგუმენტებით, რომლებიც, ერთი შეხედვით, ყალბი ან არაგონივრული იყო. დავის მონაწილეთაგან მხოლოდ ერთი მხარის დახმარებით, რათა მას მთელი მართლმადიდებელი თემის წარმომადგენლობასა და საქმიანობის კონტროლზე ექსკლუზიური ძალაუფლება მოეპოვებინა, მოწინააღმდეგე ჯგუფის უგულვებელყოფით და განმცხადებელი სინოდის მიმდევრების იმ ღვთისმსახურების ადგილებიდან გამოძევებაში სამართალდამცავი ორგანოების დახმარებით, რომლებიც მათ ჰქონდათ დაკავებული, ბულგარეთის სახელმწიფომ დაარღვია ნეიტრალურობის ვალდებულება (*Holy Synod of the Bulgarian Orthodox Church (Metropolitan Inokentiy) and Others v. Bulgaria*; ასევე, იხ., *Sotirov and Others v. Bulgaria* (dec.)).

214. მეორე მხრივ, სასამართლომ ვერ დაადგინა მე-9 მუხლის (დამოუკიდებლად ან კონვენციის მე-14 მუხლთან კავშირში) დარღვევის რაიმე ნიშანი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების სავარაუდო აღუსრულებლობასთან დაკავშირებულ საქმეზე, რომელიც ბერძენ კათოლიკე მრევლს მართლმადიდებელ მრევლთან საზიარო სასაფლაოზე დაშვების უფლებას ანიჭებდა, რაც იმ გარემოებიდან გამომდინარეობდა, რომ ყოფილმა მართლმადიდებელმა მღვდელმსახურმა და მრევლის ზოგიერთმა წევრმა შეიცვალეს დენომინაციური კუთვნილება და ბერძენ კათოლიკეთა ეკლესიაში გადავიდნენ. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ხელისუფლებამ მიიღო სათანადო და გონივრული ზომები დავის ჩასახშობად (მათ შორის, ბერძენ კათოლიკეთა ახალი ეკლესიის ასაშენებლად და ახალი სასაფლაოს შესაქმნელად ფინანსების მობილიზებით). რაც შეეხება გასაჩივრებულ სასამართლო გადაწყვეტილებას, განმცხადებელმა სამრევლომ ვერ გამოავლინა მისი სათანადო აღსრულების უზრუნველსაყოფად საჭირო მონდომება (*Greek Catholic Parish of Pesceana and Others v. Romania* (dec.), § 43).

215. სახელმწიფოს ჩარევა შიდადენომინაციურ ან დენომინაციათაშორის დავაში უნდა განვასხვავოთ იმ უბრალო ფაქტისგან, რომ ეროვნული ხელისუფლებები *აკეთებენ აუცილებელ სეკულარულ დასკვნებს* მანამდე არსებული რელიგიური დავის შესახებ, რომლის წარმოშობისთვისაც მათ თავად არ გაუწევიათ დახმარება და რომელშიც მათ არ დაუკავებიათ ერთ-ერთი მხარე (*Griechische Kirchengemeinde München und Bayern e.V. v. Germany* (dec.); *Serbisch-griechisch-orientalische Kirchengemeinde zum Heiligen Sava in Wien v. Austria*, Commission decision). მაგალითად, სასამართლომ აშკარა დაუსაბუთებლობის გამო მიუღებლად ცნო სარჩელი, რომელიც წარდგენილი იყო ბერძენ მართლმადიდებელთა თემის მიერ და სახელმწიფოსთვის იმ ტაძრის სავალდებულო დაბრუნებას ეხებოდა, რომელიც 150 წლის განმავლობაში მათ სარგებლობაში იყო. 1828 წელს ბავარიის მეფე ლუდვიგ I-მა შენობა გადასცა „სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებულ ბერძენთა რელიგიურ თემს“. 1970-იან წლებში, თემმა კავშირი განწყვიტა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ადგილობრივ სამიტროპოლიტოსთან, რომელსაც ის ადრე მიეკუთვნებოდა და „ქვეშარე მართლმადიდებლურ ეკლესიაში“ გადავიდა. ბავარიის მიერ წარდგენილი სარჩელების შემდეგ, გერმანიის სასამართლოებმა გადაწყვიტეს, რომ შენობით სარგებლობის უფლება, რომელიც 1828 წელს იყო მინიჭებული, უნდა ჩათვლილიყო გაუქმებულად და ეკლესიის შენობა უნდა დაბრუნებოდა სახელმწიფოს შემდგომში სამიტროპოლიტოსთვის გადაცემის მიზნით. სასამართლოებმა დაადგინეს, რომ სადავო შენობით განმცხადებელი თემის მიერ სარგებლობა აღარ შეესაბამებოდა მისი თავდაპირველი შემწირველის (მეფე ლუდვიგ I-ის) განზრახვებს, რომელსაც ტაძრის გადაცემა სურდა იმ ჯგუფისთვის, რომელიც ნამდვილად წარმოადგენდა ადგილობრივ ბერძენ მართლმადიდებელ თემს და თანაზიარებაში იყო ბერძნულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან; განმცხადებელი თემი კი ამ პი-

რობებს უკვე აღარ აკმაყოფილებდა. ეროვნული სასამართლოების მიერ ჩამოყალიბებული არგუმენტების გათვალისწინებით, სასამართლომ არ დაადგინა შიდა რელიგიურ დავაში ეროვნული ხელისუფლების ჩარევა ან სახელმწიფოს ნეიტრალურობის პრინციპის დარღვევა (*Griechische Kirchengemeinde München und Bayern e.V. v. Germany* (dec.)).

216. რელიგიური დანიშნულების შენობით სარგებლობის უფლება, ასევე, ცენტრალური საკითხი იყო საქმეზე - *Mirojubovs and Others v. Latvia*, რომელშიც განმცხადებლებმა, ლატვიის ძველ-მართლმადიდებელი ეკლესიის მიმდევრებმა, დაკარგეს საკუთარი ტაძრით სარგებლობის უფლება მოწინააღმდეგე ჯგუფის სასარგებლოდ, რადგან რელიგიის საქმეთა დირექტორატმა გადაწყვიტა, რომ მათ, *de facto*, შეიცვალეს დენომინაცია და შესაბამისად, აღარ შეეძლოთ კანონიერად წარმოედგინათ მოცემული რელიგიურ თემი. დაადგინა რა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა, სასამართლომ სიფრთხილზე გამოიჩინა იმის განსაზღვრისას თუ რა განსხვავება იყო ამ საქმესა და საქმეს - *Griechische Kirchengemeinde München und Bayern e.V. v. Germany*, შორის; მან ხაზი გაუსვა, რომ ლატვიის ხელისუფლება ნამდვილად ჩაერა რელიგიურ დავაში ნაცვლად იმისა, რომ საკუთრი თავი სეკულარული სამართლებრივი დასკვნების გამოტანით შეეზღუდა (*Mirojubovs and Others v. Latvia*, § 94).

3. დავები რელიგიურ ორგანიზაციებსა და მათ წევრებს (მიმდევრებსა და ღვთისმსახურებს) შორის

217. სახელმწიფოები არ არიან ვალდებული მათ იურისდიქციაში მოქმედი რელიგიური თემებისაგან მოითხოვონ მათივე მიმდევრებისა და ღვთისმსახურების რელიგიის თავისუფლების გამოხატვის უზრუნველყოფა (*X. v. Denmark*, Commission decision). მრავალი რელიგიისთვის დამახასიათებელია, რომ ისინი თავად განსაზღვრავენ ქცევის იმ დოქტრინალურ სანდარტებს, რომელთაც მათი მიმდევრები პირად ცხოვრებაში უნდა იცავდნენ (*Jehovah's Witnesses of Moscow and Others v. Russia*, § 118). შესაბამისად, კონვენციის მე-9 მუხლი რელიგიური ორგანიზაციის შიგნით აზრთა სხვადასხვაობის რაიმე უფლებას არ იცავს. სახელმწიფოს მიერ აღიარებული რელიგიური თემების ავტონომიურობის პატივისცემა, კერძოდ, იმას გულისხმობს, რომ სახელმწიფომ უნდა დაიცვას ამგვარი თემების უფლება, საკუთარი წესებისა და ინტერესების შესაბამისად, რეაგირება მოახდინონ მათ შიგნით წარმოშობილ ნებისმიერ განხეთქილების შემომტან მოძრაობაზე, რომელიც შეიძლება ემუქრებოდეს მათ კავშირს, იმიჯსა და ერთიანობას. ამდენად, სახელმწიფოს ამოცანას არ წარმოადგენს რელიგიურ ორგანიზაციებსა და განხეთქილებაში მყოფ იმ სხვადასხვა ფრაქციებს შორის არბიტრის როლის შერულება, რომლებიც ამ ორგანიზაციების შიგნით უკვე არსებობს ან შეიძლება წარმოიშვას (*Sindicatul "Păstorul cel Bun" v. Romania* [GC], § 165; *Fernández Martínez v. Spain* [GC], § 128). ასევე, მე-9 მუხლი მორწმუნეებს მათი თემის რელიგიური ლიდერების არჩევის ან ღვთისმსახურთა არჩევასთან ან დანიშვნასთან დაკავშირებით რელიგიური ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების წინააღმდეგობის უფლების გარანტიას არ ანიჭებს (*Kohn v. Germany* (dec.); *Sotirov and Others v. Bulgaria* (dec.)). რელიგიურ თემსა და მის ერთ-ერთ წევრს შორის დოქტრინალურ ან ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებული უთანხმოების შემთხვევაში, ამ უკანასკნელის რელიგიის თავისუფლება მითითებული თემის დატოვების თავისუფლებით ხორციელდება (*X. v. Denmark*, Commission decision; *Mirojubovs and Others v. Latvia*, § 80).

218. მიუხედავად ამისა, მე-9 მუხლის 1-ლი პარაგრაფი არ შეიძლება ისე იქნას ინტერპრეტირებული, რომ პირს მიანიჭოს რაიმე „უფლება“ ეკლესიისგან მოითხოვოს მისი ნათლობის ან მირონცხების „ანულირება“, რომელიც მის ბავშვობაში განხორციელდა (*X. v. Iceland*, Commission decision).

219. კონვენციის ორგანოებმა მიუღებლად ცნეს შემდეგ საქმეებზე წარდგენილი განაცხადები:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, დანიის საეკლესიო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებას დანიის სახელწიფო (ლუთერული) ეკლესიის მღვდელმსახურისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, იმის გამო, რომ მან ბავშვის ნათლობისთვის დაანესა დამატებითი პირობა, რაც ეკლესიის მიერ მოთხოვნილი არ იყო (*X. v. Denmark*, Commission decision);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, შვედეთის სახელწიფო (ლუთერული) ეკლესიის საეპარქიო განყოფილების გადაწყვეტილებას, რომელიც დაამტკიცა მთავრობამ და რომელიც განმცხადებელს ვიკარის თანამდებობისთვის არაკვალიფიციურად აცხადებდა, იმ მიზეზით, რომ ის ეწინააღმდეგებოდა ქალთა მღვდლად კურთხევას და მღვდელმსახურ ქალებთან თანამშრომლობის მზაობას არ გამოხატავდა (*Karlsson v. Sweden*, Commission decision);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, განმცხადებლის, ინგლისის ეკლესიის მღვდლის, მიერ ქალთა კურთხევის შესახებ ეკლესიის სინოდის გადაწყვეტილების გასაჩივრებას (*Williamson v. the United Kingdom*, Commission decision);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, ორმოცდაათიანელთა მოძრაობის ქორწინების საქმეთა საბჭოს გადაწყვეტილებას განმცხადებლისთვის სახელმწიფოს მიერ აღიარებული ქორწინების ცერემონიების ჩატარების უფლების ჩამორთმევის შესახებ, იმ საფუძველით, რომ ისინი მითითებულ მოძრაობას აღარ მიეკუთვნებოდნენ (*Spetz and Others v. Sweden*, Commission decision);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, ჰანოვერის ებრაელთა თემის ადმინისტრაციული საბჭოს ყოფილი წევრის საჩივარს გერმანიის სასამართლოების მიერ გერმანიის ებრაელთა ცენტრალური კონსისტორიის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომელიც დაკავებული თანამდებობიდან მის გადაყენებას და მითითებული თემის კუთვნილი შენობებიდან მის გაძევებას ადგენდა; ამ საქმეში ადგილი არ ჰქონია სახელმწიფოს ჩარევას, რადგან ამ უკანასკნელმა საკუთრი თავი შეზღუდა სადავო გადაწყვეტილების მხოლოდ აღსრულებით, მისი შინაარსის შეფასების გარეშე, რითაც პატივი სცა ებრაელთა თემის შიდა ავტონომიას (*Kohn v. Germany* (dec.)).

4. დავები რელიგიურ ორგანიზაციებსა და მათ დასაქმებულებს შორის

220. ავტონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე რელიგიურ ორგანიზაციებს შეუძლიათ ერთგულების გარკვეული დონე მოითხოვონ საკუთარი თანამშრომლებისგან ან მათგან, ვინც ამ ორგანიზაციებს წარმოადგენს. მრავალი რელიგიისთვის დამახასიათებელია, რომ ისინი თავად განსაზღვრავენ ქცევის იმ დოქტრინალურ სანდარტებს, რომელთაც მათი მიმდევრები პირად ცხოვრებაში უნდა იცავდნენ (*Jehovah's Witnesses of Moscow and Others v. Russia*, § 118). ამ პირთა მიერ დაკავებული თანამდებობის ხასიათი წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს, რაც სახელმწიფოს ან შესაბამისი რელიგიური ორგანიზაციის მიერ მიღებული შემზღუდავი ზომის პროპორციულობის შეფასებისას უნდა იქნას გათვალისწინებული. კერძოდ, რელიგიურ გაერთიანებაში კონკრეტულ პირზე დაკისრებული *სპეციფიკური მისია*, სათანადო საფუძველია იმის განსაზღვრად ვრცელდება თუ არა ამ პირზე *ერთგულების მაღალი ვალდებულება* (*Fernández Martínez v. Spain* [GC], § 131). ასეთ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს კავშირს განმცხადებლის საქმიანობასა და შესაბამისი რელიგიური

ორგანიზაციის დეკლარირებულ მისიას შორის (*Schüth v. Germany*, § 69).

221. რელიგიის მასწავლებლებთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში უსაფუძვლო არ იქნება, რომ ეკლესია ან რელიგიური თემი მათგან გარკვეულ ერთგულებას მოითხოვდეს, რამდენადაც, ისინი მათ წარმომადგენლებად განიხილებიან. მასწავლებლის პირად მრწამსსა და იმ იდეებს შორის, რომელიც მან უნდა ასწავლოს, განსხვავების არსებობამ შესაძლოა ნდობის პრობლემა წარმოშვას, თუკი მასწავლებელი აქტიურად და საჭაროს გაილაშქრებს ამ იდეების წინააღმდეგ. გონივრული იქნება, თუკი ნდობის შენარჩუნების მიზნით, კონკრეტული რელიგიის სწავლება იმ პირის მიერ განხორციელდება, ვინც საკუთარი ცხოვრების წესით და საჭარო განცხადებებით რადიკალურად არ ეწინააღმდეგება მოცემულ რელიგიას, განსაკუთრებით იმ გარემოში, სადაც რელიგიას მისი მიმდევრების პირად ცხოვრებასა და პირად მრწამსზე შეუძლია გავლენის მოხდენა (*Fernández Martínez v. Spain* [GC], §§ 137-138).

222. მეტიც, რელიგიური თემის მხრიდან მხოლოდ ვარაუდი, რომ მის ავტონომიურობას რეალური ან პოტენციური საფრთხე ემუქრება, სათანადო საფუძველი ვერ იქნება რაიმე სახის ჩარევის გასამართლებლად მისი თანამშრომლების იმ კონკურენტ უფლებებში, რომლებიც, ასევე, დაცულია კონვენციით (კერძოდ, მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლებით). დამატებით, მოცემულმა რელიგიურმა თემმა, კონკრეტული საქმის გარემოებებთან მიმართებით, უნდა აჩვენოს, რომ სავარაუდო რისკი სარწმუნო და რეალურია და რომ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში სადავო ჩარევა არ სცდება ამ რისკის აღმოფხვრის აუცილებლობას და არ ემსახურება რაიმე სხვა მიზანს, რომელიც დაკავშირებული არ არის რელიგიური თემის მიერ საკუთარი ავტონომიურობით სარგებლობასთან. ის, ასევე, არ უნდა აზიანებდეს მოცემული უფლების არსს. შესაბამისად, როდესაც სასამართლო მოწოდებულია გადაწყვიტოს კონფლიქტი რელიგიური თემის ავტონომიურობის უფლებასა და სხვა პირის კონკურენტ უფლებას შორის, რომელიც, ასევე, დაცულია კონვენციით, ეროვნული სასამართლოები საქმის გარემოებების სიღრმისეულ შესწავლასა და რისკის ქვეშ მყოფ კონკურენტ ინტერესებს შორის ბალანსის სრულფასოვან დაცვას უნდა ახორციელებდნენ. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ორივე მხარის უფლებები, და თუკი ერთ-ერთის დაცვა მეორეში ჩარევას იწვევს, უნდა შეარჩიოს ადეკვატური ზომები, რათა ჩარევა მისაღწევი მიზნის პროპორციული იყოს. სახელმწიფოს, ამგვარ საკითხებში, შეფასების ფართო თავისუფლება აქვს (*Fernández Martínez v. Spain* [GC], §§ 123 and 132).

223. ზემოთ აღნიშნული ბალანსის დაცვისას, ორივე მხარის უფლებები თანასწორად უნდა იქნას გათვალისწინებული: განაცხადის განხილვის შედეგები, პრინციპში, არ უნდა განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, ის სასამართლოში განსახილველად წარდგენილი იქნება მე-9 მუხლთან მიმართებით რელიგიური ორგანიზაციის მიერ, რომელიც ამტკიცებს, რომ ავტონომიურობის უფლების დარღვევის მსხვერპლია თუ სხვა მუხლთან მიმართებით, რომელიც დავაში მონაწილე მეორე მხარის კონკურენტ უფლებას იცავს (*Sindicatul "Păstorul cel Bun" v. Romania* [GC], § 160).

224. კონვენციის თანახმად, დამსაქმებელი, რომლის ხასიათი რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსს ეფუძნება, უფლებამოსილია საკუთარ თანამშრომლებს ერთგულების სპეციფიკური ვალდებულებები დაუწესოს. მიუხედავად ამისა, დასაქმებულის გათავისუფლების გადაწყვეტილება, რომელიც ამ ვალდებულების დარღვევას ემყარება, არ შეიძლება განხილულ იქნას, მხოლოდ დამსაქმებლის ავტონომიურობის უფლების საფუძველზე, შესაბამისი ეროვნული შრომითი დავების განმხილველი სასამართლოს მიერ შეზღუდული სამართლებრივი კონტროლის გზით, დაკავებული თანამდებობის ხასიათის გათვალისწინებისა და პროპორციულობის პრინციპთან შესაბამისობაში ინტერესთა სათანადო ბალანსის დაცვის გარეშე (*Schüth v. Germany*, § 69).

225. გარდა ამისა, კონკურენტ ინტერესებს შორის ზემოთ აღნიშნული ბალანსის დაცვისას, ის ფაქტი, რომ დასაქმებულს, რომელიც რელიგიური დამსაქმებლის მიერ იქნა გათავისუფლებული, ახალი სამსახურის შოვნის შეზღუდული შესაძლებლობები აქვს, ძალიან მნიშვნელოვანია. ეს, განსაკუთრებით სარწმუნოა მაშინ, როდესაც დამსაქმებელს საქმიანობის ამ სფეროში დომინანტური პოზიცია უკავია და გარკვეული საკანონმდებლო შეღავათებით სარგებლობს ან როდესაც, სამსახურიდან გათავისუფლებულ თანამშრომელს აქვს სპეციფიკური კვალიფიკაცია, რაც ართულებს, თუ შეუძლებელს არ ხდის, ახალი სამსახურის პოვნას დამსაქმებელი ეკლესიის გარეთ (*Fernández Martínez v. Spain* [GC], § 144); *Schüth v. Germany*, § 73).

226. მაგალითად, სასამართლომ დაადგინა მოპასუხე სახელმწიფოზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების დარღვევა კონვენციის მე-8 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მიმართებით, გერმანიის კათოლიკე სამრევლოს ორლანსისა და მგალობელთა გუნდის რეგენტის საქმეზე, რომელიც გათავისუფლებულ იქნა (სათანადო გაფრთხილების საფუძველზე) იმის გამო, რომ საკუთარი მეუღლის მიტოვებითა და სხვა ქალთან ქორწინებისგარეშე ურთიერთობის დამყარებით, რომელიც მისგან დაფეხმძიმდა, მან დაარღვია კათოლიკე ეკლესიისადმი ერთგულების ვალდებულება, რომელიც ამგვარ სიტუაციას მრუშობად და ქორწინების ურღვეობის ხელყოფად განიხილავს. გერმანიის სასამართლოების მიერ განმცხადებლის გამტყუნებასთან დაკავშირებით, სასამართლოს სადავო არ გაუხდია გადაწყვეტილების არსებითი ნაწილი, თუმცა, გააკრიტიკა ის ფორმა, რისი საშუალებითაც ისინი ამ დასკვნამდე მივიდნენ. ეროვნულმა სასამართლოებმა არასათანადოდ განმარტეს თუ რატომ გადანონა დამსაქმებელი ეკლესიის ინტერესებმა განმცხადებლის ინტერესები და ვერ უზრუნველყვეს ბალანსის დაცვა განმცხადებლისა და დამსაქმებლის უფლებებს შორის, კონვენციით დადგენილი წესის შესაბამისად. კერძოდ, ეკლესიის ინტერესები დაბალანსებული არ იყო განმცხადებლის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან, არამედ, უშუალოდ მის თანამდებობასთან დაკავშირებულ ინტერესთან; ჯეროვნად არ იქნა განხილული განმცხადებლის ქმედებისა და ეკლესიის დეკლარირებულ მისიას შორის კავშირის საკითხი და არც მის მიერ საკუთარი კვალიფიკაციის შესაფერისი სხვა სამსახურის პოვნის შესაძლებლობა; ეროვნულმა სასამართლოებმა ჯეროვნად ვერ შეაფასეს ის ფაქტი, რომ განმცხადებელი კათოლიკე ეკლესიის მიერ დადგენილ წესებს კი არ ებრძოდა, არამედ, უბრალოდ ვერ შეძლო მათი პრაქტიკაში დაცვა. გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის თანხმობა კათოლიკე ეკლესიისადმი ერთგულების ვალდებულებაზე, რომელიც მან შრომით ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას გამოხატა, არ შეიძლებოდა ერთმნიშვნელოვნად მიჩნეულიყო დაშორების ან განქორწინების შემთხვევაში თავშეკავებული ცხოვრების პერსონალური ვალდებულების აღებად (*Schüth v. Germany*).

227. მეორე მხრივ, სასამართლომ არ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა შემდეგ საქმეებზე:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, გერმანიაში იესო ქრისტეს უკანასკნელი დღის წმინდანთა ეკლესიის (მორმონთა ეკლესიის) საზოგადოებრივი ურთიერთობების დეპარტამენტის ევროპის განყოფილების დირექტორის გათავისუფლებას მას შემდეგ, რაც მან საკუთარ ხელმძღვანელს გაანდო, რომ ქორწინებისგარეშე ურთიერთობაში იმყოფებოდა. საქმისგან - *Schüth v. Germany*, განსხვავებით სასამართლო დაეთანხმა შრომითი დავების განმხილველი სასამართლოებს არგუმენტებს, დაადგინა რა, რომ ისინი სათანადოდ წარმოაჩინდნენ იმ ფაქტს, რომ განმცხადებელზე დაკისრებული ერთგულების ვალდებულებები იყო მისაღები, რამდენადაც ისინი მიზნად ისახავდნენ მორმონთა ეკლესიის მიმართ ნდობის დაცვას, იმის გათვალისწინებით თუ რამდენად სერიოზულად განიხილავდა ის მრუშობის საკითხს საკუთარ სწავლებებში და რამდენად მაღალი საჭარო მნიშვნელობის თანამდებობას იკავებდა განმცხადებელი ამ ეკ-

ლესიაში. გერმანიის სასამართლოებმა, ასევე, სათანადო განმარტებები წარმოადგინეს იმასთან დაკავშირებით თუ რატომ არ მოეთხოვებოდა დამსაქმებელს, პირველ ეტაპზე, უფრო რბილი სასჯელის, მაგალითად, გაფრთხილების, დაკისრება (*Obst v. Germany*);

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, შრომითი ხელშეკრულების განუახლებლობას განმცხადებლისთვის, გაერისკაცებული კათოლიკე მღვდლისთვის, რომელიც, მანამდე დასაქმებული იყო კათოლიკური რელიგიისა და ეთიკის მასწავლებლად საჯარო საშუალო სკოლაში და რომელიც წმინდა საყდრისგან მოწოდებული იყო ცვლებათის (უქორწინებლობის) დაცვაზე, მაგრამ დაქორწინდა; ეს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა ადგილობრივი ეპარქიის მემორანდუმს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ პრესის მიერ მისი პირადი ცხოვრების გაშუქებამ და „მღვდლებისთვის ნებაყოფლობითი ცვლებათის მოძრაობისადმი“ მისმა მიკუთვნებულობამ გამოიწვია „სკანდალი“ კანონიკური სამართლის გაგებით. სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიმართ ნაკლებად შემზღუდავი ზომის მიღებას ნამდვილად არ ექნებოდა ისეთი ეფექტი, რაც ეკლესიისადმი ნდობის შესანარჩუნებლად იყო საჭირო და მეორე, მისთვის ხელშეკრულების განუახლებლობის გადაწყვეტილების შედეგები, საქმის გარემოებებთან მიმართებით, გადაჭარბებული არ იყო, კერძოდ, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელმა საკუთარი თავი გაცნობიერებულად ჩაიყენა ისეთ მდგომარეობაში, რომელიც აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდა ეკლესიის მოძღვრებებს (*Fernández Martínez v. Spain* [GC]).

228. რას შეეხება კონვენციის მე-9 მუხლით დაცულ დასაქმებულის კონკურენტ უფლებებს, სასამართლომ არ დაადგინა ამ ნორმიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებების დარღვევა მასწავლებლის საქმეზე, რომელიც დასაქმებული იყო გერმანიის პროტესტანტული ეკლესიის საბავშვო ბაღში და რომელიც გათავისუფლებულ იქნა, სათანადო გაფრთხილების გარეშე, იმ საფუძვლით, რომ ის პარალელურად იყო „მამაკაცის საყოველთაო ეკლესიის/სადმოს“ (“Universal Church/Brotherhood of Man”) სახელით ცნობილი თემის აქტიური წევრი, რომლის სწავლებებიც პროტესტანტული ეკლესიის მიერ განიხილებოდა, როგორც მის დოქტრინასთან აბსოლუტურად შეუთავსებელი. ეროვნულმა სასამართლოებმა საქმის გარემოებები სიღრმისეულად შეაფასეს და ზედმიწევნით დააბალანსეს რისკის ქვეშ მყოფი კონკურენტი უფლებები. არც ერთი თვალსაზრისით უსაფუძვლო არ ყოფილა საკუთარი თანამდებობის შენარჩუნებასთან დაკავშირებული განმცხადებლის ინტერესის დათმობა, ფართო საზოგადოების და საბავშვო ბაღის მოსწავლე ბავშვების მშობლების თვალში საკუთარი სანდოობის შენარჩუნებასთან დაკავშირებული პროტესტანტული ეკლესიის ინტერესის სასარგებლოდ და ბავშვებისთვის ნებისმიერი სახის რისკის არიდება, რომელიც შესაძლოა დამუქრებოდა მათ იმ მასწავლებლის გავლენით, რომელიც მოცემული ეკლესიის მოძღვრებების საწინააღმდეგო სწავლებების მქონე რელიგიური თემის წევრი იყო (*Siebenhaar v. Germany*).

229. რაც შეეხება რელიგიურ ორგანიზაციებში დასაქმებულ კერძო პირთა *გამოხატვის თავისუფლებას*, რომელიც დაცულია კონვენციის მე-10 მუხლით, კომისიამ მიუღებლად ცნო გერმანულ კათოლიკურ საავადმყოფოში დასაქმებული ექიმის მიერ წარდგენილი განაცხადი, რომელიც გათავისუფლებულ იქნა იმის გამო, რომ ხელი მოაწერა პრესაში გავრცელებულ ღია წერილს, რომელიც აბორტთან დაკავშირებით კათოლიკე ეკლესიის პოზიციის საწინააღმდეგო აზრს გამოხატავდა. აღიარა რა, რომ კათოლიკურ საავადმყოფოში დასაქმებაზე დათანხმების უბრალო ფაქტით განმცხადებელს უარი არ უთქვამს საკუთარ გამოხატვის თავისუფლებაზე, კომისიამ აღნიშნა, რომ ის თავისი ნებით დათანხმდა ეკლესიისადმი ერთგულების ვალდებულებას, რომელიც მის გამოხატვის თავისუფლებას გარკვეული მოცულობით ზღუდავდა. განმცხადებელს, ამ თავისუფლების დაცვის მიზნით, სათანადო წვდომა ჰქონდა

ეროვნულ სასამართლოებზე, რომელთა პრაქტიკამაც დაადასტურა, რომ ეკლესიების უფლება საკუთარი ხედვები გაავრცელონ მათთან დასაქმებულებზე არ ყოფილა შეუზღუდავი და რომ გადაჭარბებული მოთხოვნები მიუღებელი იყო. მართლაც, უსაფუძვლო არ ყოფილა იმის მოთხოვნა, რომ კათოლიკურ საავადმყოფოში ექიმის თანამდებობა ეკლესიის ერთ-ერთი ფუნდამენტური მისიის განხორციელებას ითვალისწინებდა და რომ აბორტთან დაკავშირებით ეკლესიის პოზიციის საწინააღმდეგო განცხადებების გაკეთებისგან თავის შეკავება არ იყო გადაჭარბებული მოთხოვნა ამ საკითხისათვის ეკლესიის მიერ მინიჭებული არსებითი მნიშვნელობის გათვალისწინებით (*Rommelfanger v. Germany*, Commission decision).

230. მეორე მხრივ, სასამართლომ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა წმინდა გულის მილანის კათოლიკური უნივერსიტეტის, სამართლის ფილოსოფიის პროფესორისთვის შრომითი ხელშეკრულების განუახლებლობასთან დაკავშირებით. წმინდა საყდრის კათოლიკური განათლების კონგრეგაციამ უარი თქვა მის დანიშვნაზე იმ საფუძვლით, რომ მისი ზოგიერთი პოზიცია „ცხად შეუსაბამობაში იყო კათოლიკურ დოქტრინასთან“, თუმცა მათ ვერ შეძლეს განემარტათ ეს პოზიციები. სასამართლომ აღნიშნა, რომ კონგრეგაციის გადაწყვეტილების არსებითი შეფასება ხელისუფლების უფლებამოსილებას არ განეკუთვნებოდა. მით უმეტეს, რომ განმცხადებლისთვის არ უცნობებიათ იმ მოსაზრებების არამართლმორწმუნეობრივად გამოცხადების შესახებ, რომლებიც მის წინააღმდეგ იქნა მიმართული და ეროვნულმა სასამართლოებმა, სადავო გადაწყვეტილების სამართლიანობასთან დაკავშირებული საკუთარი შეფასება შეზღუდეს იმ ფაქტით, რომ სამართლის ფაკულტეტის საბჭომ მიუთითა შრომითი ხელშეკრულების გაუფორმებლობაზე. თუმცა, ამ ფაქტების შესახებ ინფორმირება არანაირი ფორმით არ იმოქმედებდა განმცხადებლის პოზიციებისა და კათოლიკური დოქტრინის თავსებადობასთან დაკავშირებით სასამართლო ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე; მეორე მხრივ, ის განმცხადებელს შესაძლებლობას მისცემდა გაეგო და შესაბამისად, გაეპროტესტებინა სადავო შეუთავსებლობა აღნიშნულ მოსაზრებებსა და მის, როგორც კათოლიკური უნივერსიტეტის მასწავლებლის, საქმიანობას შორის. კათოლიკურ დოქტრინაზე დაფუძნებული სწავლების განხორციელებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ინტერესებისთვის მინიჭებული მნიშვნელობა ვერ განივრცობა იმდენად ფართოდ, რომ ხელყოს იმ პროცედურული გარანტიების არსი, რომლითაც, კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, განმცხადებელი უნდა იქნას უზრუნველყოფილი (*Lombardi Vallauri v. Italy*).

231. რაც შეეხება სასულიერო პირთა და სხვა ღვთისმსახურთა სავარაუდო გაერთიანების თავისუფლებას, სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაადგინოს შესაბამისი პირები საკუთარ მისიას კონვენციის მე-11 მუხლის მიზნებისთვის გათვალისწინებული „შრომითი ურთიერთობების“ ფარგლებში ასრულებენ თუ არა. თუკი ასეა, ეროვნული სასამართლოების ამოცანას წარმოადგენს იმის უზრუნველყოფა, რომ ორივე, როგორც გაერთიანების თავისუფლება, ასევე, რელიგიური თემების ავტონომიურობა, ამგვარი თემების შიგნით, დაცულია შესაბამისი კანონმდებლობის, მათ შორის, კონვენციის, შესაბამისად. გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევების შემთხვევაში, კონვენციის მე-9 მუხლიდან გამომდინარე, რელიგიური თემები უფლებამოსილნი არიან იქონიონ საკუთარი მოსაზრება მათი მიმდევრების მიერ განხორციელებული ნებისმიერი იმ კოლექტიური საქმიანობის შესახებ, რაც შესაძლოა ძირს უთხრიდეს მათ ავტონომიურობას და ეს მოსაზრება, პრინციპში, გათვალისწინებულ უნდა იქნას ეროვნული ხელისუფლების მიერ. მიუხედავად ამისა, რელიგიური თემის მიერ იმის უბრალო მტკიცება, რომ მისი ავტონომიურობა რეალური ან პოტენციური საფრთხის ქვეშაა, საკმარისი არაა კონვენციის მე-11 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი მისი წევრების პროფესიული კავშირის უფლებებში ნებისმიერი ჩარევის გასამართლებლად. ასევე, კონკრეტული საქმის გარემოებების ფონზე, წარმოჩენილ უნდა იქნას, რომ სავარაუდო რისკი რეალური და არსებითია და, რომ გაერთიანების თავისუფლებაში სადავო ჩარევა არ გაცდება ამ რისკის აღმოფხვრის საჭიროებას და არ მოემსახურება რაიმე სხვა მიზანს, რომე-

ლიც რელიგიური თემის მიერ ავტონომიურობის უფლებით სარგებლობასთან არ არის დაკავშირებული (*Sindicatul "Păstorul cel Bun" v. Romania* [GC], § 159).

232. ამ პრინციპების შესაბამისად, სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა საქმეზე, რომელიც ეხებოდა რუმინეთის ხელისუფლების უარს რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურებისა და იქ დასაქმებული საერო პირების ჯგუფის მიერ დაფუძნებული პროფესიული კავშირის აღიარებასა და რეგისტრაციაზე, რადგან მთავარეპისკოპოსს ამაზე ნებართვა და კურთხევა მიცემული არ ჰქონდა. უარი ეფუძნებოდა კანონიკურ სამართალს და ეკლესიის დებულებას, რომელიც დამტკიცებული იყო მთავრობის დადგენილებით და ჩართული იყო ეროვნულ კანონმდებლობაში. ყველა წარდგენილი მტკიცებულების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მათი მდგომარეობისა და სულიერი მისიისთვის დამახასიათებელი ნებისმიერი განსაკუთრებული ნიშნების მიუხედავად, რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო დასის წევრები აკმაყოფილებდნენ „შრომითი ურთიერთობის“ მიზანს და შესაბამისად, პრინციპში, შეეძლოთ ჰქონოდათ გაერთიანების თავისუფლების უფლება, კონვენციის მე-11 მუხლის მნიშვნელობით, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ რუმინეთის სასამართლოებს უკვე ცხადად ჰქონდათ აღიარებული მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებისა და იქ დასაქმებული საერო პირების უფლებები პროფესიულ კავშირთან მიმართებით. მეორე მხრივ, სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ჩარევა შეიძლებოდა მიჩნეულიყო ლეგიტიმური მიზნების პროპორციულად და ამდენად, კონვენციის მე-11 მუხლის მე-2 პარაგრაფის მოთხოვნებთან შესაბამისად. განმცხადებელი კავშირის რეგისტრაციაზე უარის თქმით, სახელმწიფომ უბრალოდ თავიდან აირიდა რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მოწყობასა და საქმიანობაში ჩათრევა, რითაც ნეიტრალურობის ვალდებულება დაიცვა. პროფესიული კავშირის რეგისტრირების განაცხადი არ აკმაყოფილებდა ეკლესიის დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რადგან მისი წევრები ამგვარი გაერთიანების დაფუძნებისთვის დანესებულ სპეციალურ პროცედურას არ იცავდნენ. გარდა ამისა, განმცხადებელი კავშირის წევრებს არაფერი უშლიდა ხელს გამოეყენებინათ საკუთარი უფლება, კონვენციის მე-11 მუხლის ფარგლებში, იმგვარი გაერთიანების დაფუძნებით, რომელიც ეკლესიის დებულების შესაბამის მიზნებს მოემსახურებოდა და ეჭვის ქვეშ არ დაეყენებინათ ეკლესიის ტრადიციული იერარქიული სტრუქტურა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები (*Sindicatul "Păstorul cel Bun" v. Romania* [GC]).

233. რაც შეეხება სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით დაცულ ფარგლებში, სასამართლომ მიუღებლად ცნო განაცხადი, რომელიც წარდგენილი იყო ჩეხოსლოვაკიის ჰუსიტური ეკლესიის ორი ყოფილი მღვდლის მიერ, რომლებიც გათავისუფლებულ იქნენ მათი საეპარქიო საბჭოს გადაწყვეტილებით და რომლებმაც მიმართეს სასამართლოებს ზემოხსენებული გადაწყვეტილებების უკანონოდ აღიარებისა და განაცდური ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნით. ჩეხეთის სასამართლოებმა მათ სასარგებლოდ მიიღეს გადაწყვეტილება მეორე საკითხთან (განაცდური ხელფასის), მაგრამ არა პირველ საკითხთან (გადაწყვეტილების უკანონობასთან) დაკავშირებით, რადგან სასამართლოებმა უარი თქვეს გადაეხედათ გადაწყვეტილების იმ ნაწილისთვის, რომელიც, ავტონომიურობის სტატუსიდან გამომდინარე, ეკლესიის ექსკლუზიურ იურისდიქციას მიეკუთვნებოდა. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლების მიერ წარმოებული სასამართლო დავები არ უკავშირდებოდა ეროვნული კანონმდებლობით აღიარებულ სადავო „უფლებას“ და ამდენად, განაცხადი კონვენციასთან საგნობრივად შეუსაბამო (*ratione materiae*) იყო (*Dudová and Duda v. the Czech Republic* (dec.)).

C. პოზიტიური ვალდებულებები

I. მესამე პირების მხრიდან ფიზიკური, ვერბალური და სიმბოლური თავდასხმებისგან დაცვა

234. პირებს, რომლებიც რელიგიის გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობენ, არ შეიძლება რაიმე სახის კრიტიკისაგან დაცვის საფუძვლიანი მოლოდინი ჰქონდეთ. პირიქით, რელიგიური თემის წევრები უნდა შეინყნარებდნენ და იღებდნენ სხვების მხრიდან მათი რელიგიური მრწამსის უარყოფას და, მათ შორის, მათი რწმენისადმი მტრული დოქტრინების პროპაგანდასაც კი (*Dubowska and Skup v. Poland* (dec.)). მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს შესაძლოა წარმოეშვას პასუხისმგებლობა მაშინ, როდესაც რელიგიური მრწამსის მიმართ წინააღმდეგობის გამოვლენა ან მათი უარყოფა იმ ფორმით ხდება, რაც მათი ქონის ან გამოხატვის თავისუფლებით იმ პირების მიერ სარგებლობას უშლის ხელს, ვინც ამგვარ მრწამსს აღიარებს. ასეთ შემთხვევებში, სახელმწიფო შესაძლოა მოწოდებულ იქნას უზრუნველყოს ამ მრწამსების მიმდევარი პირებისთვის მე-9 მუხლით გარანტირებული უფლებებით მშვიდობიანი სარგებლობა (*Church of Scientology and Others v. Sweden*, Commission decision; *Begheluri v. Georgia*, § 160). მართლაც, შესაძლებელია სახელმწიფოს წინაშე არსებობდეს კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული უფლებების ეფექტური დაცვის გარკვეული პოზიტიური ვალდებულებები, რომლებიც შესაძლოა ითხოვდეს ისეთი ზომების მიღებას, რაც რელიგიის თავისუფლების დაცვას კერძო პირთა შორის ურთიერთობების სფეროშიც კი უზრუნველყოფს. ამგვარი ზომები, გარკვეულ გარემოებებში, შესაძლოა, მოიცავდეს სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც კერძო პირებს ღვთისმსახურებისას სხვა პირთა მხრიდან ხელის შეშლისგან დაიცავს (*Dubowska and Skup v. Poland* (dec.)).

235. როდესაც პირთა ჯგუფი აწყობს საჯარო დემონსტრაციას იმ მიზნით, რომ კონკრეტული რელიგიური თემის მრწამსის ან პრაქტიკის მიმართ საკუთარი წინააღმდეგობა გამოხატოს, ერთმანეთთან კონფლიქტში ორ ფუნდამენტური უფლება მოდის: დემონსტრანტთა უფლება გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებაზე (კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლები) და რელიგიური თემის უფლება მშვიდობიანად გამოხატოს საკუთარი მრწამსი, სხვა პირთა მხრიდან გაუმართლებელი ჩარევის გარეშე. ყველა ეს უფლება კონვენციის თანაბარი დაცვით სარგებლობს; არც ერთი მათგანი აბსოლუტური არ არის და მათი განხორციელება შესაძლოა დაექვემდებაროს შეზღუდვებს, რომლებიც ზემოთ აღნიშნული მუხლების მეორე პარაგრაფებშია გადმოცემული. კონვენცია ამ უფლებებს შორის რაიმე სახის იერარქიას, აპრიორი, არ ადგენს და პრინციპში, ისინი თანასწორ პატივისცემას იმსახურებენ. შესაბამისად, ისინი ერთმანეთის მიმართ იმგვარად უნდა დაბალანსდნენ, რომ დაცულ იქნას მათი მნიშვნელობა პლურალიზმზე, ტოლერანტობასა და არასტერეოტიპულ აზროვნებაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში. ამ დროს სახელმწიფომ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი სამი პრინციპი:

1. რამდენადაც ეს გონივრულად შესაძლებელია, სახელმწიფომ ორივე კონკურენტი უფლების დაცვა უნდა უზრუნველყოს; ეს ვალდებულება ეროვნულ ხელისუფლებას ეკისრება მაშინაც კი, როდესაც ქმედებები, რომლებიც რომელიმე ამ უფლებით სარგებლობის ხელშეშლას იწვევს, კერძო პირების მიერ არის პროვოცირებული;
2. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სათანადო სამართლებრივი ბაზის - ჩამოყალიბება, კერძოდ, იმ მიზნით, რომ ზემოთ აღნიშნული უფლებები დაცულ იქნას მესამე პირების მხრიდან თავდასხმებისგან, და განახორციელოს ეფექტური ქმედებები, რათა ამ უფლებათა პრაქტიკაში დაცვა იქნას უზრუნველყოფილი;
3. ევროპის მასშტაბით გადასინჯვის უფლებამოსილების განხორციელებისას, სასამართლოს ვალია, მთელი საქმის ფონზე, შეამოწმოს დაიცვა თუ არა ეროვნულმა ხელი-

სუფლებამ სამართლიანი ბალანსი კონვენციით განმტკიცებულ სხვადასხვა კონკურენტ უფლებას შორის. ასეთ დროს, სასამართლო არ შეიძლება მოქმედებდეს წინდაუხედავად. არც უბრალოდ უნდა ჩაანაცვლოს საკუთარი ხედვა ეროვნული ხელისუფლების ხედვით, რომელსაც, ნებისმიერ კონკრეტულ საქმესთან მიმართებით, უკეთესი ადგილი უკავია იმის შესაფასებლად თუ რაში მდგომარეობს სათანადო ბალანსი და როგორ უნდა იქნას ის მიღწეული. ეს განსაკუთრებით სარწმუნოა მაშინ, როდესაც ბალანსის დაცვის ვალდებულება უშუალოდ პოლიციას ეკისრება. თანამედროვე საზოგადოებაში წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით პოლიციის ან სხვა სახელმწიფო ორგანოების პოზიტიური ვალდებულებები იმგვარად უნდა იქნას ინტერპრეტირებული, რომ არ მოხდეს მათზე შეუძლებელი ან არაპროპორციული ტვირთის დაკისრება (*Karaahmed v. Bulgaria*, §§ 91-96).

236. ამავე მსჯელობის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა:

- მე-9 მუხლის დარღვევა, დამოუკიდებლად და კონვენციის მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) კავშირში, საქმეზე, რომელიც ეხებოდა იეჰოვას მოწმეთა მშვიდობიან შეკრებაზე კერძო პირთა მიერ განხორციელებულ ფიზიკურ თავდასხმას, რომელსაც განკვეთილი მართლმადიდებელი მღვდელი ხელმძღვანელობდა და რომლის დროსაც განმცხადებლები ძლიერად სცემეს და შეურაცხვეს; მათი რელიგიური ლიტერატურა მათ თვალწინ დაწვეს. პოლიციამ უარი განაცხადა, განმცხადებლების დაცვის მიზნით, ადგილზევე დაუყოვნებლივ ჩარეულიყო ინციდენტში; შესაბამისად, განმცხადებლები სათანადო სახელმწიფო ორგანოების მხრიდან სრული გულგრილობის წინაშე აღმოჩნდნენ, რომელთაც უარი განაცხადეს დაეცვათ შესაბამისი კანონი ან მიეღოთ რაიმე ზომები მათ საჩივრებთან დაკავშირებით (*Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia*; ასევე, იხ., *Begheluri v. Georgia* და *Tsartsidze and Others v. Georgia*, რომლებიც, ასევე, მოიცავდა დაშინების აქტებს თავად პოლიციელების მხრიდან);
- მე-9 მუხლის (მაგრამ არა მე-14 მუხლის) დარღვევა საქმეზე, რომელიც ეხებოდა ძალადობაში გადაზრდილ დემონსტრაციას - რომელიც თავდაპირველად კანონიერი იყო, რადგან კანონის შესაბამისად წინასწარ იყო განცხადებული - და რომელიც ორგანიზებული იყო პოლიტიკური პარტიის წევრების მიერ სოფიაში, ბულგარეთის დედაქალაქში მეჩეთის შიგნით და გარეთ მიმდინარე პარასკევის ლოცვის წინააღმდეგ (მუქარის შეძახილებით და შესტებით; კვერცხების სროლით; ლოცვის ხმის ჩახშობის მიზნით, მეჩეთის თავზე ხმის გამაძლიერებლის განთავსებით; სალოცავი ხალიჩების დაწვის მცდელობით; კონგრეგაციის წევრების მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფებით დემონსტრანტების მხრიდან, რომლებიც მეჩეთის შიგნით ცდილობდნენ შეღწევას და ა.შ.) ამ საქმეზე ბულგარეთის სახელმწიფო ორგანოებმა არ გაწიეს მათგან გონივრულად მოსალოდნელი ძალისხმევა, რათა უზრუნველყოთ ორივე მხარის მიერ საკუთარი უფლებებით თავისუფლად სარგებლობა. აცნობიერებდნენ რა მოცემული პარტიის ღრმად ნეგატიურ დამოკიდებულებას უშუალოდ ისლამისა და თურქების მიმართ, სახელმწიფო ორგანოებს შეეძლოთ მინიმუმამდე შეემცირებინათ ძალადობის რისკი დემონსტრანტების სპეციალურ ადგილზე თავმოყრით, რომელიც მეჩეთიდან უსაფრთხოდ იქნებოდა დაცილებული, თუმცა მათ ეს ვერ უზრუნველყვეს. გარდა ამისა, პოლიციის ოფიცრების ნაწილმა, რომლებიც შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ, ცალსახად არადაამაკმაყოფილებლად იზრუნეს სიტუაციის კონტროლზე და კონგრეგაციის წევრების დაცვისას გამოავლინეს პასიურობა. და ბოლოს, ამ შემთხვევის შემდეგ, სახელმწიფო ორგანოების მიერ წარმოებული გამოძიება არ აკმაყოფილებდა ეფექტურობის სავალდებულო კრიტერიუმს (*Karaahmed v. Bulgaria*).

237. ამასთან, მე-9 მუხლი (მე-10 და მე-11 მუხლების მსგავსად) არ შეიძლება იმგვარად იქნას ინტერპრეტირებული, რომ იმ პირს ვინც რელიგიურ ორგანიზაციასთან უთანხმოებაში იმყოფება რელიგიური ცერემონიის ჩაშლის ან მისი მსვლელობისას არეულობის მოწყობის უფლება მიანიჭოს. სასამართლომ აშკარად დაუსაბუთებლად ცნო რუმინელი მართლმადიდებელი მონაზვნის სარჩელი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული მისი ეკლესიის იერარქიის სავარაუდო დარღვევების მხილებაში და რომელიც დასჯილ იქნა ჯარიმით იმის გამო, რომ რუმინეთის მართლმადიდებელი პატრიარქის მიერ აღსრულებული ცერემონიის მსვლელობისას ინვევდა არეულობას და ყვიროდა (ან ხმამაღლა ამბობდა), რომ ის „არ იმსახურებდა, რომ მისთვის ელოცათ“. გამომდინარე იქიდან, რომ ჯარიმა დაკისრებულ იქნა არსებითად საჭარო არეულობის გამოწვევისთვის და არა საკუთარი მოსაზრების გამოხატვის გამო, სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ორგანოები მოქმედებდნენ ამ საკითხებთან დაკავშირებით მათთვის მინიჭებული შეფასების თავისუფლების დაშვებულ ფარგლებში (*Bulgaru v. Romania* (dec.)).

238. გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ *რელიგიური თავყვანისცემის ობიექტების პროვოკაციული გამოსახულებები*, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა ლახავდეს მე-9 მუხლით დაცულ მორწმუნეთა უფლებებს (*Otto-Preminger-Institut v. Austria*, § 47). თუმცა, სასამართლო, ამ დრომდე უცვლელად, მსგავს საქმეებს კონვენციის მე-10 მუხლთან (გამოხატვის თავისუფლება) მიმართებით განიხილავდა, როდესაც იმ პირთა სარჩელებზე მსჯელობდა, რომლებიც მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფის გამო იყვნენ დასჯილი (*იხვე; Wingrove v. the United Kingdom; I.A. v. Turkey; Giniewski v. France; Klein v. Slovakia; X. Ltd. and Y. v. the United Kingdom*, Commission decision).

239. მეორე მხრივ, კონვენციის ორგანოები, ამ დრომდე უცვლელად, უარს აცხადებდნენ იმ პირთა სარჩელების მე-9 მუხლთან მიმართებით მიღებაზე, რომელთა რელიგიური გრძნობებიც შეურაცხყვეს. კერძოდ, მე-9 მუხლით გარანტირებულ უფლებებში ჩარევისგან დაცვის უფლება აუცილებლად და ნებისმიერ შემთხვევაში არ მოიცავს რაიმე სპეციალური სამართლებრივი ღონისძიების გატარების უფლებას იმ ავტორთა და გამომცემელთა წინააღმდეგ, ვინც შეურაცხყოფს კერძო პირის ან კერძო პირთა ჯგუფის გრძნობებს (*Dubowska and Skup v. Poland* (dec.)). კონვენციის ორგანოებმა უარი თქვეს ამ სახის სარჩელების მიღებაზე, შემდეგ საქმეებზე:

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, საინტოლოგიური ეკლესიის მიერ სასამართლოსთვის მიმართვის შეუძლებლობას იმ ზიანთან დაკავშირებული სარჩელით, რომელიც თეოლოგიის პროფესორის მიერ სალექციო კურსისას გამოთქმული და შემდეგ, ადგილობრივ გაზეთში დაბეჭდილი საინტოლოგიისადმი მტრული კომენტარებიდან მომდინარეობდა, რადგან არ დადგინდა, რომ ეს კომენტარები განმცხადებლებს მე-9 მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობაში უშლიდა ხელს (*Church of Scientology and Others v. Sweden*, Commission decision);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო ხელისუფლების უარს სალმან რუშდის და მისი გამომცემლის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივ დევნაზე „ეშმაკეული აიების“ დაწერისა და გამოქვეყნების გამო, რომელიც ისლამის თვალსაზრისით მკრეხელობას წარმოადგენდა (*Choudhury v. the United Kingdom*, Commission decision);
- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, პოლონეთის პროკურორის გადაწყვეტილებას სისხლის სამართლებრივი დევნის გაგრძელებაზე ყოველკვირეული ჟურნალის მთავარი რედაქტორის წინააღმდეგ, რელიგიური გრძნობების საჭარო შეურაცხყოფის საფუძვლით იმის გამო, რომ მან ჟურნალის გარეკანზე დაბეჭდა ფოტო „ქალწული ყრმით“

(Częstochowa Virgin and Child) - ხატი, რომელიც პოლონეთში საყოველთაო თაყვანისცემის ობიექტს წარმოადგენს - რომელზეც ორივე სახეზე გამოხატული იყო აირწინალები. პროკურატურამ დაადგინა, რომ ფოტო პოლონეთში ჰაერის დაბინძურების ინფორმაციული ილუსტრირების მიზნით გამოიყენებოდა და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის განზრახვას არ ისახავდა მიზნად. კომისიამ აღნიშნა, რომ განმცხადებლებს გააჩნდათ ეროვნული სამართლებრივი მექანიზმები საკუთარი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისგან დასაცავად, რომელთაც მათ მიმართეს. მიმართვა, პროკურატურის მიერ საქმის ყველა გარემოების და კონკურენტი უფლებების ზედმიწევნითი შესწავლის შემდეგ უარყოფილ იქნა. აქედან გამომდინარე, განმცხადებლებს ხელი არ შეშლიათ მე-9 მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობაში და მხოლოდ ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ორგანოებმა საბოლოოდ დანაშაულის ჩადენის ფაქტი არ დაადგინეს, თავისთავად, ვერ ჩაითვლებოდა ამ დებულებით გარანტირებული უფლებების დაცვის განუხორციელებლობად. იმავე მიზეზით, კომისიამ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია მე-14 მუხლით აკრძალულ დისკრიმინაციას (*Dubowska and Skup v. Poland (dec.); Kubalska and Kubalska-Holuj v. Poland*, Commission decision);

- საქმეზე, რომელიც ეხებოდა, მაროკოში მცხოვრები მაროკოს მოქალაქის და მათ ქვეყანაში დაფუძნებული ორი მაროკოული გაერთიანების მიერ დანიის წინააღმდეგ წარდგენილ განაცხადს, რომლითაც გასაჩივრებული იყო დანიის სახელმწიფო ხელისუფლების უარი ისლამის წინასწარმეტყველის, მუჰამედის კარიკატურების სერიის გამოქვეყნების აკრძალვასა და მისი გამომქვეყნებლის დასჯაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლებსა და დანიას შორის არ არსებობდა კონვენციის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული იურისდიქციული კავშირი, რაიმე „ექსტერიტორიული ქმედების“ თვალსაზრისითაც კი (*Ben El Mahi and Others v. Denmark (dec.)*).

2. რელიგია სამუშაო ადგილზე, ჯარი და სასამართლო

240. სასამართლომ ლეგიტიმურად მიიჩნია საჯარო მოხელეებზე (civil servants), მათი სტატუსის გათვალისწინებით, წინდახედულების ვალდებულების დაკისრება კონვენციის მე-10 მუხლთან (გამოხატვის თავისუფლება) მიმართებით ან მათი რელიგიური მრწამსის საჯაროდ გამოხატვასთან დაკავშირებით, მე-9 მუხლის შესაბამისად. სახელმწიფოს წარმომადგენელი მაღალი თანამდებობის პირის ეთიკური ვალდებულებები, შესაძლოა მის პირად ცხოვრებაზეც გავრცელდეს, როდესაც მისი ქცევა, პრივატულობის მიუხედავად, იმ ინსტიტუციის იმიჯს ან რეპუტაციას აკნინებს, რომელსაც თავად წარმოადგენს. კონვენცია არ გამოორიცხავს საჯარო მოხელეებისთვის წინდახედულების ან თავშეკავების ვალდებულების დაკისრებას, რათა გარანტირებულ იქნას საჯარო სამსახურის ნეიტრალურობა და უზრუნველყოფილ იქნას სეკულარიზმის პრინციპის დაცვა. ის, ასევე, არ გამოორიცხავს თანამდებობის პირთა მიმართ სანქციების დაწესებას იმ პოლიტიკური პარტიების ან ჯგუფების წევრობის გამო, რომლებიც რასიზმს და ქსენოფობიას აღვივებენ, ან ისეთი სექტების წევრობის გამო, რომლებიც საკუთარ მიმდევრებს ურთიერთსოლიდარობის მკაცრი და ურღვევი ბორკილებით ბოჭკვენ ან დემოკრატიის პრინციპებთან შეუთავსებელ იდეოლოგიას აღიარებენ (*Sodan v. Turkey*, § 42 and 52). თუმცა, მხოლოდ ის ფაქტი, რომ თანამდებობის პირი შესაძლოა ეთანხმებოდეს ან მიეკუთვნებოდეს მოცემულ რელიგიურ მოძრაობას, მის წინააღმდეგ შესაბამისი ზომების მიღებისთვის საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს, თუკი არ იარსებებს იმის ცხადი მტკიცებულება, რომ მან საკუთარ საქმიანობაში გამოამჟღავნა გადახვევა ან მიიღო ინსტრუქციები ამგვარი მოძრაობის წევრებისგან, ან ამ უკანასკნელმა რეალური საფრთხე შეუქმნა ეროვნულ უშიშროებას (*Sodan v. Turkey*, § 54).

